KP

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისარი

7

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვეტი

230

გამოცემის მეცხრამეტე წელი

7

ივლისი

1976

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკპ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა პ ა რ ს ი

პროზა, პოეზია

3. იუზა ქაჯეიშვილი — გაკცევა. მოთხრობა
26. მედეა კახიძე — ლექსები
28. გაფრი ბოხონელიძე — მოთხრობები
35. აუკური გოგიაშვილი — ლექსები
36. გივი ბუთხუზი — ჯაბრული. მოთხრობა
68. შუკო ჯიქია — ლექსები
69. გივი ბერაია — ლექსები
70. ზურაბ გეგაზაშვილი — შავნაგაბადა. ლამე. მოთხრობა

ახალი თარგმანები

75. ალექსანდრე ტარდოვსკი — ჭლაკრული ქვეყანა. პოემა. დასაწყისი. თარგმნა ოთარ ჭელიძემ

ნარკვევი

85. ილო ალაზნელი — მკერდზე ალესილი მახვილი

წერილები

92. ნოდარ დუმბაძე — ჩემი რუსთაველი
100. ელგუჯა მაღრაძე — სრგოლა ცხოვრებისა
113. გურაბ გათიაშვილი — ოდიოდ სიტყვა ორ რომანზე
118. ვლადიმერ ჯიბუტი — დიდი მწერლის გახსენება

მეცნიერება

121. როინ მეტრეველი — მეცნიერი და ნაგულიშვილი
130. ჯემალ შარაშენიძე — ამირანის მაძის სახელია სულკალმახის ეტიმოლოგიისათვის

ახალგაზრდა მეცნიერები „ცისკარში"

135. ხერგი მინაშვილი — ვაჟა-შუაველას ერთი ფურილის გამო

ბიბლიოგრაფია

138. რამაზ ხუნდაძე — პატარა ჰუკის ზღაპარი
139. ლუიზა კასარაძე — შუქი სევდისა
142. გიორგი მაჭუტაძე — კოციუბინსკი და მისი მთარგმნელი

ხელოვნება

145. ამირან ჩხარტიშვილი — მერაბ გერეკენიშვილი

ლიტერატურის მატიანე

149. იაკობ გალაბაშვილი — ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა. გაგრძელება

სატირა, იუმორი, პაროდია

159. ჩიტო მუზაშვილი — უწყინარი დიალოგები და მონოლოგები ანუ ირონიული კოეზია

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა ამირეჯიბი,
ვალერიან ბაჟრაძე,
გურამ გვეტრწფოთელი,
[illegible] გივი გეგეშკორი,
რისმაგ გოგოლეშიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაბდე,
ოტია პაპაკორია,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ შერეთელი,
ტარიელ ფანეფურია,
რევაზ ფეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუზა ყაჯეიშვილი

გაქცევა

მივლინებიდან თვითნებურად გაქცევისა და უბანში აღწერის ჩაშლისათვის მხსნიდნენ სამსახურიდან. ბრძანების ტექსტი, რომელსაც ახლა მემანქანე გამალებით ბეჭდავდა, თვით სამმართველოს უფროსს, პლატონ ვასილიჩს შეედგინა და მაგარ-მაგარი სიტყვებიც ჰქონდა ნახმარი — უდისციპლინობა, ლოთობა, ხულიგნობა... უბნის ხალხს უბრალო გაფრთხილება აკმარა, თუმცა ამაზედაც ქვეყანა შეძრეს, — ჩვენ რა შუაში ვართო (აქ იყვნენ ახლა, კომისიას ჩამოჰყოლოდნენ, — დათოს თავისი, განუყრელი კურტკა ეცვა, მიშას — ნაცრისფერი ახალთახალი მაკინტოში. მე მათ თვალის დასანახავადაც ვეღარ ვიტანდი. ზურგით კედელს მიყრდნობილი მოსაცდელში ჩემთვის ვიდექი; კაცაშვილი აღარ მეკარებოდა,— რაც „შერისხული“ გავხდი, ყველანი გამირბოდნენ).

ბრძანებას კომისიის დასკვნა ედო საფუძვლად, ხოლო კომისიას, ჩემი ჩამოსვლის დღესვე რომ აფრინეს უბანში, ძირისძირობამდე შეესწავლა საქმე. მარტო ახსნა-განმარტებები რად ღირდა — უბნის მთელი კოლექტივი ერთხმად ამტკიცებდა, მავანი და მავანი კაცისთვის თვალიც არ მოკვიკრავსო.. დათომ და მიშამ ხომ მთლიან გადამიწურეს წყალი, — ბუღალტერი ქორიძე ორ დღეს კი იყო ჩვენთან, მაგრამ აღწერა არც მოჰგონებია, — ქეიფსა და ქალების დევნას გადაყვაო. დათოს, უბნის უფროსს, ისიც დაეწერა — მცემაო. ყველაზე მეტად აი, რამ გამაკვირვა: კომისიამ (კადრების უფროსი ინსპექტორისა და მთავარი ბუღალტრის შემადგენლობით) უბანი აღწერა, მაგრამ ვერავითარი დანაკლისი ვერ აღმოაჩინა... ამ ამბავმა „საქმიან“ ხალხში მოარული ერთი ანეკდოტი გამახსენა, სახელად „რასა სჯამს ძროხა“ რომ ჰქვია. ამ ანეკდოტით თავს არ შეგაწყენთ, მიმხვედრი ისედაც მიხვდება!

დარწმუნებული რომ ვიყავი, ამით ყველაფერი მოთავდა-მეთქი, მოულოდნელად პლატონ ვასილიჩმა კაბინეტში მიხმო, მანქანაზე გადაბეჭდილი ბრძანება ჩემს თვალწინ დახია, ნაკუწები კალათში ჩაყარა და მითხრა: „ხედავ, შენი გულისთვის რას ვაკეთებ?.. ახლა მაინც მიამბე, რა მოხდა?!“

სანამ დამიძახებდა, კომისიის წევრებთან და უბნის ხალხთან ერთად იყო ჩაკეტილი, სათათბიროდ. ჩანდა, რაღაც ახალი გადაწყვეტილება მიეღოთ, მაგრამ მე კვლავ ჯიუტად ვდუმდი. „მაშ სწორი ყოფილა ის ხალხი, — თქვა ბოლოს. — მაინც მენანება, ჩემმა მზემ... ორიოდე თვეა მოშაობ და არ მინდა, შრომის წიგნაკი გაგიფუჭო!“

თითი ენის წვერზე დაისველა, უჯრა გამოსწია, — იქედან ამოფარფატებული სუფთა ფურცელი ზუსტად ჩემს წინ გაეკრა „მისადგმელ“ მაგიდას,—ხელში

ჯალამი მოშაჩჩა და ტექსტიც მიკარნახა: „ვთხოვთ გამთავისუფლოთ სამსახურიდან ოჯახური პირობების გამო“. „კაცრებს! — წაიწერა მერე, მთელ გვერდზე, წითელი მსხვილი ფანქრით, — ვთხოვთ დააკმაყოფილოთ!“ კანცელარიაში მიიტანეო, — მითხრა, თან ხელს აწერდა თავგადაგდებული და ტუჩებ-მოპრუწული, სახეზე ნეტარების ღიმი ეფინა. რომ მეგონა, ამთავრებს-მეთქი, უცებ სხვა მხარეს უტია და კარგა ხანს კიდევ გულმოდგინედ ღვარკნილდა უცნაურ ხაზებს, დარწმუნებულმა, სიკეთე ვუყავიო, ჭკუის დარიგება დამიწყო და ერთი-ორი იმისთანა რამ გამოუთქია, კინალამ გული ამიჩუყა, მაგრამ თავი შევიკავე, — აღარც ისე გულუბრყვილო ვარ, — მივხვდი, უჩემოდაც მშვენივრად იცოდა ყველაფერი...

კანცელარიის გამგეს რეგისტრაციაში გაატარა „ჩემი“ განცხადება, — კიდეში ოთხკუთხა შტამპი დაუსვა... გაკვირვებული მივრეკებოდი, ეს უბრალო ქაღალდის ფურცელი თანდათან როგორ იქცეოდა ოფიციალურ „დოკუმენტად“, იმდღიდან სამსახურში მისვლას რომ მიკრძალავდა.

❀

მთავარი სათქმელი გითხარით, — ახლა იმ ორი დღის თავგადასავალსაც გიამბობთ... დაწერილებთან, სულ ნაბიჯნაბიჯ უნდა აღვწერო, ჩემი პირველი და უკანასკნელი მივლინების ამბავი. იქნებ მოსაწყენიც იყოს, მაგრამ საქმისათვის არის საჭირო, — მტყუან-მართალი უნდა გაირკვეს... და იმ მტყუანს პასუხიც უნდა მოეთხოვოს!... სამართველოს შენობიდან გამოსვლისას, დერეფანში თავშეყრილმა თანამშრომლებმა სიბრალულით სავსე მზერა გამომაყოლეს. მომარაგების განყოფილებას უფროსმა მკლავზე წამატანა ხელი, შემაჩერა და მითხრა: — არ ყოფილხარ მართალი, მიძიკო, გავიგეთ ჩვენ... ეს ხალხი, მამაცხონებულო, გადაგყოლია ზედ, სხვანაირი პატივისცემაც ნდომებიათ და შენ თუ ვერ შეიღირსე, ვინი-ერა ბრალიაო. აღარაფერი მითქვამს, უხერხული ღიმილით გამოვეთხოვე...

მთლად წყალწაღებულიც არ გეგონოთ, ვისმეს თავი დავაჩაჯვრინონ, ან სიმართლე ვერ გავიტანო. რომ მომენდომებინა და ბოლომდე მიკყოლოდი, უბატონოდ ხმას ვინ გამცემდა, ზოგზოგებს კი იქნებ ძვირადაც დასჯდომოდათ, მაგრამ ახლა, სულ სხვა ამბებით, ისე ვარ თავგზაბნეული, ეს ყველაფერი არარად მეჩვენება... ადგილს ვეშინავი, — მადლობა ღმერთს, ჩვენი პროფკომის ხალხს იქით დაეძებენ. ეხოვრებისეული გამოცდილებაც უკვე შევიძინე, — საქმე, ისე თუ ისე, მესმის, — საფინანსო ტექნიკუმი მაქვს დამთავრებული, შარშან ინსტიტუტშიც მოვეწყვე დაუსწრებლად. ვიცი, ჩვენზე რა აზრისაა ხალხი, მაგრამ პირადად მე ეს საქმე მომწონს, — მამაჩემიც ბუღალტერი იყო! — მახსოვს, სამსახურიდან მობრუნებული გაწლილი მაგიდაზე ქაღალდებს, გვერდით საანგარიშოს დაიდებდა და გვიანობამდე იჯდა. მიკვირდა, დაუხედავად რომ პოულობდა კოუპს, როგორც პიანისტი კლავიშებს. ჩემს სმენაში საანგარიშოს ხმაც თავისებურ შუსიკად ყღერდა, დაბალ, საშუალო თუ მაღალ რეგისტრებში, იმის მიხედვით, ერთ კოუს ჩააგდებდა თუ რამდენიმეს ერთად ჩამოყრიდა. სულ პირველად, ეს საანგარიშო, ოქროსფრად მბზინავ მავთულებზე მოსრიალე უამრავი პაწაწკინტელა ბორბლები რომ ჭკონდა, სათამაშო ურემი მეგონა, — ძაფი გამოვაბი და ოთახში დავაბრიგინებდი, მერე ზედ წამოსკუპებული დედას ვეხვეწებოდი, მასეირნე-მეთქი...

ერთი სიტყვით, ახალგათენებული იყო, როცა მატარებელმა ქალაქს მიაყვირა და სადგურის ქველებური შენობის წინ, მოზაიკური ფილებით მოგებულ ბაქანზე ჩამოდგა. კოკისპირული წვიმით შემეგება პატარა ქალაქი, შიგადაშიგ თოვლსაც ურევდა. არეული ამინდი იყო, ადრე გაზაფხულზე რომ იცის ხოლმე, ძლიერი ქვენაც უბერავდა და

ბაქნის გასწვრივ ჩამწკრივებულ შენობათა კედლებს დასავლეთის მხრიდან წვიმა ასხამდა. კუპედან გამოსულამდე დაკვირვებით შეეთვალიერე თავი სარკეში, კაშნე მეჩიდროდ შემოვიხვიე ყელზე, პალტოს ღილები შევიბნევ. მიუხედავად ახალგაზრდობისა, ოდნავ დაბღვერილი, მაგრამ მაინც მტკიცე, საქმიანი იერი მქონდა. მოყვითალო ფერის სამგზავრო ჩანთას ხელი დავტაცე და გასასვლელისაკენ გავქანდი. სწრაფად გადავრბინე ბაქანი, — დახეთქილ ფილებში წყალი ჭაჭყუნობდა და ბზარებშუა ამომსდარმა ზხეფებმა შარვლის ტოტები დამისველა.

მოსაცდელ დარბაზში არავინ დამხვედრია, ვერც საღგურის წინა მოედანზე მოვკარი თვალი უბნის უფროსის მანქანას; მხოლოდ გაჩერებაზე იდგა ერთადერთი ტაქსი, რომლის შეორთქლილ უკანა მინაში სამიზნესავით ჩანდა მძღოლის სილუეტი. ცხრა სრულდებოდა, მორიგემ ზარი ჩამოკრა და მატარებელი უხმოდ გასრიალდა ლიანდაგზე. მატარებლის გასვლისთანავე, წამიერად ახმაურებული ბაქანიც მყისვე მიყუჩდა, როგორც ჩვეულად ხოლმე მომცრო სადგურებს. დათო უნდა დამხვედროდა, — ასე შევთანხმდით წინა დღეს, მაგრამ ტელეფონში ცუდად ისმოდა და, ეტყობა, ვერ გაუგეთ ერთმანეთს. — ათზე მეორე მატარებელიც ჩამოდიოდა თბილისიდან. — ტაქსში ფულის გადაყრას ვამჯობინე, ერთი საათი ისევ ამ სიცივეში მეყურყუტა.

იქვე რესტორნის აბრა შევნიშნე და გადავწყვიტე, წამესაუზმა. მოყვარს საღგურის რესტორნები — აქ მეტი სიწყნარე და სისუფთავეა. შესვლისთანავე თვალში მეცა სვეტებმოჩუქურთმებულ ვრცელ დარბაზში ჩამდგარი ცისფერი კვამლი, საამო სურნელებით რომ გაეჟღინთა ჰაერი. ნეილონის ფარდებჩამოფარებულ ფართო ფანჯრებს დღის ნათელი შემოსდგომოდათ, გამქვირვალე თხელ ბურუსში იდუმლად ციმციმებდა ბროლის ვეება ჭაღი. გაკრიალებული სერვიზით გაწყობილ, ქათქათა სუფრაგადაფარებულ, მრგვალ მაგიდებზე, მაღალი ლურჯი ლარნაკები იდგა, რომელზედაც მქრქალად ამოტვიფრული უცხო ყვავილები ილანდებოდნენ. დარბაზში სასიამოვნოდ თბილოდა.

ერთ-ერთ მაგიდასთან, ფანჯრის სიახლოვეს, თეთრხალათიანი ოფიციანტი იჯდა. მაღლა ავარცხნილი წაბლისფერი თმა კეფასთან ჩაეხვია. თვალის ერთი შევლებით მივხვდი, ლამაზი გოგო რომ იყო, ჯიქურ მივიჭერ და მის პირდაპირ სკამზე ჩამოვჯექი. ჩანთა იქვე, იატაკზე დავდე.

ყურადღება არ მოუქცევია, არც შემოუხედავს. მუშაობაში იყო გართული, — პაწია ალისფერი ყვავილებით კიდეებმოჩითული ქაღალდის ხელსაწმენდებს კეცავდა და, ლამაზად ალაგებდა ჭიქაში. ოქროსფერი მეჩხერი ღინღლით მოსილი ღაწვები ატმისფრად ეღიენოდა, ასეთივე ქერა ბუსუსები ტუჩის კუთხეებთანაც ემჩნეოდა. ხელმარჯვენე, წითელკოპლებიანი პატარა ფინჯნით, ყავა ედგა და დროდადრო წრუპავდა:

— რა გნებავთ? — მკითხა.

თითქოს ხმა ჩამიწყდაო, ვეღარაფრის თქმა ვეღარ მოვახერხე: ცოტა არ იყოს, შეკითხვამაც გამაღიზიანა, — კაცს რესტორანში რა უნდა უნდოდეს-მეთქი. პასუხი რომ დავუგვიანე, კითხვა გამიმეორა, თან სამეჯინობას განაგრძობდა. მარცხენა ხელზე ზურმუხტისთვლიანი ოქროს ბეჭედი ეკეთა, გამხდარ, წვრილ მაჯებზე ოდნავშესამჩნევი მართალი ხაზები უჩნდებოდა და ქრებოდა. ასე მგონა, ღიმილს იკავებდა, თუმც კოპები შეჰყარა.

— მშია... — როგორც იქნა მოვახერხე ხმის ამოღება, თან შევეცადე, ხუმრობის ელფერი მიმეცა ნათქვამისათვის.

ახლა კი შემომხედა მოღიმარე თაფლისფერი თვალებით, ქუთუთოები ცი-

იუზა ყავეიშვილი
ბაჟანეფა

სფრად ჰქონდა შეღებილი... დაურიდებლად, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ვათვალიერებდით ერთმანეთს. არ ვიცი, თვითონ რას ფიქრობდა, მე კი მთელ ტანში თბილი, საამო ქრუანტელი მივლიდა.

— რესტორანი და-კე-ტი-ლი-ა! — მითხრა დამარცლით, თან ჩემკენ გადმოიხარა და სახე თანდათან მომიახლოვა. მის თვალებში საკუთარი თავი დავინახე. მერე ერთბაშად უკან გადაწია. ყავა მოსვა და სერიოზულად თქვა: — თერთმეტზე გაიღება!

შემცბარმა ირგვლივ მიმოვიხედე. ახლოა შეენიშნე მაგიდებქვეშ ღრმად შეწეული, საზურგეთი მჭიდროდ მიდგმული სკამები; დარბაზში ჩემს მეტი არავინ იყო.

—მაპატიეთ... — ვთქვი ნირწამხდარმა. — თუმცა, მოიცათ... მაშ თქვენ რომ მიირთმევთ, აგერ, ყავას?

— მართლა ასე გშიათ? — მკითხა.

— ძალიან... — გამიხარდა. — იცით როგორ მშია?!

— მაინც, როგორ? — თქვა სიცილით და მოელვარე თეთრი კბილების ჩენით.

— ძალიან, ძალიან... — უცებ ჩემს თავზე გავბრაზდი: რას ამეკვიატა ეს „მშია, მშია!“ ღმერთმანი, არც მშიოდა და აღარც მწყურდა, მეშინოდა, გარეთ არ მივებრძანებინე, — მინდოდა, ასე ვმჯდარიყავ და მეცქირა. მე რომ მომწონებია და მინატრია, ისეთი გოგო იყო.

— კარგთა მაშინ, — მითხრა მზრუნველი ხმით. — ყავა რომ მოგართვათ?

— დიახ... კარგი იქნებოდა!

— ვნახო, იქნებ ნამცხვარიც გიშოვოთ! — აღტაცებულმა წამჩურჩულა.

— ნამცხვარიც, რა თქმა უნდა!

ადგა და წავიდა, თან ჭიქები წაიმძღვარა და მაგიდებზე ჩამოარიგა. დაბალი ტანის კოხტა გოგო იყო, სქელლაჟვარდნი ყავისფერი ფეხსაცმელი და ნაცრისფერი აჟურული წინდები ეცვა. მოხდენილი ნაბიჯით გაიარა დარბაზი, — ბუფეტის გვერდით ღია კარებში მიიმალა. ჩემს პირდაპირ, გამქვირვალე, ცისფერ ბურუსში, ვიტრაჟივით ჩანაჭრილ ნაირ-ნაირ სასმელებით, სიგარეტის კოლოფებითა და შოკოლადის ფილებით მორთულ-მოკაზმული ბუფეტი. დახლში მოფუსფუსე ჭაღარა ებუფეტემ სათვალის ზემოდან გადმომხედა...

მალე ისევ გამოჩნდა, ვერცხლის მომცრო სინით საუზმე მოჰქონდა.

— ბედი გქონიათ, — მითხრა მოსვლისთანავე. — გიშოვეთ ყველფერი.

სინი მაგიდის კიდეზე ჩამოდგა. ჩემკენ გადმოხრილი წინ საუზმეს რომ მილაგებდა, მისი თმის სურნელებას ვგრძნობდი.

— თქვენც დაბრძანდით, — ვთხოვე.

— არ შეიძლება... — მიპასუხა. — აკრძალული გვაქვს კლიენტებთან ჯდომა!

უსიამოვნოდ შევიშმუშნე.

— რომ იცოდეთ, როგორ მეჯავრება ეგ სიტყვა...

— მართლა? — მე უკვე ისე ვარ შეჩვეული...

— რადაცნაირი, შეურაცხმყოფელი სიტყვაა!

— გეთანხმებით, ოღონდ სხვა დროს ეგ არასოდეს მიგრძვნია.

— დაბრძანდით, — გავუმეორე თხოვნა. — თუ რესტორანი დაკეტილია, ჯერ-ჯერობით კლიენტად არ ვითვლები.

გულიანად გადაიკისკისა და დაჯდა.

— მიირთვით, აკი ძალიან გშიოდათ?!

— გმადლობთ... — ნამცხვარი ჩავუბიჩე და ყავა მოვსვი. ხელი ნიკაპქვეშ შემოიდო და მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, ღიმილით შემომაჩერდა. პირველად, ჩემს სიცოცხლეში, ჭამის პროცესი მოსაწყენ და საძრახის საქმედ მეჩვენა. დაცლილი ფინჯანი ლამბაქზე დავამზე.

— ყავაზე რჩევა იცით? — ვკითხე.

— ცოტ-ცოტა, ოღონდ ეგ ისეთი ყავა არაა.

— რა მნიშვნელობა აქვს, — ისე, უბრალოდ, მაინტერესებდა...

— რა გაინტერესებდათ? — მკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ვსაუზმობდი, სახის გამომეტყველება თანდათან შეცვლოდა. ნიკაპით ხელისგულს დაყრდნობილი, დაჟინებით დასცქეროდა მაგიდას.

— ყველაფერი, — მივუგე. — რა მიწერია, რა მომელის, ცხოვრებაში თუ გამომართლებს... და საერთოდ, ყველაფერი!

— მაინც რაში გინდათ, რომ გაგიმართლოთ? — ძალზე სერიოზული ხმა ჰქონდა.

— სიყვარულში!... — მივუგე აღგზნებით. თვალი თვალში გავუყარე თანგრძნობის მძებნელმა, მაგრამ ანაზდად სახე ამარიდა, მერე ისევ მკვეთრი, დაჟინებული მზერა მომაპყრო და მოულოდნელობისაგან გავშრი: მის თვალებში, რომლებსაც ახლა თითქოს მექი მომწყანთ ფერი დაჰკრავდა, აშკარა მტრობა გამოსჭვიოდა. იმასა ჰგავდა,— უცებ, მთელი ღამის ნანატრ, ნალოლიავებ სიზმარს საიდანღაც ყოველად გაუმართლებლად გამომტყვრალი, შეუცნობი რამ რომ ჩაგვიშხამებს...

ადგილობრივმა დიქტორმა მატარებლის შემოსვლა გვამცნო. უბნის უფროსი სწორედ ამ მატარებელზე მელოდებოდა. ჩანთას დავწვდი და წამოვდექი.

— ჩემგან რამდენი გნებავთ?

არ გაუგონია, — ისევ ისე იჯდა მაგიდაზე დდაყვდაყრდნობილი. მერე თავი გადააქნია, სკამზე გასწორდა და მითხრა: „უკვე მიბრძანდებით?“ — მის თვალებს კვლავ დაბრუნებოდა გამჭვირვალობა და სიღრმე.

— დიახ, — ვუპასუხე. — რამდენი მოგართვათ?

— არაფერი, — მომიგო ღიმილით.— ეს ყავა გოგოებმა ჩვენთვის მოვადუღეთ.

— ნამცხვარი?

— ნამცხვარიც შინიდან მქონდა მოტანილი.

— ეგ რაღა გამოვიდა... — დაბნეული ჯიბეში ხელს ვაფათურებდი, ფულს ვეძებდი, მადლობის თქმაც ვერ მმეხერხებინა. ახლა, წასასვლელად გამზადებული, თავს ისევ უცხოდ ვგრძნობდი. ვხედავდი, ნეილონის ფარდებს იქით, ბაქანზე როგორ შემოდიოდა მატარებელი.

— ნახვამდის, — ვთქვი გულდაწყვეტილმა. — შემიძლია სხვა დროს შემოვიარო?

— რატომაც არა, — მითხრა რაღაცნაირი ალერსიანი ხმით და ხელი გამომიწოდა. — თუკი აქეთ მოხვდებით ოდესმე!

კარგა ხანს მეჭირა მისი თბილი, პაწია ხელი, საიდანაც მხურვალება ედებოდა მთელ სხეულს. თვალებიც სრულ ნდობასა და მორჩილებას გამოხატავდნენ. ამ წუთში ვიგრძენი მთელი არსებით მე მეკუთვნოდა. ეს განცდა იმდენად ცხადი იყო, აღარც მინდოდა გავშორებოდი...

ჩანთაში იების კონა მედო, — გახარებულს უცებ მომაგონდა, — დილით ჩამოატარა კუპეში პატარა ბიჭმა, ყველას სათითაოდ ჩამოგვირიგა, არც უკითხავს, გინდათ თუ არაო. ფასიც არ დაუდვია, — ვინც რა გაიმეტა, აიღო, თავი დაგვიარა და გავიდა... რა კარგი ვქენი, მატარებელში არ დავტოვე-მეთქი, გავიფიქრე. ახლა სწორედ რომ მისწრება იყო. ჩანთა გავხსენი, იების კონა ამოვიღე და გავუწოდე. აღტაცებულმა ჩამომართვა, იქვე წყლიან ჭიქაში ჩადო და ფანჯრის რაფაზე შემოდგა. ლაგაზად გამომივიდა, უკეთესს ვერც ვინატრებდი. დარბაზიდან გასვლისას კარებთან მოვტრიალდი, — მაგიდასთან იდგა დაფიქრებული... „ნახვამდის, თოჯინა!“ — დავუძახე და ხელი დავუქნიე.

●

ჩემი გონება ახლაც ამ ამბების ირგვლივ ტრიალებს. რაც ღრო გადის, სულ უფრო დაუჯერებლად მეჩვენება ყველაფერი: შეიძლებოდა კი, ასეთ პატარა, პროვინციულ ქალაქს ასეთი შშვენიერი რესტორანი ჰქონოდა? ანდა

იუზა ყაველიშვილი
გაკცევა

ასეთი ლამაზი გოგოები არსებობენ კი საერთოდ, დედამიწაზე? დანანდვილებით ვერაფერს ვიტყვი, — იმის მეტად არც იმ რესტორანში ვყოფილვარ და აღარც ის გოგო მინახავს... (თუმცა, არა! — ვნახე რამდენიმე წამით, ოღონდ ამაზე მერე...). იქნებ ყველაფერი ილუზია იყო? ამბობენ, ამგვარ ილუზიებს ახალგაზრდელი ენერგიის უჩვეულო მოზღვავება იწვევსო. მე ხომ ეს-ესაა ცხოვრებაში პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებსა ვდგამ, თან ეს მიგლინებაც საკუთარი ღირსების გრძნობით მავსებდა. აქეთ კიდევ, უცხო გარემოში მოხვედრით გამოწვეული სიხარული, როცა გგონია ყოველ ნაბიჯზე, ყოველ კუთხე-კუნჭულში ჯერაც შეუცნობი, შენთვის განკუთვნილი ბედნიერებაა მიმალული, რომლის უეცარი გამოჩენა მთელს შენს ცხოვრებას ძირფესვიანად შეცვლის. ასეა თუ ისე, ყველაფერს ისე აღვწერ, როგორც მაშინ დამამახსოვრდა და განვიცადე.

●

უბნის უფროსი ბაქანზე რომ ვერსად ვიპოვე, გამოვბრუნდი და ისევ ტაქსების გაჩერებასთან დავდექი. სადგურისწინა მოედანზე, რომლის ცენტრსაც ბეტონშემოვლებული მიწის პატარა კუნძული წარმოადგენდა, ავტომანქანები დაჭაროდნენ. სალტეების კვალს სწრაფად ზლიდა წვიმა. ტკბილი წყლების ფარდულთან გადავიყუდრე. ფარდული ის-ის იყო გაეღოთ და ფერმკრთალი სახის შაკაბაინი ქალი მინის ქილებში ვარდისფერ კაქინს ასხამდა. მომორეგით, ჩამოხურულში, ბიჭს ურიკა მიეყენებინა და ღვეზელს ჭყიდდა, სასაცილოდ გაშვერილი მილიდან ქოთქოთით ამოდიოდა ორთქლი... უცებ, ზედ ბორდიურის ხაზთან, ჭუჭყიანი „ვოლგა“ გაჩერდა. იმავე წამს კარიც გაიღო და დათოს მომცინარე სახე გამოჩნდა, — ოო, ვის ვხედავ, ვის ვხედავ! — დიდის ამბით ჩამიკრა გულში, გადამკოცნა.

უბნის უფროსი, პირველად, ამ ფენომენის ეჭვი გავიცანი სამმართველოში. შესრულებული სამუშაოს აქტები, „ფორმა ორები“ ჭქონდა ჩამოტანილი. დღის ბოლოს, საქმეები რომ მოითავსელა, რამდენიმე კაცს ხელი მოგვზავა და საქეიფოდ წაგვიყვანა „არაგვში“ (ბუღალტერიიდან მარტო მე ვყავდი). მაშინ იყო — დავძმაკაცდითსავით. აქეზნენ, ოჭრო ბიჭია, — ქიც იცის და ქიცმაკურიცო (ეს გამოთქმა მაშინ პირველად გავიგონე).

ვიღრე ერომანეთს მოვკოთხავდით, კარი გაიღო და ვიღაცამ რეზინისჩექმიანი ვეება ფეხი გადმოდგა მანქანიდან... დიდულაშვა, ფართოყბებიანი საწყობის გამგე რომ გადმოვიდა, მანქანის ძარაშ შესამჩნევად მაღლა აიწია. ლაქვებით აჭრელებული ფართხუნა პალტო ეცვა, თავზე კეპი ეხურა. მოკრძალებული ღიმილით მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და ისეთი ხმით მითხრა — მიშა, ბატონო, — თითქოს დიდ საიდუმლოს მანდობდა, თან წელში მოიხარა (უფროს სწორად — მოიღუნა) და მხრებში თავჩარგულმა სახეში შემომცინა.

— ხომ არ დავაგვიანეთ მოსვლა? — უბნის უფროსმა სწორედ მისი მსხვილი, ბანჯგვლიანი მაჯის საკადრის, იაპონური მარკის მრგვალ საათს დაჰხედა. შეწუხდა, რა გიგიო, პირველ მატარებელს ჩამოვყევი, — აუ, კაკო, ამდენ ხანს, ამ სიცივეში... მცოდნოდა, კაი იყო!

— ჩავჯდეთ, აბა, ნუღარ ვსოლდებით! — თქვა საწყობის გამგემ და მანქანის წინა კარი გამოაღო. — დაბრძანდით, ბატონო!

— დაბრძანდით, — დამაწია უბნის უფროსმაც. — მე აგერ მივირბენ, ერწყმა, საქმე მაქვს პეტერე...

სადგურის შესასვლელში მიიმალა; თვალი გავაყოლე მის მოხდენილ ტანს, — გრძელ კანჭებზე შემოწკეპილი „ფირმის“ ჯინსი, მოწითალო ფერის დიდრონი „ბათინკები“ და ის კურტკა ეცვა, წელან რომ ვახსენე, — ზემოდან ფართო ჯიბეები ჭქონდა დაკერებული—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე, თვალებამდე ჩამოფხატული, ბეწვის თბილი ქუდი ეხურა. ლამაზი ცოლ-შვილი ჰყავსო, სამმართველოში ამბობდნენ, — გარეგნობაც უწყობდა ხელს... მანქანაში ჩაეკეკენ და კარი მოვიხურე, საწყობის გამგე უკან მოთავსდა. მოვიკითხე, როგორ მიდის პასხიონატის მშენებლობის საქმე, თუ ასწრებთ ამ კვარტალში საექსპლოატაციოდ გადაცემას-მეთქი. რა ბრძანეთ, ბატონო? — გაფაციცდა, ეტყობა, სხვა რაღაცაზე ფიქრობდა. მერე ისე მკვეთრად გადმოიხარა ჩემკენ, მანქანა ვეარიანად შექანჯალდა, — რავა გეკადრებათ, ბატონო,—ამ კვარტალში კი არადა, ნეტა, იმ წელიწადში მოთავდებოდესო... ამასობაში უბნის უფროსიც მოვიდა, ქუდი მოიხადა, დადგრთხა და უკანა საჯდომზე მოისროლა. სველ კურტკას ტყავის სუნი უდიოდა და ჭრაპუნი გაჰქონდა. ძრავას რომ რთავდა, კვლავ შეაჯო თვალი საათს.

— აუ, რა დრო გასულა, მოვკალით კაცი მშიერი...

— ვისაუზმე უკვე, — ვთქვი მე. — ჯერ სასტუმროში შევიაროთ, მერე პირდაპირ უბანში, — საქმეს მიგხედოთ!

— ერთ-ორი ღამეს ჩვენც ქე გაგათევინებდით, — მითხრა დათომ. — იმ გაროფილ სასტუმროში რა გაგაძლებინებს.

— ჩემთან წამობრძანდით, ბატონო, — თავი გამოიდო საწყობის გამგემ.— თლა მარტო ვცხოვრობ!

— სასტუმროში მირჩევნია, — ვთქვი მტკიცედ.

— ოჰო... — ვითომც ხუმრობით შეფიქრიანდა უბნის უფროსი. — სამტროდ ხარ, ოჯო, ჩამოსული თუ სამოყვროდ?

— ამას აღწერა დაგვანახვებს!..

მანქანამ მოედანზე ნახევარწრე მოხაზა და ზუსტად სადგურის მოპირდაპირე მხარეს, სასტუმროს ორსართულიანი შენობის წინ გაჩერდა... ვესტიბიულში, ტიხარს იქით, პალტოწამოსხმული კაცი უჯდა მაგიდას და ქაღალდებს ჩასცქეროდა, ცალი ხელი ლუმლისაკენ გაეშვირა, რომლის მრგვალ ჭრილზე ოდნავ მოპარპარე ალი მოჩანდა.

— კაი გამარჯობა, ვასილა, — მიესალმა უბნის უფროსი. — ლუქსში გყავს ვინმე?

— ლუქსი, დათოს ჭირიმე, — კაცმა თავი ასწია, შემთავალიერა. — ხო იცი, ვისა აქვს დაბრონილი?...

დათომ ტიხარს დატანებული პატარა კარი შეაღო და ადმინისტრატორთან მივიდა. დავატყვე, ჩემს სასარგებლოდ წყდებოდა საქმე, პასპორტი გავაშზადე.

— ოღონდ, იცოდე, ბიძიკო, — თუ დარეკეს...

— არ მინდა ლუქსი, — შევაწყვეტინე. — უბრალო ნომერი იყოს.

დათო თვალით მანიშნებდა, — გაჩუმდი, რა ძალა გაღგია, — ყველაფერი მოგვარებულიაო. ვასილასაც ალარ მიუქცევია ყურადღება ჩემი ნათქვამისათვის, პასპორტი გამომართვა.

ლუქსში ალარც ავსულვართ, ისევ მანქანაში ჩავსხედით.

— ახლა კი პირდაპირ „ვერხვებში“, — თქვა დათომ. — ხბოს მწვადები გეელოდება იმფერი, იმფერი... იტირებ კაცი!

მაინცა და მაინც ალარ გამომიდვია თავი, — რაკი სასტუმროს საკითხში დათმეს, ახლა მეც უნდა გამეღო „მსხვერპლი“, თუმცა უხერხულობას კი ვგრძნობდი, პირდაპირ საქეიფოდ რომ მივქროდით, სადღაც „ვერხვებში“, — ალწერას დიდხანს მოვუნდებითმეთქი? — ვიკითხე სინდისს დასამშვიდებლად.

— იჰ, — ხელი ჩაქნია დათომ. — მაგის მეტი დარდი ნუ მოგცეს ღმერთმა!

— ორი-სამი საათის მეტი არ მოგვინდება. — მითხრა მიშამ.

— აბა, დღესვე მოგვითავებია! — ვთქვი დაიმედებულმა.

— კი... თუ დავიწყეთ! — ჩაიცინა უბნის უფროსმა.

იუზა ყაჟეიშვილი
გაჟცევა

ასფალტი მალე გათავდა და მოხრეშილ, ოკრობოკრო გზაზე მანქანამ სასწრაფეს უკლო. გზის ორსავე მხარეს ორსართულიანი კოხტა სახლები წამოჭიმულიყვნენ. ჭიშკრების საყრდენ სვეტისთავებზე, წვიმაში, ფასკუნჯებივით ისხდნენ ლუსჯადშეღებილი თუჯის მტრედები. მანქანამ მარცხნივ გაუხვია, ფრთხილად გადავიდა ვიწრო ბოგირზე, აღმა აუყვა მოდიდებულ მღვრიე ღელისპირს და გორაკის ძირში, შეგაკვებაზე, ფერადი შიფერით, მინითა და რკინით ნაგები სასადილოს წინ გაჩერდა.

მალე მყუდრო კუპეში, მუშამბაგადაფარებულ, მომცრო მაგიდას ვუსხედით და თვალს ვადევნებდით სიბერეში შესული ოფიციანტის, მალაქიას ჩალიჩს. საკმაოზე მეტად შელანძღული მოკლე ხალათი ეცვა, კისერი გაშეშებული ჰქონდა და ჭალარა თავი მარჯვნივ მიეღრიცა. ხელები უკანკალებდა და ისე ტანჯვა-წამებით აწყობდა სუფრას, მისი საცოდაობით ვიწვოდი.

— მაღლი თუ გინდა, დააჯინე შინ, დაასვენე, — ვთქვი, კუპედან რომ გავიდა. — საწყალს, ალბათ, უჭირს...

— მაგას რო უჭირს, — დათომ დამცინავად გადმომხედა. — ისე ღმერთმა თქვენ გაგიჭირვოს.. ერთი მანქანის საღირალი ჩემგან ექნება მარტო წაღებული ამ ორ წელიწადში!

— ცოცხალი თავით აქედან წამსვლელია?! — თქვა მიშამ. — ასეა, ბატონო, ფულმა გაწუწკება იცის...

კუპეში ღუმელი გუგუნებდა, ფანჯარაში ჩანდა თუნუქის მილიდან ბოლქვებად გამავალი კვამლი, რომლის სილურჯეში ნაბდახან თოვლის ფანტელებიც გაიელვებდნენ.

— იფ, რა საქეიფო ამინდია, — ხელების ფშვნეტით თქვა დათომ და ფანჯარას გაჰხედა. მერე ოფიციანტს დაუტატანა: — მარდად, მალაქია, ამ უცხო კაცთან არ მაჭამო სირცხვილი!

— ნავხოთ, ბატონო... — დინჯად გაეძრახა მალაქია. — ღვინო რომელი?

— ჯერ ერთი „თეთრი“ გაგვიხსენი. ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლავეს... ისე, ბატონო „ცოცქა“ გვაქ, წეიფელი შეშხუნა, „საერო“, შამპანური...

— „იმერული?“

— გუშინ გავვითავდა, ბატონო.

— რა ვქნათ... — შეფიქრიანდა უბნის უფროსი. — სე-იაქე რო გავაკეთებიო, არ აჯობებს?

— კაია სე-იაქე, კარქათ მიდის! — დაეთანხმა საწყობის გამგე.

— ვაჟა რას იტყვის, აგერ? — ჩემს გაკვირვებულ მზერას რომ წააწყდა, დათომ ყოველ შემთხვევისათვის მაინც განმარტა! — საერო და შამპანური არეული...

— ჩემთვის სულ ერთია. — მივუგე. — მინდოდა მიმეხვედრებინა, სმას არ ვაპირებ-მეთქი.

უბნის უფროსმა „თეთრი“ ჩამოასხა გათლილ საღვინე ჭიქებში, — ეს მწარეა, ჩვენ ტკბილად ვიყოთო. „სიმწარე გვაშოროს!“ — დაილოცა მიშამ და ერთ ყლუპზე გადაკრა, კინაღამ ჭიქაც ზედ მიაყოლა. მე უარის თქმა რომ დავაპირე, ერთი ალიაქოთი ატყდა: „რავა გეკადრებათ, ბატონო!“... ერთი ორკერ თუ მექნება სთრობად დანილევი და ორივეჯერ მაწყენინა. ტექნიკუმში ბიჭები მაჯავრებდნენ, შენ ყურძნად უნდა ჭამოო. რა ვქნა, ვერ ვიტანა... ირადა, საჭიროა! ცხოვრებაში რომ ფეხს შედგამ და მარაქაში გამოერევი, დალევაც უნდა შეგეძლოს და ყველაფერი... რის ვაივაგლახით ჭიქა ბოლომდე გამოვცალე. დათომ შემნიშნა, — ოტკას მასე არ სვამენ, ერთბაშად უნდა გადაკრაო. ეს „გადაკვრაა“, სწორედ, რომ მიჭირს. — ყველაფერს გაწაფვა უნდა. ამასობაში მალქიამ სველი ხელადით ღვინო ჩამოდგა. „ხბოს მწვადები მოგართვათ ჯერ, ბატონო?“

— აპა, არა?! — ხუმრობის კილოთი მოუქცია დათომ, მერე არყის ბოთლს ხელი წაავლო და შემოგვხედა. — თითოც ხომ არ დავიჭყანოთ?

— კი, კი! — გაუხარდა მიშას.

— ვაი, შე უბედურო, შენ თუ დაკარგავ გაკლია! — გაეძლიკა დათო.

— არა, არა, — ვიყვირე მე. — აგერ სე-იაქე დავლიოთ!.. ასე დაიწყო ჩემი სიმთვრალე და იმ ორ დღეს, ვიდრე იქ ვიყავ, ღვინო და არაყი აღარც გამომნელებია. დაწყება მიჭირდა, თორემ მერე სასმელი „კარქთ მიდიოდა“, „ვერხვებში“ იმდღევანდელი ქეიფის ამბავს მოკლედ მოგიყვებით: თამადობა, რაღა თქმა უნდა, უბნის უფროსმა იკასრა და კულტურული, განათლებული ტოლუმბაშვილი იწყებდა, — მინდა კიდევ ერთი კარგი სადღეგრძელო შემოგთავაზოთო. „კარგს“ დროდადრეა ცვლიდა სიტყვები: „გემრიელი“ „საუცხო“, „გადასარევი“ და ასე შემდეგ „შემოგთავაზოთ“ უცცელი რჩებოდა. ზოგჯერ მალაქია შემოჰყოფდა კუბეში მოღრეცილ თავს, — „სუკეი მოგართვთ ჯერ, ბატონო?“ მართლაც, არ უჭამია სირცხვილი, პირდაპირ ფეხქვეშ გვეგებოდა. თავით გადაწევდა ფარდას და ოხშივარავარდნილი ტაფით ან სინით ხელში, დიდის ამბით მოგვახარებდა: „აბა, სუკეი მოიდა!“ „წიწილები მოიდა!“ და იყო ერთი მხიარული შეძახილები, — ოღონდ ხილისა და ტკბილეულის შემოტანა იჩქარა. — „რავა, გვარი გარეთ, მალაქია?“... — მერე იმის ჭამის თავიც არ გვქონდა და შემჭკნარი მსხალი, მანდარინი, ყურძენი, ბროლის ლარნაკში რომ ეწყო, მუშამპაზე დახატული მეგონა.

„ბატონო დავით! ბატონო დავით! — ამაკუნდრუკა უცცებ ღვინომ. — ერთი კაი სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ!“

„კი ბატონო, კი ბატონო, ორი იყოს, თუ გინდა!“

სიყვარულის სადღეგრძელო შევსვი. დილით რესტორანში გაცნობილი ოქროსფერდინდლიანი ოფიციანტი მედგა თავლწინ, — არადა, არ მასვენებდა იმ გოგოზე ფიქრი, როგორ მოხდა, სახელი არ ვკითხე. ასე შემთხვევით გაცნობილ გოგოებს ჯერ სახელსა და გვარს გამოვკითხავ ხოლმე, — ახლა სულ არ გამახსენებია! ვატყობდი, მაინდამაინც ანიმოსწონდათ ჩემი ლაპარაკი, თავს კი მიკანტურებდნენ, მაგრამ თვალებში ეტყობოდათ, არ მეთანხმებოდნენ. მაინცადამაინც ახლა აუტუდთ ხველა, ფხანა და ქექვა... ვგონებ, ზედმეტად მაღალფარდოვანი გამომივიდა, — გაფრინანა, ალბათ ფიქრობდნენ და ცოტა შევარბილე: „არა... ზოგჯერ ისეთი ვინმე თუ ჩაგივარდება ხელში, აბა, რას იზამ... კაცი მაინც კაცია!“ ცოტათი კი გამოცოცხლდნენ, მაგრამ მათ რომ უნდოდათ, ის მაინც არ იყო და მაშინ: „მოკლედ, ბიჭებო, ქალი ყველა ქალია, არც ერთი არაა დასანდობი!“ იცოცხლე მოეწონათ, ახმაურდნენ, ალაზოანდარდნენ, — ე, ბიჭო, ჩვენი მასტის კაცი ყოფილაო. მერე მოდგნენ და ასეთ დროს, რომ ხდება ხოლმე, თითო-ოროლა ძველი ამბავიც გიახსენეს. „ერთხელ, — დაიწყო დათომ. — ჩემი მანქანით მოვდივარ ქუთაისიდან. ვხედავ, გზაზე ერთი კაი, ხოშაინი ქალი დგას...“ იმისთანა ამბავს ყვებოდა, მე შემექანა საქმე საფხან-საქექად. თავი უხერხულად რომ არ ეგრძნო, პირდაპირ თვალებში შევყურებდი და ვიცინოდი. მხოლოდ ერთხელ მოვიხოცე ცხვირი ხმაურით. იმან რომ მოათავა, მაშინ ჩამოართვა სიტყვა: „ამას წინეთ, — დაიწყო. — თბილისში ვიმგზავრე კუპირონვანით. ვხედავ, დაბლა კოიკაზე ერთი ქალი წევს...“ ახლა სულ სხვა გასაჭირი მადგა, — ის რომ მორჩებოდა, ჩემი ჯერი იყო. იღბლად, ამხანაგის მონაყოლი ერთი ამბავი მომაგონდა და იმან ამომიყვანა სინცხვილიდან. ისე მოვყევი, ვითომც მე გადამხდენოდეს. გულისყურით მისმენდნენ, სულგანაბულნი; დაწყდნენ სიცილით, — მაგარიაო. აი, ის ამბავიც: ერთხელ, იმ ზეს ამხანაგს შემთხვევით გაუვლია „ალექსანდროვის“ ბაღში, „ბირკაზე“, აი, დიდ ჭადართან რომ იკრიბებოდნენ ბინების გა-

იუზა ყაბეიშვილი
გაკეთება

ცვლა-გამოცვლის თუ დაჭირავების მსურველნი. იქ ერთი ქალი მოსწონებია და უთქვამს ბინას ვაქირავებო. გადარეული ქალი სიხარულით: ბინა — კარგი, ადგილი — კარგი, თანაც იაფი! უთუოდ რაიმე ნაკლი ექნებაო. — წამობრძანდითო, თქვენი თვალით ნახეთო... — ასე შეუტყუებია შინ! შეყოლიან მერე საუბარს — აქეთური-იქითური... ცოტა კიდეც დაულევიათ და... ბოლოს გამოტყდარა ბიჭი, — სად მჭონდა გასაქირავებელი ბინა, ეს ერთი კვირაა, რაც ჩვენები წავიდნენ, თორემ პირადად მე სამზარეულოში მძინავსო. გაგიკვირდება ქალი, მაგრამ რაღას იზამდა. თვითონაც გასცინებია, ეგეთი რამ რა ეშმაკმა მოგაფიქრაო... ეშხში შესულა, ამას სხვაც მივაყოლე, უფრო საინტერესო და სასაცილო, — თვით ბოკაჩოსაც რომ შეშურდებოდა. ეს ვინ ყოფილაო, ხითხითებდნენ, კი ვეგონებოდი ქვეყნის დამქცევი. ახლა ვფიქრობ, იქნებ იმ ახსნა-განმარტებაში სულაც ამ ამბებს გულისხმობდნენ.

„ოქრო ხარ, ვაჟა, ოქრო!“ — უბნის *უფროსმა მხარზე დამკრა ხელი.* — ეგ რაა, ხვალე ნახე შენ დროსტარება და კოლექტიური ამბები... ამაღამაც შეიქლებოდა, პეტერე ადრე რომ მოგვეფიქრებია, მარა რა ვიცოდით, შენ თუ ამისთანა იყავი... მიშა, შენ გავალებ ხვალიზე იმ ამბების ორგანიზაციას... მიხედი, რას გეუბნები?!

„ძუკუმ იცის ძუკუს საქმე!“ — ამაყად თქვა მიშამ.

ღვინო ყელში მაწვებოდა, ირგვლივ ყველაფერი ბრუნავდა, რაც შემეძლო, ვიკავებდი თავს, მაგრამ ბოლოს მაინც ვეჰაე სირცხვილი, — გული ამერია და დედის ხსენი ადარ შემრჩა მუცელში. კიდეც კარგი, გარეთ გავარდნა მოგასწარი. კოკისპირულ წვიმაში ხეზე თავმიდებული (მგონი ვერხვი იყო) საწყობის გამგეს ვეეპირე ვეეპა ტორებით. ჭიქა წყალიც იმან მომიტანა პირში გამოსავლებად. ვთქვათ, ამას გაუძლებდა კაცი — ღვინოს ვისთვის არ უწყენია, მაგრამ იმას რაღა შემოეფარებ... კუპეში მიბრუნებულმა კვლავ რომ განვაგრძე სმა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან ავიშალენით, მთელი დღე ხელში შემოგვაგდნა. უბნის უფროსმა ანგარიში გაუსწორა მალაქიას. ხვლიკისფერი ხუთთუმნიანების ღასტის თავმომწონედ ატარიალებდა ხელში, — მე იმ კაცის დედა ვატირე, ამას რომ მიწაში ჩამარხავს, — კაცმა ჭამო უნდა, სვა, დრო ატარო, მეტი ვის რა შერჩენია ამქვეყნადაო. მერე ფული უკანვე გააქანა, თან ხელით ისეთი წრე მოხატა, კიფიქრე, მე ხომ არ ძდგებს ჯიბეში-მეთქი. „ვინც კი ჩამოსულა, ძმაო, არავინ გამიშვია უპატივცემულოდ. არც შენ დაგწყვეტ გულს, ოღონდ ჯერ საქმე!“... სასტუმროს წინ რომ ვიდექით, მახსოვს, ეფიქრობდი, ნეტავ იმ ბოგირეზე რა სასწაულით გადმოვედითმეთქი. ძრავა ჩართული იყო და დაბალ გაზზე მანქანა ძიგძიგებდა. შუშის საწმენდები მონოტონურად მუშაობდნენ, მაგრამ გარეთ მაინც არაფერი ჩანდა. ეკოცნიდით და ვესიყვარულებოდით ერთმანეთს. ისიც მახსოვს, ბოლოს რა *ლაპარაკი გვქონდა:* „ფული. იეოცხლე, ყველას უყვარს, მარა შოვნაა ძნელი... მეუბნებოდა უბნის უფროსი. — ფული ლომის ხახაშია, ბატონო, ხელი უნდა ჩაყო ან თავი და ამოიღო. რავარი საქმეა?! მერე თუ გაიგეს, ერთ-ორ კაპიკს შეავლე ხელი, დაკვესავ ცაი და ქვეყანა, აქეთ ესო, იქეთ ასო... ქე იცი შენ, რათ გინდა რო მათქმევინო — ლომის ხახაში ეზარებათ ხელის ჩაყოფა, თორე ამოღებულზე დაპრაწულა აქვთ თვალები!“ — სულ ასე არ იქნება-მეთქი, ვითომ ვანუგეშე. რა მენაღვლებაო, მითხრა, ჩემი ორასი მანეთი ასეც შეყოფა და ისეც... ო�ეგინში დავიძინებ ქე მაინც ტკბილადო. „მე რაღა მეშველება, ბატონო?!“ — მიშამ იყვირა უცებ, უკანა საჯდომის საზურგეზე რომ იყო გადაწოლილი, — იმას სამოცდაათი მანეთი ჰქონდა ხელფასი, ადგები და ლაფათქას დაიკავებ ხელშიო, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათომ მიუგო. — „მაინც არა ხარ შენ მეტის ღირსი!“...

●

თვალი რომ გვაფხილე კარგა ხანს აზრზე ვერ მოველ, სად ვიმყოფებოდი. სკამზე ლამაზად ეფინა ჩემი ტანსაცმელი. იქვე, პატარა ტუმბოარაზე. ბორჯომის ბოთლი იდგა, ზემოდან ჩამოხურული ჭიქით. თავის ტკივილმა გამახსენა ყველაფერი: ოროთახიან ლუქსში ვიყავ გამოკეტილი. მისაღებში შუქი ენთო და სინათლე თვალებში მიჭყიტინებდა, ჩასაკრობად გავედი. გარდერობში ჩემი პალტო ეკიდა, ჩანთა დივანზე ეგდო. დიდებული ლუქსი იყო, მაცივრით, ტელევიზორითა და რბილი სავარძლებით მოწყობილი, კუთხეში პიანინოც კი იდგა. ფარდა გადავწიე, შეორთქლილი მინა გავწმინდე, — ქეჩის ლამპიონების შუქზე შევნიშნე, წვიმდა. სინათლე რომ ჩავაქრე, ოთახის კუთხეებიდან ზღაპრული ურჩხულებივით შემომანათეს ელექტრორეფლექტორების ცეცხლოვანმა თვალებმა. ჯერ ადრე იყო, დავწექი და თავზე საბანი წავიხურე, უამური ფიქრებს მინდოდა გავქცეოდი. იცით, ალბათ, რა მტანჯველია სიმთვრალეში ჩადენილი სისულელეების გახსენება. ისე კი, ფხიზელი თვალით რომ გადავხედე გუშინდელ ამბებს, ბევრი რამ ცხადი გახდა ჩემთვის: გუნებაში მეცინებოდა, — ამათ უფროსის კაცი ვეგონე. ეს ხმები სამმართველოში დაირხა და უკვე აქამდეც მოიღწია. სიფუძველი თვითონვე მოიგონეს, — მე რომ სამსახური დავიწყე, პლატონ ვასილიჩი ოროდე კვირის მოსული იყო. მოგეხსენებათ ახალი უფროსის მოსვლა რაც არის, ყველა ცდილობს, გამოჩნდეს, თავი მოაწონოს, შიშის კანკალი აქვთ შემდგარი, ელიან, ძველი კადრების გაყრას და თავისი ხალხის მოყვანას როდის დაიწყებს. ჩემი გამოჩენა ამ მხრივ უფროსის პირველი ღონისძიებად ჩათვალეს, ამას მთავარ ბუღალტერთან წაკინკლავებაც დაემთხვა და უცებ ყველამ დაიჯერა, რომ მალე მე გარეგან პეტროვიჩის ადგილზე დავჯდებოდი. ჩემს გასაგონად (იმ იმედით, იქნებ ამ ბავი მიუტანოსო) ხშირად აქებდნენ ახალ უფროსს, მეტი დამაჯერებლობისათვის ზოგი ძველის ნაკლოვანებაც მიაყოლებდა, — ი მ ი ს უთაურობამ დიდად დასწია უკან ჩვენი სამმართველო. აკი დათომაც მკითხა „ვერხვებში“, პლატონ ვასილიჩი როგორ ბრძანდებაო. კაცს რომ გონებაში მტკიცედ ჩაუჯდება რაიმე, ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც კია — იქიდან იმის ამოგდება და ბევრი ახსნა-განმარტებებით მეც ადარ მომიკლავს თავი, — გმაღლობო, არა უშავს, ი მ ი ს ჩაოხრებულ საქმეებს ასწორებს-მეთქი. მერე ღვინოში რომ შევედით, შემაპარა, რა აზრისაა ჩემზე. ვასილიჩი, შენთვის ხომ არაფერი უთქვამსო. იგულისხმებოდა, — რაიმე ფარული დირექტივებით ხარ უბანში ჩამოსული ჩემს „გასაფუჭებლად“ თუ ისე, უბრალოდ, აღწერაზო. რაკი საკვპო ვერაფერი მოისმინა, გული დაიარ-ხეინა და გახალისებული უფროსის ქებას მოჰყვა, — ვენაცვალე ვასილიჩს, ვენაცვალე, რა კაციაო, „ამას წინათ კაბინეტში იჯდა ღმერთივით... ეტყობოდა, რაღაცას ფიქრობდა!“ ამა ი მ ა ს კი არ გავს, დაღუპა სამმართველო, ი ს ყაჩაღი იყო, ბატონო, თანაც ტყეშალზე იჯდა; რო დამინახავდა, ასე იზამდა, ა... — ცეკრა და საჩვენებელი თითი გაუსვა ერთმანეთს — ფული თუ მომიტანეო. „გგონია, ჯერდებოდა, რაც წესითა და რიგით უწევდა? — არა, გეფიცება ძმობას, — ჯიბეში ხელის ჩაყოფა მეშინოდა!... ნამეტანი იყო მაინც, ნამეტანი და მოეხეხა კიდეც... ისე ავე, ბიჭო, რა ადგილი დაკარგა!“ გული რომ იჯერა ახლის ქებით და ძველის გინებით, მერე, რაკი ჩემი სახით მიმავალ მთავარ ბუღალტერს ჰკიდავდა, მკითხა, — რასა იქმს გარეგან პეტროვიჩი, ისევ იქა გდიაო?... გულში მეცინებოდა ახლა ამ ამბების

იუზა ყაჯაიშვილი
ბაჟანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენებაზე. მოკლედ, ჩემი მეშვეობით, უბნის უფროსი, ახალ სიტუაციაში გარკვევას ლამობდა.

თენდებოდა, მოსინათლებული ცის ფონზე ფანჯრების კონტურები გამოსახა. სადგურის მხრიდან ორთქლმავლის სტვენა და ქოთქოთი ისმოდა. ანაზდად მსასოფლელმა სახარულმა სუნთქვა შემიგუბა, — ის გოგო გამახსენდა — „თოჯინა"—მისი იტმისფური ლოყები და მაღლა ავარცხნილი თმა, შუბლზე და საფეთქლებთან კანი რომ დასჭიმვოდა. ღიმილით ვიგონებდი იმდილანდელ ამბებს, უცნო თვალს სულელი ვეგონებოდი... გაიცლიდა ათეული წელი და, ვინ იცის, მერამდენედ მოვყვებოდით ჩვენი გაცნობის ამბავს, — როგორ გამიმასპინძლდა რესტორანში შინიდან მოტანილი ყავითა და ნამცხვრით, მე კი, თითქოს საგანგებოდ მისთვის, მატარებელში როგორ ვიყიდე იები, — რა იყო ეს შემთხვევითობა თუ ბედისწერა?... გული მწყდებოდა, გუშინ მთელი დღე ასე უაზროდ რომ გავატარე და ვერ მოვინახულე. ამ დილით კი უსათუოდ მივირბენდი! წარამარა საათს დავყურებდი, ვწრიალებდი. ლოგინში ვეღარ მოვისვენე, წამოვდექი და სავარძელში ჩავჯექი. რვა სრულდებოდა, რამდენჯერმე დავაპირე წამოხტომა და გაქცევა, მაგრამ ჯერ ადრე იყო...

„უცებ, დაუკაკუნებლად და გაუფრთხილებლად, ოთახში უბნის ხალხი შემორბოლრთხდა. ჩანდა, მთელი ღამე კარღიაში მეძინა. ძმაკაცურად ჩამკოცნეს, მომიკითხეს, დათო შინაურულად გაიშლართა დივანზე, მიშამ პალტოს კალთები წამოიკეცა და მორიდებულად ჩაჯდა სავრძელში. იმათ ჯაგარა წვერმა სახე რომ დამიშუნა, რაღაცნაირი უმწეობა ვიგრძენი, — სმაში დაჯაბნილს, ღვინონაწყვეს, ამათი ამოსაყვანი თუ ამოსატანი რომ გავხდი, რაღა თავმოყვარეობა უნდა შემრჩენოდა...

— ძაან ვიქეიფეთ გუშინ! — თქვა საწყობის გამგემ, — ხელში კეპი ჩაებღუჯა თავდახრილსა და მოზვერივით უაზროდ მზირალს. ცალ მხარეს მუხლებმიბრეცილი უხერხულად იჯდა ნინა ვარძელში.

— რავა ხარ, ბოშო, ამ დილით? — მკითხა უბნის უფროსმა, — დივანის სახელურზე თავმიდებულს ქუდი წარბებამდე ჩამოფხატვოდა, თვალები მიღულა და ლაპარაკისას ახელდა დროდადრო. — მიშა, გამიხსენი ერთი ბორჯომი, თუ კაცი ხარ!

მიშა ბორჯომის ბოთლს მიწვდა მაგიდაზე, კბილებით გახსნა, კიდეებშენოჭებული თუნუქის საცობი იატაკზე გადმოაფურთხა, ხელისგულით მოწმინდა ბოთლს თავი და გაუწოდა. დათო მარცხენა ხელით დაეყრდნო დივანს, წამოიწია, მოიყუდა და ერთ წამში ჩაიხახნალა პირში. თავგადაწეულს დიდრონი ოქროს კბილები მოუჩანდა, ყელზე სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა ხვანჩი.

— მივხედოთ ახლა საქმეს! — ვთქვი მე. საქაღალდეს წამოვაკლე ხელი, წამოვდექი. შიგ აღწერის სუფთა ბლანკები, ბუდალტრული ნაშთები და კიდევ რაღაც-რაღაცეები მელაგა. გული მელეოდა გუშინდელი სისულელეების გახსენებაზე, კოზირივით ექნებოდათ ხელში მომარჯვებული, — ზედვე ეტყობოდათ, — მე, აგერ, წასასვლელად გამზადებული ფეხზე ვიდექი, ესენი კი, ვითომც არაფერი, — ბანდალს არ შვრებოდნენ.

— აუ, რა ფინთად ვარ, — თქვა დათომ და, როგორც იქნა, იკაღრა წამოდგომა. — ახლა ცხელ-ცხელი ხინკლები მოგვარჩენს — ან ხაში!

— ას-ასი გრამი დაგვიწყდა! — უთხრა მიშამ და ისიც წამოიზლაზნა აქლემივით.

გავიარეთ ნახევრადჩაბნელებული გრძელი დერეფანი, ვესტიბიული, ჩავსხედით მანქანაში და რომ მეგონა, პირდაპირ უბნისკენ გავუტევდით, უცებ იქვე, პატარა სახინკლეს არ მიაყენა დათომ მანქანა!

„შე კაცო... ხო უნდა ვიზაკუსკოთ ამ დილით!"

პლასტმასის ლურჯზედაპირიანი მრგვალი მაგიდის გარშემო ფეხზე ვიდექით. უბნის უფროსი ალუმინის სინზე დაყრილ ცხელ ხინკლებს საცობდა-სვრტილი ბოთლით შავ წიწაკას აყრიდა. არც საწყობის გამგე იყო უსაქმოდ: ერთმანეთზე მიწყობილ „ჩაის“ ჭიქებში აფთიაქრის სიზუსტით ანაწილებდა „სამეარსკვლავიანს“. ამის შემხედვარეს ტანში მაყრიალებდა, ისეთი რა უნდა მოხდეს, დალევა მაიძულონ-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, — მეორე თუ მესამე შემოთავაზებაზე, დათომ მუქარანარევი ხმით რომ მითხრა, — დალიე ახლა შენ მაგიო, — ჭიქას ხელი ვტაცე და თვითონ რომ მაწვალა ისე, ერთბაშად გადავკარი. ვიდრე მე პურის ყუას დავყნოსავდი, ლიმონთის დავაყოლებდი და ბოლოს, როგორც იყო, სულის ამოთქმასაც მოვახერხებდი, ისინი ხინკლებს შეესოდნენ და სინის ერთ კიდეში ჭიპების კალო დაეყენებინათ. თითებშუა ჩამოღენთილ წვენს კისერწაგრძელებული ლოკავდენ. მიშა ვითომ ძალიან ფრთხილობდა, მაგრამ ხინკლის წვენი მაინც გადაესხა პალტოზე.

— კულტურულად უნდა ჭამო, შეკაცო, — უკბინა უბნის უფროსმა. — ნახე რას გავხარ!

— შენ რა გენაღვლება, რა... — წაწყობის გამგე ცხვირსახოცით იწმენდდა გულისპირს. — მაგ კურტკას მაინც არაფერი აჩოება.

სახინკლეში ხალხი მატულობდა, იყო ერთი ყაყანი და რიგ-რიგ. იდგნენ თავთავიანთ მაგიდებთან მობორძიკენი, სავსე ჭიქით ხელში, ერთმანეთს აქებდნენ და ვიღაცეებს აძაგებდნენ. რაღაც სამქეებს აწყობდნენ და აპახრაკებდნენ, თან წაფერდებული ჭიქებიდან ღვინო და არაყი ექცეოდათ. მიშამ კვლავ მიადგა ჭიქები ერთმანეთს. დათომ მებუფეტეს გასძახა:

— ერთი კიდო გაგვიხსენი, ჭუკი!

— არა, არა, სამუშაო გვაქვს! — ვცადე შეკავება.

— მიდი, მიშა, მიდი, გამოართვი... — მე მომიბრუნდა. — ხო გაგიგონია... — Работа не волк, в лес не убежит... — მეორე აწკარიც მიაყოლა, ძალზე სასაცილო და უშუალური.

უცაროდ მივჩერებოდი წვეთებით დახაზულ სველ ვიტრინებს, რაც ჩამოვედი, მას აქეთ გაუწყნარებლად წვიმდა... სახინკლედან რომ გამოვედით, მიღებული ვყავდი უკვე უფალს, მაგრამ მაინც გავიძახოდი, აღწერას შევუდგებიმეთქი.

დათო ატალახებულ ოღროჩოღრო გზაზე მიაქროლებდა მანქანას. ქალაქს რომ გავცდით და გამლილ მინდვრებს მივაღწიეთ, ერთბაშად მარჯვნივ შეხარა და კისრისტეხით შევარდა ღია ჭიშკარში. უბნის „საქმიანი ეზო“ აგურის გაფლესავი გალავნით იყო შემოზღუდული, ცალი მხარე საწყობებს ეკავა, ცალი — დამხმარე საწარმოებს. ელექტროხერხის მჭახე ხმა იქაურობას აყრუებდა. საწყობების გასწვრივ ეზოში, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ჩიხი შემოდიოდა.

უბნის უფროსის კაბინეტში, რომელიც ღარიბულ შთაბეჭდილებას ტოვებდა, გრძელ მაგიდას შემოვუსხედით. კედლების გასწვრივ, ორივე მხარეს, უბრალო სკამები იყო ჩაწყრილებული. საქადაღდე გავხსენი და უბნის მოსალოდნელი ნამუშაი ამოვიღე.

— მაჩვენე მაი, აგერ!... — დათომ თითქმის ძალად წამგლიჯა ხელიდან ქაღალდი და ინტერესით დაუწყო ციფრებს თვალიერება, თან ნელა იფზანდა თითებით ნიკაპს. მის გვერდით მჯდომი საწყობის გამგე ადგილზე ცმუკავდა და კისერწაგრძელებული, დაძახებული სახით ჩასცქეროდა ქაღალდს. „ჰო, რა... — თქვა მერე ნაძალადევი მხიარულებით. — ზუსტათ მასე გამომივიდა ყოლისფერი...“

— აბა რაღას ეწვალობთ ამ თავსხმასა და ყიამაშში, — მოზეიმე ხმით თქვა უბნის უფროსმა და ჩემკენ გამოაპარა მზერა. — თუ გვენდობა, აგერ, ვაკა

ბატონი, გადავწეროთ ეგ და მოვაწეროთ ხელი...

— არ-ავითარ შემთხვევაში, — ვთქვი სლოკინით. მოველოდი კიდეც ამათგან. — კომისიამ ზუსტად უნდა აღ-წეროს ყველაფერი!

— კი, ბატონო! — იხტიბარი არ გაიტეხა დათომ. — თქვენთვის ვამბობ, თორემ...

გული მერეოდა, ტარაბუაც დამეწყო, ოთახში ნელ-ნელა ამოძრავდნენ საგნები. უბნის უფროსი და საწყობის გამგე ხან შორდებოდნენ, ხანაც მთლად ემთხვეოდნენ ერთმანეთს და მანამ იყვნენ ასე ჩახუტებულებივით, ვიდრე თავს გავაქნევდი ან თვალებს მოვიფშვნეტდი. წვიმით გალუმპული, შავტალგრეიკანი კაცი შემოვიდა ოთახში, გაცხარებით რაღაცას ყვიროდა... — მე იმის შიში მჭონდა, გული არ ამერიოს-მეთქი, კმაროდა, რა სირცხვილიც ვჭამე.

— ცუდად ვარ... — ვთქვი ბოლოს.— წავალ სასტუმროში.

— კი ბატონო, წაბრძანდით, მოისვენებთ. — შეგატყვე, აშკარად ეამა უბნის უფროსს. — დღეს მაინც არაფელი გამოდის, — დალეულებიც ქე ვართ პეტერე... თან ვაგონი ჩავარდნილა აგერ, ჩიხში, ცემენტით დატვირთული, — იმას უნდა მიეხედო!

სასტუმრომდე მანქანით მიმიყვანა. გზაში ენა არ გაუჩერებია, მელაპარაკებოდა, — თლა ზუსტად შეაქლება არ გამოვიდეს, მარა მეტ-ნაკლები ერთმანეთს გადახურავსო. მიშა სანდო ბიჭია, უჩემოდ ვერაფელს გაბედავდა, — უფრო იმის მეშინია, „წითლიკ“ არ გაჰმიხტეს. მე ინ მშენებლის დედა ვატირე ჩემდათავად, მასალას რო გაყიდის და ფულს ჯიბეში ჩაიდებს, მშენებლობაში ფული მასე არ კეთდება, სხვანაირად კეთდება, ქე იცი შენო. ნომერში აპირებდა ამოყოლას, მაგრამ არ დავანებე. საღამოს შემოგვლითო, — დამიბარა, — თან იმ საქმეზეც მოვილაპარაკოთ, ბოლო-ბოლო ანგარიშის საქმეა ყველაფერიო...

მისვლისთანავე ლოგინში ჩავეგდე. საძაგელ გუნებაზე ვიყავი, — გუშინდელი დღე ვერ მომენელებინა და დღევანდელი უარესი გამოდგა. გადავწყვიტე, საღამოს აღარსადაც არ გავყოლოდი; საღამოს ის გოგო უნდა მენახა, უსიკვდილოდ. უფრო იმის გულზე ვსკდებოდი, ამ დილით რომ შემიშალეს ხელი. ერთი პირობა ვიფიქრე, ახლავე გავიქცევი-მეთქი, — თვალწინ მედგა მისი მოალერსე, წყლის ნაკვისი რბილი თვალები, თითქოს გადაკისკისებაც გავიგონე. წამოვიწიე კიდეც ლოგინიდან, მაგრამ გადავიფიქრე, — არ მინდოდა ამ ყოფაში ვენახე. ხვალ მივლინების ბოლო დღე იყო, აღწერაც უნდა მომეთავებინა, — აღწერის გახსენებამ მთლად მომშალა, — რა უბრალოდ თქვეს, ნაშთები გადავწეროთო. მაგათ სულელი ხომ არა ვგონივარ? ნიადაგი მოსინჯეს, ეტყობა, რაღაც უკრთა და გაძრომა უნდათ. მაგრამ რომ დავუუხვდი, სხვანირად აჭიკჭიკდნენ. აგერ-უბნის უფროსმა პირდაპირ მითხრა, — ანგარიშის საქმეა ყველაფერიო... წამით, ვიდრე ძილი თავს წამართმევდა, მამაჩემის სიტყვები მომაგონდა, ხშირად რომ უყვარდა ხოლმე გამეორება, — დასვით ყველგან პატიოსანი ბუღალტრები და ნახეთ მერე, კაპიკი თუ ვინმემ წაგლიჯოს სახელმწიფოსო...

●

საშინელმა ხმაურმა ფეთიანივით წამომაგდო ზეზე. გეგონებოდა, ქვეყანა დაიქცაო, მაგრამ ისეთი არაფერი იყო, — მანქანების შეჯახებისა თუ მკვეთრი დამუხრუჭების ხმას ჰგავდა. ახალგაღვიძებული ნერვიულმა თრთოლვამ ამიტანა, თავის ტკივილიც ამყვა. სწრაფად დავიბანე ხელ-პირი, წვერი გავიპარსე, ვჩქარობდი, უბნის ხალხმა არ მომისწროს-მეთქი. ისე დავითარეს, ვერ იქნა და ვერ მოვახერხე სადგურის რესტორანში მირბენა, — არადა, აქვე, სულ ორიოდე ფეხის ნაბიჯზე იყო. ახლა მთელი არსებით იმ გოგოსაკენ მივილტვოდი, — სიზმრადაც სულ ეს ამ-

ბავი მადგა... პირანგის გაუფუჭიანებულ საყელოს ღილების შეკვრამ და ყელსახვევმა უშველა. გასაღები აღმინისტრატორისათვის მინდოდა დამეტოვებინა, მაგრამ ვასილამ ორაზროვანი ღიმილით მითხრა, გედოს ჯიბეშიო.

ალარ წვიმდა. ასფალტი შემშრალიყო და ქუჩებს ბორდიურების გასწვრივღა შერჩენოდათ სისველე. დასავლეთით ამოწითლებული ცისკიდური ჩანდა, თუმცა აქეთ კვლავ ირეოდნენ საავდრო ღრუბლები. ქალაქში ბლოდად გამოფენილიყო ხალხი, ამდენი უამინდობით თაკმიტეზრებულებს, ეტყობოდა, ეს უეცარი გამოდარება, გაზაფხულის პირველ ამოსუნთქვად მიეღოთ. მეც გადამეღო ნაზვიმო განწყობილება, ქუჩა გადავეკვეთ და პირდაპირ სადგურისაკენ ავიღე გეზი...

უცებ მოეფინა კიდევში თეთრ „ვოლგას“ ვკიდე თვალი, — ახალგარეცხილს სულ ცრიალი გაჰქონდა. კულმა რეზი მიყო, — დათოს მანქანა ვიცანი. ნაბიჯი შევანელე.—შეუმჩნეველად უკან გაბრუნება და ხალხში მიმალვა დავაპირე, მაგრამ მიეხვდი, სარისკო საქმე იყო. იმის მოიმედემ, იქნებ ვერ შემამჩნიონ მეთქი, თავი დავხარე და სწრაფი ნაბიჯით განვაგრძე გზა, მაგრამ მანქანას გავუსწორდი თუ არა, უბნის უფროსმა კარი გამოაღო, ხელი დამიქნია და დამიძახა:

— მოი, ეაჯა, მოი, შენ გიცდით!

ტაში ისე დამეცალცა, თითქოს რამე დანაშაულზე წაესწროს. ამაკ ვინღა ჩიოდა,—დღესაც არ მეწერა იმ ჩემი „თოჯინას“ ნახვა, მიგრძნობდა კიდევ გული... შეცბუნებულმა, რომ არ ეკითხათ, სად მიდიხარო, თავი ისე დავიჭირე, თითქოს დაძახება არ გამიგონია და პირდაპირ მანქანაში ჩავჯექი.

ყველაზე პირველი, რაც ვიგრძენი, სუნამოს მძაფრი სურნელება იყო... დათოს ახალი ლუკი კოსტიუმი და ნაცრისფერი სვიტერი ეცვა, სუფთად გაპარსული სახე ბრინჯაოსავით უბზინავდა. ნამდვილად ლამაზი მამაკაცი იყო, მის გარეგნობას შევნატროდი.

უკან, წვერგაპარსული საწყობის გამგე და ტუჩებშეღებილი უცნობი ქალი იჯდა. მიმაც ასევე საგანგებოდ გამოწყობილიყო ახალ კოსტუმსა და მწვანე ფერის ნეილონის პერანგში. რეზინის ზონრით დასამაგრებელი, მზა ნასკვანი შავი ჰალსტუხი ეკეთა, რომელზედაც თოლია თუ მტრედი იყო გამოსახული.

— გაიცანი, — მითხრა დათომ. — ეს მარგოა, ჩვენი მარგუშა!...

სუნამოს მძაფრი სურნელება სწორედ ტუჩებშეღებილი ქალიდან მოდიოდა. მოღეღილი პალტოს ქვეშ იასამნისფერი ნაქსოვი კოფთა ეცვა, დაწყვეტაზე რომ ჰქონდა ღილები და გადმოსკდომისაგან ძლივძლივობით იმაგრებდა ფორმადაკარგულ ვეება მკერდს, მანქანის კუთხეში მიყუჟულ საწყობის გამგეს მხარზე ნებიერად მიყრდნობოდა... სახელი ვეუთხარი და ხელი გავუწოდე.

მარგუშიმ მოურიდებლად შემათვალიერა გოროხა ცბიერი თვალებით, ხელი დამიჭირა და გადაიკისკისა:

— დედა, რა კაი ბიჭია, შემოვვალე, ამან შეგაშინათ ამხელა „ვერზილები?!“

ვეღარ გავუძელი მის გამჭოლ, უტიფარ მზერას, ყველას და ყველაფერს შთანთქმას რომ უქადდა, თვალები დავხარე და ანაზდად მოშიშვლებულ მუხლისთავებს წავაწყდი.

— დედა, რა მუხესი ყოფილა, — ხელი შემიშვა და მუხლებზე პალტოს კალთები წაიფარა ყასიდად. — ნახე, მიხო, ამან ჩემი თავი თუ არ წაგაროვოს!

— კაი, ხო, ნუ გადარევ კაცს! — დაუტატანა საწყობის გამგემ.

— რა კაცი, რის კაცი, — გადაიკისკისა მარგომ. — პატარა ბიჭია, პატარა ბიჭუკელა.

— მოკეტე ახლა, — უთხრა დათომ. — მაგას ჯობია, რამე მოიფიქრო ჭკვიანური...

— ჭკვიანური თუ გინდა, — არ

იეზა ყანაეშვილი
გაკაცეცა

ცხრებოდა მარგო. — შენი ტურფა გამოუყვანე, ნათია... ხედავ, რა ნუკრივით თვალები აქვს ამასაც?! — მერე, რომ დაატყო, დათოს არ ეამა, უცებ შეცვალა კილო. — დაიცა, დაიცა... კოლეგს გოგოს ხო იცნობ შენ, ლამზირას, — რკინიგზის გადაღმა რომ ცხოვრობს... მოაბრუნე მაშინა!

— ოო, ახლა ნაღდი ხარ! — შეაქო დათომ და მანქანა დაძრა.

ქალაქში ბინდი წვებოდა, მოედანზე უკვე ენთო ენთო ლამპიონები. რკინიგზის ხაზი გადაკვეთეთ და ერთ ხანს ვიწრო შუკაში ვიარეთ. მერე დათომ ლურჯად შეღებილ რკინის ჭიშკართან შეაჩერა მანქანა. მარგომ ფანჯრის მინა დასწია და რამდენიმეჯერ ხმამაღლა დაიძახა: — „ლამზირა!“... ელექტრონის შუქით განთიკული სახლის აივანზე ხალათწაგოსხმული, თმაგაშლილი გოგო გამოჩნდა.

— ლამზირა, მოი ერ წამა, მარგო ვარ!

ლამზირამ სწრაფად ჩამოირბინა კიბე, ჭიშკარს მოადგა.

— რა იყო, გოგო, რა გაღრიალებს!

— ჩამოჯექი აგერ, საქმე მაქვს... — კარი გაუღო.

გოგო მანქანასთან მოვიდა; ვიღრე დაჯდებოდა, კარებში თავი შემოპყო, შეგვათვალიერა.

— ვინაა, რა კამპოტია... უი, დათო, მიშა... პრივეტ! — დაჯდა, მაგრამ კარი გამოღებული დატოვა.

— წამო ჩვენთან. — უთხრა მარგომ. — მიხოსას შეეუბეროთ ამ საღამოს!

— ვაიმე, რა ვუყო... — შეფიქრიანდა გოგო. — ბოვშვი რო მყავს ცოტა შეუძლოდ?..

— რა მოუვიდა თინიკოს?

— მოიწყინა რაცხა, ამ საღამოს.

— სიცხე აქვს?

— არა!

— აბა, თუ ისეთი არაფერია, წამო, ნუ გავვიტეხ კაიფს. — უთხრა დათომ.

— ვნახოთ, — თქვა გოგომ, — თუ გამოვიშვი თავი, გამოვალ, ოღონდ იქით ფაიჩოჩოეთ, ცოტა, მანქანა...

ლამზირა შინ შებრუნდა. დათომ მანქანა ასიოდე მეტრით გააშორა კოლეგის სახლის ჭიშკარს. ერთხანს ჩუმად ვისხედით ლამზირას მოლოდინში, მერე მიშამ იკითხა:

— რაზე დაუჭირეს მაგ გოგოს ქმარი?

— ზუსტად არ ვიცი, — უპასუხა მარგომ. — ისე, სასადილოში მუშობდა, ბუფეტჩიკად.

სიბნელეში ნაბიჯების ხმა მოახლოვდა, ლამზირამ მანქანის კარი გამოაღო და დაჯდა. შუქი რომ აინთო, დაეინახე — წელში გამოყვანილი შავი პალტო ეცვა. გაშლილი თმა მხრებამდე წვდებოდა. თავი ლურჯი ნაჭრით ჰქონდა წაკრული, ყურებიც შიგ მოეყოლებინა, დაჯდომისთანავე სიგარეტი მოგვთხოვა. დათომ საჯდომის შალითის ბატარა ჯიბეში ჩაჰყო ხელი, ლაკებს შუა, — იქიდან „კოლხეთის“ კოლოფი ამოიღო და მისცა. ლამზირამ გახსნა კოლოფი, სიგარეტს მოუკიდა, ბოლი ღრმად შეისუნთქა და თქვა: „აბა, წაველით!“

— გაიცანი, ბოშო, ეს კაცი. — უთხრა მარგომ.

— ლამზირა! — თავის ოდნავი დაკვრით თქვა გოგომ და სიგარეტის ბოლი შიგ სახეში შემომაფუტა.

დათომ ძრავა აგაუგუნა.

— ბარაღმე ნათიაც წაგვეყვანა, — უთხრა მარგომ.

— აღრეა ჯერ, — უპასუხა უბნის უფროსმა. — მერე მივაკითხავ, მოგვიანებით.

რკინა-ბეტონითა და თეთრი, სილიკატური აგურით ნაგები ვეება სახლის მეორე სართულზე ვრცელ „ზალაში“ ვუსხედით მაგიდას. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ხასხასა ფიჭვის ფერუცვლელი იატაკი, ჭერი, ალიფაფუსმელი კარ-ფანჯრები და შუშაბანდიანი კედელი, „ზალას“ მეორე, მომცრო ოთახისაგან რომ ჰყოფდა, ხისა და ზინთის საამო სურნელებას აფრქვევდა. ოთახში ჭურჭლეულობით გამოტენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერვანტი, წიგნების ცარიელი კარადა, გაჩახჩახებული ტორშერი და რბილი სავარძლები იდგა. დივანზე მოთავსებული იაპონური მაგნიტოფონი დაბალ ხმაზე „ქალაუ, შენი გულისთვისაა“ მღეროდა. მარგო შინაურულად ტრიალებდა, — ცხელ-ცხელი კერძები გამოჰქონდა სამზარეულოდან. მუხლებსქვემოთ მჭიდროდ შემოტმასნილი მისი შავი, პრიალა ჩექმები, ბუხართან ჩაცოცხლას, მოგიზგიზე ცეცხლს ირეკლავდა, ლამზირამ მოსცლისთანავე პალტო გაიხადა და ახლა მოკლესახელოებიანი, შავი კაბის ამარა მეჯდა გვერდით. ფეხი-ფეხზე გადადებული სიგარეტს ქაჩავდა და დათოს ნაჩუქარი კოლოფი უკვე გაენახევრებინა. მარგო არ ეწეოდა, მაგრამ ერთი ორჯერ იმნაც გააბოლა — „შნოის გულისა“.

კონიაკს ვსვამდით, ღვინოზე ქალებმა თქვეს უარი. ქათქათა სუფრაზე კონიაკის ბოთლები ოქროსფრად მოციაგე პაწაწკინტელა ჩრდილებს აფენდა. თამადად მასპინძელი გვედგა და ისიც დათოსავით მაღალფარფინაგულ იწყებდა, მინდა ერთი სადღეგრძელო შემოგთავაზოთო, ოღონდ „სადღეგრძელოს“ მაგვერად „სადღინძელოს“ ამბობდა და მოკლედაც ჭრიდა. ეტყობოდა, სიცხე აწუხებდა, — ხშირ-ხშირად იხალვათებდა — დაბლა იწუედა ჰალსტუხს, რომელზედაც მტრედი კი არა, ფრთებგაშლილი თოლია იყო გამოსახული, მაგრამ ხელის გაშვებისთანავე ჰალსტუხი ისევ მაღლა მიხტოდა და პერანგის საყელოს წინანდებურად მჭიდროდ ეკვროდა. ბოლოს სულ მოიძრო, — პიჯაკიც გაიხადა და იქვე სკამის საზურგეზე გადაფინა.

მშვენიერ გუნებაზე ვიყავით, კარგა ბლომადაც გვქონდა დალეული. ჩემი ხასიათი მოგეხსენებათ — უარის თქმას ვეღარ ვახერხებდი. ქალების შემხედვარეს ან კი როგორ მომიბრუნდებოდა ენა საამისოდ, — წვეთს არ იტოვებდნენ ჭიქაში. მხიარული საღამო იყო, განსაკუთრებით მარგო აქტიურობდა, ერთთავად აკვიატებულ სიმღერას ღიღინებდა: „ოი, ოი, ცისანია, რაი უნდა ცისანიაა...“ მიშამ ლოყაზე აკოცა მოულოდნელად: „აგი უნდა ცისანია...“ ხელი მოხვია, მუხლებზე უპირებდა დასმასს, მაგრამ ქალი დაუხმლტა და ხუმრობით იყო თუ სერიოზულად,— კაი გვარიანად კი გაულწუნა სახეში,— სუფრაზე ღლაბუცი არ მიყვარს მეო, მიშას არ სწყენია, ოღონდ ეს კია, უცებ დასერიოზულდა, ჩაახველა და მორიგი სადღეგრძელოსთვის შეემზადა: „კიდო ერთი სადღინძელო მინდა შემოგთავაზოთ, — ყველა კაი კაცს გაუმარჯოს, ბოროტი და შურიანი დაღუპე იქით!“ ალავერდი უბნის უფროსთან გადავიდა, — დანარჩენი შენი თქვი ახლა უკეთესადო. გამეკვნესოვად უთხრა, იმის პასუხად, ზოგჯერ დათო რომ აქილიკებდა, — ვითომ — ვნახოთ ერთი, რა უკეთესედაც იტყვიო. „ნამდვილად, — დაიწყო უბნის უფროსმა. — კაცური კაცი კია დღინგრძელობის ღირსი, აბა შურიანი და ბოროტი, მიშას არ იყოს, მართლა დაღუპე იქით, — შურმა დააქცია ქვეყანა!“... მოდგა ჭირე და იმისთანა რამეები თქვა, საწყობის გამგე დიახაც გაეწბილა, — შური არსებობს ორნაირი, თეთრი შური და შავი შურიო, — ეგ რაღააო, პირში ეცა ლამზირა. „მაკალე, ბოშო, გეტყვი, — მე მიყურებდა. — კაცი თუ ფიქრობს, სხვას რო აქვს, რატო მეც არ უნდა მქონდესო, — ეგ თეთრი შურია და მე რო არა მაქვს, მაშინ სხვას რატო უნდა ჰქონდესო— ეგ არი შავი შურიო“. — არის ვითომ რამე განსხვავება? — არ იხევდა უკან საწყობის გამგე. „ჰმ... — ჩაიცინა და მარცხენა წარბი ზეაჭიმა. — თუ მიხვდები, კი, მარა შენ ვინ მოგცა ამდენი ტვინი“. — თეთრი შური, შავი შური... — წაიმღერა მარგომ. — იმან, ეტყობოდა, სულაც ვერაფერი გიგიო. — კიდევ, კიდევ? „კიდევ? — ჩაიცინა დათომ და ლოყაზე ხელი წაუცაცუნა. — კიდევ

შარი-შური!“. იფ, იფ, რა კაია შარი-შური, მეტი არაფერი“ — თქვა უბნის უფროსმა. „რავა არა, რავა არა, — სახე გაებადრა საწყობის გამგეს და ფერდში მუჯლუგუნი წაჰკრა. — კიდეკ — შმაშური“... ამაზე კარგი ხანს, გულიანად ხითხითებდნენ, მერე უბნის უფროსმა თქვა, — მოდი, ახლა ყორიფელს აჯობებს, ვიმღეროთ „შაური“. — ვიმღეროთ, ვიმღეროთ,— წამოიძახეს ერთხმად. რა კაია ნათიაც აქ იყოს, — თქვა მარგომ, — წადი მიიყვანე! დათომ საათზე დაიხედა, — არა, ბიშო, ადრეა ჯერ, ადრე!

მაგნიტოფონი რომ ჩაჩუმდა, ვიდრე მიშა კასეტს გამოცვლიდა, ლამზირამ სიმღერა წამოიწყო. სიმღერა ერთბაშად იტაცეს, მიშამ სულ გამორთო მაგნიტოფონი. დათო მაგიდის კიდეზე თითებით დოლს უკრავდა, აკომპანემენტს აძლევდა.

„შაური შენ, შაური მე, შაური მამაშენს!... — სამ შაურად სულ გიყიდით შენ და მამაშენს!...“

მილიონჯერ მაინც გაიმეორეს, — ძალიან მოსწონდათ. განსაკუთრებით ქალებმა გამოიდეს თავი, თითქოს თავიანთი სამშაურიანი მამების ჯინაზე, — მეტი შნო და მარიფათი რომ არ მიეცა მათთვის გამჩენს. დიდებული საღამო იყო, ოღონდ მე, ჩვეულებრივ, მალე მომეკიდა სასმელი და დროდადრო ჭმუნვაც წამომივლიდა: „ეს ქალები მართლა ხომ არ აპირებენ ამაღამ აქ დარჩენასს?!“ — აი, რა მაგიჟებდა. კაცმა რომ თქვას, კი მაინტერესებდა... ადრე თუ გვიან ამ ამბავს ვერსად გაექცევი... მაგრამ ახლა, ასე საჯაროდ, მეშინოდა სირცხვილი არ ვჭამო-მეთქი. ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს, — რაღა დაგიმალოთ და, ამ საქმეში სულ არა მაქვს გამოცდილება. მუშტრის თვალით გადავხედავდი ხოლმე ლამზირას, — საქმე რომ წაჰდეს, მაინც როგორი გოგოა-მეთქი. შაური შენ, შაური მეო,—ბატაკებით მღეროდა, ხელში მოკიდებული სიგარეტი ეკირა, მაგრამ მოსაწევად სადღა ეცალა. ჩამოშლილი შავი თმა გამხდარ, მოკუნტულ მხრებზე ეყარა, ბიბილოზე სიფაფრე მოგრძო თეთრი საყურე უკონწიალებდა... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს... პირიც ხომ ცოდნა და გამოცდილება უნდა ყველაფერს! ღმერთო, ნუ მიიყვან საქმეს აქამდე-მეთქი, — ეფიქრობდი, როგორმე უნდა დამეძვრინა თავი. გამოსავალს სმაში ვხედავდი და წვეთს ალარ ვტოვებდი ჭიქაში, — მთვრალს ბევრი რამ ეპატიება! — ასეა, რაც არ იცი, ყველაფერი უსაშველო გგონია კაცს! თთავარი მაინც ის იყო, ოდნავადაც არ მომიწევდა გული. ამაოდ მანშნებდა საწყობის გამგე, მიდი, რას უყურებ, მოეფერეო, — სარგადაყლაპულივით ვიჯექი. იმან, თითქოს ჩემს გასამხნევებლადო, ხელი მოხვია მარგოს და სკამთან ოთვისკენ მიიჩოჩა. ამკერად ქალი ალარ გაძალიანებია, მიეხუტა და ლოყაზე აკოცა. საწყობის გამგემ მკერდზე შეაცქო ხელი.... ჭერს აცქედე.

— ეგეთები არ იყოს ჯერ... — ჩაიცინა დათომ. — ჩვენ აქ ხე ან ქვა კი არა ვართ!

— წადი, წადი, მოიყვანე ნათია, — მიშამ საათზე დაიხედა. — საცაა დამთავრებენ აწი მუშაობას.

— წადი, ჰო, წადი! — სიტყვა დაწია მარგომ.

დათომაც დახედა საათს, ადგა, ქამარი გაისწორა და პიჯაკის ღილები შეიკრა ზმორებით.

— ხათრით დავაგვიანებ ცოტას... — თვალები ეშმაკურად მოკუტა და ჭიქაში ჩარჩენილი კონიაკი გადაკრა. — აბა, თქვენ იცით!

კარებში საწყობის გამგე იხმო და ჩუმად რაღაც უთხრა, იმან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მე მომჩერებოდნენ. მერე ჭიშკართან ძრავა აგუგუნდა და მანქანის ხმა თანდათან მიწყდა ღამის სიჩუმეში...

— რა გოგო ჩაიგდო ხელში მაგ თათარმა... — თქვა მარგომ.

— ერთი ნახე, რა პატივს სცემს! — მიახალა ლამზირამ.

— არა, — თქვა მარგომ. — ნათია მაინც სხვა გოგო იყო... საწყალს სულ აებნა ცხოვრება!

— რა დათოს ბრალია, — ღრეჭით გამოექომაგა უბნის უფროსს საწყობის გამგე, — ეგ ხომ პირველად კიმინ...— და უცებ, ყოველად დაურიდებლად, ისეთი რამ თქვა, გულზე გამხეთქა.

— ვიცი, — უთხრა მარგომ. — კიმის არ უნდა ეკისრა, ნათია მაშინ სულელი გოგო იყო.

— კიმი ვინაა? — იკითხა ლამზირამ.

— შენ არ გეცოდინება, — უპასუხა მიშამ. — ცეხის უფროსად მუშაობდა საკონსერვოში.

— დედამისის ბრალიც იყო, — განაგრძნობდა მარგო. — თავდანვე ხედავდა ამ ამბავს...

— ოო, — თქვა მიშამ, — კიმი მაშინ მაგარ მაყეთს ღუნავდა!

— ეხლა რაღა ღმერთი უწყრება? — ჰკითხა ლამზირამ.

— ზის... მაგარი ბიჭი იყო, რაც უნდოდა, ყოლისფერს აკეთებდა, რამდენჯერ პური ერთად გვიჭამია მე და იმას... — ჭიქა ასწია. — მოი, ამ გახსენებაზე, ყველა კაი ბიჭს, ვინც ზის...

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — გოგოებმაც შესცვეს.

— გიგუშას რამდენი დარჩა? — ჰკითხა მარგომ.

— გამოვა ამ წლის ბოლოს... — ლამზირამ სიგარეტი მოქაჩა და თვალებგაშტერებულმა ტუჩის კუთხიდან დაყოვნებით გამოუშვა ბოლი.

მერე ქალებმა „ვასკირნება“ მოიწადინეს და მეორე ოთახში გავიდნენ. მარტონი რომ დავრჩით, საწყობის გამგემ დრო იხელთა, გადმოიხარა და წამჩურჩულა: „გვიშველეო უნდა რაცხა!“... გაკვირვებული მივჩერებოდი, ვერ მივმხვდარიყავ, რას მეუბნებოდა. მე თავად ვეძებდი შველას, გულისრევა და ტარაბუა მეწყვებოდა, აქეთ კიდევ, ვინ იცის, ჩემი და ლამზირას ამბავი რითი დამთავრდებოდა. მიშამ ჭიქა წაჰკრა ჩემს ჭიქას, სადღეგრძელოდ თავი არ შეუწუხებია, თვალით მანიშნებდა რაღაცას...

— ჩვენც გაგვაგებინეთ, რას სვამთ?

— იკითხა მარგომ. ოთახში შემობრუნებულიყვნენ და ბუხარს მისჯდომოდნენ.

— გვაცალე, ერ წამა, — შეუღრინა მიშამ. — სალაპარაკო გვაქ, აგერ, რაცხა...

დალია და მეც დამალევინა. იღუმალების გამომხატველი თვალებით მიყურებდა, როგორც „საქმიან“ ხალხს სჩვევიათ, უსიტყვოდ რომ აგებინებენ ერთმანეთს. მე მაინც ვერაფერს ვხვდებოდი. გადმოიხარა და ისევ წამჩურჩულა.

— ამდენს გაძლევთ, ა... — ორივე ხელის გაშლილი თითები დამანახა მაგიდის ქვეშ. — წაგეხმარო უნდა!

— რაზე წაგეხმაროთ?... — ვერ იქნა და ამბრზე ვერ მოვედი.

— ვეტყვი, რაღა დაგიმალო... — ძალზე საქმიანი და სერიოზული ხმა ჰქონდა, — ხის მასალა გვაკლია ორმოცდაეხუთი კუბომეტრი, ოთხმოც ტონამდე ცემენტი და ოცდაორვა ცალი ბიდე...

— რა ბიდე, რის ბიდე, ეგ რაღა ოხრობაა?!

— ბიდე, ბატონო, ჩვეულებრივი ბიდე... — შეწუხდა საწყობის გამგე. — აი, ქალები.. .ხანდახან კაცებაც რომ...

— აჰ, ბიდე, ბიდე... ვიცი, როგორ არა, — ყიდულობს აქეთ ხალხი?

— თუ გამეყიდოს, უნამუსო ვიყო,— გაიაჩარა მიშა. — იმისთანა ხალხმა გვთხოვა, — ზოგი ხელმძღვანელი მუშაკია, ზოგი ვინ, ზოგი ვინ, — უარს ვერ ეტყვი... ჰე, ჰე, — ჩაიქირქილა უცებ. — ჯანდაბას ჩემი თავი, იმათ ეშველოს ოღონდაც, მარა მეტი არაა, ბატონო, ჩემი მტერი, — ზოგი ისეა ჩასვრილი, — ბიდე კი არადა, რიონიც ვერ ჩარეცხავს!

— საცხოდ გქონია საქმე! — ვუთხარი.

— თუ გამიმეტებთ... ჰე, ჰე... ისე,

ბატონო, ფული აგერ მაქ ჯიბეში.. ახლა მოგკართვათ თუ მერე?

— რამდენია? — ვკითხე.

— ამდენია, ა... — გახარებულმა ორივე ხელის გაშლილი თითები სახეზე მომაფარა.

— მერე დანაკლისს რა ეშველება?

— იჰ, — ხელი ჩაიქნია. — იმას ორასამ თვეში გავასწორებთ, მთავარია, ახლა არ გამოვაჩინოთ.

— გაასწორებთ?.. როგორ?..

— მაგი, ბატონო, თქვენ ჩემზე უკეთესად იცით.

— გასაგებია... — ჩავილაპარაკე დაფიქრებულმა.

— თუ გეკოტაებათ, — ბატონო, — შეშფოთდა საწყობის გამგე. — ვეტყვი დათოს და, ჰე, ჰე...

— არა, — ვთქვი სლოკინით. — ათასი მანეთი დიდი ფულია. — სასმელი ყელში მაწვებოდა, სუნთქვა მიჭირდა.— ათასი მანეთი ჩემი ერთი წლის ხელფასია!

— ნამეტანი კაი, ჩემო ბატონო! — გახალისდა მიშა.

ერთბაშად სული შემეხუთა, თავბრუ დამეხვა, გულის არევას აღარაფერი მაკლდა.

— ვერ ვარ კარგად, — ჩავილაპარაკე, — წავალ სასტუმროში!...

რას ქვია, წახვალ სასტუმროშიო. მალე ისინიც მოვლენ, ნათია იმფერი კაი გოგოა... გიტარაზე უკრავს... ვიცეკვებთ, ვიმღერებთ, ვიმხიარულებთ, გოგოებიც ქე გვყავს აგერ და ყოლისფერი, მეტი რა შეგვრჩება აბა, ამ ორ დღესო. „წამობრძანდით, ცივი წყალი გადივლეთ, წამოწექით კიდეც, მოიხვენეთ, დალევით კი მეტს ნუღა დალევთ, ბატონო! მხარში ამომიდგენენ და საბაბანაში გამიყვანენ. ბუხრისპირას მიმჯდარი სახეაპარხლებული მარგო თავისთვის ღიღინებდა: „ოი, ოი, ცისანია.. რაი უნდა ცისანია...“ ლამზირა აბაზანიდან ამოღებულ წყალს მისხამდა თუნუქის ტოლჩით. ცივმა წყალმა ცოტათი მომაცოცხლა, მერე გვერდით პატარა ოთახში გამიყვანეს, გაუხდელად ტახტზე მიგწევენ, ლამზირამ თავსასთუმალი გამისწორა. ღმერთო, გადამატანინე ამალამდელი ღამე-მეთქი, ვფიქრობდი; გართულდა საქმე, — ამათ ამოდენა დანაკლისი ჰქონიათ, აგერ ფულიც შემომაძლიეს, აქეთ კიდევ გოგოები... ახლა ვხვდებოდი, ამ დრამდე რად აჭიანურებდნენ საქმეს, ღვინოსა და არაყში რატომ ჩამახრჩვეს... ჯერ ჩემი „მოტეხეი“ უნდოდათ და ვგონეს „მომტეხეს“ კიდეც... ოთახში შუქი ჩაქრა, კარის გაბურვის ხმაც გავიგონე. მარტო მიშა გავიდა, ნეტავი, თუ ლამზირაც გაჰყვა? ჩამიჩუნი აღარ ისმოდა. მერე შრიალის ხმა ჩამესმა და შეშინებულმა — ლამზირა კაბას არ იხდიდეს-მეთქი, თავი წამოვწიე. ფანჯარასთან იდგა, ზურგშექცევით. ეტყობა, ჩეჩა დაძახებას ელოდა. გული მომეწურა და დავუძახე: „ლამზირა!“ მოვიდა, ტახტზე ჩამომიჯდა, შუბლზე დამადო ხელი. სიგარეტს მაინც ეწეოდა, მარცხენა ხელში ჰქონდა ახლა გადატანილი. — რომ იცოდე, რა ცუდად ვარ, ლამზირა, — დავისაწყლე თავი. — ოი, რა ცუდად ვარ! — მარილი ცუდად ვიყავი. „გაიხადეთ, დაწექით, ბატონო... მე გაგხდით!“ — არა, არა, — ვიყვირე. — ვიყოთ ასე, ოღონდაც ხელი გედოს შუბლზე... ოთახს შუშაბანდიდან შემოსული შუქი ანათებდა. — მოდი, მიამბე რამე, ლამზირა! „რა უნდა გიამბოთ, ბატონო?“ — რა ვიცი, სულ ერთია... აი, კლასობანას რომ თამაშობდი და ასკინკილათი დახტოდი... ან დაჭერობანა, ან კუკუ-მალობანა. არ გიყვარს ზაფხულობით ჩიტები რომ ატეხენ ქივქივს ალიოზზე?.. — უცებ ხელზე ვტაცე ხელი და მოვუჭირე. — რასა გთხოვ, იცი, ლამზირა? — წადი, ახლავე გიაქეცი შენს თინიკოსთან...

— გამიშვი ხელი! — იყვირა და ხელი გამომტაცა.

თვალებში შევცქეროდი, ხომ არ ტირის-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, — ეს მე მაწვებოდა ყელში რაღაცა, ის კი ზიზღნარევი გოცებით მომჩერებოდა.

მერე ადგა, ზურგი შემოქცია და ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. გვრჩნობდი, თავი გავიბითურე, — ამეების მოსასმენად ხომ არ მოსულა? უჩემოდაც იცოდა ყველაფერი! გამოუცდელობისა და სიმთვრალის ბრალი იყო, — თავი კი დავიძვრინე იმ საჩოთირო ამბებისაგან... წამოვდექი და „ხალაში“ გავედი. ლამშრიტა ჩანავლულ ბუხარს მისკენოდა. საშინლად ვიყავ აღგზნებული, ნერვიულმა კანკალმა ამიტანა. აყრილ მაგიდაზე გაცივებული ლერძები ელაგა, კონიაკი დავსახი „ჩაის“ ჭიქაში, — სასმელს ორგანიზმი მთხოვდა. მეორე ოთახიდან მარგო და მიშა გამოვიდნენ. „ოი, ოი, ცისანა...“ — მარგო ღიღინებდა. მიშა ამოჩაჩულ ხალათს ისწორებდა. თვალი ჩამიკრა და თავდახრილ ლამშრიტაზე მიმანიშნა, — რავაა საქმეო, მერე მარგოს დაუტატანა:

— არიქა, ალაგე ყოლისფერი და ხელახლა გააწყე სუფრა, აწი ვიწყებთ ჩვენ ქეიფს!...

მანქანის შორეული ყრუ ხმა თანდათან გაძლიერდა და ჭიშკართან შეწყდა. ფარების ძლიერმა შექმა შუშაბანდში შემოანათა. მერე ჭიშკრის ანჯამებმაც გაიჭრიალეს და კიბეზე მოისმა შეწყობილი, თანაბარი ნაბიჯების ხმა... ჭიქა მოვიყუდე და ბოლომდე დავცალე.

— მოვიდნენ! — წამოიძახა მიშამ და შუშაბანდში გაეგება სტუმრებს.

კარებში დათოს აწოწილი ფიგურა შემომართა. მოვერცხლისფრო ბეწვით გაწყობილ ზამშეს ქურქსა და ლაზლის თეთრ თავშალში თბილად ჩაფუთნილი გოგო შემოჰყვა... უცებ საცოდავად მოვიკუნტე ბუხართან, დაცლილი ჭიქა ხელში შემეყინა. ყველაფერი ერთმანეთში აირ-დაირია, — იატაკი, ჭერი, ავეჯი, — თავდაყირა დატრიალდა ყველაფერი. დათო რაღაცას ეუბნებოდა გოგოს, ეგონებ ქურქის გახდას სთავაზობდა, ის კი როგორც შემოვიდა, ისევე ისე, გახევებული იდგა კართან... მაინც მიეხლტებოდა მხედველობიდან, ადგილზე ტორტმანებდა, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გადაქანდებოდა. ო, როგორ მინდოდა, კარგად დამენახა, — ვიდექი ბუხართან მოქანავე, თავს ძალას ვატანდი, კისრის ძარღვებს ვჭიმავდი, თვალებს ვაშტერებდი, წამით რომ მაინც შემეჩერებინა ეს გიჟური პზრიალ-ტრიალი... ეჭვმა გამკრა და შიშისგან გული მისკდებოდა. — „ღმერთო, შენი სახელის პირიმე, ოღონდ ის ნუ იქნება, ღმერთო!..“ როგორც იქნა, ქურქი გახადა და მიშას მიაჩეჩა ხელში, — ყველანი აქეთ მოდიოდნენ... კისერწაგრძელებული მივჩერებოდი, ჩაბღუჯული რომ მოჰყავდა, — „ოი, დათო, დათო, შე უნამუსო!“ — გაიცანი, ეს ნათიაა... ეს ჩვენი სტუმარია სამმართველოდან“. ბანჯგვლიანი ხელებით ჩაებღუჯა და მაცნობდა.. ახლა გარკვევით ვხედავდი ნათიას, ვხედავდი წყლის ხავსივით რბილ, დამფრთხალ თვალებს, მაღლა ავარცხნილ წაბლისფერ თმას... ჭიქა ხელიდან გამივარდა, ბუხრის რკინას დაეცა და ნამსხვრევებად იქცა. მინავლულ ღადარში ნაპერწკლებმა გამოანათეს. „შენ აქ რამ მოგიყვანა, თოჯინა!“ უხმოდ ვყვიროდი. მის თვალებში ახლა აშკარად ჩანდა ის იდუმალი ტანჯვა, ჯუშინ დილით წამიერად რომ გამოუკრთა. საშინლად ამიკვნესდა გული, მინდოდა ყველაფერი მიმელეწა და სადმე გადაეკარგულიყავი. დათო, რომელსაც ადრე შეენატროდი, ახლა ნამდვილ ურჩხულსა ჰგავდა, — „პტალეოპტერიქსს“ თუ რაღაც ამდაგვარს... ყველანი მძულდნენ...

— ცუდად ხარ, ბიშო? — დათო მეკითხებოდა. მე ვიდექი და ვძაგძაგებდი.

— ჩაის ჭიქით დალია კონიაკი. — აუხსნა მიშამ, — აბა, კაი მოუვიდოდა?...

— წავიდეთ, გავიქცეთ აქედან, ნათია!... — ვიყვირე უცებ და მკლავში ჩავაფრინდი. თვითიკის ყვითელი ქაკეტი ეცვა, ისეთი ფაფუკი და ნაზი, როგორც ახალგამოჩეკილი წიწილას ბუმბულია.

იუზა ყაველიშვილი
გაჟცემა

სახეზედაც ბაიასფერი დასდებოდა. მკლავში რომ ჩავფრენოდი და გავიქცეთ-მეთქი ვყვიროდი, ხელს კი არ მაშვებინებდა, მაგრამ მე რომ აქეთ ვექაჩებოდი, ის უკან-უკან იწევდა. ამან გადამარია.

— არ გინდა გაქცევა, ნათია? აქ გირჩევნია? ამ... — მშვიდობით, ნათია, მშვიდობით!...

კარისკენ წავედი ბანცალ-ბანცალით, სკამს წამოვედე და წავაქცევ. საწყობის გამგე, ჩემს შეჩერებას რომ ცდილობდა, ხელისკვრით მოვიშორე. გავიარე გაჩაჩხახებული შუშაბანდი, რიკულებანი ვერანდა და კისრისტეხით დავეშვიკიბეზე, უბნის უფროსი და საწყობის ვამგე ფეხდაფეხ მომდევდნენ. დიდხანს ვეჯაჯგურებოდი ჭიშკარს, მერე როდისროდის, თავისით გაიღო. მიშა გადამიდგა წინ, — მომკალი, ბატონო, და აგია, გაწყენინეთ რამე?...

როგორც იქნა, მოვახერხე ჭიშკარში გავარდნა. დათოს მანქანას რომ მივაწყდი, წიხლი ვკარ... სიმწრისგან ტუჩებს ვიკვნეტდი. ალალბედზე, კოქლობით დავადექი ჩაბნელებულ შარას. დათო წამომწია მანქანით, ჩაჯექით. კარგა ხანს მდია ასე, წამომწოდა და მეხვეწებოდა, ჩაჯექით. მე კოქლობით მივრბოდი ფარების შუქით განთებულ ეიწრო შუკაში. მერე მანქანა გადააყენა და ფეხდაფეხ მომდევდა. ხელს მაშველებდა მობორძიკეს, — რა იყო, რა მოხდაო, — მეკითხებოდა. მე ვიქაჩებოდი და ვყვიროდი, — მომშორდით, მომშორდით!... ეტყობა, აყალმაყალს მოერიდა, თანდათან ჩამომრჩა და სიბნელეში გაუჩინარდა. უცებ, ეს დაწყეველილი შუკა რომ გათავდა, ზედ სადგურისწინა მოედანზე არ ამოვყავი თავი?! — თურმე არც ისე დასაკარგავში ვყოფილვარ!... შუადამე გადასული იყო, ქუჩაში კაცისშვილი არ ჭაჭანებდა. სასტუმროს შესასვლელი ღია დამიხვდა, ვასილა არსად ჩანდა. მახსოვს, კარგა ხანს ვიწვალე, ვიდრე გავაღებდი კარს. შუქი არ ამინთია, სიბნელეში მივაგენი ლოგინს და მივეგდე. ცოტა ხნის შემდეგ ბალიშში თავწარგულმა ვიგრძენი, ვიღაცამ ფრთხილად შემოაღო კარი. თავი არ ამიწევია, — დათო იქნებოდა, მიხვედი. მისაღებში შუქი აანთო, — მოვიდა, ტახტზე ჩამოჯდა, მხარზე დამადო ხელი. „ვაჟა, მისმინე, გენაცვალე!“

— მიშა ხო გელაპარაკა იმ საქმეზე... გადმოგცა?!...

ვეღარც ხმის ამოღებას ვახერხებდი, ვეღარც განძრევას, დამბლადაცემულივითი ვიყავი. მიხვდა, ალბათ, ახლა ლაპარაკს აზრი რომ არ ჰქონდა, შემანჯღრია და მკითხა: „ცუდად ხარ?“ მე უმწეოდ ვლუღლუღებდი.

— თუ გეცოტავება, მითხარი...

ისევ ავლუღლუღდი. რაკი არც სხეული და არც ენა ალარ მემორჩილებოდა, ამით ვცემდი საკადრის პასუხს. იმავე კილოზე ვლუღლუღებდი, რა კლოთიც მელაპარაკებოდა. მახსოვს, მარცალთა რაოდენობასაც ზუსტად ვიცავდი, ისე, როგორც საკუთარი უმწეობით სასოწარკვეთილი ბავშვი გამოაჯავრებს ხოლმე ღონიერ უფროსს. ამით ვიოხებდი გულს, მაგრამ დათო ხვდებოდა კი ამდენს?

— შენ თუ ის გოგო მოგეწონა, ნათია... თქვი და ახლავე ლოგინში ჩაგიგორებ...

რის ვაი-ვაგლახით წამოვიწიე (თვითონაც შემაშველა ხელი), ჯერ ტახტზე წამოვჯექი, მერე ფეხზე წამოდგომაც შევძელი. მიზანში ამოვიღე მისი საძულველი სიფთი, — მუშტი მოვიქნიე... წინასწარ ვგრძნობდი იმ სიბარულსა და გულის მოოხებას, ამ სიფათზე მთელი ძალით მოქნეული მუშტის მოხვედრება რომ მომანიჭებდა, მაგრამ იმან უცებ დაბარა თავი და ისე იოლად აიცდინა დარტყმა, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი. ლოგინზე დავეცი და თავი კვლავ ბალიშში ჩავრგე, ბავშვივით ვსლუკუნებდი. უბნის უფროსმა საბანი წამოფარა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან...

გაქცევის აზრმა, რომელიც ძილშივე

ჩამესახა, თუკი ამას ძილი ჰქვიოდა, დილაადრიან წამომაგდო ფეხზე. მთელი ღამე მახსოვდა ყველაფერი, რაც მოხდა; მთელი ღამე ისევ ისე გრძელდებოდა ღრიანცელი, დავიდარაბა და ჩხუბი. ძლივს გავახილე თვალები, ქუთუთოები ერთმანეთზე მქონდა შეწებებული, თავი მისკდებოდა, ნაცემი ძაღლივით ვიყავ დაბეგვილი. ფოსტლები, პირსახოცი და რაღაც-რაღაცეები ჩანთაში ჩავყარე და ნომერი მივაკეტე. თმაბურძგნილი, პირდაუბანელი ვასილა ღუმელში ცეცხლს ანთებდა. ტიხარს მივადექი და ფული მაგიდაზე დავაგდე. ვასილამ ღუმელში ნავთი შეასხა, ასანთი გაკრა, თეთრკვამლგარეულმა ცეცხლის ენამ მრგვალი ჭრილიდან ძაღლივით რომ წაუკლაპუნა, ღუმელს მოშორდა. მაგიდაზე ფული დაინახა და მკითხა: „მიდიხარ?“ უჯრაში პასპორტს დაუწყო ძებნა. ვერ ხვდებოდა, ეს ჩვეულებრივი წასვლა რომ არ იყო, ანდა რაში ენაღვლებოდა. ეს კი თქვა: „გადახდილია შენი ფული, ბიძიკო!“ „აქედან აიღეთ!“ — ვუთხარი მე. ფული უჯრაში ჩაგდო, ქვითარი ამოწერა, მოხია და პასპორტთან ერთად გამომიწოდა.

ისევ წამხდარიყო ამინდი, წვიმდა. ნეონის შუქით გაჩახჩახებულ სადგურში, სალაროსთან, ხალხი ირეოდა. „თბილისისკენ გადის რამე?“ — ვიკითხე. „დიახ, — თავაზიანად მიპასუხა მაღალმა, გამხდარმა კაცმა. — თხუთმეტ წუთში გავა!“ ბილეთი რომ ავიღე და ბაქანზე გავედი, უარესად დამიმძიმდა გული. მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო. ჩემს ფეხქვეშ, დახეთქილ ფილებში, კვლავ აჭუჭყუნდა წყალი... მატარებლის დაძვრა არც გამიგია, — ნეონის შუქით განათებულ სადგურში რესტორნის ფანჯრებს ვიძებდი... ერთგან, თეთრ ფარდასა და შეორთქლილ მინას შუა დაბინდულ იებს მოვკარი თვალი, — ყელში ბურთი გამეჩხირა და ცრემლები რომ არავის შეემჩნია, ეაგონის ცივ მინას მივადე თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ, ვიქნები მარადის

ამაყი და უვნებელი
ვარ გრემით თუ მარაბდით,
შენი მომნახულებელი
ვარ, ვიქნები მარადის.
სული კბილით მიჭირავს,
ვა, თუ ისე დავვარდე —
ვერ ვესტუმრო ხშირ-ხშირად
ალგეთს, ალვანს, ალავერდს,
დავრჩე უკელაპტაროდ,
უგზოდ, უხავერდებოდ,
თვალში ვერ გავატარო
მინდვრის უხმო ვედრება;
გზები გამინიორწყლოს,
ამერიოს ნაბიჯი,
ისევ ბორგავ, იორო,
თუ ყინულ ქვეშ დადინჯდი!
ლამის გული გამისკდეს,
მწარედ ტირის განა ვინ?
მუხას, ქართულ ნატვრის ხეს,
ხოხობს, კაკბის განაგისს.
მიხმობს მწვანე მოლები,
სანუკვარი კორდები,
სიყვარულით მოვედი,
ტკივილებით გშორდები!

ვ ი დ რ ე

ვიდრე ჯეჯილებს
ნიავი ვარცხნის,
ვიდრე სიმღერას არავინ
მიშლის, —
ნაუცბათევი
ვერ დამცემს მარცხი
და არც სიკვდილის
მექნება შიში.
ვიდრე ფოთლები
ცვივიან ქარვად,
ჩამესმის მთების
გულების ძგერა,
არ მივცემ ნეშას —
წამიღოს ქარმა,
როგორც წიწილას
წაიღებს ძერა.
ვიდრე თერგს უცემს
ძლიერი მაჯა,
ვიდრე დგას ფეხზე
მთები სვანეთის,
ვიდრე შეიძლებს
ვაზის რქა გარჯას,
ვიდრე ვერ გავძლებთ
უერთმანეთოდ, —
ვიდრე შაშვი და
ტოროლა გალობს,
ვიდრე გუგუნებს
შლეგი არაგვი,
ვიდრე იმღერებს
თუნდ ერთი წყაროც, —
მე დამარცხებას
ჩემად არა ვთვლი!..

ნ უ შ ი

წვიმს, ცას ფერი
დასდებია უშნო,
ზედ კარებზე
მოგვდგომია
მარტის თვე,
ისევ გძინავს,
საყვარელო ნუშო?
გაიღვიძე,
შენი მზერა გვაღირსე.
შემაგებე
სურნელება მძაფრი.
აჯანყე უშიშარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვირტები,
თეთრი —
ფურჩალმემოვლებულ კაბით,
რაღაც ახალს
დიდ სინათლეს
გვპირდები;
კვლავ პირველი
გამოუსხლტი ზამთარს,
სილამაზე მოგვიტანე
უცვლელი,
რაო, უკვე
გაგიშლია აფრა! —
საკუთარ თავს
მორცხვად ეკეკლუცები?
რაღაც დიდი
მოლოდინით გვთენთავ,
გულისძგერით დაქანცულო
მარტისთვვ, —
აყვავილდი,
აბრიალდი დენთად,
ოცნებებით,
იმედებით
დაგვტვირთე!

ვ ი ხ ი

ვიცი, ვერ მივწვდები
ცისარტყელებს.
თუ გზა სიარულმა
არ დალია,
მხოლოდ ტკივილებს თუ
მივაყენებ,
ჩემთვის უძვირფასეს
ადამიანს.
ნელ-ნელ შეველიე
მზიან სიცილს,
ჩუმად სიხალისეს
მპარავს წლები,
სტუმრად წასასვლელად
ვეღარ ვიცილი,
ყველას დავუძვირე
ბარათები.
ვიცი, მეზობლები
წრფელი გულით
ისევ მიმელით და
გვნატრებით,
მიხმობს სიჭაბუკით
შენივთული
ჩემი საყვარელი თეატრებიც.
უკვე სხვა ფიქრებით
ნაქარგები,
კედლებს აწყდებიან
სხვა ქანგები,
ახლა უწინდელი
წვით და თრთოლვით,
აღარ მაცქერდება
სარკე ბროლის.
მინდვრის ყვავილები,
ღაღანები,
აღარ მიმართავენ
წვეულებას
და გულს ხვალინდელი
დაღამება
უკვე კარგს არაფერს
ეუბნება;
ვიცი, ისე მკაცრად
წავლენ წლები,
ვეღარ დამიკოცნი
მზიან ხელებს, —
ხელით ვერასოდეს
ვერ შევწვდები
ჩემს დიდ, ფერადფერად
ცისარტყელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადრი ჭოხონელიძე

სიზმარი

— კიკუ, გენაცვალე, წყალი გინდა, კიკუ? — თვალის გახელისთანავე იკითხა ბაჩომ.

კიკუ — დიდი, ათასფერად აკრელებული თუთიყუში, გალიის კუთხეში შეყუჟულიყო და განაწყენებული აქეთ-იქეთ იყურებოდა.

— კიკუ, — ბაჩო ფეხშიშველა მიუახლოვდა გალიას. — რა დაგემართა, კიკუ?

ბიჭმა გალიაში ხელი შეყო. უნდოდა მიფერებოდა ჩიტს, მაგრამ კიკუმ ჩაიდინა ისეთი რამ, რაც არასოდეს უკადრებია — ბაჩოს მწარედ ჩაუნისკარტა.

— უჰ, — ბიჭმა ცივად გამოყო მარჯვენა. მერე გალიას ორიოდე ნაბიჯით მოშორდა (თუმცა, ოთახის ფართობი მეტით მოშორების საშუალებას არც იძლეოდა), — აღარ გელაპარაკები, კიკუია.

თუთიყუში კიდევ უფრო აიფეხორა და ნელ-ნელა გამობაჯბაჯდა გარეთ. ბაჩომ დიდხანს ვერ გაუძლო გაბუტვას და გაღიმებულმა გახედა ჩიტს. კიკუ უცებ შეფრთხიალდა. კედლის კალენდარს ფურცლები აიფლითა და ფერად ბუმბულთან ერთად ოთახში ააფარფატა. ორიოდე წამით ჭერს გაეკრა და იატაკზე ქვასავით დაეშვა.

— კიკუ, კიკუ! — იტაცა ბაჩომ ლოყაზე ხელი. ფეხებით ჭერისკენ აყირავებულ ჩიტთან ჩაიმუხლა და ჩუმად თქვა, — რაღა მეშველებაᲘ!

მერე წამოდგა და ფანჯრის მინას მიადო გახურებული შუბლი. ესიამოვნა. ბაჩომ მოპირდაპირე სახლისაკენ გაიხედა. ბაჩომ მოპირდაპირე სახლისაკენ გაიხედა. ამ დროს ფანჯარაში ჩანდა ხოლმე ახალგაზრდა ქალი. ქალი, რომელიც გაფაციცებით იცმევდა და ყოველთვის მოღებული რჩებოდა ფარდა. ბაჩოს თავის თავზე გული მოუვიდა — მაპატიე, კიკუ, რაებზე ვფიქრობ... მაპატიე.

მოპირდაპირე სახლი საგრძნობლად მოახლოვებული ეჩვენა და არც ისეთი მაღალი, როგორიც ახსოვდა. აივანზე, რომელსაც მისდა გასაოცრად მშვენივრად ხედავდა, გაღიმებული სახე დალანდა.

— ამას აქ რა უნდა? — გაუკვირდა ბიჭს.

მართლაც ნაცნობი მწერალი იდგა მოჩუქურთმებულ აივანზე. კოპწია სახლის უკან კი ზურმუხტისფერად ხასხასებდა ტყე.

— გევგიჟდები, — ბაჩომ შუბლი მოისრისა.

ჩუქურთმიანი შენობისა და ტყის ნაცვლად, აქ რაც ახსოვს, ნაცრისფერი კორპუსები იდგა და თან საკმაოდ მოშორებითაც. ბაჩოს ხანდახან პურის მაღაზიაში გადასვლაც კი დაზარებია მოპირდაპირე სახლში, ამ ქუჩას რა გადავაო.

ბიჭმა თუთიყუშისკენ მიიხედა. მიუახლოვდა, ისევ ჩაიჩოქა და გაიმეორა, — რაღა მეშველება?!

მერე უცებ გახედა ფანჯარას. მოპირდაპირე სახლი კიდევ უფრო მოახლოებოდა და ნაცნობი მწერალი აივნიდან ახლა მას უღიმოდა.

— მოდი, ამ კაცთან მივალ. ეს გამიგებს, თუ გამიგებს.

ბაჩომ კიკუს ფრთხილად აიღო იატაკიდან. ასე არ ივარგებს ქუჩაში გასვლაო და ჩიტი გახეთში გაახვია.

კიბე სწრაფად ჩაირბინა. არ უნდოდა, სადარბაზოში ვინმესთან შეხვედრა. თითქმის ყველა მეზობელი იცნობდა მის ლამაზ თუთიყუშს და ბაჩო მოერიდა მათ საყვედურს, რატომ არ გაგვაგებინე ეს უბედურებაო. ბიჭს ახლა მხოლოდ უფროსი თანამოკალმისათვის სურდა თავისი გაჭირვების გაზიარება, მხოლოდ ამ მოღიმარ კაცთან უნდოდა საუბარი.

ქუჩაში გასულს მოპირდაპირე სახლამდე ისევ გაზრდილი ეჩვენა გზა, ოღონდ ბევრად გაზრდილი. ლამაზი, ჩუქურთმებიანი სახლი სადღაც შორს თეთრად ციმციმებდა სიმწვანეში.

ბაჩომ მისკენ მომავალი ორი ახალგაზრდა დაინახა. ერთს იცნობდა. ეს ბიჭი წერდა. წერდა გაუვალ კლდეებსა უსიერ ტყეებზე, დაუპყრობელ მწვეოვალებსა და სიმაღლიდან ვარდნაზე. წერდა ყველფერზე, რაც არ იცოდა. ხოლო რაც იცოდა, იმაზე არა თუ წერა, ლაპარაკიც ეზარებოდა.

— გაუმარჯოს, — ბიჭმა საქმიანად ჩამოართვა ხელი ბაჩოს. თანმხლებიც წარუდგინა, — ესეც მწერალია.

ბაჩოს უხერხულად გაეღიმა. ვერ იტანდა, როცა მისი ტოლები მწერლებად, ახალგაზრდებად, კომპოზიტორებად ინათლებოდნენ მხოლოდ სურვილის მიხედვით და არა უნარითა და ნვით.

— ეს რა არის? — უცებ გაუშინაურდა ახალგაზრდა ინბილი და თითი გახეთში გახვეულ კიკუს დაადო.

— არაფერი ისეთი..

— აა, ნუ ეშმაკობ, — გაუღიმა ძველმა ნაცნობმა.

„ვითომ გავს საწყალი კიკუია ბოთლს?“ — დაინტერესდა ბაჩო და თავალი შეხვეულისკენ გაიპარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წამოდი ჩვენთან ერთად, — ახლადგაცნობილმა ხელი გამოსწოდა ბაჩოს, — დილით მზის ამოსვლას ვუყურით.

— რაა?! — ვერ მიხვდა ბაჩო, სად ეპატიჟებოდნენ.

— მზის ამოსვლას ვუცქვიროთ.

ნიავმა დაუბერა და ქვემა ნაცნობმა უცებ იტაცა ხელი ერთ ორ ღერ თმაზე. ეტყობა, აბურძგვნის შეეშინდა.

— რატომ უნდა ვუყუროთ ყველამ ერთ დროს და ერთი ადგილიდან მზის ამოსვლას, რატომ?! — ხმას აუწია ბაჩომ.

— შენც ცოტა გვერდით დადექი და ისე უცქირე, — ბიჭს, თავიდან არ აეღო ხელი. ნიავი ისევ უწვალებდა კეფის ქვეშით ჩამოკონწიალებულ ორ ღერ თმას.

— ნახეთ, ვინ მოდის, — ბედნიერებისაგან თვალები დაუელამდა ახლადგაცნობილს.

შუა ქუჩაში მიაბიჯებდა მაღალი, წარმოსადეგი კაცი. მას გატენილი, უცეცხლო ჩიბუხი ეჭირა.

— დღეს ქალაქში თამბაქოს მოწევა აკრძალულია. — წაიჩურჩულა ორღერთმაჩეჩილმა (გაოცებისაგან თავიდან ხელიც კი აეღო).

— და, და... დედა, — ვეღარ უბამდა თავს სათქმელს ახლადგაცნობილი. — ნახე, რა გაბედულია, ნახე!

უცეცხლო, გატენილ ჩიბუხს ხალხის დასანახად აქეთ-იქით იქნევდა მაღალი, წარმოსადეგი კაცი.

— წავედი მე, — თქვა უცებ ბაჩომ. მერე შეხვეულს დახედა: — შენ ამათ ყველას ჯობდი, ჩემო კიკუია.

— არ გავათენოთ? — გული დაწყდა დაუპყრობელი მწვერვალებისა და გაუვალი ტყეების მწერალს.

„მიდით, გაათენეთ, უყურეთ მერე

ბაჩანა ბოსტონელიძე
ბოთხრიგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის ამოსვლას და ერთ სხივს მოუჭუტეთ თვალი“. ეს, რა თქმა უნდა, ხმამაღლა არ უთქვამს ბაჩოს. მან მხოლოდ მობოდიშებით გაშალა ხელები. — საქმე მაქვს, რა ვქნა.

— წამოდი, იმას ვთხოვოთ, — თვალით ანიშნა ორღერთმაბატრძენულმა ახლადგაცნობილს უცეცხლო ჩიბუხმოქანავეზე.

მანაც გახარებული სახით იმ წამსვე თანხმობა გამოხატა. დაუმშვიდობებლად გაიქცნენ ბიჭები.

ბაჩომ განაგრძო გზა. გზა, რომელიც საკმაოდ გაგრძელდა და რომელსაც უამრავი ნაცნობის სალამი ავსებდა. ბიჭს არავისთან არ უნდოდა შეჩერება. მხოლოდ მოღიმარი მწერალისკენ ეწეოდა დიდი წუხვილი თავისი დარდის, უბედურების გაზიარებისა.

— ისე, რა წესია, პირველად მივდივარ კაცთან და ისიც ტრიალით, — ფიქრობდა ბაჩო, — მაგრამ, ვიღაცას ხომ უნდა ვუთხრა, ვიღაცამ ხომ უნდა დამამშვიდოს.

ბიჭს ცრემლიც კი მოაწვა იმის წარმოდგენაზე, თუ როგორ მიიტანდა გულთან ახლოს ეს მოღიმარი კაცი მის გაჭირვებას.

სახინკლესთან შეჩერდა ბაჩო. ასე ხელცარიელი ვერ ავალო, გაიფიქრა და ახმაურებულ დარბაზში შეაბიჯა. რამდენიმე ქაბაბი გაახვევინა და ორი ბოთლი ლუდიც აიღო.

თითქმის სირბილით გასწია ჩუქურთმიანი სახლისკენ. სირბილითვე აირბინა კიბე. კართან შედგა. ერიდებოდა ზარის ღილაკზე თითის დაჭერა. როგორც იქნა, გაბედა ბოლოს და ბოლოს. ზარის გაწკრიალებამ ყოველგვარი უხერხულობა ჩამოხსნა.

— ოჰ, — ხელის აწევით მიესალმა მასპინძელი, — ამას ვის ვხედავ... შემოდი, კაცო, შემოდი!

ბაჩომ შეაბიჯა დიდსა და საკმაოდ დაკრიალებულ ოთახში (რატომღაც ბიჭს ეგონა, წესრიგის გარდა ყველაფერი დახვდებოდა აქ). ბაჩოს თვალწინ მისმა ციცქნა ოთახმა გაიელვა და რაღაც წამებში თავისი ღარიბული ავეჯის განლაგების რამდენიმე ვარიანტი წარმოიდგინა.

— უნდა გამოიარო ხოლმე ხანდახან, — უსაყვედურა მწერალმა, — უნდა შემაწუხო. მე სხვებივით კი არა ვარ.

ბაჩომ ბოთლები და ქაბაბი მაგიდაზე დადო. ქალალდში გახვეული კიკუ მუხლებზე დაისვენა.

— შენ ახლა რამე მოსაყოლი გექნება ჩემთან... თუ შემიძლია დახმარება, კი ბატონო, — მოღიმარმა მწერალმა ბოთლის გასახსნელი მოიძია საშინაო ხალათის ჯიბეში.

ბაჩომ ქაბაბს ქალალდი შემოაცალა.

— ქვევით იყიდე? — დაინტერესდა მასპინძელი.

ბაჩომ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

— საოცარ ქაბაბს აკეთებენ, — მოღიმარმა ერთი ლუკმა მოატეხა. — უჰ, უჰ, — ეტყობა ესიამოვნა, მერე ბაჩოს ხელი აუქნია, მე ნუ მაქცევ ყურადღებასო, — შენ მიდი, მიდი მოყევი... თუ რითიმე შემიძლია დახმარება, ჩემი თავი გენაცვალოს, — ჭიქებიც გამოიღო და ლუდით ოქროსფრად აავსო, — ასე უნდა დაასხა, ა, — აუხსნა ბაჩოს, — უკეთესი გემო აქვს, — მერე ჩაეღიმა, — რას არ ვიგონებთ... ისე ყველაფერს ჩვენსავე სასიამოვნოდ... მიდი, მომიყევი, მომიყევი, როგორც გინდა. სიუჟეტი გინდა, იდეა გინდა და თუ რამე შემიძლია, შენ გენაცვალოს ჩემი თავი.

ბაჩო ვერ მიმხვდარიყო, რა უნდა მოეყოლა. ეჰ, როგორ უნდოდა ეთქვა, ერთი თუთიყუში მყავდა, როელიც ძალიან მიყვარდა და ისიც მომიკვდაო, მერე ისიც უნდოდა, რომ კიკუს მოსაგონარი დაელიათ, თუნდაც სულმოლად გაეკეთებინა სიტყვებით. უკაბედად, თვითონ ვერ გაიაზრა, ისე ალაპარაკდა: — ერთი ძალიან ლამაზი გოგონა ცხოვრობდა. ჰოდა, უყვარდა ერთი ბიჭი, ამ ბიჭს არ უყვარდა, ჰოდა, ეს გოგონა განიცდიდა, განიცდიდა ძალიან ამ ამბავს...

— ამბავს კაია, — გაუწყვეტინა მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პინძელმა, — ამბავია, ბიჭო, სიყვარული, თანაც ცალმხრივი? ეს ამბელა ტრაგედიაა, — კაცმა ხელი ქაბაბისკენ წაიღო, — გადაიღე შენც.

— არ მინდა, — თავი გააქნია ბაჩომ.

— მიდი, მოყევი, მოყევი. მე ძალიან მიყვარს ახალგაზრდები და იცოდე, სხვებს არ ვეკარ. ისე, მანქანიანებს თუ იცობ შენ?

ბაჩომ თავი დაუქნია.

— ჰოდა თუ...

— კი, მესალმებიან, — ამედიანად თქვა ბიჭმა.

— უჰ, დიდი ამბავი, — გაიღიმა მასპინძელმა და მეორე ბოთლი გახსნა, თან იარლიყს დახედა. — გუშინდელია, — კმაყოფილმა გაიღიმა. უცებ გაბრაზდა, — რას ქვია მესალმებიან, თუ გიჩერებს ვინმე?

ბაჩომ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— წიგნი თუ უჩუქებია რომელიმე უფროს კოლეგას? თქვი, თქვი თუ უჩუქებია.

ბაჩოს ამდენი თავის გვერდზე ქნევის შერცხვა და იცრუა, უჩუქებიათო.

— დიდება შენდა, ღმერთო... მართლა, ის გაგრძელე, რომ მიყვებოდი.

— მერე მოკვდა ეს ლამაზი გოგონა. ჰოდა ახლა, დასაფლავების დღე რომ მოვიდა, ტიროდა მარტო დედა. ის ბიჭი კი სხვა ქალზე შეყვარებული, სხვა დიდ ქალაქში დარდობდა, რომ ცალმხრივი იყო მისი სიყვარული.

— უჰ, — მასპინძელმა ისევ ქაბაბისკენ წაიღო ხელი, მაგრამ ქაღალდზე მხოლოდ და მხოლოდ დაჭრილი ხახვი დარჩენილიყო, — კარგი ქაბაბი იყო, არა?

— დიახ, — დაეთანხმა ბაჩო.

— ახლა ერთი რამეს გეტყვი. ეს ამბავი თავისთავად დიდი არაფერია, მაგრამ გააჭნია, როგორ დაწერ.

— გმადლობთ, — ბაჩო წამოდგა.

— აჰ, რისი მადლობა. შენ იმუშავე და აქ არა ვართ. ისე ხანდახან უბრალო საგნებსაც უნდა ჩაუფიქრდეთ, — კაცმა ოთახს მოავლო თვალი და ბაჩოს პატარა კალთაში ჩაყრილ კომშზე მიუთითა, — რას გაგონებს?

ბიჭს კომშოტი მოაგონდა, მაგრამ გაჩუმება არჩია და მხრები უნერხულად აიჩეჩა.

— ოო, —თვალი მოუჭუტა მასპინძელმა, — მე, მაგალითად, რაღაც ძალიან ძველს, პრეისტორიულს მაგონებს.. .არა, კი არ მაგონებს, როგორ უნდა მოგაგონოს პრეისტორიული, არა? რაღაც სხვა სიტყვაა საჭირო... მოკლედ, შენ ხომ მიმიხვდი.

— დიახ, — ბაჩომ თავი დაუქნია.

— დაჯექი, ბიჭო. ერთი რამე იცოდე, ყველაფერმა რაღაცა უნდა მოგაგონოს, ოღონდ ისეთი, რასაც მარტო შენ კი არ გრძნობ, გესმის? ახლა, მაგალითად, თუ ვაშლი გაგორდა მწერლის რომელსამე გვერდზე, მოკლედ ნაწარმოების რომელსამე გვერდზე ან ლეღვის ხეს ფოთოლი მოწყდა ზოგიერთი აუცილებლად მოგთხოვს ადამი და ევა უნდა მოგაგონდესო, მაგრამ საქმე მთლად მასე არაა.

— წავედი მე, — ბაჩომ გახვეული თუთიყუში ამოიღლიავა და კარისკენ გაიწია.

— მოიცა, მოიცა, — შეჯაჩერა მასპინძელმა. — შენ ბატონი დავითის მეზობელი არა ხარ?

— დიახ.

— ჩემი ბოლო წიგნი არ მიმირთმევია და ერთი ეს დამიგალე.

საწერ მაგიდაზე დახვავებულ ერთფერ წიგნებში, როგორც იქნა, მტკიცედ აკინძული ამოარჩია მოღიმარმა მწერალმა, მერე კარგა ხანს წარწერას მოუნდა და ბაჩოს ფრთხილად მიაწოდა.

— ეს დამავალე ერთი და...

— კი, ბატონო.

მასპინძელმა გაზეთში გახვეულ კიკუს ალმაცერად გახედა და ბიჭს რჩევით მიმართა: — არაყს ნუ დაეჩვევი, არ გირჩევ.

ბაჩომ იგრძნო, რომ კანკალმა აიტა-

ბადრი ბოგონელიძე
მოთხრობები

ნა. მერე თითქოს გახვეული კიკუც შეინძრა. გაზეთი გაფხრიწა ჩიტმა. აფხორილი, წინანდელზე ბევრად გაზრდილი და აფერადებული ოთახში ამაჯბა-ჯდა. ღია ფანჯრის რაფაზე შესკუპდა და იქედან მაღლა, ცისკენ აიჭრა.

— სად მიდიხარ, კუკუ, მარტო მტოვებ?! — მთელი ხმით იყვირა ბაჩომ.

●

— წყალი ხომ არ გინდა, კიკუ? — გაღვიძებისთანავე იკითხა ბაჩომ. უცებ წამოხტა და სამზარეულოში ფეხშიშველი გატანტალდა.

იქიდან დაბრუნებულს ხელში წყლიანი თასი ეჭირა. ბაჩომ გალიასთან მისვლამდე ფანჯარაში გაიხედა და ოცნებაში წასული ხმით თქვა, — ნეტა, ვინმეს გავახსენდებოდეთ, კიკუ და დღეს გამოგვივლდეს, — მერე წყალი ოდნავ მოსვა და თასი აფხორილ, ჭრელ თუთიყუშს წინ დაუდგა.

კვირაღლე

სახლიდან გამოსული ისე ენერგიულად მივაბიჯებდი, რომ ვინმე შემხვედრზე ალბათ საქმიან შთაბეჭდილებას დავტოვებდი. უბრალოდ, ოჯახის მთელ შემადგენლობის კვირა ღილის ვითომ სერიოზულ საუბრებს ავარიდე თავი და ახლო მდებარე პარკს მივაშურე. ეს პარკი სავსეა ხოლმე პენსიონერებით. ახლაც ჭადრაკის თამაშით გართულებს წამოვადექი თავზე.

ერთი წყვილი დაძაბული სახით უჯდა დაფას, დანარჩენები ჩუმად იდგნენ. ზოგი ხშირად აქნევდა თავს, უკმაყოფილო რომელიმე მოჭადრაკის სვლით, ზოგიც თითქოს კარნახს აპირებდა, მაგრამ უკანასკნელ წამს გადაიფიქრებდა. უცებ ამ ალყაშემორტყმულ სკამთან ჩაირბინა ახლადფეხადგმულმა ბავშვმა, უფრო სწორედ, მოოლოდნელად გაისრიალა, ისე რომ არავის შეხებია და არც სვლა შეუნელებია.

გაღიმებულმა გავაყოლე თვალი და დავინახე ხელგაწვდილი როგორ გაიქცა დედამისისკენ. დედამისი კი ერთ-ერთი იმათგანი გახლდათ, ვინც ერთ დროს მიყვარდა და ვისაც ვუყვარდი. თვალის მოკვრამ ყველაფერი იმდროინდელი გამახსენა. დეტალურად, რა თქმა უნდა, ვერ მოვყვები, მაგრამ მე კი ნამდვილად თვალწინ დამიდგა დროც, საერთო ნაცნობებიც და ქუჩების მაშინდელი სურნელიც ვიგრძენი. განვლილ დღეებსა და საერთოდ ცხოვრების რომელიმე მონაკვეთს თურმე იმით ვიმახსოვრებდი, თუ მაშინ ვინ მიყვარდა.

სიმართლე რომ ვთქვა, ბევრი არც არავინ მყვარებია და კიდევ უფრო ნაკლებს მე ვუყვარდი.

— ნუ იტყუები! — წამოიკივლა უცებ ერთ-ერთმა მოჭადრაკემ და მეტოქეს ხელიც კი მოუქნია.

პარტნიორის რა მოგახსენოთ, მე კი ამ ნერვიულმა წამოკივლებამ შემაკრთო. შემაკრთო მოულოდნელმა ხმამ და კაფანდარას არაჩვეულებრივად ათრთოლებულმა სახემ.

მოხუცთა ჯგუფს გამოეყო მაღალი, სქელ ქამარში ბლუზჩაჩატნეული კაცი და აშკარად ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა: — ესენი უმთავრესად ცოდვიანები არიან... ახლა დაფაზე ვერ იტანენ ტყუილსა და უკანონობას.

ზიზღით გადახედა აღელვებულ მოჭადრაკეებს და შესაშურად ახალგაზრდული ტანის რხევით გაუყვა გზას.

იქნებ მართლა შეეშალა ტყუილში გამოჭერილს, იქნებ არ უნდოდა ეცრუა ამ ხნის კაცს? მაგრამ წარმოსადეგი მოხუცის ზიზღიანი მზერის უფრო მჯეროდა იმწამს და ვგრძნობდი, რომ ეს მზერაც დროის რომელიღაც მონაკვეთს ეკუთვნოდა. მონაკვეთს, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც ცოდვიანები გახადა, გააბინძურა ეს მოხუცები.

ბაბუაჩემიც თამაშობდა ხოლმე ჭადრაკს, ბაბუაჩემიც ჯაჭოანებდა იმ დროს. ბოლოხანებში, როცა სიბერე მაგრად მიეძალა, როცა ოჯახის წევრებსაც ვეღარ გვცნობდა, ჭადრაკის დაფასთან მშვენივრად ეჭირა თავი, ოღონდ ერთი რამ აქაც დასჩემდა, ცხენით სვლისას უჯრას ყოველთვის იპარავდა და როგორც არ უნდა აგეხსნა, რაც უნდა გეთქვა, მზა პასუხი ჰქონდა: — მე ასე მინდა და...

მოთამაშე პენსიონერები უფრო და უფრო ახმაურდნენ. ნელა გაეშორდი მათ და იმ ქალისკენ წავედი, ვინც ერთ დროს მიყვარდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ვისაც ვუყვარდი (ისე, მშვენიერი მოსაგონარია, ვინმეს ოდესმე თუ ყვარებიხარ).

მოკითხვის შემდეგ ჩამოვჯექი და რაღაც-რაღაცეები გავიხსენეთ. სხვათა შორის, ამას წინათ „რომეო და ჯულიეტა“ ენახა, ძალიან მოსწონებოდა და ჩვენც მაგ ასაკში ვიყავითო, გაუღიმა.

ახლადფეხადგმული ბავშვის გარდა, უფროსი, ხუთი წლის ბიჭუნაც ჰყოლია. მერე ისევე რაღაც მოაგონდა იმ ძველი, ლამაზი ამბიდან (მე ვფიქრობდი ასე, თორემ თვითონ დიდი სიფაქიზით არ იხსენებდა, ხშირად ეღიმებოდა, სისულელედ თვლიდა).

— მართლა, — უცებ სერიოზული სახე მიიღო. — იქნებ რაიმე მირჩიო ან კარგი სპეციალისტი იცოდე.

— რაა? — ღმერთო შეგცოდე, წმინდა და ფაქიზი არც მე მიფიქრია იმ წამს.

— იკა, მოდი აქ.

ბიჭუნა მოსვლისთანავე ძალიან ზრდილობიანად მომესალმა. ცოტა საცალოდ, უფროსულადაც, რაც სრულიად არ შეეფერებოდა მის ოდნავ მოსულელო სახეს, ასაკს რომ თავი დავანებით. მერე დედამისმა ყურში რაღაც უჩურჩულა. ბავშვმა დაქვეცებით შეხედა: — მართლა მეუბნები?

დედამისმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ბიჭუნა ჩემს თვალწინ რამდენსამე წამში შეიცვალა. ჯერ თვალებიდან მინანა და თავი უკან გადააგდო. მერე ყელიც მოიღერა და მზერა ცას მიაპყრო. სუნთქვადა ღრმად, რიტმულად, უცებ მოეშვა და ისევ ძველებური, ოდნავ მოსულელო სახე მიიღო.

— გინახავს რაიმე ასეთი? — მკითხა დედამისმა.

— არა, არ მინახავს.

— თუ იცი, რას შვრება?

— ვმღერი, — დამასწრო ბავშვმა, ისე რომ მოფიქრების საშუალებაც არ მომცა. — ჩემთვის ვმღერი, — გვერდით მომიჯდა და ფეხები აიქანავა, — როგორც მინდა, ისე ვმღერი.

— აი ტელევიზორში რომ ბავშვები მღერიან, ისე რატომ არა...

ვიგრძენი რაღაც მომაწვა ყელში. სწრაფად წამოვდექი. ოდნავ მომეშვა.

— მთელი ოჯახი გაგვაგიჟა, — ქალმა ფრჩხილი გაკვნიტა, — ვისთან მივიყვანოთ, აღარც ვიცით, — ისეთი თვალებით შემხედა, ალბათ საიმედოს ელოდა ჩემგან.

— აცალეთ, ჯერ ბავშვია. გაიზრდება და ისე იმღერებს, როგორც ყველა, როგორც წესია.

— ვის რად უნდა მაგის სიმღერა, — თავი ნერვიულად გააქნია და ახლა კი დავინახე ის გოგონა, რომელიც მიყვარდა. სწორედ ახლა და არა აქამდე. როგორ მიყვარდა თავის ეს გაქნევა...

ცოტა ხანში უმცროსი ატირდა. მე წამოვდექი და დავეშვიდობე.

კვირაობით, როცა მცალია, ბაბუაჩემის საფლავზე მიყვარს ასვლა. იმ დღესაც ბაღიდან გამოსული ვაკისკენ მიმავალ ავტობუსში ჩავჯექი. ასვლისთანავე ჩემს ყოფილ ლექტორს მოვკარი თვალი, რომელმაც ერთხელ ასეთი რჩევაც მოგვცა, თავისუფალ დროს ან კლასი-

ბადრი ჭოხონელიძე
ქოთხრობები

კური მუსიკის მოსმენით დაისვენეთ, ან უფროს ვაჟს ეთამაშეთ პინგ-პონგი (რა თქმა უნდა, სტუდენტთა უმრავლესობა იმ დროისათვის არც ვიყავით დაოჯახებულები). ეს იმის მერე ფვირჩია, როცა ყველას ცალ-ცალკე გამოგვკითხა, თუ რაში ვფლანგავდით თავისუფალ დროს. დიახ, ზუსტად ასე გვკითხა, რაში ფლანგავთო თვითონ ეი ისვენებდა!

ბაბუას საფლავი მაღლობზეა და, ჩემდა გასაოცრად, ძალიან მსუბუქად ავირბინე. ცოტა ხანი გამეხმარი ფოთლების მოშორებას მოვანდომე. მერე სკამს სული შეეუბერე და ჩამოვჯექი. უცნაურად ჩაწეულიყო საფლავი. ეს დამჯდარმა შევნიშნე.

მართლა ძალიან მიყვარდა ბაბუაჩემი. მიყვარდა თავისი სიმართლით, უღალატო გულით და ისეთი გამოუცნობით, რასაც ვერაფრით ვერ ჭონილავ. რაც ალბათ ჭაღარა, ტკბილმა მოხუცებმა თვითონაც არ იციან, ისე აკეთებენ ამას, ისე გაგრძნობინებენ.

დილით ადრე საწოლზე ჩამომიჯდებოდა ბაბუა.

— ჩემი ბუქუიე, ჩემი ბუქუიე, თავზე მომისვამდა ხელს. თუ შემატყობდა უგუნებობას, რაღაცნაირად, საკუთარი საქციელის შემმოწმებელივით გაიღიმებდა და იტყოდა, — მაგი არაფერი, მაგი არაფერი.

მოკლედ, თითქოს ეს მომფერებელი, თბილი ხელი ვიგრძენი თავზე, ღიმილიც დავინახე და ნამდვილად მომაწვა ცრემლი.

— ერთი ასი გრამი და ყველაფერი მოგეშვება, — ნიჩაბზე დაყრდნობილი წვერიანი კაცი მიღიმოდა, — ბავშვი არა ხარ, შენ თვითონ გეცოდინება, ასი გრამი ნამთვრალევზე მისწრებაა, — თვალიც ჩამიკრა.

რა მექნა? მეყვირა, თავი დამანებეთ, მინდოდა ბაბუა მეტირა-მეთქი, ან შევხვეწოდი?! არ ვიცი, მაგრამ ყველაფრის სურვილმა კი გადამიარა.

ეჰ, რა ბედნიერი ხარ, პატარა ბიჭო. მართლა, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ისე რომ მღერი, როგორც გინდა. გიყვირონ, გეჩხუბონ მშობლები. შენ მიდი, მიდი იმღერე შენებურად, სანამ სურვილი გექნება, სანამ გაუძლებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვრის მონასტერი

როცა ჟამთასვლა გაგიმწარდება —
სიცოცხლე უფრო ტკბილი ყოფილა;
ამგვარი რამე ნეტავ თუ ხდება, —
ინატრო, — იქვე დაიდო ბინა.
სვეტიცხოველი — მალამო სულის,
ჯვრის მონასტერი — ჩუმი დარაჯი,
ჩამედგა გული ახალგაზრდული,
ჩემებრ ცოდვილებს ღმერთი არა სჯის.
არა, არ დამსჯის, ასედაც ხდება,
კარგად არ ვიცით სიცოცხლის ფასი,
ცაში ღვთის ისე არ მერიდება,
როგორც მიწაზე ერთი ღმერთკაცის!
რა სიხარული, ცრემლი, ფერება,
რა შეწყობილი გულების ფეთქვა! —
ღმერთმა მაჩუქა ბედნიერება,
ღვთისთვის უარი როგორღა მეთქვა.
ჩაგებდაუჭე, წუთისოფელო,
ოჰ, ერთხელ კიდევ ისეთი ღამე! —
მისმინე ღმერთო, ყოვლის მპყრობელო,
ტანჯული სული კვლავ დამიამე.
ჯვრის მონასტერი ზეციერ გზაზე...
განმეორდება განა ის ღამე,
მაცდური, მაგრამ სიკეთით სავსე?!
თითქოს აღვსდექი, ვით ქრისტე მკვდრეთით,
ეს რა ზღაპრული ღამე ვათიე,
აღარ დავეძებ, წმინდაო ღმერთო! —
მაპატიე, თუ არ მაპატიე!

სამშობლოვ, ჩემო...

ისე მივდივარ —
ვერ შევიცან წუთისოფელი,
ეს მზე, ეს მთვარე,
ვარსკვლავები, —
საოცარია!..
მე საქართველოს ნაწილი ვარ
განუყოფელი,
და საქართველო, —
მარად ჩემი
სალოცავია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი გუთხუზი

ჯამრული

ღმერთო, ულხინე მთიულსა,
ბედისგან განაწირსაო!
არს უთოვარი მუშაკი
მცხოვრები მაღლის მთისაო,
მინდობილია შავ მთასა,
ვითა ნადირი ტყისაო.
ღვინო და ხილი არა აქვს,
წყარო ზრდის ტინი კლდისაო.

ხალხური

სონია ბურდულს, ეკიმს, ჩთიულეთის იმედსა და ნუგეშს.

I

— ამა, მშვიდობით! — მიუბრუნდა მწყეტსებს ჯამრული.

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ შეეოვნდა, მერე თეოზე ახლადმორეკილ ცხვარს გახედა. კვლავ ჩაილაპარაკა:

— რაღა გითხრათ, ჩემგან რაღა გესწავლებათ...

— ესე გვარიგებ, თითქოს ბაღლები ვიყვნეთ! — ამუზღუნდა შარუმა, პირველპარსავი და წარბებამდის ქუდჩამფხატული მოხუცი.

— ხვალ საღამოსვე აქა ვარ!

— ახალი ამბები არ გამოგრჩეს! — დაუძახა წიაწიგუელმა.

— არა... — უთხრა და ლომისალეკის ქედს გახედა, სადაც ვარდისფერი ღაისი ჩაფერფლილიყო.

— ჩვენებთან გადაიაროდე! — უთხრა თოლეკამ და ბეიტ თვალებში ის იდუმალი სიხარულის შუქი აუკიაფდა, რომელიც სახლთ თვეობით მოშორებული კაცისათვის არის მხოლოდ გასაგები.

— ჩვენ ჯალაფთაც დაავლოდე თოლი! — ახლა უკვე რბილი ხმით ლაპარაკობდა შარუმა.

საფერეხე იქვე ახლოს სხოდდა.

ჯამრულმა ცხენს დაუწრუპუნა, თან მისკენ წვიდა და ლაგამი მოიმარჯვა.

შავრამ ქოსა ბალახი ჩიჩვირით უბეში მოაგროვა, ღეკვით თავი ასწია, პატრონისკენ მობრუნდა.

ჯამრული მკვირცხლად წასწვდა, ლაგამი ამოსდო, ჯიდაოზე ხელი დაჰკრა, ცალი ლაჯი ათიმთიმებულ ზურგზე გადაატარა, მერე ქუსლი ჰკრა.

ცხენმა ლაგამი გაახრამუნა, ღელმართზე გეზად დაეშვა.

ცივი ნიავი უბერავდა, ტყეიისფერ ღრუბლებს მოაჯირითებდა. ცა კიდევ უფრო მუქად იქუფრებოდა. „გაავდარდება“, გაიფიქრა და მაღლა აიხედა.

„ჯერაც არ გიწვიმნია! გაავირა საკმე ამ სატირალმე!“ — ჩაილაპარაკა და ცხენი უფრო აიჩქარა.

ყოველთვის, როცა სოფელში ბრუნდება ათასნაირი ფიქრი აეკვიატება: თითქოს უკვე შინ არის, მონატრებულ ტოლ-სწორებს ემუსაიფება, მათთან ყოფნით ტკბება, მაგრამ სადღა არიან ისინი, ყველანი ქალაქს გიიგვეტნენ, თუმცა იქნებ სტუმრად ვინმე იყოს მოსული.

ახლა საკუთარი სახლ-კარი წარმოიდგინა. მივა და დედის ნახვით გიიხარეს, შინაურ ამბებს გიიგებს... გახარებულს სიმღერა რადმე მოსწადდა. ჯერ დაბალი ხმით წაიღიღინა, მერე უფრო გაუხალისდა გული, ხმას თანდათან აუწია, ხატობას ნაქეიფარივით შეეოსძახა...

ცოტა ხანს იყუჩა, გული მაინც უმღეროდა...

ფიქრსა და სიმღერაში გაროული ავდარსა გამოარკვია...

დაიქუხა. ცამ კოკისპირული დაასხა. ხეობა-ბიდან ნისლები გველეშაპებივით ამოცოცდნენ, მთელი არემარე დასუდრეს. ირგვლივ ალარაფერი ჩანდა. ალღოთი მიმავალი ცხენსაც მიეჯდო. შავრა გზას ნელა მიიკვლევდა...

ქარი გაავებული ქშუოდა. კოკისპირული ასხამდა. კუნდა... ელვის შუქზე არემარე წამით განათდებოდა, მაგრამ დელგმაში არაფერი ჩანდა. ნისლების უსიერ ტეტრში თითქოს ზღაპრული რაშით უკიდეგანო ცაში მისცურავდა.

— დგებ?ცეს სადინარი! — აღრენილმა წამოძახა.

ქუდიდან წყალი ირგვლივ ფურწურით ჩასდიოდა... მხრებში სისველე იგრძნო. კისერთან ნაბადი კარგად მოიხვია, თასმები უფრო მკიცრად შეიტკვნა.

დადგრეზზე ცხენი ფრთხილად ჩადიოდა. ახლად იყო დაქეფილი, მაგრამ ფეხი წამდაუწუმს უსხლტებოდა.

კარგა ხანს იშხრიალა და ირეხრეხა. მერე თანდათან იკლო. ბოლოს სულ გადაიღო და ქარიც ჩადგა. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრუბლები ფშვერვალებზე მიჭარდნენ. ჟამ-იქ ვარსკვლავები აკაშკაშდნენ. მათს მკრთალ შუქზე ირგვლივ მიმოიხედა. სულ სხვა გზით წამოსულიყო. ძალიან არ სწუხია მხარის ცვლა. შინ აქედანაც გავიდოდა.

სოფელი სიბნელეში ოკროსფერი თვალებით ბრდღვიალებდა. სადაც ვიღაცის ძალი აუეფდა. კლდოვან შარაზე ცხენის ფეხის ხმა თანაბრად ისმოდა. საფერხე ნაბიჯით მიჰყავდა თანაბრად ისმოდა. საფერხე ნაბიჯით მიჰყავდა და სოფელს რაც უფრო უახლოვდებოდა, თანდათან უფრო კარგად გრძნობდა ახლადმოწვეული რძის, საკონლისა და ნესტიანი ღამის გრილ სუნნელს. „ვინ იცის, გამოვა? არ დამიბარებია და... ცვდი, თუ გამოვიდა...“ გაიფიქრა და ჩამოხტა. გზას ქვეითად გაუდგა. მაღალი ყორით შემოღობილ ეზოში წამომარაფთულ სახლს გახედა. ძალებით ჩახრახლული შესახსელეთის წინ შეჩერდა. ამ დროს სინათლე ჩაქრა. ჯამურულს სახეზე მური ჩაეცხო. ადგილიდან მაინც არ განძრეულა. „ვაითუ ძალელ გამამტეოს“... გაიფიქრა. წამით სუნთქვა შეუკეთა. განაბულმა სახლის წინაშო მოადგილერა. მერე ფრთხილად დაუსტვინა.

მოლოდინში ნელა გადიოდა წამები, წუთები... საპასუხო რამ არაფერი სმენია. სადღაც მარტო ძალი ალავლავდა, მერე ისიც მიჩუმდა. „ლაბათ, ჯერ არ აუშვიათ“.

ხანი რომ გამოხდა, ისევ დაუსტვინა. ფეხის ჩქამს დაელოდა. კვლავ ზანტად მიზოზინებდნენ წამები, წუთები... ცხეს? ოფლისა და გალეკილი ბალახის სუნი უდიოდა.

ძალელი კვლავ ალავლავდა. ჯამურულმა სმენა დაძაბა. თითქოს მოესმა: მეეფარი ჩუმად ვიღაცამ დატუკუსა. ძალელი მაშინვე გაჩუმდა. მერე ფრთხილი ფეხის ხმაც გაისმა და თვალებ-ლებდაცეცებუნუმა ბნელში მოჰეფალი ლანდი შენიშნა. იგი ბირხლებთან მოდგა.

— რომელი ხარ? — გაისმა შიშისაგან ატანილი ქალის სუსტი ხმა.

— ჯამრული.

ცოტა ხანს ხდუმდნენ ორივენი.

— ცხენთან დამელოდე, — წაიჩურჩულა და ისევ გაუჩინარდა.

განმაო საგარეულო ციხე ეწოს თავში იდგა. ირგვლივ ნაშალი გალავანი ერტყა. ჯამრული ახლა იქ მივიდა, ცხენს ლაგამი ჩაჰკარა, სახალხოდ გაუშვა. გუდა მოიხსნა და კედლის ძირში მიდო. მერე ნაბადი გაფინა. ზედ წამოწოლილმა ბნელში გაიხედა. ახლომახლო ღამურები დაფარფატებდნენ. ხანდახან ვარსკვლავი მოსწყდებოდა სადღაც. წამით კაჟაშა კვალს გაავლებდა, უეცრად ჩაქრებოდა.

თამარი ჯერ არსად ჩანდა. აიბნელეშა მზოლოდ ცხენის ხრამაბრუში და ფრუტუნი ისმოდა.

უეცრად ყორის ქვების ხათქაბუთქი გაისმა. წამოიწია, „მოდის, გაიფიქრა, მისი ახრდილი ბნელში ძლივს გაარჩია. იგი ახლოს მოვიდა და შედგა. „მეძებს“...

— მე ვარ, არ შეგეშინდეს, — წაიჩურჩულა და ქალიშვილს მიუახლოდდა.

როგორც კი მისი ხელის ფრთხილი შეხება იგრძნო, გოგო უმალვე აცახცახდა.

— არ მამელოდი, განა!

— რატო არა!

— დაპირებული რო არ ვიყავი?

კისერზე ხელები მოხვია და ვეფს ათქვერეული მკერდით მიეკრდნო. მთელი ტანით კანკალებდა. ჩქარჩქარა სუნთქავდა და გაშმაგებული ჩკოცნდა. ბოლოს მოთენთილივით მოეშვა.

ჯამრულმა იგი აიყვანა და ნაბადზე დაწვინა. თვითონაც გვერდით მიეწვა. ღამეულ ბინდში მხოლოდ ცხენის ჩქამი და მათი ჩუმი სუნთქვა ისმოდა.

იქვე ახლოს რაღაც გახმაურდა. ვიეშა პირველმა წამოიწია, ცხენს გახედა. ალბათ, მომეჩვენაო, ვაიფიქრა და მყისვე გოგოს მიუბრუნდა. უმალვე ნაწვიმარი ბალახისა და მისი თმის სურნელი შეიგრძნო. თვალებში ჩახედა. თამარის მრგვალი სახე ბრინჯაოსფერად უკრთოდა, თვალთა გუგებში ვარსკვლავები უციმციმებდნენ...

კვლავ ალოცა. ყვრიმალი ღაწვზე მიეხუტა და უმალვე დაუხვეველდა. მერე წამწამებზე ხელის ნები მოეხვა. თამარს ცრემლით დატბორებოდა თვალთა უპენი.

— რა გატირებს?

— არც რა!

ორივენი წამოდგნენ.

ახლოუფენებული ძლივს დამშვიდდა, ვაფს ხელი მოხვია, ცერებზე აიწია, ყბაზე ძლივს მისწვდა, აკოცა და გაშორდა.

— რა გეჩქარება?

— მეშინია, ჩვენებმა არ გამიგონ... როდის გამოგზავნი მარჯაკლებს?

— ნუგეშოთ.

— მოვრთოთ მითხარ!

— ხვალ, ან ზეგ.

ჯამრულმა გუდა წამოიკიდა, ნაბადი დაკეცა, იღლიაში ამოიდო და ცხენს მისწვდა. გზა ქვეითად ჩაიარეს. ეოგომ შინ შეუბერეა. ვაფი ამხედრდა, საფერხეს მაორახი გადაჰკრა და მძიმე ფლოქვების თქფფთქუფი გაისმა.

ქალაშვილი წამით კედელთან აიტუზა, მერე გზას გახედა და დაინახა: ქვიან შარაზე ნალები აკვესებდნენ.

II

შინ გვიან მივიდა. ცხენი ბალაზზე გაავდო. ბაკში შერეკილი საკონელი დაათვალიერა და სახლს გახედა. როცა დერეფანს დაუახლოვდა, დაბლა ოთახიდან გამოქერთალი სინათლე შენიშნა. გაუკვირდა, მერე კიდეც შეშფოთდა. ეგონა: ცუდი ამბის გამო ფეიზლოამდნენ. ფანჯრიდან შეიხედა. კერპარაში ხოშია საკმაოდ. ნაბადი იქვე, კოდზე გადაფენა. ქუდი დაიქნია, დაწკრიტა და ისიც ზედ მიაგდო. აწეწილი თმა ხელით გაისწორა და შევიდა.

— ღამემშვიდობისა, დედავ! — მიესალმა და გუდა კიდობანზე დადო.

— მშვიდობა მოგცეს ლომისამ! მოხვე მშვიდობითა! — საწმისზე ფეიზორთხუული ოდნავ მობრუნდა, თავსაფარი უკან გადაიწია, ჭალარა თმა და ჩალეული საფეთქლები გამოუნახა, ღინღილანსა და მაქმანარ ჩარბზე ბრაშოდაკი ხელის ზურგი მოისვა და შვილს შეხედა.

— დამხვდი მშვიდობითა! ხო კარგად ხარ სახლ-საკონლითა? — ჰკითხა და ხანჯალი ქამრიანად კედელზე დაკიდა.

— დღესნამდე არა მაშავ... რას ეხეტები ამ დროსა? სად იყავ ვა, საიდან მოხოლ?

მოხუცს გამეჩხერებული და ბორეეული კბილები ჰქონდა: თავს ძალას ატანდა, სიტყვები როგორმე სწორად წარმოეთქვა, რათა ნათქვამისთვის მეტი სიმტკიცე მიეცა.

— ცხვრიდანა, — უპასუხა და ლამპარს პატრუქი აუწია, სკამიც იქვე აბლის დიდგა. დამჯდარს ურცანსა და პიტნის სუნი ეცა. მოხუცს ორობზე გაეფინა ბალახეული. მათს ნადუღს წამლად ხმარობდა.

— რა დროს სიარულია ეხლა, შვილო!

— რა უდროსია... ავდარმა მაჭისწყრო, გადაღებას დაველოდე.

ხოშიამ ტარი დაამბრუნა, ფთილა წვრილად დაიგრიხა და მაღლა აწეულ ხელს ბუნდოვანად ფერი თვალებით გახედა.

— ცხორი უნდა ჩავაბაროთ.

— იმით ჩამოხვე?

— ჰო. დღეს დაარჩიეს და ჩამოლალეს. ამაღამ ჯაბანი ედგმება, დილას გზაში შავეხვდებით ერთიურთს.

— პური გემშვება, — ჩაილაპარაკა მოხუცმა, თან ტარს ნარინი ჩაახვია.

— მშია, მაშ! ხორცი რამ ჩამოვიტანე, ვეღარ მოგვესწრება?

— ამა ეხლა რაღა დროს...

— შიშჭინაა, მალე მიიხარშება.

— ხორცი დილაზე, ეხლა აპეუერაოს გაგიკეთებ, — თქვა და წამოდგა, კარადის კარი აკჭრიალა, ტაფიი ერბო და ოლანში გამხმარი ხაჭოს კვერები მოიტანა.

ეელის ხმელ ფიჩხებს ჯამრული მკვირცხლად მისწვდა, დაამტვრია, ბუხარში შეეყარა, ზედადგარი დადგა, ნავთი მიასხა, ასანთი გაჰკრა და ცეცხლი დაავაზო.

მოხუცმა ზედადგარი გაასწორა, ზედ ტაფა შედგა, ერბო გაადნო და, რიცა ანშიშნდა, ჩაფშვნილი ხაჭო ჩაყარა და მოერია. ვახშამი უკვე მზად იყო. ხოშიამ შვილს ტაბლა დაუდგა, მერე პური და ყველი მოიტანა, ამას ყანწი და წინწანაკოთ სავსე ჩარეკილე მოაყოლა, თვითონ ისევ საშინაზე ფეხთ მოიროხა და როვა გაანარეხა.

ჯამრულმა არაყი დაისხა, დაილოცა და დალია. მერე ყანწი ტაბლაზე დაავხო, პურს ყუა წაატეხა და ხაჭოერებოს ამოუჭრია. მადიანად ილუკმეგბოდა, თანაც დედას უყურებდა. მოხუცს დიდი, კაცივით ხროხი სახე ჰქონდა. ნაადრევად გატეხილი ძვალტყავადდა ქცეულიყო, მაგრამ მაინც ზორბა ვასლდა.

ხოშია ხელების ჩვეული მოძრაობით საკმაოდ. შავი კაბა და გახრეშილი რუხი ჯუბანი ეცვა. თავზეც შავი ჩიქელი ეხვია, რომლის ყურებიც კისერთან ჰქონდა ჩახსკნილი. თავშალიდან ხეშეში ქალაო მოეწანდა.

ეკანასკნელი ლუკმით ტაფა მოასუფთავა და ვვერდზე გადადგა.

— არაყი კიდევ დაისხი.

— მეტი არ მინდა, — თქვა და გაიღიმა, თავი მორცხვად ჩაღუნა, ცეცხლს მიაშტერდა.

ხოშიას ეუნნაურა შვილის საკითელი. ალარც მოუშორებია მისთვის თვალი.

ჯამრული კიდევ უფრო უხერხულად შეიშმუშნა, კაი ხნის ყოყმანის შემდეგაც გაბედა:

— რაღაც უნდა გითხრა, დედავ, — ჩაილაპარაკა ხელების ფშვნეტეტით.

მოხუცმა თავსაფარში თმა შეისწორა.

— თქვი, რა გინდა?

ჯამრული ერთხანს მაინც ყოყმანობდა.

— ცოლი უნდა მოვიყვანო...

ხოშიამ გაიცინა და წუნარად ჭკოთხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისი ქალა გინდა?

— განძათი.

— ხუჭისა?

— ჰო.

— თამარი?

— მაშ საჩემო ხმა ვინა ჰყავთ?

— მეც გამიგონია ე გოგო, ნანგითი კი არსად მინახავს. ტაგრუეს რასმე იტყვიან, — მწარედ გაჯილიკა მოხუცმა.

— დამიშალი, როგორც გეტყობა, — მოილრუბლა შვილი.

— სხო ვინმე ვნახოთ.

— მაგის მეტი სხო არავინ მინდა. პირობა გვაქ დათქმული...

ხოშიამ ბუბარს გაუშტერა თვალი. მერე კაბის ჯიბიდან თუნუქის მრგვალი ყუთი ამოიღო, ნესტოებში მწიკვით ბურნუთი შეიყარა და დაიცხიკვა.

— რას იტყვი, დედავ?

— რა უნდა ვთქო?

— კარგი ქალაა თამარი.

— სადა ნახე?

— საკოხის ფერმაში. მასაკეთო ხშირად ვხვდებთო...

— მიეუგზავნოთ მარჯალეტი?

— ბიძაჩემ ანდრიას ვუთხრათ.

— ანდრიას, გაგელსა...

— გაგელი არსად გასაგზავნი არ არის!

— მაშ უმისოდ როგორ იქნება!

— როგორა და კარგა!

— ჯერ ერთი, ეწყინება და დაიმდურეს, მეორეც, ხალხი რას იტყვის?

— რაც უნდათ, ისა თქონ! იციან რა დახელთილიც არის. ორიოდე ჭიქა რო დალევს, დასაბმელი გიეი ხდება, მაგას რა უნდა იქა!

— როგორაც უნდა იყოს, შვილო, უმისოდ... — არ იშლიდა მოხუცი.

— ეს ისეთი საქმეა, იქ ქკვიანად უნდა ლაპარაკი, გაგელი საქმეს კი არ გაკეთებს, ჩაშლის, მაგან ხო დაუფრთხო ხალხს ანგელოზები.

ხოშიამ რთვა განაგრძო.

ჯამრული გარეთ გავიდა. ირგვლივ მიმოიხედა: ნამგალა მთვარე მთებზე დამდოვრებულ ცრიატ ნისლში ჩაფერფლილი მუგუზალივით ბუუტავდა. კუოკუტის ყელიდან ცივი ნიავი უბერავდა და არაგვის ზარიანი ხვივილი მოჰკონდა.

ივანაზუბ ავიდა. ლოგინიც იქვე გაიშალა და დაწვა.

დილით ადრე გაეღვიძა. უმალვე საათს დახედა. ჯერ კაცსი არ იყო. ისევ მიდო თავი, მაგრამ ძილი ალარ გაეკარა. გაეუოწდა, მაგრამ... ბოლოს წამოდგა, ჩაიცვა, დაბლა ჩავიდა.

ხოშიას საქონელი გამოეშვა, ხარები ბალახზე გიერეკნა, ძროხებისთვის ქვამარილი მიეკერძებინა, დაბალ სამფეხა სკამზე იჯდა, მუხლებში ტაგანი ჩაედგა, სწველიდა. რძის თეთრი ლაჯრები ტაგანში რიგრიგობით თანთანბედნენ.

ჯამრულმა საპონი და პირსაწმენდი აიღო, დადგა დაეშვა, ხელ-პირი ხეგში, ღარის წყალზე დაიბანა. შინ რომ ამოვიდა, კვამლით გაშავებულ ოთახში მიმოიხედა და ფიცარულ საწოლზე ჩამოჯდა. მალე ხოშიაც შემოვიდა. სავსე ტაგანი ბუხრის გვერდით დადგა, თავსაფარი შეისწორა. ჩუმად აშიშნებული თეთრად მოგდებული ქაფი თანდათან შრებოდა. ჯამრულმა ახლად მოწველილი რძის სასიამოვნო სუნი იუნოსა და დედას შეეხედა.

— ხო არ დალევ?

— ცოტას.

ხოშიამ რძე ბადიაში ჩაუწურა, გაუვსო და მიაწოდა. ჯამრულმა იკი ნახევრამდის მოსვა, მერე პატარა ულვაშებზე თეთრად შერჩენილი ნალეკი მჯიღით მოიწმინდა, დედას უთხრა:

— ხორცი ჩავეკოთო.

— რო ალარა გვაქვს?

— წუხელ მოვიტანე... გუშინ შიშაქი მოგვიკლა საგრძავმა...

ხოშიამ რძე ჩხუტში ჩაასხა, მერე შვილს მიუბრუნდა. მას ბადია ორივე ხელით ეჭირა და რძეს ნელ-ნელა წრუპავდა. ბადია ბუხართან დადგა, ფამიდგარი გუდას მისწვდა, აქნილი ფეშხოები ამოიღო და ტაბაკზე დაიწყო მერე თანგირაში ჩაკუწე, ცოტა წყალი დაასხა და ცეცხლზე შედგა.

— გაგელი ხუ არა ყოფილა აკა?

— გუშინწინ იყვნენ, ბალლებიც აქა ჰყავდათ... ბალახი ინან გამითიბა, ვენაცვალე...

— როგორ არიან?

— არა უშავთ რა, — უთხრა და გავიდა.

ჯამრულმა ბუხარს შეხედა. გაფიცხებული იელის ფიჩხი საამურად ბურბურებდა, ვარდისფერ ალში ჩაჰკდარი ქვაბი წყაწარად შიშინებდა. მარტოს ალარც თავად დაუდგა შინ გული, გარეთ გავიდა და სახლს უკან ეწო მოათვალიერა. ბალახი გაგელს ისე ირჩი ეთიბნა, ცელისთვის სულ მიწა ეღოკენებინა. ზოგან ქიაბნვველების ბუდეც იყო ყველივით მოოლელი. ირგვლივ ჩამქნარი ბალახის სასიამოვნო სუნი იდგა. ნამხრეულებზე აქა-იქ ლოკოკინებს ევლოთ. ფოთლებზე გაგლესილი ლორწოზე ახლა მზის შუქი ოქროსფად ციმციმებდა. ასკილის ჯუკა ბუჩქის ტოტებში გაბმულ ობობას ქსელზე ნამის პაპანა წვეთები ისე მოჩანდა, თითქოს ალმასის ფუნჯრალები მძიგები აეცხამთო.

უკან დაბრუნებულს დედა შინ დახვდა. მინდვრიდან. ბოსტანზე ამოვიდო ხოშიას, ცოტა რამ ქინძი დეტრიფნა, ჯამში ჩიტრა. ახლა ოთახში მწვანილისა და მოხარშული ხორცის

ხახიამოვნო სუნი იდგა. ქვაბი დუღილით თავს იკლავდა.

— ნეტა ვერ მიიხარშებოდა?

— იქნება.

ჯამრულმა განჯინიდან ქაჟერი გამოიღო, ქვაბს ამოუტია, ერთი ნაპერი ხელით გასინჯა, მერე ჩაკბინა და თქვა:

— მოხარშულა.

ხოშია ახლა ნიორს არჩევდა და კბილებს ფილში ჭარიდა.

— ეგრე მივატანთ, დედავ, არ უნდა დანაყავ.

— ნიორწყალში ამოვლებული სჯობია.

ჯამრულმა ქაჟერი მაგიდაზე დადო, დედას მიუბარუნდა, გაიღიმა და ჰკითხა:

— მაშ არ მოგწონს თამარი?

— აბა რა ვიცი...

— მთელს ჩვენს მთამთიოლეთში მაგისთანა გოგო არ იქნება.

— რატო, კარგები სხვებიც არიან.

— თამარი ყველასა სჯობია.

— კარგია და მოვიყვანთო.

ხოშიამ ქვაბი გადმოდგა, წვენი ტაშტში გადაასხა, ხორცი ხოხობზე წამოაყარა, ზედ მწვანილ-მარილი მოაყარა.

— წავალ, ანდრიას დავუძახებ, — თქვა ჯამრულმა და გავიდა.

ხოშია ფიქრებში გარინდული ფუსფუსებდა. ხოხობა მაგიდაზე შედგა. მერე ყველი, პური და არაყი მოიტანა... შეიღლის დაკორწინება, ახალი წევრის შემომატება უბრალო საქმე როდი იყო. ხოშიას, თავათ ჩუმსა და ჭკვიან დედაკაცს, ჩხუბი და აყალმაყალი სხვისიც ეჯავებოდა და არ უნდოდა, მეზობლების სალაპარაკო გამხდარიყო.

ეზოდან ბიძა-ძმისწულის ჩქარი მოისმა. ცოტა ხნის შემდეგ ანდრიამ დუქით გაკოხილი ჩექმიანი ფეხით ზღურბლს გადმოალაჯა, საკართანოს შეჩერდა და დიდრონი, თუთუნის კვამლისფერი თვალებით შემოიხედა.

— გამარჯვება, ძალო!

— გაგიმარჯოს, ჩემო მაზლო!

ანდრიამ მოთიბული ბალახის, ოფლისა დ. ყვავილების თავმრუდამსგეველი სურნელი შემოიტანა.

— როგორ რასმე ხარ, ქალო, ვერსად გადმოგიარე, საქმე მამერია მენაცა.

— ეჰ, რა ყრია ჩემს ყოფაში. ფეხზე კი ვყუდივარ, ეგ არის, სხო რა!

— ნუ იცი წუწუნი! მტრის გულისად ნუ გახდები ოღომცა და... ძალიანაც რომ გიჭირდეს, ძაბუნად არავის ეჩვენო, თავი ყოჩაღად დაიჭირე! — უთხრა და ხოხრის გახედა.

ახლად ამოღებულ ხაშლამას ჯერ ისევ ოხშივარი ასდიოდა. ცხელ ხორცზე პოყრილი მწვანილი უკვე მთთუთქულიყო, მარილი კი ორთქლში დნებოდა.

ანდრია მაგიდისკენ ნელა წავიდა. სკამზე ჯდომა ეგასწია, პაპიროსის ნაბეწი ბუხარში შეაგდო და ჩაახვეტა. მას კრაველის მაღალი, განიერი-ცალი და ჯვარამოსახული კუდი ეხურა. სამხედრო ფორმის მწვანე მაუდის ბლუზა და ლურჯი, შინნაქსოვი ტოლის გალიფე შარვალი ეცვა. ბლუზაზე ყვითელბლანთიანი ბრტყელი ქამარი ერტყა.

ჯამრული ხელადას წაეტანა, სავსე ყანწი ბიძას გადაუწოდა.

ანდრიამ ქუდი მოიხადა, მუხლზე დაიდო და მსხვილი, ჯაფისაგან ადკირჭვებული ცალი ხელით ძმისწულს ყანწი გამოართვა. მეორით თეთრად მოლოპრილ დიდ თავზე გვერდდან ზმა გადაისწორა, თანაც გაბოლილ ჭერს ახედა და ჩაილაპარაკა:

— ღმერთო, შენ შეეწიე ჩემი ძმის სახლსა და ბიზანსა, ბარაკა დაუდეგ ნაწვეულსა, ნადღვებსა, მპლავნასა, ფუფსა, პოროსა...

ხოშიამ მაზლს მადლიერი თვალებით გაეხედა. ანდრიას ოდნავ მაღლა აწეული ნიკაპიდან დაჩეტილი ღაბაბი მეიდრიდ შეკრული საყელოზე ეფინა და ღვთისადმი მოღალადეს განზე გაფშეკილი შავი ულვაშები მერცხლის ფრთებივით უტოკავდა. მისი ლოცვა ოხუცს იმედად და ნუგეშად ესახებოდნოდა. ძაღლის მაყურებელს უმაღლე გაახსენდა. ოცი წლის წინ დაღუპული ქმარი თუმცა უკვე კმოფილი ჰყავდა, მაგრამ მაინც გული აუჩუყდა.

ანდრიამ ყანწი გამოცალა, არეული შეცვარული ულვაშები ცერით გადაიწმინდა, ხორცს მიეტანა.

სუფრასთან ხოშიაც მოვიდა.

— დილის მადლი შეგვეწიოს, ღვთის მადლი.. კეთილ საქმეზე ხელი მოგვიმართოს... — ჯამრულმა არაყი დალია და ხოშიას მიუბარუნდა:

— შენ კი არ გინდა, დედავ?

ოხუცმა თავი უსიტყვოდ გაიქნია.

ჯამრულმა სასმისი კვლავ შეავსო.

ანდრიამ ახლა ძმის შესანდობარი დალია. განთქმული მონადირეს, ზვავისაგან უდროოდ დაღუპულს დამრჩომთა კარგად ყოფნა უსურვა.

ჯამრულმა ყანწი ახლა დედას გადაუწოდა.

— აბა, დედი, მიაგონე მამაჩემი..

მაზლის ნათქვამი ხოშიამ მოულოდ გაიმეორა, თანაც სასმისი ანდრიას შესთავაზა.

— შენ თავათ დალიე ბოშიაკ, დალიე!

— ეჰ, აბა მე...

— დალიე, თორო გაგიწყრება გიორგა, იქ ალარ მიგიშვებს!

— არ მიმიშვებს და ეგრე იყოს, აბა რა ქნა!

ანდრიამ რძალს ხორცისაგან გაპობილი ხელით ხარის რქა ჩამოართვა, ულვაშები გადაიწმინდა და ლოპისის სადიდებელი წარმოსთქვა.

დაცილილი ხასმისი ხელადის გვერდით მიაგდო და ლურთს წაეტანა.

ჯამრულს თვალი უანწყისაკენ წაუვიდა. მას კარგად ეტყობოდა ანდრიას ქონინანი ნათითები.

როცა ბიძა-ძმისწულის წინ ძვლების გროვა დადგა, მაშინ კი გაიწმინდეს ხელები და ტუჩ-პირი. ჯამრულმა სკამეზე აჩეარების გამო მოიბოდიშა, აზეზებულმა ცოტა წყალი დალია და გავიდა. ანდრიამ პაპიროსი ამოიღო, ბუხართან მივიდა, ჩაფერფლილ მუგუზლს გაუბერა და მოუკიდა.

— ჯამრულმა ზეაში არა გითხრა რა? — წასჩურჩულა ანდრიას ხოშიამ.

— კი.

— შენ ხუ არა იცირა ამ ქალაზე?

— არაფერი.

— რას გვირეე, მაზლო, დადგოთ ხელი?

— აბა, თუ ბიეგოგოს ერთურთი უყორო, შენ რამდენიც გინდა უარი იძახო, ტყუილად ავი და შავი გამოხოლ.

— რაც იქნება-იქნება... როდის წახოლთ პირის საკითხავადა?

— ხვალლამ მეცალება.

ანდრია ისეე ჩამოჯდა. დრო და დრო ხელს გაწყე გასწევედა, პაპიროსს წეკიაურტით ფერფლს წაეპერტყავდა.

— მაშ მე დროისთვის დავიბარეე გაგელსა.

— შენი ნებაა, — თქვა და წამოდგა.

— რა გეჩქარება?

— ხათიდან წამოვე... აბა, მაშ ხვალისთვის ცოტა რამ მოგვიმზადე და წავოლთ, — თქვა და გავიდა.

III

ჯამრული მაღლა ოთახში ავიდა. კარადის წინ გაჩერდა. წელში ოდნავ რომ მოიხარა, სარეკში თხემით ტერფამდის გამოჩნდა. თავის ორეულს ცოტა ხანს უყურა. გასაპარსი იყო, მაგრამ არ ეცალა.

ახალი ტანისამოსი გამოიღო და ჩაიცვა. დაუბანელ ტანზე სუფთა პერანგი ეჩოთირა. უამურმა გრძნობამ ყოველა მოაგვარა. ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს სამოსი ზედ ეკერებიაო.

კიბე ჩექმების ბრაგაბრუვით ჩაირბინა და ძირს ჩავიდა. წყარიდან მომდინარი დელი შემოეკარა.

კარგად გამოწყობილი შვილი რომ დაინახა, ხოშიამ თოლუნა მოიხსნა. ჯამრულმა მას ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა. მოხუცი მიბრუნდა, შვილს თვალი გააყოლა. სანამ ხერა გადაეფარებოდა, მანამ უყურა, მერე იქვე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. „როდის გავზარდე ამოდენა ვაჟკაცი... რა სულელი ვარ მე ბებერი, რო ეს ერთი ბალელი მყავ და ესეე სანეზავად მენატრულეა. რა ყარია ჩემს სიცოცხლეში? ორი პარასკევი აღარ დამრჩენია და, სანამ პირში სული მედგმეა, მანამ მაინც გვერდითა მყავდეს... რა უნდა იმ სატიალ ცხოვრში, დღე და ღამ შიგ არის და რა შამაჯეს იმის ფასი? დავაკორწილეს და გვერდიდან აღარ მოვაშორებ, თავს როგორმე გავიტანთ, აბა რა ვუყოთ...“

ჯამრული ჯაბანს ქიმბარიანთ ბოლოს დაეწია. მოხუცს ცხვარი კარგად ეგალახებინა და ეზაზე ნელა მიედიოდა. ჯამრული მას მიესალმა, მერე ნელა ჩამორჩენილ თოხლებს წამოუარა, წაუსტვინა და მათრახი გაუტყლაპუნა. დამფრთხალი ცხვრები გაიქცნენ, ჯგუფად მიმავალ ნოტოში შეერევნენ.

არხეინად მიდიოდნენ ვაცები, ძმიმე დუმებს ზანტად მიიქნევდნენ ყოჩები, მათ კოჭლები მიჰყვებოდნენ.

ნალვარეეს რომ გასცდნენ, მოსახვევში ავტობუსი გამოჩნდა. სანამ ჯაბანი ცხვარს ეზიდან ნაპირზე გადარეკდა, მანამ შოფერმა მანქანა ჯიქურ მოაგდო...

— ნელა, ჰეე... ბნელა?! — შეჰკვირა გულმოსულმა ჯამრულმა.

შოფერმა ავტობუსი დაამუხრუჭა, კარი გააღო და ნახევრად გარეთ გადმოხრილმა მწყემსებს დაუთათანა:

— ვერა ხედავთ ამხელა ავტობუსსა? მამარიდეთ, ჩქარა მამარიდეთ! რა წყნდალუკვეტილებიეთ მოლაყუნობთ?

ჯამრულს ბრაზის ცეცხლი წაეკიდა, შოფერთან მიიქცა, საყელოში წასწვდა, მოელი ძალით დაკაჩა და ძირს ჩამოათრინა.

— შენ თავათ გვაკალე, ვერა ხედავ ამოდენა ცხორსა? — ცბილებში ზიზღით გასცარა და გუდურასავით მალლა აიტაცა.

— გაუშვი, არ მაპკლა ეგ უბედური, კაცო!— დაუძახა ჯაბანმა და წინ წასული ისეე უკან გამოიქცა.

ფერდაკარგული შოფერი მკლავზე ისე წეაპოტინა, თითქოს წყალწყდებული ხავსს ეჭიდებაო. ფეხები ბირნი უმწეოდ გაასავსავა, ეგონა, ძირს დამახეთქეხსო. მაგრამ ჯამრულმა შეიცოდა: ნელა დაუშვა, თან შეაჯუნჭლუნა და დაჩეენა:

— თქვენი საკმოა ესა, თქვენაა! დღე და ღამ თავზე ვადექი, დავზარდე, დავაასუქე და ეხლა მთავრობას ვაბარებ, რომ შენა და შენისთანებს საკმეელ-სამოსი არ მოაკლდეს!

— შოფრებს რა ეკვა მაეკითხებაო, ჯამრული, შვილო, დანეზე თავი!

შეშინებულმა და მგზავრების თვალში დამცირებულმა შოფერმა გვერდზე მოლეტილი საყელო გაისწორა, თავჩაღუნული მანქანისკენ უხმოდ გაეშურა.

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲣᲗᲘᲨᲕᲘ
ᲯᲐᲛᲠᲣᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადი შვილო და გონთ იყავ, გონთა! — მიაძახა ჯაბანმა.

— ეს მამაძაღლები... შაწუხებულიდა ვარ ამბათგანა. როცა კი გზაზე სამ წამოგვეწევიან, ისე უდიერად მოგვახეთქენენ, ლამის... თითქოს მაგათი საცეცხლეთა არ იყოს!

— ეჰ, შოფრები...— ჩაილაპარაკა ჯაბანმა.

— არა, ხელს არ ვაჭლებდი, მაგრამ, ცუდ გუნებაზე რასმე შამამეყარა, აჩიე. საყორნეგ! — გასძახა თავქვე დაბრუნებულ ვაცცა და ქვის სროლით ისევ გზაზე შემოაბრუნა.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ წამოწეროან ავტობუსი. შოფერმა სიგნალს გულისგამაწყალებელი პიპინი აუტეხა.

— ჰო, გვაცალე, კაცო, ჰო! ზედ არ შაგვაყენო, ვერა გგხედავ?— — გაჯავრდა მოხუცი.

ჯამრულმა ცხვრები გვერდით გადარეკა და შოფერს წყრომით შეხედა.

— სუ შენებია, ვაჟკაც? — შესძახა მან და თვალი ჩაუკრა.

— შენ ეხლა ერთი კაი სილა მოგიხდებოდა, მაგრამ შაგრჩეს! — მიაძახა ჯამრულმა და თან ცხვრებს მათრახი გაუტკლაშუნა, აარჭკონა.

...რა შეუმჩნეველად გადის დრო! მალე მოდის საქონელი. თვითეულის გაჩენა და გაზრდა ახსოვს. ჯამრულს მოელს მოაში საუკეთესო მენთბარის სახელი აქვს გავარდნილი. ორიათას სულში ერთიც არ შეეშლება... ახოვს, როგორ იბადებოდნენ თოკენი, ბატკნები... მთლად უსუსურებს ბაშინვე გალოკავდნენ ღედები. მერე მოაწოვებდნენ და გადაიყვანდნენ სბატკნეში. ზოგი ბინდორში ჩნდებოდა, ვინ მოთვლის, ბინაში რამდენი მოუყვანია უზე-კალთთან. უძილობითა და ფეხზე დგომით გასავთებულს ზოგჯერ ქამისთვისაც ალარ ეცალა. ბევრჯერ ბატკნის ლორწოთი დასვრილი ხელით ზეზეურ შეჩაერბეულა...

გავიდა დრო. ის ბატკნები და თოკენები დაიზარდნენ, შიშაქანდაც, ყოჩებად, ვაცებად და თოხლებად იქცნენ. ახლა როგორღაც არ ემეტება, სახორცეში ჩასაბარებლად რომ მიიდის.

...ფასანაურის ზემოთ, ჩაბარუხის ყელში პატარა ხახლი დგას. შორიდან ერთი რაღაც უბადრუკი ბუდრუგანა გეგონებათ, მაგრამ ახლოს მიხვალთ თუ რა, ოროთახიანი პატარა შენობა კი შემოგეგებებათ. ყოველ დილით იღება ეს ხახლი და ყოველ საღამოს იკეტება. აქ საკუთარი „ვოლგებით" ცხადდებიან მისი დავთრებიანი და ჩანთებიანი ბინადარნი. შიგ მოფუსფუსე ხალხს არც სიცხე აწუხებთ, არც სიცივე; არც ქარი და არც ავდარი. მყუდროდ და მშვიდად ანგარიშობენ, აჯამებენ, აფორვებენ, წერენ... ფუფუნებით კი ცხოვრობენ, ისე არიან გათამამებულნი, სიკვდილისაც არ ეშინიათ. დღის ყოველ დროს მოდიან მეცხვარეები და მეძროხეები. ზოგს ჯამკუთარი მოაკვეს, ზოგსაც — კოლექტივისა.

შუადღე მოტანებული იქნებოდა, როცა ჯაბანმა და ჯამრულმა ცხვარი ჩამარიეკეს და იქვე, გადაგალილ პატარა მინდორზე დააყენეს, ხახლთან ახლოს „ვოლგებთან" ერთი ახალი „კოლხოზნიეიც" იდგა და ჯამრული ამით მიხვდა, რომ მათი თავმჯდომარე ეკ იქნებოდა.

ცხვარი გადამწვარ ველზე ცოტა ხანს ერთად შეჯგუფდა, მერე მურყნების ჩრდილში მიხორხორდა.

ჯამრული და ჯაბანიც იქ შეეფარნენ.

ცოტა ხნის შემდეგ კანტორიდან მსუქანი, საფეთქლებთან ოდნავ შეპაღარავებული, ლამაზი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, ცხვრებისაკენ გამოიხედა და ხელმარჯვილული გამოეშურა.

თავმჯდომარეს სუფთად ეცვა. ალბათოდ, როცა სოფლიდან სადმე წავიდოდა, ყოველთვის კარგად იცვამდა. ცხელოდა, მაგრამ ახალთახალი ლურჯზოლებიანი პიჯაკი ეცვა, თანაც ჭრელი ყელსახვევი გაეკონებინა. ღიპიანი იყო და ეწეველ ძროხასავით გაჩაჩხული მოაბიჯებდა. ფრთხილად მოდიოდა, რათა შავად გაკრიალებული ფეხსაცმელი და ფეკრნაგდ გატკეცინებული შარვლის ტოტები არ გამტვერინებოდა.

მწყემსების მოსვლისუშალაე მიესალმა და ოფლისა და ცხვრის სუნით ჭოთებულებს ნელსაცხებლის ამო სურნელი შეეფრქვია. იგი ახალი გაკარსული იყო, შეპუდრული უბებზე ბამბის პაწია ნაძენძები შერჩენოდა.

— გაგიმარჯოს! — მხნედ უპასუხა ჯაბანმა.

ჯამრულმა სალამი წუნარად ჩაიდუდუნა, თავიც დაუქნია.

— რათ დაიგვიანეთ?

— ძოვნით მოვაყოლებდით.

უფრო ახლოს მივიდა და ორივეს ხელი ჩამოართვა. ჯამრულს მისი რძესავით თეთრი და ხავსივით რბილი ხელი ეუცხოვა. როგორა ბრთო, დიდი ხნის უნახავი ნათესავებივით მოიკითხა. ცხვარს თვალი გადაავლო მერე ქათქათა ცხვირსახეცი ამოიღო და შუბლზე ყანდილდ მოისვა ჯამრულს მისი ჩაცმულობა და სისუფთავე შეეხარბა, უმადაე თავისი უმწეობა იგრძნო.

— წადით ეხლა შინ, აბა რაღა უნდა აკეთოთ აქა?

ჯაბანი დიდ ქვაზე იჯდა, ხელში ყველ-პური ეჭირა და უკბილო პირით ნელა იცმუცნებოდა. ამ სიტყვებზე მან თავმჯდომარეს ქმაყოფილებით შეხედა, ჩაახველა, წამოდგა, ჯამრულმა მოხუცს გაუღიმა. ორიველნი შინისაკენ გაეშურნენ. კარგა ხანს უბრად იარეს. მერე დაფიქრებულმა ჯამრულმა ჩაილაპარაკა:

— ორასი სული... შენი ფიქრით, ორასი სული რმდენს აიწონის, ჯაბანო?

— არ ვიცი, კარგო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამრული დაფიქრდა და შეეკითხა:

— თითო ცხვარი საშუალოდ ორმოცი კილო აღარ ვიანგარიშოთ?

— რას არა, კი, კაცო!

— ჰოდ, აბა, ორმოცკერი... ხახელმწიფო ფაასში ფულს თქვენსმტკი ათასს იქერს. თექვსმეტი ათასიდან რო მარტო რვა ათასი გაიფარმონ, ვინ იქნება კაცი და პატრონი? აბა სად მიდგიერთ, რო მიდგიერართ?

მოხუცი შეკოფმანდა.

— ხო ვარ მართალი?

— მართალი როგორ არა ხარ, მაგრამა, რა ვქნათ?

— როგორ რა!.. წავალ, დავესწრები!

— არიკა, შენი ბერიმე!

— აბა, რო ამბობენ, მგელივითა სპამს ხალხის ქონებასაო, ეხლა გამოჩნდება, მართალია თუ არა. როგორ ვანდოთ ამდენი ცხორი, შრომა გაგვიწევია, ჯანი შავვილევია, შიგ სისხლი და ოფლი ჩაგვიღვრია.

— წადი, წადი! — გულზე შეჯდა მოხუცი.

ჯამრული მკვირცხლად მიტრიალდა.

ჯაბანი კკლავ ერთ ადგილზე იდგა და გარღიგარდმო რწეევთ მიმავალ ბიჭს ხელმორჩდილული გასცქეროდა.

ჯამრული იქ ისეთ დროს მივიდა, რო	ა თავ-ბჯდომარეს ცხვარი ასაწონლად მიუდიოდა. „წუეემსივით კი მიერეკება...“

სოფლის თავაცქმა უკან დაბრუნებული წუეემსი რომ დაინახა, შეჩერდა და გაკვირვებული მიაცქერდა.

— რა არის, აქ ხუ არა დაგრჩარა?

— ანდე, ორასი ხელია, მაგაზე მეტი სხო რა უნდა დამჩრენოდა!

თავმჯდომარე მაშინვე აიმრიზა.

— ცოორს მე ვუვლი, დღესა და ღამეს შიგ მე ვასჩორებ და სად მიდგიარ, რო მიდგიარ? არ უნდა ვიცოდე ან წონა, ან ფასი?

— რათ უნდა იცოდე, რაში დაგვერდი?

— მკერდება! — უთხრა და ტელისმოსვლა თვალების ხამხამზე დაეტყო.

— შენი ნებაა, დაესწარ! — ხასიათწამხდარმა ჩაილაპარაკა, ცხვარს თავი დაანება, კანტორისაკენ ნელი ნაბიჯით გასწია, მერე მობრუნდა და დაუძახა:

— გამორეკე!

ჯამრულმა ცხვარს უკანიდან წამოუარა.

თავმჯდომარე კანტორაში შეეიდა, ცოტა ხნის შემდეგ იქიდან ვიღაც დაბალი კაცი გამოვიდა და ჯამრულს დაუძახა:

— ჯერ ოცი წამაიეანე!

— ხასწორი უნდა ვნახო! — თქვა, როცა ახლოს მივიდა.

ზუსტი არ იყო. ჯამრულმა მას კენტები დაუოლაგა, გაასწორა.

— მაჩვენე! — წამოეძახა მწუნავმა და ახლოს მივიდა, — ამ ვერანას, ხანდახან რა შეშლის ხოლმე!

მერე ცხვარი ზედ შერეკეს.

— ფანქარი და ქაღალდი მეც დამჭირდება, უნდა დავიწეერო, — თქვა ჯამრულმა.

— დაიწერო რა, დიდი რევიზორი მყავხარ შენაცა! — გაფიუკიანდა მწუნავი.

— რევიზორი რო არა ვარ, უნდა ვიცოდე, მთავრობას რამდენს ვაბარებ,— თქვა და კანტორაში შეეიდა, იქიდან ფანქარი და ქაღალდი გამოიტანა.

...ცხვრის წონა ტონა და ორასი გამოვიდა, მაგრამ მწუნავმა ბლოკნოტში ექვსასი ჩაწერა.

ამაზე ჯამრული შეეიდავა.

— ცხვარი ხარჯიანია, ნახეკრსა ვჭრით, — განუმარტა მან.

— არა მგონია, მიდგენი აკლდებიოდეს... მე თავად მწყემსი ვარ და ოცდაათკილოიანი რო დამიყლეკ, ოცდაბამი მაინც ხალასი დარჩენილა, აბა რას მატყუებ?

— შენ რამდენი გრჩება, ეგ არავის აინტერესებს!

— მე მაინც ზუსტად დავიწერ და სიმართლეს სხვაგან გავიგებ.

— რაც გინდა, დაწერე! — ნაძალადევი სიმშვიდით ჩაილაპარაკა მიმლებმა და წონვა განაგრძო.

„ამათ ასი კომისიაც რო დაუყენო, ისე არიან დამამძაღლებულები, ვერაფერს გაუგებენ და მე რა... მაგრამ მაინც ჩემსას ვეცდები“, გაიფიქრა ჯამრულმა.

როცა აწონვას მორჩნენ და ჯამრული შინ წავიდა, თავმჯდომარე გზაში წამოეწია, შოფერს მაჭანა გაარერებინა და უთხრა:

— ეგ იმედი მქონდა შენი? დაიცა, ისეთ ადგილზე სამ წამოგარტყმევინებ ცხვირსა, შენც არ მოელოდე! — თან შოფერს მიუბრუნდა: — წადი!

—ნუ მაშინებ, მეცხვარეობიდან არ მამხსნა!

„კოლხოზნიკი“ მთელი სისწრაფით მიქროდა...

IV

ღამის სიბნელეში ვიღაც ბოხი ხმით გაკეოდა:

ნუ ანჩჭკარდები ლამაზო,
ნუ იტყვი წავალ, წავალო,
თუ წახოლ, მეც წამიყოლე,
შენი ვარ, განა სხვა ვარო...

მეტი აღარ იცოდა, თუ მაინცადამაინც მარტო ეს სიტყვები მოაწონდა, ხშირად იმეორებდა:

თუ წახოლ, მეც წამიყოლე,
შენი ვარ, განა სხვა ვარო...

მთელ სოფელში მხოლოდ ერთი სახლიდან გამოყრთოდა სპილენძისფერი ათინათი. ვეება ანრ-

---

ბივი ბუთხუზი
ჯამრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილმა ღვართქაფით ჩარეცხილ ღორღიან ორღობაში შეუხვია და იმ სახლისაკენ წაბარგანდა, აივნის ქვეშიდან უშველებელი ნაგაზი ღაღღვეთი გამოქანდა. ეზოში შემობრუნებული კაცი მყისვე ასჩქამდა. ძალმა პატრონი იცნო, წამუტაცნით ფეხებთან გაუგორდ-გამოუგორდა, მერე კუდაქიცინებული შეეტოტა.

— შენი ჭირიმე, შენი, ქორიავ! შენს მეტს არავის ვუყორავარ, — ჩაილაპარაკა და ძალი გვერდზე მიიხუტა, თავზე ხელი გადაუსვა.

ყეფფარი წუთით გაგრძელდა. მერე, როცა პატრონმა ჩამოიცალა და სახლისაკენ გაწყნა, კუდის ქიცინით კვლავ აედევნა, წინ და უკან ბაურბინ-გამოურბინა.

აივნის კიბეზე რომ შედგა, დაიძახა:

— მოგვიდათ გაგელი, ცოლ-შვილო, მოგვიდათ!

შუა ეერზე დაკიდებული ძველებური ლამპარი მყრთალად ბუტბუტდა, ირგვლივ ცვილისფერ სინათლეს აფრქვევდა. ბავშვებს რამდენიმე საწოლზე ეძინათ. ერთგან დედა მიხუტებოდა ჩვილს და ტკბილ სიზმრებში წასული არხეინად ფშვინავდა. კაცის ყვირილსა და ხმაურზე შეკრთა. თვალი მაშინვე გაახილა, როცა კარი ჯახუნით გაიღო.

შეშინებულმა ქალმა წამოიწია.

ქმარი უკვე წირთხლთან იდგა. ხაყელო გაეღელნა, თმა გასწეწვოდა, თვალებს ძლივს ახელდა და ოთახში რახის მყრალ სუნს აყენებდა.

— ჰეეთ!

— ჩუ, კაცო, ბალღები არ შააშინო! — თვალების ფშვნეტით წამოიწია ქალმა.

— ეთერ, გაბარებული ვარ!

— რამ გაგაბარა?

— ცოლ-შვილი მიყორს! ბალღებო, ადექით ყველანი!

— ნუ აღვიძებ, ცოდონი არიან!

— ექვსი ბიე!... ექვსი ბიეი ექვსი კომლია! ზოგ ადგილას ექვსი სახლი დგას და სოფელს ეძახიან. საქართველოს მე, ერთმა კაცმა, ექვსი კომლი შევმატე. მაშ არ გამოხარდეს! ქარხანა ხო ჯერ კარგა მუშაობს, კიდევ გავაკეთოთ მე და შენა!

— ჩუ, კაცო, სირცხვილია!

გაგელმა კარი დახურა, ბარბაცით წამოვიდა და მაგიდასთან დაჯდა.

მამის ხმაურზე უფროსმა გაიღვიძა, ლოგინში წამოჯდა და შავგვრემანი ჯმუხი სახე მუშტით მოირჩინა. გაგელს მის დანახვაზე გაეცინა და დაუძახა:

— ჩაგო, მოდი აქა. გენაცვალოს მამა!

დედიშობილა ბალღი იატაკზე შიშველი ფეხების ტკაპატკუპით გაიქცა და მამას მუხლზე შეებღოტა.

გაგელმა ბალღი აიყვანა, კალთაში ჩაისვა და ჰკითხა:

— შვილო, ვისი გვარისა ხარ?

— მძღეურისა.

— ვისი ხარ?

— გაგელისა.

— ვინა, ხარ?

— მოიფული.

— ჰო, ეგრე თქვი, გენაცვალოს მამაი! შენა ხარ მთიული. შენი პაპა და პაპის პაპა ათს უმკლავდებოდა და თავიანთი გვარი იმით დაინარჩომეს. საფლაეში ისე ჩაწვნენ, ენა და ნამუსი არ დაკარგეს. ვინძლო შენც იმათი ლეკვი იყო, ბალღო! ვინძლო შენც იმათფერა მგლები დაბაყარო, შე მამაძალლო, შენა! გახსოვდეს, როგორი მამის შვილი ხარ. ვისი! თავი ტყუილად არავის დაიჩაგვრინო, არც სხვა დაიჩოლაოტო, საწყალსა და გაჭირვებულს უხოიშნე და ღმერთი შაგეწევა! — უთხრა და გულზე მიიკრა, ჩაკოცნა.

— ე ბალღებსაც შენსავით გიეკებს გამაიყვან, — ჩუმად ჩაილაპარაკა ქალმა.

— ჩემსავით გიეკები თუ გამოვლენ, რაღა მიკირს... არა, როგორ არ მიკირს, ჩემზე უკეთესები უნდა იყვნენ! — თქვა და წაიმღერა:

ის ურჩევნია მამოუსია,
რო შვილი სჩობდეს, მამასაო..

ბავშვმა ჩასასვლელად ჩაიწია

— სად მიიხოლ, ჩაგო!

— დედასთან მინდა.

— მოდი, შვილო, — უთხრა ეთერმა.

— ეთერ, ოთხი კიდევა, ოთხი!

— რა ოთხი? — ვერ გაიგო ქალმა.

— ოთხი ბიეი კიდევა, ოთხი... ათი კომლი უნდა გავიდეს ჩემი სახლიდანა!

— ჰო, კარგი, ნუ ხარ ცეტი!

— თუ არა, დედას გიტირებ, წავალ და სხოგან გავაკეთებ!

— გაჩუმდი, კაცო, სირცხვილია!

— მეძინება, — ტირილი დაიპარა ბავშვმა.

— წამო, შვილო, დაიძინე, — წაიყვანა ლეღამ და მერე ქმარს მიუბრუნდა:

— დაიძინე შენცა, გაგელო, ლოგინი გაშლილია!

— ჯერ არ მეძინება.

— სად დალიე?

— ხარჩოთას.

გაგელი ახლოს მივიდა, ცოლს საწოლზე გვერდით დაუჯდა და ხელი გადახვია. ქალს უფრო შეეზიზღა არყის სუნი, მაგრამ ქმრის ხათრით არ შეიმჩნია.

— ე, შუბლის ჯვარში რაღა მოგსვლია?

— აბა სადა, აქა? — გაგელმა კვინიხზე თითი აისვა, — არ ვიცი. ვერ გავიგე სადა. ვინა, როდის, როგორა...

— ხუ არავინ დაგკრა?

— ჩემი დამკვრელი ჯერ დედას არ გაუზრდია.

— მაგას ნუ იტყვი, ვაფო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხომ არა და მე კი დავკარ!

— ვისა?

— იყო ერთი...

— მაინც? — დაინტერესდა ცოლი.

— არ ვიცი, არ ვიცინობ... ვიღაც ბარელი სტუმრად ყოფილა ეუფლკეთას.

— მერე, სტუმარი არ უნდა დაინდო?

— მე იმან დაინდო? დაიწყო ყინწვა და ვეფხვა, აღარავის რად გვაგდებდა და ამა, მაშრას ვიზამდი? სუფრა აგვირია, ფიღეას შაეგინა, თედუას ხელი ჩკრა. აი,დანაც წავართვი, — და პიჯაკის ჯიბიდან შავტარა გრძელი დანა ამოიღო.

მის დანახვაზე ქალი გაფითრდა, თვალი მოარიდა, თავი ჩაელუნა.

— ამის გამკეთებლისა და ამის პატრონის... — და გაგელმა ცხრასართულიანაც შეიგინა. — ეს რო ერთხელ დამკრან, მეტიც არ უნდა კაცსა. ადამიანის სიკვდილი დაიქეს ზოგს ჯიბითა, აი როგორ გადაჯიშდა ხალხი!

— შენი ბრალი იქნებოდა, — უსაყვედურა შაშხისგან ათრთოლებულმა ქალმა.

— ჩემი არა, ლომისის მადლმა, ღვთის მადლმა! ანდე, როგორც გიამბე, სწორედ ეგრე იყო.

— ეყინჩავნა იმ მუხლებ ჩასაშლელსა, შენ რა გინდოდა?

— ამა მე ეგეთი რამ, ხო იცი, ქკვაში არ მამდის. ვინც გინდა იყოს, იმ წამსვე ავადრასტებ! მე ვუთხარი, ბალლო, ქკვანაღდ იყავი, თორო აქაც ხალხი ვართ, ბევრს ვერც ჩვენ მოგვიმენთ-მეთქი. შენ ვინა ხარ, ერთი შენი დედაცო... თუ რამ შაგიძლიან, ადე, გამოდიო! გარეთ გამიხოხოვა. წინ ის მიდის, უკან მენა.

— რად გაგიშვეს, ხალხნი არ იყვნენ?

— ერთალია კი დამიჭირეს, მერე არ ვიცი, მგონი, თედუას დაიძახა: გაუშვით ეგ ამოგყრის მაგის ჯიერსაო.

— გადაავგდე, ნუ მაყურებინებ მაგ პატრონგაჩანგებულსა! — უთხრა დანაზე ეთერმა.

გაგელმა დანა მაგიდაზე ისროლა. იგი წვერით დაეცა, ფიცარში ნემსივით წაერჭო და აკანავდა.

იყოს, დამპირდება! — წამოიძახა გაგელმა და შეუწყვეტელი საუბარი განაგრძო: — მიდის ისა და მივყვები მენა. ვხედავ, ჯიბეში ეფიფს ხელსა. ეუთხარი, კარგი, სადღა მიხოლ, აქაც დავეტეკვით-მეთქი. უცბად შამამბრუნდა დ... მაგრამ, ვენაცვალე ღმერთსა, ალალ-მარ-თალ კაცს არ გასწრიაგს... მე დ...ეაბერარი! ერთი გავდე, მარტო ერთი და დაჯდ კიდეცა. დავდექი და დაველოდ... ოღონდ დანა კი ჩავართვი და დაველოდ. მინდოდა ამდგარიყო და ერთიც გამეკა, მაგრამ დუშმანთ ნურა კარგი, ის ვეღარ ადგა. გულშაფუხებული წაიღეს... ნეღარც ამდგარ, იმის დედაც... რაკი სადანედ გამიმეტა, აღარც მე მეცოდება, — თქვა და წამოდგა, დანა აიღო, შუკუმში შეიგდო, ფიჩილაპარაკა: — შაინახე, თავის გასამართლებლად გამამადგება, — თქვა და შვილებს ჩამოუარა, ყველანი გადაკოცნა და მერე დასაძინებლად წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ცოლს გამოსძახა:

— ხვალ ადრე გამაღვიძოდე, იცი სად მივოლ?

— სადა?

— თქვენებთას!

— რადა?

— ხუჯისთან პირის საკითხავად უნდა წავიდეთ, იმის ქალა მასწონებია ჯამრულსა.

— მართლა?

— ჰო, განა გატყუებ!

ეთერს გაუხარდა, მაგრამ ისე იყო განარეული, სიხარული ვეღარ გამოხატა. შუკუმიდან დანა ისევ გამოიღო, სიგრძივ დაიჭირა, დაკვლა. მერე ცერით ფხა გაუსინჯა, კინალამ თითი შეაჭრა. ახლა წვერს დაჭედა. ისეთი ბასრი იყო, ზედ ბუზი წამოეგებოდა. შიშით აცახცახდა, დანა იქვე დადო, კარი ჩაკეტა, სინათლე ჩაქრო და მეორე ოთახში გავიდა. იქვე გაიხადა. ქმარს მიუწვა. მძინარეს მიეხუტა. მთის ლოდივით ბრტყელსა და მაგარ მკერდზე თავი დაადო. უხმოდ აცრემლდა. თან ხელს უსვამდა მხრებზე, დაკუნთულ მკლავებზე, მკერდზე...

გაგელი გაშმული იწვა, არხეინად ფშვინავდა.

V

ჯამრული თთაში მიდიოდა. სიფრხეს იორღით მიაგელვებდა ის იყო გზა უნდა გადაეკვეთა და მთა-მთა წასულიყო, რომ თავქვე მიმავალი ავტობუსი შენიშნა.

მოსახვევში მანქანამ სვლას თანდათან უკლო. გაჩერდა. ამ ადგილას უცხო არავინ დაიკენენებენდაო, დაინტერესდა ჯამრული. კარი გაიღო, ცოტა ხნის შემდეგ კი ერთი მაღალმადალი კაკაროტი ახალგაზრდა გადმოვიდა. მის დანახვაზე ჯამრულმა გაიღიმა, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეს თუ ზაქთ კაცა არ არის, სულამც არა მითქმომა.

ახალგაზრდამ ჩემოდნები ნაპირზე გადაიტანა, ველზე ფრთხილად დაიწყო, მერე ჯიბიდან რადაც ამოიღო და ზოფერს მიაწოდა.

კარი ისევ დაიხურა. მანქანა ჭერ ნელი დაიძრა, მერე თანდათან სვლას უმატა და თავქვე დაეშვა.

მგზავრი ხელმარჯვნ დასწვდა და საცალფეხო ბილიკს დაადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰაი, კაცავ!

თვალვე მიმივალი შეჩერდა, ცხენოსანს მიუბრუნდა.

— შე პირიქალლო, შენა! — ჯანრული სიხარულისაგან ახარხარდა, ცხენიდან გადახტა, ძმაკაცისკენ გაიქცა.

ისინი ერთად სწავლობდნენ, სკოლა ერთად დამთავრეს. როგორც ერთი ბლელი ბიქები, ჯარშიც ერთად წაიყვანეს. იქიდანაც ერთდვე დაბრუნდნენ. სხვა რამ ხელობა რაკი არც ერთმა არ იცოდა, ორივენი ცხვარში წავიდნენ. კაცამ ერთ-ორ წელს კი იმთაბარა და, რომ არაფერი მისცეს, გაჯავრდა, თავმჭდომარეს ნაბადკომბალი მიუგდო და ორჯონიკიძეში წავიდა.

ჯამბულს სხვებისაგან გაგებული ჰქონდა, რომ ეგ ძლივს ჩაეწერა და, რაკი საქონლის ხოცვა-ტყავება და ხორცის ჭრა-კუწვა ემარჯვებოდა, ბაზარში ყასბად მიიღეს.

ძველი ძმობილები ერთმანეთს ახარხარებულები მიხვეოდნენ, ერთურთი კარგა ხანსა კოცნეს, მერე უკუდგნენ, ისევ გულლიად ახარხარდნენ და კვლავ ერთმანეთს გადეხვევნენ.

— როგორა ხარ, კაცავ, ქალაქის ფერი კი დაგდებია, ე!

— არა მიშავ... შენ რაღასა ჰხადი, ისევ ცხორშია ხარ?

— მაშ სხოგან სად წავა ჩვენი კაცი!..

— დაიცა, თუ ძმა ხარ, ჩამოვსხდეთ პატარა ხანსა, ხუ არ გეჩქარება?

— არა, კაცო, ვილაპარაკოთ რამდენიც გინდა! — და ორივენი სიბებზე ჩამოსხდნენ.

— ...ცოლი მაიყვანეო, მართალია?

— კი, — გაიღიმა კაცამ.

— სადაურია?

— ალაგრელი.

— ოხი?

— ჰო, რას იცინი?

— ოხები მეც მამწონან, მაგრამ იმას ქართული არ ეცოდინება, შენ ოსური და, როგორა ჰგუობთ ერთმანეთსა?

— ცოტა-მაცა რუსულს ვამტკრევთ ორივენი.

— უყორხარ?

— ძალიანა!

— ისევ ბაზარშიე ხარ?

— კი.

— რამდენი გაქ ჯამაგირი?

— ასოცი.

— გეყოფნით, კაცავ?

— ცოტა კიდევაც გვრჩება. ვინახავ ზოგსა. მერე იქნები ხანლი ვიყიდო, ან ავაშენო, ჭერ კი ქირითა ვარ.

ორივენი დაფიქრდნენ, მერე ჯამრულმა თქვა:

— მე მაინც იმ აზრისა ვარ, რო თავის სოფელ-ქვეყანას კაცი არ უნდა გაიქცეს.

— კი... მაგრამ, მე რო დღედაღამ მამუშაო. ბოლოს არაფერი მამეკე, ვინ ბაგიჩრდება? ერთი ათიოდე წლის შემდეგ მე და შენა ვნახავთ, რა ა ემ ზემო არაგვზე მარტო ნახოფლარებია და დარჩება, ყვავ-ყორნის ყრანტალის მეტს ვერაფერს გაიგონებს კაცი. ვინც წამაიზრდება, ყველა თავისას ეცდება, ე ბებრებიც დაიხოცებიან და მერე თვალონ თქვენმა თავჭდომარემ და ბუღალტერმა ვერ ბუზუნი. მარტო ჩვენი თაობის ბიქები ასოცამდეა ვარო იქა. ისეთი ფასი გვძე, ისეთი... სამსახურში ვინდა თუ ხალხში, რომა... ნუღარ იტყვი. საცა უნდა მივიდეთ, გვკითხავენ: ტი კტო, გრუზინ? ვოო, ბაროშეი პარეენ.

— რამოვენ ხანს დარჩები?

—ორი-სამი დღე.

— იქნებ კიდევეა გნაპო.

— ყიზლარში რო მისდიოდე, ან უკან ბრუნდებოდე, გამამეცილიდე, ჩემთან დარჩებოდეო,— უთხრა კაცამ და მისამარით დაუწერა.

— კარგად იყავ! — ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

ჯამბულმა ცხენს ქუსლი ჰკრა...

მთაში იმ დროს ავიდა, როცა უკვე ცხვრის მორეკვის ყამი იდგა. ბინდდებოდა, ცივი ნიავი უბერავდა. ქედებზე ნისლები ირეოდნენ... თეოსეენ მომდინარ ცხვარს რომ გახედე, წყნარად აღიდენდა.

მდერიოდა და თან მთებს გასცქერიოდა. ნისლების ტრედისფერი მორევიდან შუბის პირივით ამმართულიყო ქაბარტინა, მის ფრიალო კალთებზე ნაზფავრებს ალაგ შავად დეფფრინათი პირი, ალაგ მწვანე ფერი დაკერავდა. ზოგან ღრანტეებში, თოვლი ჯერ კიდევ შემორჩენილიყო. მწვერვალს თავზე ლურჯი, არაგვის ტალღასავით კამკამა ცა დამხოპოდა. ირგვლივ სულ მთები იდგნენ, რაინდებივით ამაყად წამომართულები, ერთმანეთზე ძმებივით ხელგადახვეულები... მარად მუხლ-მოუღლელი ნიავი ყვავილოვან იალაღებზე ყოლისა და იელის ბუჩქებს ეშუშპარებოდა, მათი ამო სურნელი მთებიდან ხეობებზე გადაჰქონდა.

ცხენს აღვირი წაჰყარა და ბალახზე გაიგდო. ისევ კაცა გაახსენებდა. გაღიმებული დფიქრდა. კარგად მოიქცა, რომ წავიდა. შარი ხეირად ექცა.

ცუდად არის მთის ხაქმე, თუ ვინმემ ამას ყურადღება არ მიაქცია, ე ბებრებიც დაიხოცებიან, ჭეილებს მწყემსობა ადარავის უნდა, ვინც წამაიზრდება, ყველა ბარად გაიძის და..

ჯამბულს არსად არ უნდა წასვლა. ამ ლამაზ მთებს, ამ ხუმუქ ხეობებს, ამ დიდის ძმესავით გემრიელ წყალსა და ყვავილების სურნელით გამსჭვალულ ჰაერს ადვილად ვერ შეელევა. ქალაქშიც ყოფილა, მაგრამ იქ ცუდი ვერ დახდგომია. ხმაური, მტვერი, სიცხე... საკვირველია, როგორ ეჩვევინან იქაურობას მთიდან წასული ბიქები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად მოგლილი ცხვარი თეოზე მოგალავდა. ძაღლებმა ჯამრულთან მიირბინეს, ირგვლივ კუდის ქიცინით შემოუარეს და იქვე დაუუცდნენენ.

მოვიდნენ თოლექა, შარუმა, წიაწიგული. თავიანთნ სარქალს მიესალმნენ. უგუნებობა რომ შეატყეს, თავადაც გაჩუმდნენ. მერე შარუმა შეეკითხა:

— უცხო ამბავი ხუ არა არისრა?

— არაფერი.

— ხო სუ მშვიდობაა? — ახლა თოლექა ასძახდა.

— ჯერჯერობით, კი.

— ყველანი კარგად არიან? — წიაწიგულიც შეეკითხა, თან ქისა ამოიღო, წეღანდელი ნალეპი თამბაქოს ფოთოლი პირში ჩაიდო და ჯამრულს ტუჩებდაკუმული მიაჩერდა.

— კი.

დამაძღარი ცხვარი თეოზე დაეყარა. ფარას ძაღლები აქეთ-იქით წამოუწევნენ. მწყემსები სიპებზე ჩამოსხდნენ, გუდებს პირი მოხსნეს, იქიდან მოელი კვირის გამომშრალი პური და გამოფიტული ყველის ნახორხლები ამოიღეს, უხალოდ წაიხემსენ.

— ჩვენი ვალიკო უნდა წასულიყო ქალაქსა... — ჩაილაპარაკა შარუმამ.

— წასულია.

— მაგან მაინც ისწავლოს.

წიაწიგული განაპირებით იჯდა. მან თამბაქოს წვენი გააპურებინა, ჯამრულს მიუბრუნდა და შეეკითხა:

— შენ კი არ გინდა უმაღლესი შახვიდე?

— არ მიხერხდება. დედას ვინ შამინახავს, ცხორ-ხაკონს ვინ მიმიხედავს.

— ეხლა დაუსწრებლად სწავლა შამაიღეს, ე მანდ მაინც ეცადე, — უთხრა თოლექამ.

— მაგას კი მოვახერხებ.

— ხოშია როგორ დაგიხვდა? — დაინტერესდა წიაწიგული. მწარე და მწკვანე ნარწყვი კვლავ გადააპურებინა და იმანაც წაიხემსა.

— კარგად.

— მა რაღა თავპირი ჩამოგტირის? რა იყო, რა დაგემართა?

— ჩვენები ხუ არავინ გინახავს? — შეეკითხა თოლექა.

— დარო და ხიდო შალიკოს სანახავად მიდიოდნენ, გასაყიდად თან ყველიც მიჰქონდათ.

— გაჯავრებული რასმეა, — მიუბრუნდა თოლექასა და შარუმას წიაწიგული.

— გაჯავრებული ვიქნები, მა რა! — წამოიძახა და თავმჯდომარე ამაგა.

მოხუცებმა ამაზე ნირიც არ იცვალეს.

— რაც კოლექტივი შადგა... — ლუკმა ჩაეწალა თოლექას, ჯამრულს მიუბრუნდა და განაგრძო: — ცხრა-ათი თავმჯდომარე გამამიცვლია, ყველა ერთმანეთზე უარესები იყვნენ და რაღა ეგ იქნება კარგი?

— შე რო დაგაყენოთ, შენც ეგეთი იქნები! — უთხრა წიაწიგულმა.

— ნუ მეუბნები მაგასა!

— თიფლში რო თითი გქონდეს, არ გაილოკავ? — გაიცინა შარუმამ.

ჯამრულმა ახლა იმას შეუხედვირა.

მოხუცმა გადაიხარხარა, კვლავ შეეკითხა:

— ჰა? არ გაილოკავ? ჯამში რო თიფლს ვახვამდე, ქილას პირს თითით მოვწვეხდავ, მერე ავდგები და გავილოკავ. ეგრე მაქცევი შენცა, ხოცა. ისე ეგ კაცი ხუთი სოფლის ქონებას არი დაპატრონებული და მმარობს როგორც უნდა, გული არაზე ეტკვის უარსა.

— ...ამ სალამოს კაცა შამხვდა.

— კაცა?

—ზაკაი. იქითიდან მოდიოდა, მადლობელია ცხოვრებისა.

— შენც წადი და თავს უშველე!

— სად წავიდე, ვის მივადგე კარზე. მე ჩემი სოფელი და სახლ-კარი მაქ. მე ჩემი მთა სხვის სამოთხეს მირჩევნია! — წამოიძახა და მოხუცებს გაეცალა. ფარას ირგვლივ შემოუარა, ბოლოს ისევ მათთან მივიდა და იკითხა: — ნადირმა ხუ არ შაგაწუხათ?

— წუხელ აღარ დაგვაძინა იმ უპატრონომ, მოელი ღამე ფეხზე ჩამოგვახმო.

— წელიწადი თორმეტი თვე სუ შიგა ვართ და ბოლოს ან გადმოგვიდგებენ სამახ-ოთხას მანეთსა, ან იმასაც არა. ვალი და ვალი.. რიღისა გვიდება ე ვალი, ველარ გავიგე. მუშა დღე-ღამეში რვა საათსა შრომობს, მერე თავისუფალია, საცა უნდა, იქ წავა ... შინ თბილი კერა, ცხელი საქმელი, სუფთა ლოგინი და ცოლ-შვილი ელის, იმასა აქვ თვეში ასორმოცი, ორასი ... ზოგს მეტიცა. ჩვენ დღე-ღამეში ოცდაოთხ საათს სუ შიგა ვართ, ერთთავად სულ ცის ქვეშ ვთენეს-ვაღამებთ, ძაღლუმადურად ვცრივართ, ოჯახებს მოშრომებულებს ხერირანი არც ძილი გვაქვს, არც ჭამა-სმა და სისუფთავე ... რამდენ ვაგლახს ვიტანთ, კაცო!

— მაშ როგორ გინდა, შენი ველარაფერი გამიგია!

— შენ ერთი ოთხმოცი წლისა ხო იქნები?

— მემრე რა გინდა?

— რაც თავი გახსოვს, ხო სუ ცხორშია ხარ?

— ვარ!

— ბოდა, დღესაც ისევ ისეთ ბეჩაობაში უნდა იყოს წყემსი, როგორც შენს ბალღობაში იყო?

— აბა რა ვქნათ?

ბეჭი ბუთხუზი
ჯ ა მ რ უ ლ ი

— რა და ...

— ლაბარაკით არა გამოვარა, ტყუილად ძილსა ვცდებით, — თქვა წიაწიგულმა და ნაპირზე გავდა.

ფარას შარუმა ქვევიდან დაეწვა, თოლეკამ ზევიდან წამოაწია. იმ ადგილზე მარტო ჯიბრულელი დარჩა. არც ნაბადი მოუხვევია, არც ქუდი დაუხურავს. გულადმა გაწოლილი ფიქრებში გაირინდა.

მოხუცები უკვე თვლემდნენ. ძალლები სდუმდნენ. მდუმარე და მაუდერო ღამეს წყაროები ძილისპირულს უმღერდნენ, ვარსკვლავებით დაჩითული ვეება გუმბათი ჩაშვებულ მთათა მწვერვალებს დამბობოდა, დასავლეთით ცას ალისფერი წაჰკიდებოდა, მთების გალავანი, სადაც წელან მზემ დაიავნა, ოქროსფრად ღვიოდა.

VI

გაგელი ცოლეურთას ადრე ავიდა. ხოშიამ მაუხვე ხელსაქმე გადადო, წამოდგა, სიძე გადაკოცნა.

— როგორ ხართ შინაობითა?

— კარგადა!

— შენ კი გენაცვალე, ჩემ ჯაბრულთან მიდგეხარ, ჩემს ეთერში არ გამოგარჩევ. ძალიან მიყორხარ და ზმირად ამოხვიდოდე, ცოლშვილსაც თან წამოიყვანდე ...

— ეჰ, მოცალა არ არი, ... დედერო, მოცლა! თორო ... თუ არა გავაკეთერი, ჩემ ქუთაისობას რჩენა არ უნდა? რო ავიღო თავი და აქეთ-იქით ვიარო, რა შაგვინახავს?..

— კია, შვილო, კია მაგით მიყორხარ, კულ, რო ცოლ-შვილისთვის მკვდარი და მდნარი ხარ. — ესა სთქვა და სადღაც გავიდა ცოტა ხნის შემდეგ ბადეით იმ დღეს გადარჩენილი ხორცი და ქილა ერბო შემოიტანა.

— შეშას დაგიჭრი, სიდედრო, — წამოდგა გაგელი.

— იელი მაქვ, შეშას ზამთრისთვის ვინახავ, დაჯე, დაჯე! — უთხრა, ბუხარში ზედადგარი შედგა, ჩაფერფლილ ნაკვერჩხლებს გაუბერა, მერე გამხმარი ფიჩხი მიაყარა და ხელად ცეცხლი ააგიზგიზა.

— როგორ უცბად რამ გადაწყვიტა ჯაბრულმა!.. არავინ კი არ მოველოდითი.

— მე მგონი, ეგრე სჯობია! ვეუკაცმა თქმა და ქმნა ერთად უნდა იცოდეს.

ხოშიამ ზედადგარზე კეცი დადგა, ზედ ბლომად ერბო დასხა. როცა აშაშხინდა, შიგ წვრილად დაჭრილი ხორცი ჩაყარა. სპილენძის სინით დახუფა, მერე ზმოდგა და სიძეს მიუბრუნდა:

— შენ ამას მიგდე ყური, მე წავოლ და ანდრიას დავუძახებ.

ადუღებულ ერბოში ჩაყრილი ხორცი საამურად აშაშხინდა. გაგელი მას შორიდან მიაჩერობოდა. თუმცა წამოსვლის წინ კარგად დანაყრდა, მაგრამ ხორცის დანახვაზე ისევ მადაზე მოვიდა პირში ნდომის ნერწყვი დაუგუბდა.

ფეხის ხმა გაისმა. ანდრიამ დუმით დაპოხილი ტკბილის ჩექმები შემოაბრახუნა. მას ლურჯი შალის გალიფე და მწვანე მაუდის ბლეზა ეცვა, ზედ მოვერცხლილი უბარდოფული ქამარი ერტყა. ბლეზის კალთები შარვალზე კარედან ჰქონდა გადაშეებული, ქამარში წელთან ზახვებილი, მკერდზე ლენინის, ვარსკვლავისა და საპაკონი ნიშნის ორდენები ეკიდა. როცა სტუმრად სადმე წავიდოდა, ჯილდოებს ყველგან ამაყად დაკაბარებდა, თუკი ვინმე შეეკითხებოდა, თავმომწონედ უამბობდა, რომ წოფელი ვარსკვლავის ორდენი ელბოტოვოსთან გამორჩენილი ვეუკაცობისათვის მიიღო, ხოლო ლენინის ორდენით დნეპრის გადალახვისას დაჯილდოვეს.

არანაკლებ ამაყობდა საპაკეთო ნიშნის ორდენითაც, რომელიც ცხვარში მისცეს. ჯარიდან რომ დაბრუნდა, ცოლ-შვილსა და ედიას დანატრებული ვეუკაცი ცხვარს ყიზლარში წაჰყვა. არ წაესვლებოდა კი, მაგრამ ომგადახდილი სოფელი კაცნაკლებად იყო. სხვა რომ ვეღარავინა ნახეს, მასზე დაყარეს ღონე. ფარას ეხე ყოჩაღად უთავგზა, ყოველ ს ნერჩზე ოთხმოცდაათი ბატკანი გაზარდა და ამით ყველა გაკვირვა. ეს მანამდე გაუგონარი ამბავი იყო. დეპუტადაც ამიტომ აირჩიეს.

ანდრიამ დაკეცილი ქურთუკი მარცხენა ხელში გადაეტანა, ქუდი მოიხადა, სიძეს გაღიმებული მიესალმა.

გაგელი მყისვე ადგა. მოსულს მორიდებით მიეგება. ხელი ჩამოართვა. მოხუცს მისი ქვასავით მაგარი თითების შეხებაზე ტანში უსიამოვნო ეერგოლამ დაუარა, ხელი ჩქარა გაუშვა.

— როგორ რასმე ხარ, გაგელო?

— რა ვქნა, ვებრძვი ცხოვრებასა.

— ჯალაფი ხო ყოჩაღადა გაკვ?

— არა უშავთრა.

გვერდით ჩაუარა, კიდეებმოხარატებულ გრძელ სკამზე ჩამოჯდა. ქურთუკი გვერდიო მოიდო, ზედ ქუდი დაკიდო, ფეხი ფეხზე შემოიდო და ფანჯრიდან ქამკაბა ცას გახედა.

ძველმსხვილი და ღონიერი ვეუკაცი იყო გაგელი. ახლომახლო სოფლებში კალატაზობდა, ქვასა და კირზე მუშაობისაგან ხელები რკინასავით გამაგრებოდა. ვისაც გაარტყამდა, ხალსალამათი ალარავინა რჩებოდა. მასთან მოჩხუბარნი მუდამ საექიმონი და ხალოგინენი ხდებოდნენ.

ანდრიას თან ეამაყებოდა, რომ მისი ძმისწულის ქმარი ასეთი უძლეველი იყო, თან შურდა. ამაყობდა, როცა სტუმრად სადმე იყო და გაგელიც გვერდით ეგულებოდა. მაშინ მისი იმედით თვითონაც გულადობდა. ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს მასაც კაი ქარი უქროდა და მკლავ-ღონის იმედი ჰქონდა, მარგამ ახლა ...

ზურდა და არ დაენახვებოდა მაშინ, როცა ჭირის ან ლხინის თავათ უყლეებოდა. ახეთ დროს უნდა ეფრთხილნა, რომ სიძეს არ შეესკვანებოდა, თორემ კარგად იცოდა გაგელის ამბავი, თუ რამ ეწეინებოდა, არც სიმამრს დაინდობდა.

— თავათ როგორღა ხარ, სიმამრო, — ლაღად მოიკითხა გაგელმა, როცა თვითონაც დაჯდა და ანდრიას მიაჩერდა.

— ყინჩაგ! — ისე უპასუხა, სივრცისთვის თვალი არ მოუშორებია.

— ჩემი სიდედრი რაღა იქნა?

— მოვა.

გაგელი ანდრიას თვალს არ აშორებდა, ტუჩების კუთხეებთან ლაპაჭად აკოკრებულ ულვაშებში ბავშვური ღიმილი უკრთოდა. უბრალოდ, რომ ენაწყლიან და ხუმრა სიმამრთან ერთად კეთილ საქმეზე მიდიოდა. მოხუცს თელის ნუფრის ურთსავით დიდი თავი ედგა, მოტკლეპილსა და თეთრად მოლაპლაპე თხმზე თმა ვეერდიდან გადმოეკარტხნა. ცისფრად აბრიალებული დიდრონი თვალები და თავქვე დაშვებული ტარი ულვაშები ანდრიას მედიდურ გამომეტყველებას აძლევდა...

— არ დაიწვას კი ... — ჩაილაპარაკა გაგელმა, კეცს სინი ახადა, ხორცს ხის კოჭზით მოუჭია.

შინ ხოშია და ჯამრულის ბიძაშვილი ფრიდონი შემოვიდნენ. ხოშიას იგი პირდაპირ სათიბიდან წამოეეყვანნა. ახლა, შემოვიდა თუ არა, უმალვე კვლიავისა და გადაბერებული კეცანეს საამო სუნნელი დაეკენა. ბიჭს ცერა თითი ბანდით ჰქონდა შეხვეული. ეზიზე მუშაობის დროს ყაკანოფად გარეჯულიყო და ქერა თმა გაზუნებულიკით მოეჩანდა. სარეასკეთ მაღალი და ტანწერილი ყმაწვილი ჯარიდან ამ ზაფხულს ჩამოვიდა. კოლექტივში სამუშაო ითხოვა. თუ ვინდა, ცხვარში წადი, სხვა საშენო არაფერი გვაქვსო, უთხრეს. მერე რაინაში მიდგა-მოდგა, პასპორტი აიღო და თბილისში ჩავიდა. ყველას მწარე გულისტკივილით შესჩოდა, რომ იქ არც ჩაწერეს, არც სამუშაოზე მიიღეს. გაჯავრებულმა დაჰკრა ფეხი და ოჯონოკიძეში წავიდა. იქ კიდეც ჩაეწერა, მუშობაც დაიწყო. ახლა ცოტა ხნით შინ იყო გადმოსული, დედას თიბვაში ეხმარებოდა.

ფრიდონმა გაგელს ხელი ჩამოართვა, გვერდით მიუჯდა და ცოლ-შვილის ამბავი ჰკითხა.

სანამ ისინი ამ ლაპარაკში იყვნენ, ანდრია პაპროსს აბოლებდა. ხოშიას სუფრაზე ყველი, პური, ყინტრის მწნილი, ჭიქები და ბოთლები მოჭმენდა.

— არაყი არც კი გვინდა, ძალო, — ეუბნებოდა ანდრია და თვალით გაგელზე ანიშნებდა.

— დალიეთ, დაილოცენით, მაშა! პურუ-მაწლის აზრს მოხუცი.

— ვაითუ ზომა ვერ გავიგოთ და მეტი მოგვეიდეს, — ახლა უკვე პირდაპირ თქვა. თან ჩაიქიქინა და ჩაფერფლილი პაპიროსი ბუხარში შეაგდო.

— აბა, მოდით!

პირველი ანდრია ადგა. მას გაგელი მიჰყვა. ფრიდონი, როგორც უმცროსი, სუფრასთან ბოლოს მივიდა, ჭიქები შეავსო. მაგიდაზე თაფლუქის ძმაფინი სუნი დაკრიალდა.

ხორცი გადაიღეს, პური გატეხეს.

— ღმერთო შენ შეეწიე ჩემი ძმის ოჯახსა!.. ... — დაიწყო ანდრიამ.

მისი ნათქვამი ბიეებმაც გაიმეორეს.

ჭამის დროს ფრიდონს პურის ნატეხი დაუვარდა, ფეისე აიღო, შეუბერა, აკოცა და ჩაკბიჩა.

... უკვე დაბინდებული იყო, როცა სამიეენი შინიდან გავიდნენ. კარგა ზარხშად იყვნენ. ცხენებს დაგვიანებული მაურებივით მიაკენებდნენ.

იმ საღამოს განძაძიეებს დაკარგული თვრის ძებნაში შეაგვიანდათ. სანამ ყველანი შინ არ მივიდნენ, მანამ სავსაზშოდ არ დასხდნენ. როცა ის იყო პური გატეხეს, ძალი სწორედ მაშინ აღაფრთოვდა. გარეთ ზუკმა გაიხედა. ეან ბინდში ძლივს გაარჩია, რომ ხირხლებთან ჯიქურ მომდგარ ცხენოსნებს ფეფარი გაფორეებით ეტანებოდა, უცნობებს მხოლოდ პაპრთახის ხმაზე ეპუებოდა.

მასპინძელი აივნის კიბეზე დაეშვა. სტუმრების მისვლებებლად რომ გამოიქცა. უცნობებმა სწორედ მაშინ ასტუნეს ხირხლებზე ცხენები და სასლ-ალეს გამოიკრნენ, მაგრამ მასპინძლის აჩრდილი შენიშნეს თუ არა, საფერხეები ფეისე დასხადაეს...

— გადი ეკით! — დატუქსა ფეფარი პატრონმა, მოსულები შეათვალიერა. ვარსკვლავების მკრთალ შუქზე მარტო ანდრია იცნო და გაოცებულმა ჰკითხა:

— რა ამბავია?

— მშვიდობა! — თქვა გაგელმა.

— დაგვიანებულ სტუმრებს არ მიიღებთ?

— უთხრა ანდრიამ.

— მაგას რაღა კითხვა უნდა, სტუმარი ღვთისაა, წამოდით! — და მოსულებს წინ გაუძღვა.

ცხენები მარგილებზე ლაგმებით მიაბეს და მასპინძელს გამყვნენ. სულ უკან ფრიდონი მიდიოდა.

სტუმრების დანახვაზე მაგიდას შემომწკრივებული ბალღები წამოიშალნენ, თამარი მა-

ბეეი გუთსუზი
ჯ ა ბ რ ო ლ ი

შენვე მეორე ოთახში გავიდა. დანარჩენები განაპირებით გაჩერდნენ. ბოლოს მასპინძლის დედა და ცოლი წამოდგნენ.

— მშიდობა ოჯახსა! — ომახიანად წამოიძახა ანდრიამ, თან ირგვლივ მამოიხედა.

—აბაშენოთ! — თქვა გაგელმა.

—გამარჯვებაო! — წყნარად მიეხალმა დამხვდური ფრიდნინი.

მოსულებს სალამემ მეისვე სკამები შესთავაზა. როცა ჯვარა დაჯდა, ისინიც ჩამოსხდნენ. ღიასახლისი ყოჩაღად დატრიალდა: მაგიდაზე ჭერ არეთი სავსე ხელადა მოიტანა, მერე — ერბო და ყველ-პური. სტუმრებს ჭიქები დაუთითოვა, დაბლა ჩავიდა და თავხეზე ჩამოკიდებულ ჭედილის ფეშხოს სამწვადე აიკრა.

ხუკმა ჭიქა აიღო, მაგრამ სტუმრებს არც სასმელი უნდოდათ, არც საჭმელი. სდუმდნენ, ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდნენ.

— ლომისის მადლი შაგვეწიოს, სალამის მადლი!.. — დაილიცა მასპინძელმა და დაწყნა.

ანდრიამ მზოლოდ სადღეგრძელო გაიმეორა, ჭიქა კი პირუხლებამდე დადგა. ფრიდონიც ასევე მოიქცა, გაგელმა კი მაშინვე ბლუჭ-ბლუჭ. — რაკომ არა სვამთ? — მიუბრუნდა ანდრიასა და ფრიდონს მასპინძელი.

— ჭერ საქმე, მერე ...

— თან დაგლოოთ, თან ვისაქმოთ.

— ცხორი უნდა გადმოგიტეკოთ, — თქვა ანდრიამ.

ხუკიც სარქალი იყო, მაგრამ — სხვა ფარაშა.

— ვისაც გიბარიათ? — ეკვიანად შეეკითხა იგი.

— ოქ ბეგრობს, დიდი ფარაა.

— არც ჩემია ნაკლები, ორიათასზე მეტია.

— შენ ბუკეფსები ყაკვს კარგი.

... ლაპარაკობდნენ, დავობდნენ, ვერ რიგდებოდნენ.

ხუკი მადიანად იღმურძლებოდა, ანდრია — უსალოსოდ, სასმელს კი ერიდებოდა. გაგელი მარტო სვამდა და სიმპარს ეკვიანად უსმენდა. ბოლოს მოთმინების ძაფი გაუწყდა და ანდრიას სიტყვა გაუშვებინა:

— დაიცა, კაცო, რა ღობე-ყორეს ედეპი, — თან ხელით ანიშნა, გაჩუმებულიყო. მერე ხუკს პირდაპირ უთხრა: — რა ცხორი, რახ ცხორი ... — ისევ ანდრიას მიუბრუნდა: — კაცო, ანდრიაკ, პირდაპირ ვუთხრათ, რისთვისაც მოვედით, რაც გვინდა, რა შორიდან ულლი? მეკავრებაკე მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი.

ხუკმა მთელი ყურადღება გაგელს მიაპყრო.

— ჩვენნა, ხუკო, მართლა ცხერის გამო კი არ მოვედით, ძმისავ, ქალი გვინდა, ქალი!

— რა ქალი, ვინ ქალი! — წამოიძახა მასპინძელმა და თვალები ფართოდ გაიხამხამა.

— ვინა და ა ეგ შენი გოგო თამარი, ჩემი ცოლისძმისთვის გვინდა.

— მე მეგონა, მართლა საქმისთვის იყავით ... თუ მაკაზე მოხვედით, ეხლავე შააყოლეთ აქედანა!

— რათა, კაცო!

— იმიტომ!

— გვითხოვ? — ხმას აუწია გაგელმა.

— გაგელო, ჭკვიანთა! — დაუყვირა ანდრიამ.

— კი, გითხოვთ! — ხმას აუწია ხუკმაც.

— რათა? — გაგელს ქვედა ყბა აუცახცახდა.

— იმიტო რო ეს ჩემი სახლია და ნება მაქვს!

— შენი იყოს, ვინ გართმეეს, მაგრამ სტუმრის დათხოვნა რომელ ხალხ-ქვეყანაში გაგონილა?

— გაგელო, ჭკვიანთა-მეთქი! — კვლავ გაიფრთხილა ანდრიამ.

— მაგ საქმეზე ხმა არ გამცეთ! — ჯიუტობდა ხუკი.

— დაიცა, კაცო, დაგვიგდე ყური! გოგოსა და ბიჭს მასწორნი ერთმანეთი, ქართველო!

— მე გოგო და ბიჭი არ ვიცი!

— ხუკო, დაიცა, შვილო, დაწყნარდი პატარა ხანსა, — შემეფიცარა დედა, მაგრამ მასპინძელი უკვე შემთვრალი და გულმოსული იყო და აღარაფრის გაგონება არ უნდოდა.

— თუკი არ ვუნდოდავრო, შესახვეწნი აბა რა გვაქ, ანდრიაკ, ადე, წავიდეთ! — წამოიჯახა გაგრიზვაებულმა გაგელმა.

ანდრიამ ნელა წამოიწია, მას ფრიდონიც ამყვა და კარისაკენ რომ გაილანენ, ხუკმა გულმოსულად ჩაილაპარაკა:

— მე საჯალმაიტო ქალი არცა მყოლია და არც მეყოლება!

— ხუკო, სტყუვდები ძალიანა! — მიუბრუნდა ანდრია.

— ჯალმაიძეებზე რითა ხართ მეტნი? — უფრო გაბრაზდა გაგელი.

— იყო დრო, ჯალმაიძენი ჩვენის გუდის ნახორხლებითა ძღებოდნენ, აბა, საით მივაცეთ ამათ ქალი!

— დიდძალი ცხორ-ძროხის პატრონები კი იყავით, მაგრამ დაგრჩათ თუ არა ოხრად!

— თქვენ დაგრჩათ ოხრადა! — სიტყვა მიუბრუნა ხუკმა.

— ვისა! — წამოიძახა გაგელმა.

— თქვენნა! — მოუკრა მასპინძელმა.

გაგელს მეტიც აღარ უნდოდა, უცბად მიუბრუნდა და შორიდან გაქანებული მუშტი მთელი ძალით გაარტყა ყბაში. ხუკს მარტო ისღა ახსოვს, რომ მაგრა რაღაც მოხვდა. მეტი აღარაფერი უგრძენია. ება გვერდზე მოეკეცა, დატრიალდა და რეტდასხმული იქვე დაეცა.

— რა ჰქენი, შე თავლაფდასხმულო! — გაუწყრა ანდრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოგზდეა თუ არა კარგისა! — დაეყოლა გაგელმა და გარეთ გავარდა.

— უიმე, რაღა ვქნა, ხალხნო, შვილი მამიკლა ამ მუხლუბიდან ჩამოსახდომმა! ვაიმე, შვილეთო! — აკივლდა ჭაბარა.

სალოცავს მწვადები უკვე შეეწვა და ის იყო შამფურები ამოჭედნდა, რომ სტუმრები კიბეზე ბრაგაბრუგით ჩამორბოდნენ. შემკრთალი და დაბნეული დ[illegible] ხლისი გკერდზე მიდგა, სტუმრებს გზა უტია.

საჭკოდ შესხდნენ ცხენებზე და იქაურობას უსიტყვოდ გაეცალნენ. სოფელს კარგა მანძილით რომ გასცდნენ, ცხენები ნაბიჯზე გადაიყვანეს. ანდრიამ წაულაპარაკა გაგელს:

— მე თავიდანვე არ მინდოდა ამ საქმეში შენი გარეკვა, მაგრამ ხშირად ველარ შავაბდინერა და ანდე, ეხლი იხალოს თავში ქვა!

— რატუ არ გინდოდა?—სწორედ მოუბრუნდა გაგელი.

— იმითა, რო ჩხუბი და ხათაბალა იცი!

— ბღენძია კაცზე ახია! გგეთებისათვის მაშინვე ვიცი გამოწერა.

— ბღენძიაა თუ ვინც არი, უნდა მაუთმინო!

— რაზე უნდა მავუთმინო, რით არი ჩემზე მეტი?

— უნდა მაუთმინო, მორჩა და გათავდა! ა, ეხლი ჩვენ ბაგასთან ისეთ საქმეზე ვიყავით, სულ რო ჩვენთვის თავში ერტყა, უნდა მოგეთმინა. შენ კი სამუდამოდ ჩაშალე და ჩაიოხრე საქმე. ჩვენ მანდ მიმსვლელები აღარა ვართ.

— ჩავშალე და ჯამრულმაც სხოგან ეძებოს, რაი გვაქ სახვეწარი?

ფრიდინსა და ანდრიას ჩუმად მიჰყავდათ ცხენები.

VII

ჯამრულს გაეღვიძა. ქვიან მიწაზე წოლით გაბუეებული გვერდი მოიფხანა, მერე წამოდგა და ირგვლივ მიმოიხედა. ცალი მხარე ისე უმეუოდა, თითქოს ქიაქვეელები დასეეგიანო. ჯერ გაიარ-გამოიარა, მერე ფარას ირგვლივ შემოუარა. მოხუცებს ფრთხილი ძილიი ეძინათ. ძალლებიც ჭეეთ-იქით მიწოლილიეყვნენ. მოაში ოშვიათია, როცა არა წვიმს, არა ქრის და ნადირიც არ იწევს.

ისევ მიწვა და მეორე გვერდზე გაიშოტა. ვარსკვლავებით გაეკეკეებულ ცას მიაჩერდა, მერე თვალები მილულა და ფიქრებში გაირინდა. გაღვიძების წინ სიზმარი ნახა, ვითომ უკვე მოეყვანა თამარი ...

ჯეილ კაცს ცხორში რა უნდა! მწყემსებად ორმოცდაათი წლისანი უნდა დადიოდნენ. ამ ხნის ხალხს უკვე წამოზრდილი ჰყავთ შვილები, აღარც ცოლებთან განშორებას ნაღელავენ ...

ძალი გაუკრთა. ადგა, ფარას ირგვლივ შემოუარა, მერე ეკ მოთვალიერა. მთებზე ღამეული მდუმარება სუფეედა. ხანდახან შორეთი ახმიანდებოდა სადღაც, მერე ეს ჩქამიც მიწყდებოდა და კვლავ გამძაფრდებოდა სიჩუმე.

დაწვა და უმალვე ძილბურანში გაირინდა. შუაღამე გადასული იქნებოდა, როცა ავდრანა გამოაღვიძა, ნაბადი მოძღენა, მოიხვია და ნამძინარეები თვალები ძალად გაახილა. ახლა უკვე ვეღარ დაიძინებდა. ახეთ დროს ნადირმა იცოდა გაეფორება და, თუ ძალლები აღვეღვდებოდნენ, პაი-ბაის ძახილით უნდა გაემხვნევინანათ, ცხვარს გვერდით დასდგომოდნენ.

ძილმორეული თვალები მოიფშვნიტა და ნაბადმოხეულმა ირგვლივ მიმოხედა. ოდნავადაც არაფერი ჩანდა. როგორც ეტყობოდა, ველზე ნისლი იწვა. ეხლამაც იყოს ბაკი და კარავი! რამდენიც უნდა ეწვიმნა, იქნებოდნენ არხეინად, ცხვარს არაფერი დაკლებენ ეროდა.

უძილობისაგან დაბუნდოვანებული ერთგან ტბორში ჩაეზაკა და ბანდულებში ცივი წყალი აუკაკაპენაპა.

— შარუმავ, თოლეკავ... — დაუძახა მწყემსებს.

მათ ქვემოდან გასცეს ხმა.

— აბა რასა სჩადი, კაცოო!

— რა უნდა ვქნათ, ზეზე ვდგებვარო და ველარაფერსა ვხედავთ! — დაუძახა წიაწეგულმა.

ქარი თანდათან გაავდა და დაჭრილი ნადირივით დაიდმუვლა. მერე დაიქუხა და კოკეაპირული დასახა... ელვის შუქზე მხოლოდ მგრედილიფერ ჯანლს ხედავდა. ადაწდგილებულ ფარას ბაი-ბაის ძახილით აბრუნებდნენ.

ხევის მხარეზე ძალლები რაღაცას გაეფთრებით გაეხიენენ, მერე ეეფფთ აბოფრებულები ისევ ფარას მოაწყდნენ და ცხვარიც დაფრთხა. აბეადა სტვენეა და ეკარილი, მაგრამ ფარა ვეღარ დაეოკეს.

ჯამრული ცხვარს ალლოთი გამოედევნა, თავქვეზე გაქცეული ერთგან ბრაშმი ჩაეზაეკ, დაცემისას ლოდს ფერდი შეახალა, ტკივილისგან სუნთქვა შეეკრა, ცოცხალმკვდარივით ერთ ადგილას მიესვენა და ამოკვნესაც ვერ მოახერხა. ბოლოს რის ვაივაგლახით ძლივს მოითქვა სული. წვიმის შხრიალში კანტაკეუნტად ესმოდა მწყემსების ძახილი და ძალლების ყეფა. ამ ჩქამზე ატყობდა, რომ ცხვარი სადღაც შორს გამფთხალიყო. ძლივს წამოწოა, მაგრამ კვლავ მიექცა. გვიანლა დაუმცდა ტკივილი. დაიძახა. ხმა არავის გაუცია. ადგა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალმა ფრთხილად დაეშვა. ცოტა ხნის შემდეგ კაცის ჩქამი და ძალების ყეფა თანდათან გარკვევით მოისმა და ფარას ძლივს მიაპყრო. ჭარიშმალი ავად ღმუოდა, თან კოკისპირულს ასხამდა. ელვის მკრთალ შუქზე წამით ყველაფრის დანახვა მოასწრო. ძალიან ცუდ ადგილას ჩამომფრთხალიყო ცხვარი. ნადირი ხომ მაშინვე ასეთი მხრისაკენ უზამს ხოლმე პირსა! ფარას ქვემოდან მოუარა და ძახილით აღმა შეაბრუნა...

გათენებისას ცამ გადაიკარა, აქა-იქ შემორჩენილი ღრუბლებიდან სინათლემ ჩამოფრინა, კარჩხალა მთების გრეხილებს მიღმა განთიადმა გამოიხედა. ფარა სამშვიდობამ ადგილას მიაყენა და ჯოხზე დაყუდებულს თვლები მიეღლულა. ძილბურანში გატრუნულმა თვალი გვიანლა გაახილა და ირგვლივ მიმოიხედა. ცხვარი კარგა შორს ჩამომფრთხალიყო და ზედ უფსკრულის ახლოს დამდგარიყო. კლდის თავს. გადადგა და ხეობას ჩახედა. აქედან ძლივს მოჩანდა ლოდებზე გადალეწილი ლეგა ღვარცოფი.

ფარა საბალაბოდ გაიშალა, ცხვარს მოხუცები გაჰყვნენ, ჭამრული კი იქვე სიპებზე ჩამოჯდა და იალაღებს გახედა. გვერდი ჭერ კიდევ ყრუდ სტკიოდა, სუნთქვას უშლიდა, ნეკნების დაბოლოებაზე მქვალივით რაღაც სჩხვლეტდა.

VIII

გულალმა გაშლართულსა და გვერდზე უბამოქცეულ ხუჯს მთელი ჭალაბი თავს დადგა. ბოსელში დამალულ თამარს მოესმა თუ არა შინაურების წოიკი, დაელდებული შუნივით გაირინდა, გული აუჩქროლდა და შინ შეეკრა. მამას რომ დახედა, მკვდარი ეგონა და მთელი ხმით იკივლა. მის მოთქმაზე კიდევ უფრო აკოთქოთდნენ და-ძმები.

ჭავარამ შვილს სახეზე მუქით წყალი ა-აკურა, მერე რძალს მიუბრუნდა და ხმის კანკალით უთხრა:

— წადი, ჭრელას დაუძახე.

იქვე ახლოს ერთი ბერიკაცი ცხოვრობდა. ცისფერი თვალების გამო ჭრელას ეძახდნენ. მოტეხილისა და ნაღრძობის უებარი მკურნალი იყო.

სალომემ ფარანი აანთო და წავიდა. ჭრელაანთას ისეთ დროს მივიდა, როცა მთელი ოჯახი ვახშმობდა. მოხუცს აქეთ-იქით შვილები, რძლები და შვილიშვილები მოესხა, თავიდ სუფრის თავს წამომჯდარიყო და სერობდნენ — ახალ ხორცს ქრთილის დადუღებულ ლუღს აყოლებდნენ.

გოგენებულ სალომეს დაძახება დაავიწყდა და მეზობლებში დაფეთებული შეევლო. მის დანახვაზე ეგრევე გაშეშდნენ მოვახშმენი. ქალი თანდათან გონს მოეგო და შერცხვა. სანამ დამხვდურნი არ შეეკითხნენ, ენა ვეღარ მოეჭრა.

მის დანახვაზე ჭრელას გამოცელილი კაბა ხელში შერჩა, ხონჩაზე გვიანლა დადგა, ლუდით დაცვარულ თეთრ ულვაშებზე ხელის ზურგი გაიხ-გამოსცა და შეეკითხა:

— რა ამბავია?

— ხუჯმა... უეხი იტკინა.

— ფეხი კი, მაგრამ ... — დინჯად ჩაილაპარაკა მოხუცმა, —როგორა?

— რა ვიცი, დაეცა და ... — სალომეს კინაღამ ენა აერია.

ჭრელამ ნელა წამოიწია.

— სანამ გავეშმზდები, დაჯე, თიკნის ხაშლამაა ..

— არა ... დიდი მადლობა, ჩემო ძიავ ...

— მოდი, ჰა, — უთხრა მოხუცმა და მერე რძლებს მიუბრუნდა: — დასვით.

სალომეს დანახვით გაოგნებულ რძლებს შეპატიჟება დავიწყებოდათ. ბალღები კი ფეხზე იდგნენ. დასვითო, პაპამ რომ თქვა, მაშინვე ადგილი დაუთმეს.

— ნუ წუხდებით, თქვენი ჭირიმეთ, არა, არა!

— მოდი, ქალო, ახალი ლუდია, კარგი... — შეპატიჟა უფროსმა რძალმა.

— უომე, ჩემო ნათლიჯალაბო, ისე ვარ გაწარებული, ისე ... არაფერიც არ მინდა.

— ნუ გეშინიან, ხელით მოგარჩენ, ხელითა! ვნახო ჯერა! — თქვა ოდნავ შეზარხოშებულმა ჭრელამ.

სანამ მოხუცი ლაპარაკობდა, უმცროსი რძალი წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა.

სალომეს ცოტა ხნით ჩამოჯდომაც ეწადა და ვახშამზე დაწვევაც, მაგრამ შინ რომ ქმარი ისეთ ყოფაში ეგულებოდა, პირში ალარაფერის ჩაშვება არ უნდოდა. თუმცა, ამ ბედნიერ ღამეყოფილო ოჯახში შემოვიდა თუ არა, უმალვე დამშვიდდა, თვალწინ შფოთიანი და მუდამ მკლავზე მაკკერალი ქმარი წარმოუდგა დიმაზე გაბრაზდა.

რძალმა მამამთილს უსახელოებო ტკაცი გამოუტანა, ერთ-ერთმა შვილიშვილმა პაპას ხელჯოხი მიურბენინა და, როცა მოხუცი გაემზადა, სალომეს მიუბრუნდა:

— ანა, წავიდეთ!

— არ მოგვერიდო, თუ შველა გინდათ, მზადა ვართ! — უთხრა ვახტანგმა.

—ღმერთმა თქვენი თავი მიცოცხლოს!

— ანა, გამიძეს წინა! — მიუბრუნდა მოხუცი.

სალომემ ივანაზე დატოვებული ფარანი აიღო. კიბე ნელა ჩაიარეს. უფროსმა ძმამ ისინი გზამდის გაიცილა.

ძალლი ხირხლებთან ყეფით მოვარდა, მაგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამ სალომემ დატუქსა თუ არა, უმალვე დაწყნარდა.

— ა ეს კი გადმოდი, ჩემო ძიავ! — ფარნიო გზას უშუქებდა სალომეს.

ჯავარა შვილს თავითი ეჯდა. ხუჯს უკვე თვალები ეხილა, მაგრამ ისევ უგონოდ იწვა.

ჭრელამ ჯობი ქარის კუთხეში მიაყუდა და ბანჯგვლიანი დიდი ქუდი მოიხადა.

— მშვიდობა ოჯახსა, აგაშენოთ! — თქვა მან.

— იცოცხლე, ჩემო ჭრელო!

— რა მოუვიდა, ჯავარავ?

— მძელურთი გიგელმა დამიკრა, ის შახსლ-ტეს დედასა! ჩემის ცოდვითი არ გაიხაროს იმისმა ცოლ-შვილმა!

აცრემლებული ბალლები უკან მიდგნენ.

თამარმა ჭრელას დაბალი სამფეხა სკამი პატართვა.

ჭრელამ იგი ხუჯის თავთით დაიდგა და დაიხარა თუ არა, იმ წამსვე არეის მყრალმა სუნმა შეანჩარა. მერე ისევ გასწორდა და თქვა:

— აბა, მიატანეთ რამა!

— რა? — დაეკითხა სალომე.

— თავშალი ან პირსახოცი.

თამარმა მეეხვე. ახლად გარეცხილი ქალაღაია მოურბენინა.

— დაუბერეთ ხელები!

სალომემ მარჯვენა დაუბერა, თამარმა — მარცხენა.

ჭრელამ ხუჯს ყბაზე ფრთხილად შემოაფარა სახვეევი, მერე ორივე ხელი ნიკაპზე მაკრად მოავლო და უცბად ჭერ ძირს დასწია, მერე მარცხნივ მიუღრიჯა და ყბა თავისავე ადგილას ჩაუხვა.

ხუჯმა ლიმიკით დაილრიალა, გაიბრძოლა კიდეც და წამოიწია.

— დაწე, დაწე! — დაუყვავა ჭრელამ, — ეხლა არა გიშავრა, შე ბეჩაო, შენა! უთხრა და წამოდგა, — გაუშალეთ ლოგინი და ნელა, ცოცცოვად დავაწვინოთ. წამოსულიეკენენ მაინც ი ბიეები, მოგვეშველებოდნენ, — მიუბრუნდა ჭრელი სალომეს.

— ეჰ, შენი წამოყვანაც მეხათრებოდა, ჩემო ძიავ! — ჩაილაპარაკა ქალმა და ტახტზე ფარდაგი გაასწორა. თამარი მეორე ოთახში ფეხაკრეფით გავარდა, ლოგინი გამოიტანა, გაშალა. მერე ხუჯს მიუბრუნდნენ ყველანი. ერთ მკლავში თამარმა ჩაჰკიდა ხელი, მეორეში — სალომემ, ჯავარმა უეჩები აუწია, ჭრელამ — თავი და ლოგინთან ნელა მიიყვანეს, ფრთხილად დაწვინეს და დაახურეს.

—ნუ შაშინდებით, ეხლა არა უშავრა, ეძინოს. ხვალაც არ ადგეს, დილაზე კიდევ გაადმოვალ და ვნახავ.

— აბა, ჩემო ძიავ, მობრუნდი და ცოტა არაფი დაგვალე! — შეჰსაკითა სალომემ.

— არაფუ არა ვსობ.

— მოდი, მოდი, დაილოცე მაინც.

მოხუეი მაგიდისკენ მიბრუნდა, ქუდი მარცხენა ხელით დაიჭირა, დიასახლისს ჰიქა ჩამოართვა და ხუჯის საწოლთან მიგრავილ ჯალაბს მიუბრუნდა:

— ლომისის მადლი შაგეწოოთ, იმისი კალთა გფთარავდეთ, ბიფთა-ფთეფრაკი აგაშოროთ, მშვიდობით გამეოფოთ! — ჩაილაპარაკა და ცოტა მოხვა.

— იხარე შენი ხიზნით, ჩემო ძიავ! ბედნიერი კაცი ხარ, ბედნიერი! ეკვიანი ჯალაფი გკვენტეკ? ინ ოჯახსა, რა ოჯახშიც კეთილი ინგელოზი ტრიალებს!

— მშვიდობით იყავით! — თქვა, ქუდი ისევ დაიხურა და წავიდა.

— დაიცა, ჩემო ძიავ, გაგაცილებ, განა მარტოს გაგიშვებ! — თქვა სალომემ, ფარანი ისევ აიღო და მოხუეს გაჰყვა.

ხუჯმა მალე მიიძინა და ხვრინვა ამოიშვა.

სალომე ჩჩარა მობრუნდა, ბალლებს აკმაპა და დაიძინა. ერთხანს ქმარს გვერდით უწევა, მერე თვითონაც დასაძინებლად წავიდა.

თამარმა ერთი ხანმა აიკანწე იბორიალა, მერე ისიც დაწვა. მთელმა ოჯახმა დაიძინა, ხუჯს თაკითი მარტო ჯავარა უჯდა და ზოგ-ლი ღამე ფხიზლობდა.

თენებისას ხუჯმა გაიღვიძა, წამოახვეელ, ასადგომად წამოიწია, მაგრამ ზედ ოთახდა თუ არა, უცბად ბრუ დაეხმა და იატაკზე დაეცა. გულგახეთქილი ჯავარა შვილს ასაყენებლად დაეტანა, მაგრამ ამხელა კაცს ძვრაც ვერ უყო. ხუჯმა ნელ-ნელა წამოიწია, მაგრამ კვლავ დაეცა.

დედა-შვილის ჭშენახა და ბრახაბრიზზე სალმეს გაეღვიძა, მეეხვე წამოიდგა და გამოვიდა.

— მოდი, მიშველე, ქალო!

რძალ-დედამთილმა ძლივს დაიწვინეს ხუჯი.

როცა ავადმყოფი გულაღმა გადმოტრიალდა, სალომემ მაშინვე შეანშა, რომ ქმარს სახე გასიებოდა, ნამეტანად ცალი ყბა, რუმბავით ადგა.

— ვაი ... რეტი რადმე მეხვეევ, გულიც მერევა .. — კვნესოდა ხუჯი.

— იწე, შვილო, იწე, თანდათან გაგიჯერს.

როცა კარგად გაიეწდა, გზნიდან ვიდაცამ დაიძახა და ძალლიც აეეფდა.

აიკანწე სალომე გავიდა.

ჯავარამ პატარა მრგვალ ტაბლას სუფრა გადაეფარა, ზედ თაფლიანი და ერბოიანი ჭამეები დაეწყო, შიგ პურის ნატეხები ჩაალგა და შვილს გვერდით დაუდგა.

— აბა გადმობრუნდი!

ბეჭვი ბუთხუზი
გაგრძელება

— არაფერი არ მინდა, დედავ!

— მობრუნდი, მობრუნდი!

ივანაზე ძმიმე ფეხის ხმა გაისმა და შინ საბჭოს თავჯდომარე და ფასანაურის ზონის მილიციის ინსპექტორი შემოვიდნენ.

— გამარჯობათ, აგაშენოთ!

სალომემ სტუმრებს სკამები მიაწოდა. ისინი ხუჯის საწ�ახლოს დასხდნენ.

— გადმობრუნდი აქეთ, რა დაგემართა, კაცო!

საბჭოს თავჯდომარის ხმაზე ხუჯი ნელა გადმოტრიალდა. მაშინვე შეეტყო, რომ მათი დანახვა არ ეკმაშნიკა.

მილიციის ინსპექტორმა ტაკვის საკალალდე გახსნა, იქიდან ფურცლები ამოიღო, კალამი მოიმარჯვა და წერას შეუდგა.

— ახა, გვიამბე, როგორ იყო, რაზე ემეგვინე ი დათოსა... ხო იცი, რა მხეციც არის, რაკომ არ დაუთმე, რა ეკვას აყოლებდი?

— ასე მალე სიიდან გაგვიგო? — სვენებსვენებით შეეკითხა ხუჯი.

ბალლები ყველანი ავადმყოფის საწოლთან მოგროვდნენ და თავჯდომარესა და მილიციის ფორმიან კაცს ცნობისმოყვარედ მიაჩერდნენ: ახა, ეგება სტუმრებმა ჭიბიდან კამფეტები ამოიღონ და დაგვირიგონო.

ჭაგარა და სალომე სდუმდნენ. ვერ მიმხვდარიყვნენ, ამ ხალხს წუხანდელი ამბავი ახე მალე ვინ შეატყობინა.

— ჩვენ ყველაფერს ჩქარა ვიგებთ, — თქვა მილიციის ინსპექტორმა და ბალლები მოათვალიერა. ხუთ უმცროსს მოხარშული ხორცის ნაჭერი ჩაებღუჭა და პაპარა კბილებით ოდნავ ელრღნა. მოსცვრილ ტუჩებზე ბოტოტები ჩამოსდიოდა. ჩთქვირებულ ტანზე მარტო პერანგი ეცვა და გულისპირიც ქონით ჰქონდა დაფთხვილი. მახზე უფროსს მშვილდი ეჭირა და სტუმრებს დიდრონი თვალების ბრიალით მისჩერებოდა. მას ჩითის ბლუზა, გალიფე ზარვალი და ჭრელი ენდელი ეცვა. ერთი ენინში ბაცცეთილიყო და იქიდან წაქლეტილი ცერი უჩანდა.

მის დანახვაზე ინსპექტორს გაელიმა და სალომეს ჰკითხა:

— რამდენი ბავშვი გყავთ?

— შვიდი.

— ბიჭი რამდენია?

— ოთხი.

— დანარჩენები ხალა არიან?

— ერთს ძრობები გავალალინეთ, მეორეს — თხა-ცხვრები, უფროსი გოგო აქ სამ იყო. არ ვიცი... იმის მოყოლება დედაჩემმა წაიყვანა, — უპასუხა და წინსაფრის კალთით პატარას ცხვირი მოხოცა.

— ახა, გვიამბე, გვიამბე, როგორ იყო! — კვლავ მიუბრუნდა თავჯდომარე ხუჯს.

— მე საამბობელი არა მაქ რა! — კვნესით ძლივს ჩაილაპარაკა მან.

მილიციის ინსპექტორმა მისკენ მიბრუნდა და წერა დაიწყო, წინადადების ბოლოს ფურცელი რომ დასვა, ხუჯს უთხრა:

— ჩვენ ყველაფერი ვიცით, მაგრამ შენგან მინდა ინფორმაცია მივიღო. თავიდან ბოლომდე დაწერილებით მოგვიყევი, როგორ იყო... იმის ერთი ნაცემი კაცი დუშეთის საავადმყოფოში წევს, შენ — ალ. ოქვნავადის რამდენი შერჩა, რამდენი ვაპატიეთ... დაიწყე!

— რა დავიწყო, კაი გითხარ, მე სათქმელი არა მაქრა-მეთქი!

— ახა, რომ გცემა?

— მცემს... ალბათ, ჩემი ბრალიც იყო. მცემდა, მა რას მიზამდა, სახლიდან დავთოხავე, კაი გასაჯავრებელი სიტყვებიც ვაკადრე.

— ხო გითხარი, გიგო, — გადაულაპარაკა თავჯდომარემ, — აქაური კაცი თავის დღეში არავის უჩივლებს. ანდე, საღამომდე რო ეცვეშო, ერთ სიტყვასაც ვერ დააცდენინებ.

— ახა, უნდა შეარჩინოს?

თავჯდომარემ მხრები აიჩეჩა.

— რად შევარჩენ? ერთი გამკრა, მეც ერთს როდისმე დავაკუბავებ და ბარიბარში ვიქნებით.

— სასიკვდილოდ რომ წაეკიდნეთ ერთმანეთსა?

— არ წაეკიდებით. კაცმა სიმართლე უნდა თქოს, ჩემი ბრალიც იყო.

— ხო გეუბნებოდი, — თავჯდომარემ ინსპექტორს ნიშნი მიუგო. — აქაური კაცი კაცს არ უჩივლებს, საცინდან არ გიმიტებს.

— მაინც უნდა დავიბეჭოთ, ანანურელი უჩივის.

— ის ცოტა ჭკვიანად იყოს და იმ ერთი თავგასა არ იყოს, კაცა არ გამოთხაროს! არც ინასთანა ტუოდა გაგელ! მე თავად დაკეცწარი ინ ამბავსა. სულ კარკაფდ ვიცი ყველაფერი: დათვრა, სუფრა არია, ალანძდა... გაგელმა წესრაგისაკენ მოუწოდა. იმან შაგანრა, მერე გასარტყმელად გითხოვა და დანა ამოუღო... ახა, ხუ არ მიეკვლევინებოდა. გაგელმა ერთი გასცხო და ქირადაც ეყო, ლანდაცა. გაგელი არ არის უხეირო კაცი. ეგ არი, რომ თუ რამ აწყენინე, იქვე გაგიხწორებს ანგარიშსა, იქვე! კაცს ექსნი წერილი შეელი ახეევია, იმ ბალლებს რო მამა დაუქიროთო, მე შაუნახავ? მერიტეკ, ე მაგისთანა ოკროსსელიანი კალატოზი მთელ თომამთიულეთში არ არის, ეხლი ჩვენი კოლმეურნეობა ბოლოს შენებას იწყებს, ის რო დაიქიროთ, ეგ საქმე შარჩრდება და რა ეშველება ამ ზამთარს ფერმის საქონელსა?

— ახა, შენა თქვი, დედი, როგორ იყო? — მიუბრუნდა ინსპექტორი ჭაგარას.

—რა ვთქო, შვილო?

— რომელი ტყუოდა?

— გაგელი ინამნი ბაძაშვავ, რო არ უნდა გიერტყა ... მაგრამ ამის ბრალიც იყო. ხო ჩემი შვილია, სიმართლეს ვიტყვი ... სტუმრად მოგვივიდნენ და დაითხოვა ... ეჰ, აბა რა ვთქო, ორივენი ტყუოდნენ ..

— მაშ მე რაღა ძალა მადგა! — წამოიძახა ინსპექტორმა, ფურცლები ისევ საქალალდეში შეესახა და ჯულმოსულმა ჩალაპარაკა:

— ასემც გიქნიან, ერთმანეთი დაგიხოციან! ადე, წადიდეთ! — მიუბრუნდა იგი თავმჯდომარეს და ორივენი წამოდგნენ.

— ილიკო, აქეთ მაბარუნე ე სტუმარი, სახლი დაგვიღოცეთ!

— რა ვიცი, აბა ... შეეყოფანდა, მერე ინსპექტორს მკლავზე ხელი მოჰკიდა და მაგიდისკენ მიაბრუნა: — მოდი, ცოტახანს... ლუკმა გავტეხოთ.

— აჰ, არა!

— თითო ჭიქა, თითო!

— არა-მეთქი! — და ჯიქურ გავიდა.

IX

ჯამრულმა ცხენი დალმართზე ნელა ჩაატარა. რიეზე რომ გაივაკა, ფერდებში მაშინვა უცხუნა. შავრა ისე გახეთდა, სულ ნალვების ბაბაკუხით ირბინა. წყალში შესული ლილისფერ ზვირთების დაეწყოფა და კარგა ხანსა სვა.

მხედარმა აღმა ააყოლა თვალი. ალაგ ჭეკლურჭედან მობუსბუეებდა არაგი, ალაგ თაკვწყვეტილი მორბოდა, ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით გადმოდიოდა, ლოდებზე სადაფისფრად ამტვრეოდა, ლეკვნაგვარი აფთარივით ღმეოდა.

წყალი დალია თუ არა, შავრამ თავი ასწია, ლაგამი ერუდ გაარამუნა, ხაკერდვით რბილი ჩიჩვირიდან ნერწყვის გამეკვრავალე წვეთები ცილასავით ჩამოეწელა.

ჯამრულმა ცხენს ქუსლი ჰკრა.

შავრამ წყალი ნელი გატოპა, ნაპირზე გასულმა ქვები გაწუწა და ეინოლისფრად მოელვარე ნალებზე კვლავ ასხლტა ბზის სხივთა ქარვისფერი ათინთინი.

მხედარმა ქეკქეკით აარბენინა ფერდობი. მერე გზა გადაკვრა, ოდნავ გაივაკა და სოფელში ირეკინი შეაგდო.

გაგელი ციხიდან წინა დღით გამოუშვეს... არავინ უჩიოდა, მაგრამ მაინც დაიკერეს, ბნელსა და ჩახუთულ საკანში ორი დღე-ღამე ამყოფეს ...

ახლა ფანჯარასთან იჯდა, სარკის წინ წვერს იპარსავდა. ძალლის დაეეფებაზე უმალვე გაჩერდა, თვალი გარეთ წუუვიდა.

ჯამრული ცხენს ირეკრეში თამაშ-თამაშით მოაგელვებდა. ეეფით გაკანებულმა ძალლმა მზედარი რაგორც კი იცნო, მყისვე გაჩუმდა, ცხენს კუდის ქიცინით აედევნა.

საფერხე მარგილზე სადავით მიაბა. მოკეცილი მათრახი ჩექმის ყელში ჩაიდო და უკან აჯრო ავინის კიბე ბრაგაბრუვით აირბინა.

ღია კარში მასპინძელი გამოეგება. მას ჯერ მხოლოდ ცალი ეუბა ჩამოეპარსნა, მეორეზე კი ქაფშემშრალი წვერი ჭალარასავით მოუჩანდა.

ჯამრული გახეთდა, აღარ იცოდა, გაგელს გასჯავრებოდა თუ გადაჰხეეოდა. ერთი პირობა უხარიდა, რომ სიძე ციხეს იოლად გადაურჩა, მაგრამ ნაწყენი იყო, რადგან სასიმამრო გაულახა. ბოლოს მაინც მოახერხა გაღიმება, მიესალმა:

— გაგიმარჯოს! — მსხვილი და თეორი კბილები გამოაჩინა გაგელმა.

— შენ და შენი გამარჯვება... — უგულოდ ჩალაპარაკა, ხელი უწაღინოდ ჩამოართვა.

— ხუ არას მეშდერი, ძმისო!

შინ შევიდნენ. გაგელი კვლავ სარკის წინ ადგა. ბავშვები ისევ იწვნენ. თითო საწოლზე ორ-ორს არხეინად ეძინა. აკვანი დიასახლისის საწოლის გვერდით იდგა, დაულაგებელ ოთახში ნიერისა და გამდნარი დუშის მძაფრი სუნი იდგა.

— ჰაა, ძმისავ, ხუ არას მემდურე-მეთქი, კაცო!

— გემდური, მაშა! — ხმას აუწია ჯამრულმა.

— რათა, კაცო!

— იმითა, რო ცეტი ხარ!

გაგელმა დანა გაზეთის ნაგლეჯზე გაწმინდა, წყლიან ქილაში ჩაახვევ და ცოლის ძმას გაკვირვებული მიუბრუნდა.

— შენც ეგრე?

ჯამრულმა მაგიდის კვეშიდან სკამი გამოიღო, ფანჯარასთან ახლო დაიდგა და ხიძეს სახეში ჯიქურ შეაჩერდა.

— როდის უნდა მოგეცეს ჭკვა, როდისა!

— გადავეარე რამე? რაზე ვარ უკეცო?

— მაგაზე ხუ არ არის საქმე! რაღა დროს შენი ჩხუბი და შარ-ხათაბალეა!

— კაცი როცა ტყუის, იმას ვცემ კი არა, მეტსაც ვუზამ! — თქვა და ახლა მეორე ყბა ჩამოიფხაკა.

— უზამ და იქნება ისე ჩაგაგდონ, დღის სინათლე მოგანაბრონ! განა მუდამ გაპატიებენ?

— მე ციხისა არ მეშინინან! თუ ეტყუოვარ, წაეუხრი კაცს ქედსა და დამკრას, არც მეწყინება, არც მეტკინება! თუ არადა, რა ვქნა, ეგეთი ხასიათი მაქვ!

— არ არი კარგი, რო გაქ!

— რა ვქნა!

გაგელს ქმარი კედელზე მიეკედილი ლურსმნისათვის გამოება და სამაროველს ზედ ისე ისტატურად უქლაშუნებდა, კაი გამოცდილი დალაქი ეეგონებოდათ.

ბივი ბუთხუზი
ჯამრული

ქამარს ხელი გაუშვა, კელავ სარკის წინ წაიხარა და ახლა ულაკაშების სწორებას შეუდგა.

— კაცო, გაგელო, დამიგდე ყური, გულო! როგორა გგონია, ვანა მე კი ქკვაში მამდის სხვების ნათქვამ-მაქნარი? მაგრამ ვითშენ. ესე ვართ ყველანი და შენ ვინღა ხარ, ძმოო!

— ვინა და მართალ- მაგარი კაცი!

— აბა რაში იყავი მართალი შუკისთანა? — თქვა და წამოდგა.

— დამამცარა, დამწყეველა, შინიდან მაგდებდა.

— იმ კაცს თავის სახლში ყველაფრის ნება აქვ!

— სად გაგონილი, მახპინძელს სტუმარი გაეგდოს?

— ალბათ, არ მოუხვედით ქკვაში და მა რას გიზამდათ?

— არ მოუვედით და მახვდა თუ არა კარგიხა!

—მოხვდა და ხო ჩაგსვეს! ზოგი რამ უნდა მაოთმნო, თორო კანონი ხო იცი!

— მე ჩემი კანონები მაქვ!

— მიკვირს, აკმადე როგორა რჩები, რო ან არავინა გცემს, ან არავინა გკლავს, ან ციხეში არ გიჭერენ.

— როგორა ვრჩები და მართალი რო ვარ ყველასთანა — ღმერთთანაც და კაცთანაც! აკი გეუბნები, თუ ვტაუუვარ, დავუწოკენ კაცსა და დამარტყას, არც მეტკინება, არც მეწყინება!

გაგელი გულმოდგინედ კოხტავდებოდა, უბებზე ბეწვის ძირებს ხელის გულით ეძებდა.

— როგორი ყოფილა ციხე?

— ისეთი, რო მტერს არ უსურვებ!

— ჰოდა, თუ ქკვიანად არ იქნები, კიდევ ჩაგსვამენ. რა პირობით გამოგიშვეს?

— ხელწერილი დამადებინეს.

— ხუჭი არ გიჩივლებდა, მაგრამ ანანურელი ბიჭის ბეგვა როგორღა შაგრჩა?

— როგორა და, წართიმილი ღანა რო დავუდეგი წინა და მოწმეებმაც სიმართლე დამიდასტურეს.

— რაო, რა სპერსონ?

— ორი ნეკნი ჰქონია ჩატეხილი.

— ეთერი სადღაა?

— ცხორი გალელა.

— ი საქმე რო ჩამიშალეთო, რა ვქნა ეხლა, რა გიყო, როგორ მოგეკეკე?

— შენ კარგად იყავი და გოგუების მეტი რაა!

ჯამრულს გუნება აემღვრა, კრიჭა შეეკრა და ერთ ხანს ვეღარაფერის თქმა ვერ მოახერხა. მერე თანდათან იპოვნა სიტყვები და ხმის კანკალით ამოღერღა:

— როგორ თუ გოგუების მეტი რა არი?

გაგელმა ღანა გაწმინდა, დაკეცა და წამოდგა...

— სად მიხოლ! — ჯამრულმა ხმას აუწია, ქურთუკის ბოლოზე მოქაჩა.

გაგელი მყისვე შემობრუნდა.

— რა გინდა?

— ისა, რო გამეც პასუხი! რაზე მამიდეკეთ ის ხალხი? — და თავთავც წამოდგა.

— ვინ ხალხი?

—სადაც გასცდი, გასტყვარი და ირბუტე!

— ჯამრულო, რა გუნებაზე ხარ, კაცო!

— ეემ გუნებაზე, აი! მე ის გოგო მიყვარს, ის ხალხი ჩემი ცოლეფერები უნდა გახდეს, შენ კი! ..

— ჩემთან ეგრე გულადათ არავინ ლაპარაკობს!

— დედ-მამიდან მარტო ეგ ერთი და დამრჩა, ძალიან მიყორს ეთერი, მაგის საგარდნობით შენც მიყორხარ, მაგრამ თუ ჩემი ხათრი არ გექნება, თუ წინ წამიხოლ და ქუდს მამხდი, მაშინ შენც ფეხებზე მკიდიხარ!

— ვის უბებდავ მაგასა, ჯამრულო!

— ვისა და შენა! — წამოიტორარა იგი.

გაგელი ადგილიდან უეცრად მოსწყდა, ცოლის ძმას ეცა, ჩამდაუჯა და ოთხიოდე ნაბიჯზე ისე წაიღო, როგორც ზვავმა კლდის ლოდი.

ჯამრული ამას არ მოელოდა. ძალ-ღონე მოიკრიბა, ახლა თვითონ მიაწვა და ადგა ერთი ბრაგაბრუგი, იატაკის ზანზარი, მინების ზრიალი.

ბავშვებმა გაიღვიძეს, ლოგინიდან თავი წამოაყენეს, მამა-ბიძის ბრძოლაზე შეშინდნენ და ატირდნენ ...

კარგა ხანს იბღაჭყლავეს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დაძალა. ბოლოს ჯამრულმა უფრო იძლავრა, მოიქნია, მაგრამ გაგელს ხელები მარწუხებივით მაგრა ჰქონდა ჩავლებული და თავიდან ვერ მოიწყვეტა. ერთი ეს კი უყო, ფეხები საწოლს შემოაკვრეფინა და კინაღამ ძირს გადმოყარეს ბალლები.

უფრო ატირდნენ პატარები.

გაგელი მალე დაიღალა, ჯამრულს აღარ უძალიანდებოდა, მაგრამ აღარც ეკამბნებოდა.

ბავშვები კი ღრიალებდნენ. ჩვილმაც გაიღვიძა, აკვანში აფუტფუტდა და ისიც ატირდა.

— ესენი რო არ იყვნენ ცოდონი, მე ვიცოდი, რასაც გიზამდი!

— ჭიდილში ხო დამჯალეთე, გამიშვი, განზე გაგიდგები, ერთს დაგაყბავებ და თუ დაგაგდე, ალალი იყოს, თუ ვერა, რაც გინდა ის მიყავ!

— დგეიკვრეინო განა გიეი ვარ! თუ ქკვიანად არ იქნები, იქნება უმალ მე დაგტყლეშო! — შეხახა ოქთ გაამაუებულმა, უძლეველად მინჩეული გაგელი რომ დაკბინა.

— ვისა, მენა?

— შენა, აი!

— კაი მაგარი ვინმე ბუოფილხარ! ცოლის ძმა ხარ და კი არ გიცნობდი! გამიშვი, შავრიგდეთ!

— ჯერ თითი მოხარე!

გაგელმა სალოკი თითი მოხარა და თან დაიყოლა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— როგორც ცოლის ძმას, ისე გიხრი, თორო სხო რო იყო...

ერთმანეთი გაუშვეს. ორიენენ ჭშენავდნენ და მორკინალი ხარებივით კვლავ ერთურთს ზვერავდნენ.

ჯამრულმა ქამარი და ქურთუკი გაიხსნორა, ჩაქმის ყელიდან მთირახი ამოიღო და კარხსაკენ გაეშურა.

— სად მიხოლ, ე!

— რა გინდა?

— დაიცა, გეწყინა? ერთმანეთი ვშინჭკეთ, გაანა ცოდ-დედ ვიგანეთ! შენც კაი მაგარი ვინმე ბუოფლხარ, მაგრამ არც მე შაგხვდი ჯამანი. — ოხტაბარს არ ოტეხდა გაგელი, თან ჯამრულს მიმეკეგზოდა.

ჯამრულმა ცხენს მთირახი გ:ადაჭარა. გაცეცხლებული შავრა ჯერ ადგილ"ზეე დატორტმანდა, მერე ერთბაშად მოხსენდა, ხირხლებზე გადახტა და ფლოკვნების თქაფთქეფით ქვიან გზაზე დაეშვა.

თავწახრილი ეთერი აღმართზე ნელა ამოდიოდა, ზურგზე უშველებელი თულუხი მოეკიდო და გზას დაფიქრებული მოპკეკებოდა. მის დანახვაზე ჯამრულმა სადავე ისე ძალუმად მოხსნა, ცხენს კინაღამ ლაშნი აახია. მერე ნელი სვლით წაიყვანა და, როცა ეთერმა მოიხედა, ჯამრულმა შესძახა:

— გამარჯვება, დაო!

— ვიმე, ძმაო, მოგიკვდი! — თულუხის მოხსნა დაეპარა, მაგრამ ჯამრულმა აღარ დაანება, ცხენიდან ეგრეეე გადაიხარა და აკოცა.

— როგორა ხარ, დედა როგორ არი? ხუ არა გიკონრ რა? წამი, ჩამოხე!

— არა, მეჩქარება!

— ი! ..

— ვერ მოვბრუნდები, გაგელზე ვარ გაშეურალი!

— რათა?

— შაშლილი როა!

— ვიმე, რაღა ვქნა მაგისმა შამცქერმა!

—რაღა ჰქნა და ცოლი ხარ, უნდა მოუთმინო!

— რომელი ერთი მოვუთმინო...

— შენც ავად ხუ არ გექ�?

— მე ხუ ჭირ-ვანერსასა მაარავს, მაგრამ სხვებს რო მოლინებს ...

— ოღონდ თქვენ იყავით კარგად და სხვები ... მიდი, მიხედე ბალლებს, მიდი! — უთხრა ბოლოს, თან ცხენი დაღმართზე დაადგეცა, მერე არაგვის პირს შეაყოლა და ფოთს რომ მიუახლოდა შეერბდა და პირდაპირ გაიხედა. გაღმიდან ვიღაც მხედარი მოაკენებდა ძაღანასკენ და დარახტულ ცხენს. ჯამრულმა მას გაუშტერა თვალი.

მხედარი არაგვს რომ მოუახლოდა, მაშინ კი იცნო.

ჭრელთ ვაფიკამ ცხენი ჯამრულისკენ გამოამბრუნა, ნაპირზე გამოვიდა და მიესალმა.

— საიდ გაგიწევნია, ე!

— ფასანაურსა!

— ძმეურად ერთი რამ უნდა დაგავალო, ოღონ	მც ის შაბისრულე და, რაც გინდა მთხოვე!

— რა არი, რო ეგრე მეხვეწენი? — ვაიღიმა ვაფიკამ.

ჯამრული დიდანსაა სდუმდა, ვერ ბედავდა თქმას, მაგრამ ვაფიკა აღარ მოეშვა.

— განძათ თამპართან ერთ სიტყვის დაგაბარებ ...

— ერთი კი არა, ათი იყოს!

— შენ და იმის შეტმა არავინ უნდა იცოდეს!

— მაგაზე რად გინდა ლაპარაკი!

— უთხრიდი, დღეის სწორის, ღამის ათ საათზე ციხელიან წყაროსთან დამხვდეს.

ვაფიკამ თავი ჩაღუნა, დაფიქრდა, ბალახს დაწვდილი ცხენი შეაოკა და შეეპირდა.

—ოღონც ეგ შაბისრულე!

— კი, კაცო!

— ანა შენ იცი, მთაში მიმეჩქარება, კარგად იყავ!

— კარგად!

ჯამრულმა ნელა გაიყვანა არაგვში ცხენი, მერე ქუსლი ჰკრა და შავრას ნალებზე ქვლავ აციმციმდა მზის სხივი.

X

მოხუცი მხართეძოზე იწვა და ბალახს დახარებულ ცხვარს თვალს ადევნებდა. შუადღის გვიარვარებული მზე ოქროსფერ ქაფში ლიეოლავებდა, ცხოველმყოფელ სხივებს კამკამა ლაჟვარდში სცრიდა. გაღმა-გამოღმა ლურჯი მწვერვალები მოწმენდილ ცას შუბისპირული თხემებით შეეხენოდნენ და მწიფე ყანისფერში სინათლით მორწყულნი უძლეველობის სიამაყეთ სდუმდნენ.

— თოლექა რაღა იქნა? — შეეკითხა ჯამრული.

— არ ვიცი, ქვეშით სამ იქნება, — უპასუხა და გვერდი იბრუნა, ბისგან გათელილი ბალახი ზეზე ნელ-ნელა დგებოდა, წელში თანდათან სწორდებოდა.

ჯამრული იქვე წამოწვა, კომბალი გვერდით მოიღო და პირქვე გადაბრუნებულმა ბალახი მოწყვიტა. ღეროდან ოდნავ მომწყვანო წვენი გამოუვიდა.

წიაწყიგულმა ახალუხის ჯიბიდან დუმით გაპოხილი ტკავის ქისა ამოიღო, იქიდან ერთი დარბილებული თამბაქოს ფოთოლი ამოარჩია, შუაზე გაგლიჯა და ნახევარი პირში ჩაიდო.

ჯამრულმა გაიცინა.

მოხუცმა ტუჩები მოკუმა, ნერწყვი დიგუ-

ᲒᲘᲠᲘ ᲒᲣᲗᲘᲮᲣᲜᲘ
ᲯᲐᲛᲠᲣᲚᲘ

ბა, ფოთოლი კიდევ უფრო დაალბო და გაღეცმ.

— რასა შვრები, წიაწიგულო?

— სიძალლესა და სიმამაძაღლესა!

— ფინთია?

— მა რა, კარგია!

— რათა ღეშავ მაშა?

— კაცი რო უხეირობას დაეჩვევა ...

— მარგებელია?

— ღვიძლისთვია კარგო და, რა ვიცი, მე ამან არ მიშველა.

—წვენსა ულამაკ?

— ცოტას.

— რა არის ჩვენულება! დედაჩემი ბურნუთს იყრის ცხვარში, — ჩაილაპარაკა და წამოჯდა, საძოვარზე გაფენილ ფარას თვალი გადაავლო.

შუადღე იყო, მაგრამ არა ცხელოდა. ცხვარს ძალიან მაღლა აძოვებდნენ. ამის შემდეგ უკვე ალარ იყო ბალახი. თვალუწვდენელ ხეობები. და უფსკრულებს მიღმა თოფლ-ყინულიანი კლდოვანი გრეხილები წამომდგარიყვნენ. იქიდან კაიშაურის ველი ხელის გულივით მორანდა, არაგვის ხეობაში კი ისაშნისფერი ბინები ჩაგებებულიყო .

— რამდენი წლისა ხარ, წიაწიგულო? — მოულოდნელად შეეკითხა ჯამრული.

—ვიქენი სამოცდაათამდე ...

—რა ხნისა გახვედი ცხორაში?

— ათისა.

— სამოცი წელია, რაც ამ ოხრებს დასდევ?

— რათა ოხრებსა! ღმერთს არ აწყენო, ამაზე დალოცვილი საქონელი სხო რომელია? მატყელი, ხორცი, ტყავი, ყველი, ფული...

— მაშ არ მოგწყენდა?

— შენ რა გავაკეთო? მთიელი კაცი ცხვრისთვია გაჩენილი, ეს არი ჩვენი ცხოვრების სახსარი, ამას არსაით ეღალატება.

—ამის მამგონი და ამის პატრონი! — განგებ ჩაილაპარაკა და მოხუცს სახე აარიდა, რომ ხუმრობას ვერ მიმხვდარიყო.

— ნუ ლანძღავ, ბალღო, ცხვრის გმოა იგივ ღვთის გმოპა, არ შეიძლება!

— ცოლის მოყვანა მინდა და ამათ გადამკიდეს ...

— მოიყვანე მერე, ვინ გიშლის.

— ცხორს თავი საით დავანებო?

— უთხარ თავმჯდომარესა და ერთ-ორ თვეს როგორ არ გაგიშვებს.

— ვუთხარი, მაგრამ ქვა შაადგა.

— რათა?

— ვინა მყავს, შენს მაგიერ ვინღა გავგზავნოო.

— ხალხი ისე როგორ დაიღია, რო ...

— აბა მირჩიე, როგორ მოვაკლე?

— მე რა გირჩია, შენ იცი შენი საქმისა! მე რო დედაკაცი მამიყვანეს, მარტო ერთი კვირა ვიყავით ერთად, მერე წავედი და წავედი. ვეღარა და ვეღარ მოვბრუნდი. დამავიწყდა კიდეცა, რამდენი წელი ვიყავი გაველებულა. ში რო გადმოვე, ჩვენ სახლ წინ ერთი ბალღი რამ დამხვდა, ყორის ძირში ჩუგულაობდა. ვისი ხარ-მეთქი, გულისაო. წიაწი ვეღარა თქო ...

— რათ გეძახიან წიაწიგულასა?

— შარიანი ვიყავი და იმიტო. წიაწასავით პაგარა გული გაქვნო, იტყოდა მამაჩემი ...

— მერე, მერე?

— აბა რომელ გულისა-მეთქი. ნაზღალთო გავცეტდი კაცი. არ დავიჯერე. ჯალფთა ვკითხე და მერეღა გავიგე, რო ჩემი იყო.

— ეხლაღმდელი კაცი მაგდენს ვეღარ მაითმენს.

— ცხვრის ღალატი არ იქნება!

— მართალი ხარ, მაგრამ ძველებურად მწყემსობაც ალარ შაიძლება. შენს ჯეილობაში ხის გუთანი და ნამგალი იყო, ახლა ტრაქტორი და კომბაინია. მანქანა-იარაღებთო ერთი კაცი ორმოცის წლის აკეთებს. მარტო მეცხვარეები დავრჩით იმ დროის ყოფა-ცხოვრებით. ერთი ეგ არი, ყიზლარში ბოსლები აგვიშენეს, სხო რა!

— სხო რაიღა გინდა?

— რაი და ტოფლ-სწორებში ყოფნა, ლოგინში მოსვენებული ძილი, რადიო, ტელევიზორი კინო, წიგნი, გაზეთი, ჟურნალი, ცოლთან წოლა, სისუფთავე ... ლამის დავიღადრო თავტანი ქავლითა, ბუშკი ბეჭამს ცოცხალ კაცსა, ამა, ეს მოსათმენია?

წიაწიგულმა გაიცინა.

— რას იცინი?

— რადიო და გაზეთი კი არა ტრიაკი მამკითხე ჭა!

— ეგრეა, მაშ როგორ გინდა! ჩვენ ახლა სხო ვართ, თქვენნაირად ვეღარ გვეცხოვრება. სხო რო არა იეოსრა, ჩვენ, ჯილებს, ერთმანეთიც გვიხარიან, ჩემ ტოლებთან ლაპარაკი მენატრება. ბიძაჩემი თურმე ომში არ მიპყავდათ და, ძალით წასულიეო ...

— ვიცი, მახსომს ...

— შენ ალარავინ დარჩა და მარტო მე რა მინდა, აქ ვის ვუყურეო. თუკი ომნი ამ დროს მარტომ სოფელში ვერ გასძლო და ტოფლ-სწორებთან ერთად ტყვეის წვიმაში ყოფნა ინდომა, მე?... კაი კაცები ხარო, მაგრამ მე ჩემი ტოფლ-სწორები მირჩევნია.

— მაშ ჩვე რო დავიხოცებით, რა უნდა ჰქნათ ჯილებმა?

— რა და, საცა უკეთესია, მეც იქ წავალ, ყველა იქ მივატანთ.

— სოფელი. ცხორი?

— სოფელი დაიცლება, ცხორს მთავრობა მიიხპარს.

— სოფელი ნასოფლარად უნდა იქცეს?

— ეგრე გამოდის!

— ღმერთმა ნურავინ მაახლროს მაგ დღესა!

— თუ ხელი არ შაგვეწყო, ეგრე იქნება.

მოხუცმა მწუხარედ ჩაღუნა თავი.

— შენ რა გაწუხებს, წიაწიგულო?

— რა და, საცა დავბიადე და გავიზარდე, იქ ჩემი შვილები და შვილიშვილები უნდა გამხვავნენენ, რო შანდობა მითხრან, სანთელი ამინთონ, სახელი მიხსენონ! ჩემს ნასადგომარზე ბალღები უნდა ეყოფოდნენ, ყვავ-ყორნები კი არ უნდა ყრანტალეებდნენ.

ჯამრულმა გაიცინა.

— ჰოდა თუ მწუხემეს არავინ მოგვხედა, ეგრე იქნება! სივაგლახეს თქვენ სიბნელითა და სირეგვნით იტანდით, ეხლა სხვა დროა, ხალხმა გაიიღეა. ცხოვრების ყიში და ყადრი გაიგო. ჩემი თაობა თქვენი გზით ვეღარ ივლის, ჩემს შვილიშვილებს კიდევ ჩემი დრო აღარ მაეწებათ. ეგრეა!

— მაგ ჩვენი სოფლები ნასოფლარად უნდა იქცეს? — ეროხეელ კიდევ იკითხა დანაღვლიანებულმა წიაწიგულმა.

— აკი გეუბნები, თუ პირობები არ გაგვიკარგდა, ეგრე იქნება. ეხლაღა გაიგე? სამი შვილი გყავ, სამივენი წაგვიდნენ და ძაუგს, პრაბლადნახა და ივანოვკას დასახლდნენ. რა უნდათ იქა, რატო შინ არ მაიკვნენ?

— იქ ჩემი იმედით არიან, მე ვეგულები ცოცხალი და იმიტო. აბა ერთი, ჩავვარდე, თუ არ გადმოვლენ!

— მოვლენ, მაშ, ფეხებს გამაიმტვრევენ! იმათ აქეთკენ ვეღარ უზამ პირსა, გინდა ტრაქტორი დაუბა.

— მაშ მე არ მამოვლიან?

— როცა ღონღილი აღარ შაგეძლება, შენც თან წაგიყვანენ. ეგეც, ვინ იცის, გინდომებენ კია? იქნებ ერთურთის თოლის გებით აღარც კი გადმოგხედონ.

— რაი ვქნა, კაცო, მაშ ჩემი სახლ-კარი უნდა დაცარიელდეს?

— ეგრე იქნება..

მოხუცს გულს შემოეყარა, მომწყანნო და მომყრალო ნერწყვი გადაპურქეა, მერე თამბაკოს ნაღეტი ფოთოლი გამოიღო, ისევ ქისაში შეინახა და პირქვე დაწვა.

XI

ჯამრული ფერდობს გეზად გაუყვა. ტაფობში შავრას მოჰკრა თვალი. უმცროს ძმასავით თანაშეზრდილი სოფერხე შუადღის ჭზეზე იდგა და აბეზარ ბუზანკლებს ძუით იგერიებდა

— შავრა!

ცხენმა თავი ასწია, პატრონს გამოხედა.

„ნეტა რას უდგა ეგრე? მაკაცც ჩემსავით მარტოობის სევდა ხუ არ მოეძალა? რა გაპაკვირია, ეგეც ხო სულდგმულია, ჩვენსავით ძოძუს მაწოვარი. აბა ერთი, ჯოგში გაერეოდეს? თუ ეგრე დადღეული გაჩერდებოდა“.

— შავრა!

ცხენმა დაიხვიხვინა, თავი დააქნია და პატრონისაკენ წამოვიდა. ჯამრულმა კისერზე ხელი მოხვია, ხმელსა და დაძარღვულ ყბებზე ნები მოუთათუნა, რბილ ჩიჩვირზე ლოყა მიადო. რაღაც ამოოცნინა, შინაგანი სიყვარულით ეფერებოდა, მის დიდრონსა და ღოღნაშოსფერ თვალებში მოჩანდა ძალზე დაპატარავებული მთები, აყვავებული იალაღები, მწვერვალებზე დაფენილი ღრუბლები.

ლაგამი ამოსცო და გადაჯდა. პატრონის გულის ხაწადელს პირუტყვი მაშინვე მიხვდა: სანამ ფერდებში ქუსლებს უცხუნებდა, მანამ გაქცევა დაეპირა, მაგრამ მხედარმა მაშინვე როდი მისცა ნება. ჯერ ნაბიჯით ატარა, დაბლობიდან სწორაზე გაიყვანა და სადავე მერეღა მიუშვა.

— ამალამ შინ გამიშვით, ოფლმა და ჭუკყმა ძალიან შამაწუხა, თავ-ფეხეთ დავთბენ, პირს გავეპარასვ, გახდილი დავიძინებ და ერთი ღამით მაინც ლოგინში მოვისვენებ.

— აბა რო კაცი გვინდა აქაცა! — აბუზღუნდა წიაწიგული.

— ავდარში კიდევ ჰო, დარში ისე არა ჭირს, რად გინდივართ?

— ვინ იცის, დარი იქნება? ცას რა დაეჯერება!

ნაწყენი ჩაფეჭრდა და ქვევით გაიხედა, ახლა შარუმასაკენ გაიჭვნა ცხენი.

— შინ ჩავალ, შაიძლება ცოტა დამაგვიანდეს.

— წადი.

— თუ ავი დარი დადგა, მაშინვე აქ გავჩნდები, კაცნაკლებობას არ შაგაკლებინებთ. თუ დარი იქნა, დილამდე დავრჩები.

— კარგი, წადი!

ცხენი თავქვე დაგაგლეჯა.

ღამემ თანდათან იძალა. მთათა თხემებზე ოდნავდა ღვიოდა დაისის უკანასკნელი ციაგი.

სოფელს რომ მიუახლოვდა, ძაღლებმა ატეხეს ღაღვეული. სადავე მოზიდა და სოფერხე შეაჩერა. ჯერ ისევ ფეხზლობდა ხალხი. ყოველგვარ ხმაურს სულგანაბული ისმენდა. სინათლე არ ერთოდა განძათა ფანჯრებიდან. არა ჩქონდა იმედი, თამარი თუ დახვდებოდა წყაროსთან. მგელივით ზვერავდა შემოგარენს, ფრთხილად მიდიოდა.

ძაღლები ისევ მიყუჩდნენ.

ცხენიდან ჩამოხდა. გზა ქვეითად განაგრძო. აგერ ციხელის წყაროც! ახლოს მივიდა, ირგვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივ მიმოიხედა... ვინ იცის, ვაუკაჰ არც კი უთხრა. ან უთხრა და... ეჰ, რას მოვიდოდა! იქნებ ისეა გაბრაზებული...

რაღაც ხმა შემოესმა და შეჩერდა. ვერც ვინმე დაინახა, ალარც არაფერი გაუგია. სიბებზე მარტო წვალი ჩხრიალებდა. იდგა და გაყურებული ირგვლივ იყურებოდა. ბუჩქებიდან მაღალი და ნაცრისფერი ლანდი გამოჩნდა, ჯამრულისკენ წამოვიდა და წყნარად ჩაილაპარაკა:

— შენა ხარ?

— კი.

გახეხესტრებული იდგა, ალარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— ჩქარა, წავიდეთ!

— სადა?

— წამიყვანე თუ გინდივარ...

უმალვე ამხედრდა, თამარი შეეოიხსა, საფერხეს თავქვე დაბარტყა, მერე სადაღე მიუშვა და ქუსლი ჰკრა.

... მოკლა ცხენი ჩენებით. ოფლში გაეწურული ეზოში შეაჯდო და ფრთხილად ჩამოსვა ძირს თამარი. მერე თვითონაც ჩამოხტა, საფერხეს ალეარი წაჰყარა, ბინდორში გაიგდო. მერე ქალიშვილი აივანზე აიყვანა, კარი გაუღო, აყოცა და უჩურჩული:

— შადი და მეც მალე მოვალ!

ძირს ჩასული მცირე ხნით შეეყოვნდა. ირგვლივ ჩამოჭიმულიკ არ ისმოდა. ცა ილრუბლებოდა და ცივი, ნესტიანი ქარი უბერავდა. ეზო გადაირბინა და გზა მოყლეზე მოსჭრა. ყველას ტკბილად ეძინა. გაამაყებული და ბედნიერი ცოტახანს ბოსტანში შეჩერდა, აყვავებული ზაფრანისა და კამის გამბარუებელი სურნელი ხარბად იწოსა. ეზოს ღობეზე როგ გადახტა, ძალლი აუეფდა, მაგრამ იცნო თუ არა, კუდის ქიცინით გამოეკითხა. ბაკს გვერდით ჩაუარა და ფრთხილად მიიპარა იმ ოთახთან, რომელშიც ბიძაშვილი ეგულებოდა. კარი ნელა შეაღო, გზა ბნელში ხელების ცეცებით გაიკვლია. არხეინად ფშვინავდა ფრიდონი. ანდეთი მოუახლოვდა, ძმინარეს თავთით დაუჯდა. მხრებში ხელები ნელა მოჰკიდა, შეანჯღრია და თანაც უჩურჩულა:

— გაიღვიძე, ჯამრული ვარ!

ბიემა პირი წყნარად გაეტკაპუნა, გონთ მალე მოეგო და იკითხა:

— პა? ვინა?

— ჩუ, ჯამრული... ქალი მოვიტაცე ...

— ვა! ვინ ქალი, ბიემ!

— თამარი!

— შე უღმერთოვ!.. მერე?

— ჩუ, თავათ გამამყვა.

— განძათ თამარი?! — გაუკვირდა.

— ალალ ბედზე სანახავად მივედი, ის კი ცხენზე შამამიჯდა და გამამყვა.

— ეჰე... მოდი და ამის შემდეგ ქალსა რამდა დაიჯერე!

წყნარად ჩაიცინა, მერე ჩუმად უთხრა:

— ჩვენ ორ-სამ დღემდე არ გამოვჩნდებით, შენ ხვალ დილით მლეთუს ჩადი, შადი კანტორაშა და თავჩდომარეს უთხრიდი: ჩემს მაგიერ ცხორში დროებით ვინმე გაგზავნოო. თუ რამე გკითხოს, ძაუეს წავიდნენ-თქო, ხმა დაეარე.

— ადვილი სამსახურია!

— აბა შენ იცი, — ნაჩქარევად ჩაილაპარაკა და წავიდა.

ხოშიამ გვიან ვახშმობამდის ისაქმა, მერე ყველ-პურით შენაყრდა და მიწვა. დაღლილი იყო და მალე ჩაეძინა. პირველი, რაც მან გამოღვიძებისას იგრძნო, ეს იყო ყბებზე ხელის ცივი შეხება და აჩქარებული სუნთქვა.

— ვაიმე, რომელი ხარ? — შეშინდა მოხუცი.

— ჯამრული ვარ, ღამე მშვიდობისა, დედ!

— ჯამრული? — დამშვიდდა მოხუცი.

— ჰო, რამ შაგაშინა?

— ჯამრული შენა და დარდუმალა! რა ქურდულად შამოხეე, სინათლე ვერ აანთე?

— დამავიწყდა.

— რა დაგავლეს ამ დროთა?

— ცოლი მოვიყვანე.

— ცოლი?!

ჯამრული სდუმდა.

— სადა, ვინა, რა ცოლი, შენ ხუ არ დაიხელთე, ბიემ!

— განძათ თამარი წამამყვა... დილაზე ან ამალამეე მოგვადგება ვინმე და ეკერე უთხროდი: ცხორშია-თქო. ბეტყვიან: ასე და ასეო. მე არა ვიცირა-თქო.

მოხუცი სდუმდა, როგორც ჩანდა, არ ეხიბოვნა შვილის მოტანილი ამბავი, მაგრამ დაშლიც ალარ შეეძლო. მერე წარმოიდგინა, რომ დილით მოცვივდებოდნენ განძაიძენი, ქალს ეხიეე დაიბარუნებდნენ, ბიეს კი ავს რასმე გადაჭარბდნენ. მოვიდოდა მილიციაც... უკანური ფიქრებისგან დაზაფრული თითქოს დამუნჯდა, ვეღარაფერი თქვა.

ჯამრული ნელა ადგა, ფუსკერეფით გავიდა. თამარი უკვე დაწოლილიყო.

დილით, როცა ადგნენ, ჯამრულმა დედას დაუძახა.

ხოშიამ გობი, საპონი, თბილი წყალი და პირსაწმენდი აიტანა, რძალ-შვილი გადაკოცნა, ჩუმი ტუტუნით ორივეს ჯვარი გადასწერა და ხელ-პირი დაბანინა. მერე ცხელი ხაშლამა და ნიჩალი ამოიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხუ არავინ მოსულა? — შეეკითხა ჯამრული.

— არა ...

ხოშია შვილსა და რძალს დააცქერდა ... თამარი დარცხვენილი იდგა, დედამთილს თვალს ვერ უსწორებდა. ხთორობდა ჯამრულიც. ხოშია წუთით ფიქრებში გაირინდა და თავისი პირველი ღაბე გაახსენდა. რძლისადმი რაკომღაც იდუმალი შური აღეძრა, მაგრამ გარეგნულად არ შეიმჩნია. თავჩაღუნულსა და გაწითლებულ რძალს დააკვირდა და შეეცოდა. თამარი მონადირეებისაგან გამომფრთხალ ნეტარს მიაგავდა, რომელსაც უცხო სახლში პოვა თავშესაფარი და ახლა მისი ხელის კკრა დიდი უბედურება იქნებოდა. შეეცოდა შვილიც, უხერხულობა იგრძნო და ისევ წავიდა.

XII

ასე ბედნიერი ჯერ არასოდეს ყოფილა ჯამრული. გაპარსული, დაბანილი, მოსვენებული და გამოძინებული... უმალვე ცხაურში ძაღლუმადური გდება მოაგონდა.

რა ეშმაკმა გაახსენა?

გარეცხილ-გაუთოებული სამოსი ჩაეცვა და დედასთან ჩავიდა.

— არაყი რამთვენი გვექნება?

— ოცდაათ ხელადამდე ...

„ესე იგი, სამოც ლიტრამდე ...“ გაიფიქრა და თქვა:

— ცოტა კიდევ ვისესხოთ, ზოგიც ვიყიდოთ, ე. ს. ალკოგვები გვკვეს, პური გამოაცხეთ, დავუძახოთ ხალხსა და ქორწილი ჭქნათ.

— მოდი, ჯერ ნუ გადავიხდით წაღმრთსა, შვილო!

— რატომ?

— სანამ ის ხალხი არ შეაგრიგდება, აბა როგორა?

ჯამრული დაფიქრდა, დედის ნათქვამი ეკუთში დაუჯდა და მერე თქვა:

— მე ჯერ მეხათრება, არ მინდა გარეთ გავიდე და ხალხს გავეჩვენო. აბა ერთი, ფრიდონი თუ შინ არის, გამოვიდეს.

ხოშია წელზე ხელის ბჟენით წამოდგა, ჯოხი დაიჭირა და წავიდა.

ჯამრულმა შავად შებოლილი ჭერი მოათვალიერა ... წუხდა, რომ ქორწილი ვერ ხერხდებოდა. გარეშე ამბების გაუგებრობაც აღონებდა. რას იზამდნენ განძანი? რატომ არავინ მოაკითხა, ან თავმჯდომარე რა პასუხს შემოუთვლის? ფრიდონს რაღა დაემართა, რომ აღარ გამოჩნდა?

კართან ფეხის ხმა გაისმა და მხრებზე ქუთუკამოგდებული ფრიდონი შინ შემოვიდა. იგი ბიძაშვილს გაღიმებული მიესალმა, ხელი ჩამოართვა, მიუსვა და გადაკოცნა.

— სად დაიკარგე, შე ღმერთძაღლო! — უსაყვედურა ჯამრულმა.

ფრიდონმა თავი ჩაღუნა და ჩაილაპარაკა:

— რა ვიცოდი, შინ იქნებოდი?

— ხო გითხარი!

— შენ ისე სთქვი, ძაუგს ვიქნებითო და მეც ეგეთი ხმა დავუარე. ქვეყანას მოვდე თქვენი ამბავი.

— რა თქო თავმჯდომარემ?

— იმის მაგივრად ვერავინაც ვერ გავგზავნეთო. თუ ცხორს რამ დაკალდა, ერთი მზეკვანსაც არ შავარჩენო.

ჯამრულს გულზე ძმიმე სევდა შემოაწვა და ცოტა ხნის შემდეგ კვლავ იკოთხა:

— განძათი ხუ არა გაგიგიარა?

— თურმე კოდმამწყვრები დაგეძებენენ.

„ეიკვარის, აქ არ მოვიდნენ“, — გაიფიქრა და მერედ გაახსენდა, რომ იგი ყველას ძაუგში ჰგონია.

— მოდი, იქაც გამეგზავნენ.

— რა ვუთხრა?

— გაავებინოდე, რო იმათი ქალი აქა მყავ, ძალით არ წამამიყვანია, დიდხანაა გვიყორდა ერთურთი და ნებით წამამყვა. თუ უნდათ, თავზე დამცან მთელი მილიცია, ნამდვილი ცოლ-ქმარი ვართ და ეხლა სიკვდილის მეტი ვეღარა გაგვერიხარა.

— წავალ!

— აბა შენ იცი, მალე მოდი და ყველაფერი დაწერილებით დამითვალე! — გასძახა დანადგლილებულმა და თავისთვის ჩაილაპარაკა: — ეს რაღა უბედურებაა, კაცს მთელს თავის სიცოცხლეში ერთი-ორი ბედნიერი დღე გაგითენდეს და იმასაც გიმწარებენ. ვერავის ვერ გავგზავნიო .. იქნება ვკვდები, მაშ ცხორს უპატრონოდ ხუ არ გასწირავენ!

დალონებული მაღლა ავიდა. არ უნდოდა, ცოლისთვის უგულებლობა შეეტყობინებინა. ერთთავად ილიმებოდა, მაგრამ თვალებში უძარო სევდა ჰქონდა ჩაგუბებული და მოწყენილობას ვერ ფფარავდა.

თამარს უკვე დალაგებინა ოთახი და მაგიდასთან მოწყენილი იჯდა.

— რითა ხარ დალონებული? — შეეკითხა ქმარს.

— ვინა, მენა?

— ჰო, შენა!

— მე არა და შენ კი!

— მინდა რამ გავაკეთო, სახლს მოვუარო, დედამთილს მივეხმარო, მაგრამ სირცხვილით ვერ გავდივარ ... მეხათრება გამოჩენა.

— ფრიდონი გავგზავნე თქვენებთან.

— ფრიდონი ვინღაა?

ჩემი ბიძაშვილი, ნანახი გეყოლება, მარჯალლად იყო თქვენსა.

თამარი დაფიქრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა დაამბარე?

— რო შინა ვართ და არავის ვემალებით, სტუმრებს ველით ...

— ვაიმე, რომ მოვიდეს მამაჩემი!

— მოვიდეს, რა!

— ნეტა ჯერ არ შაგვეტყობინებინა!

— ეგ კი არა, მე ის მაღონებს, რო თავმჯდომარე ჩემს მაგიერ ცხორში ვერავინ ჰგზავნინ და ისეე მე მიპირებენ გაგდებას.

ორივენი კარგა ხანს ჩუმად იყვნენ, მერე თამარმა თქვა:

— ბარში ჩავიდეთ, იქ ვიცხოვროთ.

— აქაურობას რაღა ვუყო?

— აქაურობა ეგენი დარჩეს, ან გავყიდოთ, ჩვენებიც მზოთევში მამეკვეშენ რასმეე და ... თუნდა ძაუეს ვიცხოვროთ, იქით ბევრი ხალხი გადადის, თავს იქ უფრო იო�და გავიტანთ. შენც იმუშავებ, მენაც ...

ჯამბრული ფიქრებში იყო გართული. თამარმა შეატყო, რომ იგი მას არ უსმენდა და კვლავ გაიმეორა:

— ჰოდა, ორივენი ვიმუშავებთ ...

კვლავ სადღაც ქრიდა მისი გონება. თამარს სწყინდა, რომ არ უსმენდა და დაუმატა:

— ჯამბარით უფრო აჯვალია ცხოვრება.

— შეიძლება? — ვიღაცამ დააკაკუნა.

ორივენი შეკრთნდნენ და წამოდგნენ. ჯამბრული კარისაკენ გაეშურა. გაადო თუ არა, ფრიდონი შემოვიდა პირსიცილითა.

— შენ გაგიწყრეს ღმერთი! რა იყო, რაზე დაგვაფეთიანე?

— რამ შაგაშინაო, ხმაზე მაინც ვერ მიცანიო?

— რაკეტა ხუ არა ხარ, შე ღმერთძაღლო, რა იყო, როგორ მალე მოხვედი?

— ცხენით ვიყავ... გამარჯვება, ძალო მამალოსანი ჩვენ გვარში მოსულა! კეთილი იყოს შენი ფეხი ამ ოჯახში! ღმერთმა ბედნიერი დაგაბერთო ორივენი და ჯანმრთელები იყავით თქვენი მოსადეკვარნაო, არ მოაკლდეს ბედნიერება თქვენს ნაშენთა და ბარაქა — მონაგართა! — უთხრა, ხელი ჩამოართვა და შუბლზე აკოცა.

— აბა ეხლა სუ დაწვრილებით დაყაქე, როგორ არი საქმე, რასა შერეხიან გენძანი!

— რასა და ძაან დღეში არიან! რო ვუთხარი, ეხე და ეხეა საქმე-მეთქი, ყველანი მამეცინვდნენ და კინაღამ შამეჯახეს.

— რაღა ვქნა? — ჩაილაპარაკა სასოწარკვეთილმა ქალმა. მერე შეეკითხა: მამაჩემი შინ იყო?

— არა!

— არ თუ გაუგია?

— ძაუეს გაქცეულანნ თქვენს ხაძებნელადა.

— დედა რაღასა შერეხებოდა?

— ტირიდა, ოწყეულებოდა ...

— რაღა ვქნა ...

— აბა რაღა უნდა ჰქნა, ნუ გეშინიან! — გაამხნევა ქმარმა.

— რო არ შაგვირიგდნენ?

— პირველად ძაან მაწრაფუწუნეს, — განაგრძობდა ფრიდონი, — სუ თავბედს ვიწუეულიდი, რა ფეხი გამეხმა, აქ მოვედი-მეთქი, მერე კი მოტეტდნენ, შეეტყოთ, რო მალე შაგირიგდებიან ...

— როგორ შეეტყოთ?

— თქვეს, აბა რაღა იქნება, რაც იყო-იყო, შვილია, ხუ არ გადავაგდებთო.

ამ სიტყვებზე თამარს სახე გაეხსნა, თვალებში იმედის ნაბერწკალი აუკიაფდა.

— არ შაგვირიგდებიან ნამდვილად შაგირიგდებიან, — წამოდგა ფრიდონი და კარისაკენ მიმავალმა კვლავ ჩაილაპარაკა: — ბოლო კეთილი იქნება, მე ვიცი, ნამდვილად ვიცი, თუ არადა აი, აქ მოხაკერილი თავი აქ მამეკერით! — ამ სიტყვებზე თითი ჯერ ყელზე გადაისვა, მერე მეკრდზე.

თამარმა კვლავ იმედიანად გაიღიმა და წამოდგა. ცოლ-ქმარი სტუმარს აიყვანდის გაჰყვა. შინ რომ შებრუნდნენ, ერთხანს მოწუენილებენ სდუმდნენ, მერე დაწვნენ...

ჯამბრულს რომ გამოეღვიძა, უკვე კარგად ბნელოდა. ქუხდა, ელვის შუქი წამიერად შინაც შემოანათებდა. ცა ჩამოქცევას ლამობდა, კოკისპირულს ასხამდა.

ცოლს ნაზად აკოცა, კისრის ქვეშიდან მკლავი გამოაძარო, წამოიწია, საბანი გაუსწორა, ადგა და ღია ფანჯარასთან მივიდა. სეტყვასა და ნატიხუსალის სუნი იეწოსა და ფანჯარა სწრაფად დახურა. ახლა მინებს მოასაა ქარმა თქვენ. აივანზე გავიდა. საზარელი შხუილ-გრიალი იდგა. ისე ბნელოდა... ხანდახან ელვის შუქი გაკრთებოდა და წამით გამოჩნდებოდა კოკისპირულის მოკანავე ვერცხლისფერი ქსელი.

XIII

დილგვის შემდეგ საოცრად იცის გამოდარება. მთელი ცა კიდით კიდემდე ისე გადაისარკება, ღრუბლის ნასახიც კი არსად დარჩება. მზე უფრო მხიარულად გამოიხედავს, ბუნება თითქოს ბოდიშს იხდის ჩადენილი ბოროტებისათვის, კარგი ამინდით სურს დანაშაულის გამათალოს.

ჯამბრულს მთაში გაუწია გულმა. იმიტომ კი არა, იქ დარჩენილიყო. ავდოდა, ცხვარ-წუენმსს თვალს დაავლებდა, ამათ ჭირ-ვარამს გაიგებდა და ისევ გამობრუნდებოდა.

წასვლის წინ ცოლს მოეხვია, აკოცა და გაშორდა.

ცხენი ბოსლის წინ მარგილზე ება და პატრონს ხვიხვინით ელოდა. ჯამრულმა აუშვა. თამარმა სადავე ჩამოართვა, ქმარს მკლავზე ხელი მოჰკიდა და გზამდის გაეცილა. გარეთ ბოშიაც გამოვიდა, თავსაფარი შეისწორა, ხელი მოიჭიდა ფალი და ძრალა-შვილს გაეხედა. ცოლ-ქმარი რაღაცას ლაპარაკობდა. ჯამრულს სადავე ცხენისთვის კისერზე გადაეგდო, ჯიდაოზე ხელის გულს უსვამდა და ცოლს გაღიმებული ელაპარაკებოდა. თამარი ზურგით იდგა, მაგრამ ტუჩობოდა, რომ ქმარს სახეში შესციცინებდა. ჯამრული მკერდს ზევით კარკაფდ მოჩანდა. დროდადრო ხმამაღალი სიცილიც მოისმოდა. ბოლოს ცხენზე გადაჯდა, მათრახის ტარის ულულში მჯიღი გაუყარა და ცხენს ქუსლი ჰკრა.

მწურაული გოგმანით შეუდგა ალმასის შაკრა. თამარი კი ადგილზევე დარჩა და ქმარს მანამ გასცქეროდა, სანამ თვალს მიეფარებოდა. მერე მობრუნდა და თავჩაღუნულმა გამოსწია.

თეოზე შუადღისას ავიდა ჯამრული. იქაურობა გაოცებულმა მოთვალიერა. მთებიდან მოვარდნილ ღვარცოფს მთლად გადაერეცხნა ცხენის საყარი. გულმა ცუდი რაღაც უაზრა და იალაღებისაკენ გასწია. საძოვარზე გაშლილ ფარას შორიდანვე მოჰკრა თვალი. ცხენი ახლა იქით გაქუსლა.

ცხვარს მარტო წიაწიგული ედგა. მოხუცი ქალის ჯღანს ბანდაგდა. ჯამრულის მისალმებაზე არც აუხედნია, არც ხმა ამოუღია.

— გამარჯვება-მეთქი, კაცო!

— გაგიმარჯოს, რა დიდი გულითა ხარ!

— ხმა არ გამეცი და ... სად არიან შარუმა და თოლეკა?

— თოლეკა ცხორს ეძებს, შარუმა კანტორაში წავიდა.

— რა ცხორს ეძებს?

— რასა და ... წუხელ ღვარცოფს ძლივს გადავურჩით.

გულშემოყრილმა ჯამრულმა ალარა თქვა-რა.

წიაწიგულმა განაგრძო:

— გაუცავდა პატრონი! კაცი ვბერდები და ჩემ დღეში ჯერ ეგეთი თავსხმა არ მახსოვს. დიდი წყალი მოკარდა... ბღაოდა ცხორი, იწუედა ნადირი... გაგვიერთხო ფარა, ჩავცავივდით ხევში, ჩვენც კინაღამ წყალმა წაგვიღო. ძლივს მოვაბრუნეთ ქენჯები. დილას ცხორი სათვალავით მოვისაკლისაეთ. მე ფარას დამიყენეს, თოლეკა დაკარგულებს ეძებს, შარუმა კანტორაში წავიდა. სადა ხარ ამ სამ-ოთხ დღესა, ეგრე უნდა?!

„რო გითხრა, მაინც ვერ გაიგებ“ და აბა რა ფასი აქვს თქმასა“, გაიფიქრა და ცხენი საბალაზოდ გაუშვა, თან ცხვარი მოათვალიერა. ერთი გახედვითვე შეატყო, რომ ფარას მართლა აკლდა. შუა ადგილას გაჩერდა დაქსაქსული ცხვრების თვლა დაიწყო. ერია, ისევ თავიდან მოჰყვა თვლას, მაგრამ კვლავ შეეშალა.

ცოტა ხნის შემდეგ სარეგზიო კომისიის თავმჯდომარე და მეცხვარეობის ფერმის გამგადაღირა ამოვიდნენ, ჯამრულს მიესალმნენ და უსაუბრეს. ფარას თავი რათ დაანებეთ.

— იცით, რათაც!

— მაინცა სტუუბარ!

— მე იმ თავგანიცდენილ დროზე შავუთვალე, რო ჩემს მაგიერ ცოტა ხანს მაინც ვინმე გაგზავნე-მეთქი!

— არ გამოგზავნა, ძალია? წადი და იმას ეძავე!

ფარა ერთ ადგილას მოაგროვეს და დათვალეს. ასოცი სული დაკალდა. სარეგზიო კომისიის თავმჯდომარეე აქი შეადგინა, მასზე სულ ბოლოს თვითონ მოაწერა ხელი და ფანქარ-ქაღალდი ბრიგადირს მიაწოდა. მანაც წიაკითხა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და თვითონაც მოაწერა ხელი.

— რა დაწერეთ, არ შაიძლება მენაც წავიკითხო? — დაინტერესდა ჯამრული

— რატო ... — უთხრა ფერმის ბრიგადირმა,

— სარეგზათო და სიიღუმელო რა გვაქვს!

— ვის უნდა დაეწეროთ ზარალი?

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა თავმჯდომარემ, — ჩავიტანთ, განხილავენ და, ხო გაგიგონია, როგორც უფროსი იტყვის ...

ფუვე იცოდა, უფროსი რასაც იტყოდა. თავი უიმედოდ გაიქნია. ერთ ადგილს მოგროვილ ცხვარში თვალიერებიე მოათვალიერა. ოცდაათი სული საკუთარი მოისაკლისა და გულს შემოეყარა.

ცხვარი ხანალაზოდ ისევ გაიშლა. მალე თოლეკაც გამოჩნდა.

— რა ჰქენი, ვერა იპოვნერა? — დაუჭახა შარუმამ.

— ვერა!

— საკვირველია, კაცო, რა ეირმა ჩაყლაპა ის უპატრონოები!

— რა ვიცი, აბა ... გამარჯვება, ჯამრულო!

— გაგიმარჯოს!

— აი შენი წასვლა რა ძვირად დაგვიჯდა!

— გინდა აქა ვეოფილიყავ, მე რა ... წყალს წინ ხუ არ გადავუდგებოდი? მოსაბდენი ჩემს აქ ყოფნაშიც მოხდებოდა!

— იქნება მაშინ ესე ალარ დავზარალდებოდით!

— კაცო, რა ვქნა ... ჩემმზე ჩკედია კოლექტივი? გამოეგზავნა ვინმე დროებითა! თუკი ეგ არ შეუძლიან, აბა რიღის თავმჯდომარეე?

— რო არ გამოგზავნა!

— ჰოდა, მაგის ბრალია, მარტო მე კი ნუ მადანაშაულებთ! შავუთვალე, რო ესე და ესეა

ბეჭდავს
ჯ. ა ბ ა ო ს ა ნ ი

ჩემი საქმე, დროებით მაინც ვინმე გაგზავნეთ-მეთქი! რატო ყურები არ შაიბერტყა? მე ვიცი, მაგას რაზეც ერევა გული! — წამოიძახა და ფასანაურიდან დაბრუნებულს თავმჯდომარე რომ დაემუქრა, მაშინვე ის გაახსენდა. — სანამ ეგ აქ არი, მე ამ სოფელში გახარება არ მოწერია!

ჯამრული მწყემებს გაშორდა და ცხვარს გაჰყვა.

ახი ხული!.. რაღა ლაპარაკი უნდა, თავმჯდომარე ასიგეს დაუწერს. ამას თავისი ოცდაათიც დაეყარა და... როგორი დანაკლისია! საცა კანონი და სამართალია, ზარალი ოთხივე მწყემსზე თანაბრად უნდა განაწილდეს, მაგრამ... აი, სად ფუელი! აბა რა უნდა, რა ძალი ეღგა, ვითომ მთავრობისა და ხალხისას იცავდა? აბა, ეხლა უშველოს მთავრობამ, რა ძალი ედგა?

XIV

დაღონებული ჯამრული ორიოდე დღე ცხვარში დარჩა. „ერთი, ამის პატრონის ოხრრობაც... შინ უჩემოდ ცოლი ღონდეს, მე აქ ყწვალდები, ვინ არის დამნახავი და დამფასებელი! "ბოდმამოწოლილნა გაიფიქრა და ის იყო შინ წასვლა დააპირა, რომ იმ საღამოს ჯაბანი ამოვიდა და უთხრა:

— თავმჯდომარემ შენს მაგივრად გამამგზავნა, წადი!

— მიკვირს! როგორ მაიფიქრა?

— მე მარტო ორიოდე დღეს დავრჩები, შენ სასამართლოში ხარ დაბარებული.

— სასამართლოში?!

— ჰო, ეგრე მითხრეს!

— არ მიქუთდნა, არავინ გამიძარცვავს, არავის მიეხდომიეარ და სასამართლოში რა მესაქმება?

— მე რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა ჯაბანმა.

— ჯაბანო, სიმართლე მითხარ, შენს გამორჭვებასა!

— ა ეგრე დამაბარა, ღვთის მადლმა, ლოცისის მადლმა!

— როცა მე შავუთვალე, მაშინ ყურებიც არ შაიბერტყა, როცა თავათ დახვერიდა, ხელაი არ გამოგზავნა! — წამოიძახა და წასასვლელად მოეშზადა.

მზე ჩადიოდა, ცხვარს თეოსკენ მიაყოლებდნენ.

... კარგად იყო დაღამებული, შინ რომ მივიდა, ცხენი ბალაზზე გაავდო და დაბლა ოთახში შეიხედა. ხოშია ბუზრის პირს მარტო იჯდა და ირთავდა. ფანჯრიდან შინამო კარგად მოათვალიერა, მაგრამ თამარი იქ ვერსად დაინახა. კიბე ფრთხილად აიარა, ოთახის კარს მიაწვა.

— ვინ არის? — მოესმა შინიდან.

— მე ვარ, გაალე!

— ვინ შენა? — საწოლი აჭრიალდა, ოთაღ შიშველი ფეხის ხმა გაისმა.

— ჯამრული ვარ, ხმაზე ვერა მცნობ? — უთხრა და შეშფოთებულმა სული განაბა. ... მის სიბნელეში მხლოდ ჭრიჭინობლების ხმა და კარებთან ჩამომდგარი ქალის ხმარი სუნთქვა ისმოდა. ბოლოს საკეტი გაჩხაკუნდა და ჯამრულმა კარი ჭრიალით შეაღო. ოთახის სიბნელეში პერანგანი ქალის რეხი ჰარდილი დაინახა თუ არა, მისი სხეულის ამო სურნელიც იგრძნა და სულ დაავიწყდა, თუ რამ აწუხებდა.

თამარმა ასანთს ჯაჭრა... მკრთალ სინათლეში იგი თმაგაწეწილი იდგა და ქმარს დაბღვერილი უცქეროდა

— რა დაგეშალთა?

— რა და, თუ ცოლად გინდივარ, ქმრობაც გამიწიე, თუ არადა, წავალ და ისეთ ადგილას სამ გადაკვეთდები, ჩემი გეშიც ვერავინა ნახოს!

— რა იყო, თამარო!

— აკი მალე მოვალო, სადა ხარ? მე შენ მიყვარდი და ამით გამოგაეეე, ვანა ე კლდების საყურებლად მოვედი აქა!

— სუ, კარგი, სუ! რა ეკნა, აბა! ჩვენი თავი ჩვენი ნება არ არი!

ქალი დიდხანს სდუმდა, მერეღა ჰკითხა:

— არა გშიან?

— ისე ვარ დაღლილი... დილამდე მოვიარეს, — თქვა და დაუწვა.

დილით ადრე გაიღვიძა, პირი გაიპარსა, დედას წყალი გაათბობინა, მერე თამარი გაალვიძა, თავი დაიბანა, ახლები ჩაიცვა და ცოლს უთხრა:

— დუშეთს მივდივარ.

— რათა?

— სასამართლოში მიბარებენ.

ქალმა თვალები აახამხამა, წარბები შეკუმუხნა და ნესტოები აუთრთოლდა.

ჯამრული სარკის წინ თმას ივარცხნიდა, ცოლს ცხვრის დაზარალების ამბავს უყვებოდა.

...შუადღისას უკვე რაიონში იყო. სასამართლოში კითხვა-კითხვით მივიდა. დარბაზის კარი ღია იყო. შიგ, შემაღლებულ ადგილზე, გრძელ მაგიდასთან სამნი ისხდნენ. შუაში ახალგაზრდა, ჩია კაცი წამოსკუპპეულიყო. მას მარჯვნივ ავადმყოფური შესახედობის ქალი ეჯდა, მარცხნივ — ქაღალა კაცი. გვერდით, პატარა მაგიდასთან, ვიღაც გოგო მოკალთებულიყო და გამალებულად წერდა.

შუაში მჯდომს სქელად აკინძული ქაღალდების დასტა ედო წინ და ხმაღალი კითხულობდა, მაგრამ ჯამრულს გარკვევით არაფერი ესმოდა. მან კითხვა დაამთავრა და დარბაზში ერთ-ერთ დამსწრეს ვკარით მიმართა: ადე, გამოდი, სასამართლოს მოახსენე. ცოლს რატომ ეურებიო.

კაცი წამოდგა, ქუდი ხელში დაიჭირა, წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა და, სადაც მოსამართლემ უთხრა, იქ დადგა. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც ქალი წამოვარდა და გაანჩხლებულმა ამ კაცს ხიტყვა გაუწყვეტინა. მოსამართლემ იგი გაიჩუმა და დასვა.

დარბაზში ჩახუთული ჰაერი და რაღაც ძმიმე სუნი იდგა. ჯამრული კარს გაშორდა, დერეფანში გაირ-გამოიარა. ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა, ოფლი მოსდიოდა და დაუბანელ ტანზე სველი საცვლები საჩოთირიდ ეწებებოდა. ოფლი ხელით მოიზოცა, მერე ძირს ჩავიდა და პატარა შადრევანის აუზთან გაჩერდა. ლურჯად მოკამკამე ტბორში შუშის ნამტვრევები, გაღუნული ლურსმნები და ქალალდის ნაგლეჯები მოჩანდა. შუა ადგილას, რიყის მუშტაკვეთ ამოშენებულ წყლიანის თხემზე თუჯის ბიუმნი იდგა, მას ხელში თუჯისავე თევზი ეჭირა, რომლის ღია პირიდან შადრევანი ამოჩქეფდა. წყალი ჰაერში წვეთებად იმსხვრეოდა, ირგვლივ ისნეოდა და აუზში შხრიალით ცვიოდა.

ოფლიანი ხელები ტბორში ჩაიბანა. წყალი შედარებით უფრო გრილი იყო და ესიამოვნა. სველი ხელები კისერსა და სახეზეც მოისვა და ჩრდილში გაჩერდა.

სამსჯავროდან ხალხი გარეთ გამოვიდა. დერეფანში ყაჯანი და ბუზღუნი ატყდა. ვიღაცა ვიღაცას სწუხეოდდა, ვიღაც ტირდა, ვიღაცა ვიღაცას ავინებდა..

აივანზე ისევ ავიდა და დარბაზში ღია კარიდან შეიხედა. გრძელი სკამებზე უკვე ვამეჩხერებულიყვნენ დამსწრენი. გულისამრევი სუნი ზიზღით ისუნთქა და კართან ახლოს დაჯდა. შუაში ჯმდომმა მდივან ქალს რაღაც გადაულაპარაკა, მერე დაიძახა:

— ჯამრულ ჯალაიძე აქ არის?

— მე ვარ! — უპასუხა ჯამრულმა და წამოდგა.

— რა კაი გვარი და სახელია, არა? — გადაულაპარაკა მოსამართლემ მსაჯულებს, მერე ისევ ხალხისაკენ გამოიხედა და ჯამრულს უთხრა:

— აბა, გამოდი და სასამართლოს მოახსენე ...

ჯამრული წამოდგა, მათთან ახლოს მივიდა და ჰკითხა:

— რა მოგახსენო?

— მამის სახელი?

— შიო.

მდივანმა წერა აიჩქარა.

— დაბადების წელი?

— ათას ცხრაას ორმოცდაათი.

—ეხლა დიწუე, სად მუშაობ, როგორ იყო საქმე ...

— ზღვიის კოლმეურნეობაში ვმუშაობ და ერთ-ერთი ფარის თავრობანი ვარ!... — მეტი ვეღარაფერი მოახერხა.

— თავჩრობანი ხარ, ფარა გაბარია და ცხვარის თავს ანებებ?

— თავი არ დამინებებია!

— სად იყავი 1970 წლის ოცდაორ, ოცდასამ და ოცდაოთხ ივლისს?

— შინა ... ცოლი მოვიყვანე.

მოსამართლეს და მსაჯულებს გაეღიმათ. ჯამრულს შერცხვა და გაწითლდა. მოსამართლემ ვვერდით ესხდომთ რაღაც გადაულაპარაკა, მერე ჯამრულს მიუბრუნდა:

— ცხვარი რატომ მიატოვე, ცხვარო!

— აკი გითხარით, ცოლი მოვიყვანე-მეთქი.

სასამართლოს წევრებს გაეცინათ.

— ვის დაეთხოვე?

— არავის!

— თვითნებურად მიატოვე შრომის ფრონტი? ეგ ხომ იგივე დეზერტირობაა! ამ ღამეს მოსულა დიდი ავდარი, ნადირს ცხვარი დაუფრთხია, ანი სული დაკარგულა...

— სანამ ეგ ამბავი მოხდებოდა, თავმჯდომარეს ჩემი ბიძაშვილი გავუგზავნე და შავუთვალე: ესე და ესეა ჩემი საქმე, ჩემს მაგიერ ცხრაში სხო ვინმე გაგზავნე-მეთქი. ისან ჯუერიც არ შაიბერტეა, რა ჩემი ბრალია?

სასამართლოს წევრებს კვლავ გაეცინათ.

ჯამრულს თანდათან გული მოეცა, გაბმნეოდა.

— ცხვარში ჯერ შენს მაგიერ სხვა ვინმე უნდა წასულიყო და ცოლი მერე მოგეყვანა, — სიცილით უთხრა მოსამართლემ.

— მეც ეგრე ვაპირობდი, მაგრამ უცაბედ მამიხდა.

მოსამართლეს და მსაჯულებს კვლავ ეაეცინათ. ჯამრულმაც გაიღიმა და გაიფიქრა: კარგ გუნებაზე რასმე მელაპარაკებიან, ესენი საქმეს ჩემს საკეთილოდ გადაწყვეტენო.

— ზარალი შენმა დედეგრომამ გამოიწვია. მოიელი ინ დანაკლისი კოლმეურნეობის გამეგეობამ სულ შენ დაგაკისრა და მომპოროვა სასამართლოს გამოოგზავნა, რომელშიც მოითხოვს, რომ დამნაშავედ გცნოთ, როგორც შრომის დეზერტირი და პასუხისგებაში მიგეცეთ. მაგრამ სასამართლო სარგებლობს სამეოთა მართლმსაჯულების ჰუმანურობით, ითვალისაწინებს იმას, რომ შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, წინეთ არასოდეს ჰყოფილხარ სასამართლეი და მხოლოდ ამით კმაყოფილდება: დაანახატეროს კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილება — ის დანაკაკი, ესე იგი, ასოცი სული ცხვარი, მთლიანად შენ დაგაკისროს და წლების განმავლობაში ანგარიშგაუწევინოს ფულად ან ნატურით.

— ფარაში ითხენი ვართ, მარტო მე რად უნდა ვზღო?

ᲖᲘᲗᲝ ᲒᲣᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲯᲐᲛᲠᲣᲚᲘ

— გამგეობაშ შენ გაკისრეგს.

— არ არის სწორი!

— ნუ ... თუ არ არის სწორი, წადი და გამგეობას ეცოდე!

— მე გინდა იმ ღამეს იქა ეყოფილიყავი, რა შამეძლო, ლეართქვეს წინ დავუდგებოდი?

— იქ რომ ყოფილიყავი, ზარალი ოთხივეზე განაწილდებოდა.

— არ შეიძლება მეპატიოს?

— ეგ გამგეობის საქმეა!

— ძალიან ერთგული ვარ კოლექტივისა. რაც ჯარიდან ჩამოვე, ზამთარია თუ ზაფხული, შემოდგომა თუ ზამთარი, სუ ცხორში ვარ, ჩემი თავი და სახლ-კარი განაღა მახსო�ს. უდამ წელს ცხორს უდანაკარგოდ ვაზამთრეს, ყოველ ას სულ ნერბზე ოთხმოცდაზუთმეტ-ოთხმოცდათექვსმეტ ბატკანსა ვზრდი, ერთ სულზე სამ-ოთხ კილო მატყლსა ვარჩსავ, მთელ კოლექტივში ჩემზე მოწინავე არავინ პყავთ, ყველსა და ხორცსაც ყველაზე მეტს მე ვაბარებ, ყველაფერში წინ მე ვარ და არ შეიძლება ეგ ზარალი ჩამომწერონ?

— ეგ უკვე თქვენი კოლეფურნეობის ნებაა! ნუ აღძრავს სასამართლოში საქმეს, გაიუმჭოს გამგეობის გადაწყვეტილება და ...

— სამიცი სული ცხორი ჩემი მყავდა, აქედან ნახეკარი დაიკარგა, შინ ოთხი ძროხა, ერთი ცხენი და უღელი ხარი მქავ. მაგ ზარალს ეს საკმნელი ან დამიფარავს, ან ვერა. სუფეველაფერი რო წამართონ, მე რიღით ვიარსებო?

— კანონი მაგას არ ითვალისწინებს! კი ბატონებ, ეგ უკვე თქვენი გამგეობის საქმეა. შეგიფასებენ რაცა გაკვს და ... ოქნებ დაგიფაროს ზარალი. დაგაკლდება და დანაკლისს სასამართლოს ძალით ავანაზღაურებინებენ. მოდი, გაეცანი დასაკვნას და ხელი მოაწერე.

დაღონებული ახლოს მივიდა.

მოსამართლემ ორი ხელნაწერი ფურცელი მიაწოდა, თანაც ჩაილაპარაკა:

— რაღა წაკითხვა გინდა, რაც ველაპარაკე, მანდაც იგივე სწერია. ბარემ მოაწერე ხელი! მიეცი კალამი! — მიუბრუნდა მდივანს.

ჯამრუფმა ოქმს დახედა და კითხვა დაიწყო, მაგრამ თვალი ბოლომდის აღარ ჩაადევნა და ხელი ეგრევე მოაწერა.

მოსამართლემ ოქმი დაიბრუნა, ხელმოწერას დახედა და თქვა:

— კარგი, თავისუფალი ხარ, — მერე დარბაზს გახედა და წამოიძახა: — ნუ, შემდეგი!

XV

ხასამართლოდან ყმოსოლეს აღარაფერი ეხალისებოდა. შინაც არ უნდოდა მისვლა. სად წაელიოო, ვეღარ გადაეწყვიტა. ავტობუსგაჩერებაზე ისე მივიდა, კაცებშელისთვის არ შეუხედავს. ბილეთი აიღო და ავტობუსში დამბარებული ავიდა.

მგზავრებში რამდენიმე მთიული და გუდაბაღრული ერია. ჯამრული მათ ყველას იცნობდა, მაგრამ არც ერთს არ უჩვენა გული და ამაოთაც რომ შეიტკივეს, გულებაზე ვერ იყო, ალარ ვახლეს ხმა. ზოგიერთები ბაზრის მაზანდაზე ლაპარაკობდნენ. ამ დროს წინიდან კიდალეკი კაცი ამოვიდა, სალონში მიმოიხედა და წამოძახა:

— გამარჯვებამ, ჰეე, მთიულებო!

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! — უპასუხა რამდენიმემ.

— სადა ჰყოფილხართ, კაცო!

— ვიყავეთო, ზოგი სადა, ზოგი სადა ...

— ი ჩვენი უკლო როგორღა გეკვთ, რასა შვრება, აშავშავებს რამესა? ჰაი დუშმანთ ნუოა კარგი, იმან თქვენ არა გაგიკეთოთრა!

— ვიცაბე ამბოს, ე! — ერთმანეთში ჩუმად იკითხეს მგზავრებმა.

— ვიცაბე და თქვენს თავმჯდომარეზე! — უპასუხა მთვრალმა, — ჩვენებურია, იმას როგორ იხდენო, იმ ძალესა! იმათ თავმჯდომარედ რა უნდა, რო ბატკარავნი მიიპარებაა... სუ წვრილწვრილად უნდა მოგითვალოთ მაგის კაი კაცობა. მერვედან კარი გამოვარდნილი. ისეთი უტვინო იყო, თითო კლასში ორ-ჯელი რჩებოდა. მერვედის ძლივს მიათრიეს, მერე ერთი მეზობლის გოგო გაიუბედურა და სკოლიდან იმის გამო გარიცხეს. ის გოგო გაზაბ იქით გადავარდა, ჰეეეი-ოქნი ირა... მაგანაც კარგა ხანს ეწანწალა: ხან სად ეკედო, ხან სად... ვერსად მაიკიდა ფეხი მერე იმ გოგოს ბიძაშვილი რიაკოშის ინსტრუქტორად დაანიშნურეს. ეს რომ მაგ გაფუქუბაულმა გიიგო, ისევ მოშნისაურდა და რიაკოშის ინსტრუქტორს შეუთვალეს: შენს ბიძაშვილს შავირთავ, თუ მამეხმარები და სადმე მამაწყობო. გოგო იმ დროისათვის უკვე ხელიდან იყო წასული და თავისიანებს კიდევაც გაუხარდათ, ოღონდ შაირთოს და მაგის ადამიანობას რაღას დავეძებთო. აი ეგეთი კაცია ეგა! ჭვეყნის ნაორევი დაისვა ცოლად, რა არის, რიაკოშის ინსტრუქტორს როგორმე დაახლოვებოდა. იმან ჭერ ბრიგადირად გაამეებინა, მერე საგურამაში გაგზავნეს, რაღაცა კურსები დაამთავრებინეს და ანდე, უტკინონ და უსინდისო კაცი ეხლა თავმჯდომარედ გიზნთ, გიკეთებთ რამესა?

— აბა რასა, არაფერსა! — უთხრა ერთმა

— მაგას როგორ ეკმევინებით, მაგასა! დაჭკათ და გამაგდეთ, ვუუს! ჩემსავთ მაინც იცნობდეთ თქვენაცა!

შოფერი მოვიდა და საკეს მიუჯდა, თან გაშვილი საგზური დაკეცა, პერანგის გულჯიბეში ჩაიდო, სარკიდან სალონში გამოიხედა.

— აბა, ყველანი აქა ხართ?

— ჰო, ჰო, წავიდეთ! — უთხრა ვიღაცამ.

უცნობმა ჩასვლა დაალირა და თქვა:

— უთხარით, რო მე, ნამგალაანთ თედუუამ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბეთ მაგის კი კაცობა. უთხარით, ძალლო, ძალლო-თქო, ი ჩემი ხუთასი თუმანი როდისღა უნდა მომცე-თქო! ვენდე, ვიფიქრე: თავმჯდომარეა და მალე გადამიხდის-მეთქი, ხაქალში ხართ? როგორც თქვენთვის რამ მოუცია, ისე ჩემთვისა. ეხლა მეტენება. სად იყო და როდისაო.

შოფერმა ძრავა ჩართო.

— კეთილი მგზავრობა! — თქვა და ჩავიდა.

— იცოცხლე, იცოცხლე! — მიაძახა ვილაცამ.

ავტობუსმა აჩოჩქოლებულ მოედანზე გზა გაიკვლია, ქუჩაში გავიდა და სვლას თანდათან უმატა.

ჯამრული ფიქრებში გაირინდა...

შინ ხარდაშვების ხანსღა მივიდა. ხოშია თავას ხვეტდა. თამარს ლოგინისთვის პირები გადაეძრო, დაერეცხნა და დაეფინა. დამწუხრებული ავიდა შინ, აივანზე დაჯდა და დაფიქრდა. თამარმა უგულებობა შეატყო, ხელსაქმეს თავი ანება და თავადაც დაღონებული ქმარს მიუჯდა.

— ახ, ჩავაძალებდი, მაგრამა, შენ რა გიყო, შენა! — წამოიძახა, კბილები გააღრჭიალა და დარეზე მუშტი დაჰკრა.

კვლავ დიდხანს სდუმდნენ. მერე წამოდგა და ცოლს უთხრა:

— ჩალაგე თუ რამ ჩასაცმელ-დასახური გაგვაჩინია და წავიდეთ!

— სადა?

— ძაუგსა! მე აქ აღარაფერი დამრჩენია!

თვეჩაღუნული და დაღონებული თამარი შინ შევიდა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოვიდა, ჩემოდანები გამოიტანა. ორივენი ჯამრულმა გამოართვა და ცოლს წინ გაუძღვა. ეზოში რომ ჩავიდნენ, დედას დაუძახა:

— მამის ძმათას მივდივართ, დედავ, არაფერი ინალვლო!

სამხედრო გზაზე ჩავიდნენ და მოსახვევში ავტობუსს დაელოდნენ. სალამო ხანი იყო. მზე შუბის ტარზე იდგა და ქვეყანას გალიმებული უცქერიდა. ცოტა ხნის შემდეგ ავტობუსიც გამოჩნდა. მას ჯამრული წინ გადაუდგა, შოფერს ხელი აუწია. ავტობუსი გაჩერდა. მგზავრები ცოტანი იყვნენ. მარცხენა მხარეს ერთგან ადგილი იყო და ორივენი ერთად დასხდნენ. თამარმა ჯამრულს მკლავზე ხელი მოჰკიდდა და მხარზე თავით მიეხუტა. კართან ვილაც კაცი იჯდა, პაპიროსს ეწეოდა და მოყვარულ ცოლ-ქმარს სინანულისა და შურის გრძნობით უყურებდა. ბოლოს გაწეული შუშიდან ნამწვი გადაადგა და ჯამრულს მიუბრუნდა:

— ბედნიერი ხარ, ბედნიერი!

— ბედნიერი რაზე ვარ, სოფლიდან მივდივარ! თავმჯდომარემ ისე გამიხადა საქმე, ქალაქს მივდივარ!

— მერე რა, მაგაზე დარდობ? ნეტავი შენნაირა ვიყო, შენსავით ლამაზი და მოყვარული ცოლი მყავდეს და, თუნდა აგერ, იმ მთის წვერზე ავიდოდი და იქ ვიცხოვრებდი. საცა გინდა წადი, შენი ჯანის პატრონს არაფერი გაგიჭირდება. ეჰ, მეც მქონდა ერთი დრო, მაგრამ.., ერთმანეთი გიყვარდეთ, ერთმანეთი დაიფასეთ, მეტი არა გინდათრა! — თქვა და მიბრუნდა.

ავტობუსი ალმართზე ნელ-ნელა მიიწევდა... ჯვარზე რომ ავიდა, ჯამრული წამოდგა და უკან მიიხედა. მზე ჩადიოდა. არაგვის ხეობაში თალმა ბინდი დგებოდა. კაბშაურთ ველზე ლალისფერი მუქდებოდა. კურკუტოს, ხიხაურას, საკოხესა და ჯორთ ვაკეს ქარვა ადებოდა.

ავტობუსი თავქვე დაეშვა და უკან თვალთ მიეფარა ყველაფერი. ჯამრული ისევ დაჯდა და წინ იმედიანად გაიხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

აჰა, მწვერვალი
უხილავი კაცთათვის ჯერაც.
ვხედავ:
ჰზი მაღლით
და იქიდან თავბრუდ მესხმები
იქ
ღირსეულნი ამოვლენ მხოლოდ
და იხილავენ მშვენებას შენსას.

საღამოვდება,
დასავლეთიდან
ცის დანისლული
წითელი ფერი მოგნათებია...

შიშისმგვრელია ყურება იქით...

●

მესიზმრა:
რაღაც უცნაურმა
ფრინველთა გუნდმა გადამიფრინა
და სამუდამო ჩემი ძილისკენ აიღეს გეზი.

●

თეთრ სამოსელში გამოწყობილი
ვხედავ ნათლად:
შეშფოთებული მეზობლები მოჩანან შორით
ნაღმა-უკუღმა ტრიალებენ,
თან
ყველას გზისკენ უჭირავს თვალი
და სასაფლაოს მხარიდან ახლა
მოულოდნელად რომ დავუსტვინო,
ო,
ჟრუანტელი დაუვლით ტანში
და შიშისაგან გაქვავდებიან.

●

ჩამოწვა ღამე.
გაფრინდნენ ჩემი ანგელოზები,
ისინი თეთრად მიფარფატებენ,
მათ გადალახეს თვალსწიერი
და მაინც ვეღარ შეაფარეს თავი სიბნელეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომა

მსუბუქი სვდა ზღვას ნისლივით
გადაჰფენია,
ფარფატებს სხივი ძალმიმქრალი
და ჭრელ კენჭებზე
ნელ-ნელ ხუნდება მოწკრიალე ნაფეხურები.
ქალაქის კართან
ევკალიპტზე მიბმულ ვეება
სიცარიელეს ტალღები არწევს.
თვალსაწიერზე, წეროების გაბმულ
მწკრივივით,
ცას გასდევს კვამლი
პორტიდან დილით გასული გემის...

ტკივილი

ერთხელ დამაკლდი,
როგორც ცალი ფრთა
და ვერ ვიფრინე, ჩემო ტკივილო...

მზე აეტატა ოდიშის ალვებს
მწვანე ჰამაკში ნებივრობდა მანათობელი.

და მომეჩვენა —
ის ცივი იყო,
ვით ჩემი სული თვითკმაყოფილი,

ერთხელ დამაკლდი, როგორც ცალი ფრთა
და ვერ ვიფრინე,
ჩემო ტკივილო.

●

რეკს ერთი სიტყვა — ბედნიერება,
შორი, ძლიერი და მოწკრიალე,
ჩუმი ტკივილით რად მეფერება
გზები, რომლებიც ვერ გავიარე.

და შემოდგომის უნჯი ფერები
ნათელი სევდით ამღვრევენ წვიმას.
ქუხს ერთი სიტყვა —
ბედნიერება
და ღვთის თვალივით წვიმაში ბრწყინავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურღან ბემაზაშვილი

შავნაბადას ღამე

პატარა საყდარი ძველ, ჟანგიან ვვირგვინივით ადგა თრიალეთის ქედის კალთებში განცალკევებით ამოზიდულ მცირე მთის მწვერვალს. ბინდი დაჯერადა თუ არა, მთლად ჩაშავდებოდა მისი კალთები, მხოლოდ ეკლესიის სილუეტი მოჩანდა მტრედისფერ ზეცაზე. ღამე მართლა ნაბადივით შემოეხვეოდა ხოლმე მთას ირგვლივ, ამიტომ თუ დაარქვეს მას შავნაბადა, ხოლო საყდარს კი — შავნაბადას მონასტერი.

მკრთალი სინათლე მოჩუჩურთმებულ, ვიწრო სარკმელში ძლივს ატანდა. ტაძრის ქვის იატაკი შებინდებასთან ერთად უფრო მეტ სიცივეს გამოსცემდა. ბოლო დღეებში მაგარი ყინვები დაექერა, მაგრამ იმ საღამოს უცეტ დათბა. — „ალბათ კიდევ მოთოვს“. — გაიფიქრა ბერმა, ძელსკამიდან წამოდგა და სარკმელს მიუახლოვდა. საკურთხეველთან ნახევრად ჩამოღვენთილი სანთელი ბუუტკვდა. მისი აკანკალებული ალი ათასნაირად ბრეცავდა და აბოკებდა კუჭნინი ბერის ჩრდილს ეკლესიის კედლებზე. ტარსოს შეცვლის როსაფ ბერი პირველად სწორედ იმ კუზის ტკივილით იგრძნობდა ეარე, გაბმული ტკივილით, რომელიც ბინ პირმახვილ დანასავით გადაუსერავდა გალუნულ ხერხემალს, ხან კი ოდნავ მიეუჩდებოდა და იმდენ ხანს უკენეხოდა, სანამ საფეიქლებსაც აიკკევებდა. ამ ბოლო დროს მარკვენა მუხლშიც იგრძნო მსგავსი ტკივილი.

ბარეთ ძალები აუმეფლდა. ბერი კარისკენ წავიდა, რკინის მძიმე ურდული ამაკრა და ბარეთ გავიდა. მთის ძირში, სოფელ თელეთში ყოველ სახლში ციმციმებდა სინათლე. სოფლის ბოლოში, ალვის ხეების ქარსაცავს მიღმა ვეებერთელა სოკოებივით მოჩანდა წყალსაქაჩი კოშკები. შუა სოფელზე ავტომაგისტრალი გადიოდა. გაბმულად ციმციმებდნენ მანქანის ფარები. თითქოს ციცინათელების ჯრედელი ქარავანი გაქანებულიყო. ყრუდ აღწევდა ყურთასმენამდე მოტორების ბღუილი.

სადღაც თოფი გავარდა.

— ქორწილია, დღეს გიორგიმ თავის ბიმს ქალი მოაყვანინა“.

სოფლიდან ხამუშ-ხამუშ ისმოდა ქორწილის ბასტიბუბუ.

ყურშამ ბერის დანახვაზე ყმუილი შეწყვიტა, სიჩარულისაგან აცქმუტდა და აწყმუტუნდა. საუღლურთან ჯაჭვი დახვეოდა და ის აწუხებდა. ძალი აუშვა. ეკლესიის გვერდზე უწნოდ მიშენებულ სარდაფში შეეიდა, ანაფორის ღრმა ჯიბიან ახალი ამოიღო და ძველ, დაუქუსულ თოთბრის კანდელში ჩამაგრებული სანთელი აანთო, კედელთან მიწყობილ დაღერბილი შეშადან რამოდენიმე ცალი მარცხენა მკლავზე გადმოიოლაგა, სანთელს სული შეუბერა და ისევ გარეთ გამოვიდა. მთელი დღე ბალოზე მიმღერძვალი ძალები გაბარებული დარბოდა აქეთ-იქით ფბოეა-გლეკრით. პატრონის დანახვაზე მისკენ გამოენთო, ზედ ეტეტა და თათებით კიბადან შეშა გაიყრევინა.

— გადი ექით, შე სამგლე! — დაუტეტანა ძალლს.

სარდაფივით უგერგილოდვე მიშენებულ ოთახში შეეიდა. სარდაფიცა და ეს საცხოვრებელიც, ეტყობა, წინა ყარაულებს მიეშენებინათ სახელდახელოდ. აგური აგურზე ოყრობღაკოდ ეწყვა. არაფრით არ ეგანებოდა ტანკენარ ტაძარს ეს ორი ნაგებობა, გაჯირკვებული აბედის სოკოსავით უწნოდ მიმკრთალ ჩამოქნილ შენობას, ადრეულ ხუროთმოძღვართა შედევრს.

ოთახში პატარა მაგიდა, ორი ვენური სკამი, კიდობანი, ძველი სავარძელი და ვიწრო რკინის საწოლი იდგა. ეკლესიის თაღი წიგნების თროსგ გამოეყენებინა, რომელიც ახლა ოქროთი მოვარაყებულიო ხელფანარნი წიგნებითა და ჩაჯვეთილებული ყურნალ-გაზეთებით იყო სავსე.

ერთ დილით, ალიონზე მაღალი, ცისფერთვალება ჯარისკაცი გამოეცხადა. ერთხანს ეკლესიას უარა გარშემო, ყველფერი ძირისძირობამდე დათვალიერა, მერე აკკის ხის ძირას ძელსკამზე ჩამოჯდა და დაისვენა. როსაფის გამოჩენაზე ადგილიდან არც დაძრულა.

— გამარჯობა, მამაო.

— გაგიმარჯოს. — ჩაიბუზუნა როსაფმა.

— ამ სიმაღლე მთის წვერზე რამ აგაშენებინათ ეს ეკლესია?

როსაფმა არაფერი უპასუხა.

ფუნერულფაშო ჯარისკაცს ცისფერ თვალებში ეშმაკური ღიმილი ჩაუდგა.

— ღმერთთან რომ ახლოს ვიყოთ, არა?

— ღმერთი ყოველთვის ჩვენთან არის! — წუნარი ხმით მიუგო როსაფმა.

ჯარისკაცი ერთხანს გაჩუმებული იჯდა. შემდეგ ჭუფი მოიხადა, კეფა მოიქექა. რაღაც დაუტკვენე ვინმე ჩანდა. ისევ იმ ცოლლუტური ღიმილით ჰკითხა

— შენ ნამდვილად ფუმაშ ღმერთი, მამაო?

როსაფი შეცბა, მისთვის ასეთი რამ არავის შეუკადრებია, მისმა თვალებმა ერთის წამით რისხვით დაიკვესეს. შემდეგ კი ჯარისკაცს ფართოდ გახელილი წყარის გუბეებივით წმინდა თვალებში ჩახედა. — აბა, თითეი გაშალე!

ბრძანებებს მიჩვეული ჯარისკაცი მაშინვე დაემორჩილა მის განკარგულებას და ხელის თითები გაფარჩხა. სარკვენელი და შუა თითები თამბაქოსაგან ჰქონდა ჩაყვითლებული.

— ახლა ერთი თითი მოკაკვე! — იდუმალი ხმით განაგრძო როსაფმა.

ჯარისკაცმა ხალოკი თითი მოკაკვა.

— რა მოხდა, ამიხსენი, უმაწვილო!

— თითი მოგკაკვე.

— მეცნიერულად, თუკი შეგიძლია...

— კი, ბატონო, კუნთში არსებული ნერვის დაბოლოებანი აღგზნების იმპულსებს გადასცემს თავის ტვინში არსებულ სპეციალიზირებულ ცენტრებს. იქ ხდება მოსული იმპულსის ანალიზი. შესაბამისი გადაწყვეტილება უკანვე უბრუნდება შემსრულებელ ორგანოს. თავის ტვინში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ხდება ყოველი რეაქცია, ამ შემთხვევაში თითის მოკაკვა თუ გაშლა. ასეა, მამაო, მეცნიერულად!

ბიჭი მთლად ენად გაიკრიფა. მოსწავლის ფარული სიამაყით ყვებოდა კარგად დასწავლილ ანაკლიშის გაკვეთილს. როსაფი დაკვირვებით ათვალიერებდა უმაწვილი კაცის სახეს.

— მაშ თავის ტვინი წყვეტს ყველფერს?

— აუცილებლად, მამაო!

— თითმა თუ იცის ტვინის არსებობა?

ჯარისკაცმა უცცად შეხედა როსაფს. სახიდან ის ეშმაკური თუ ბავშვური ღიმილი გაუქრა.

— შენ თითი ხარ! — ოზეიმა ბერმა მცირე გამარჯვება.

ჯარისკაცს მთლად წაუხდა იხტიბარი. იგი დიდხანს იჯდა ენა მუცელში ჩავარდნილი და რაღაცაზე ფიქრობდა. მას პატარა ბიჭობიდან არ ასვენებდა სურვილი ეკითხა მოდდილისათვის, მართალ სწამდა ღმერთი თუ არა... ამას კი არ მოელოდა.

მეორე დღეს კი ძველი რკინის საწოლი ამოუტანა ხვნეშა-ხვნეშით.

ოთახის კუთხეში პატარა ბუხარი მოჩანდა. ვარდიდან კირით იყო შეფფთქილი, მხოლოდ შუა ნაწილი აელოკა ალს და თავისი კვალი დეტოლებინა შავად. როსაფმა შეშა პუხრის პირას დაიწყო და წიგნების თაროსაკენ წვიდა ძველი გაზეთების მოსატანად. გულდაგულ დაიწყო ჩინჩხვარი დაშეშენილ ქაღალდზე, შემდეგ შეშის ნამობები აიკუდა ერთმანეთზე და ცეცხლი მოუკიდა. ბუხარი ჯერ ზანტად ამოლდა, მერე კი მხიარულად ატკაცუნა ხმელი შეშა. ბერმა ძველი სავარძელი მიაჩოჩა ცეცხლთან. სავარძლიდან ჩაფენილი თეთრი თხის ტყავი ჭდომისაგან ერთიანად გაქუცულიყო, ბუქუიანი მელოტი თავივით მოჩანდა მრგვალად ბეწვავცევნილი ადგილები. როსაფი მძიმედ ჩაეშვა სავარძელში, ანაფორის კალთა გადაიწია და მტკვანი მუხლი ცეცხლს მიუფიცხა. მარილების დაგროვება გაქსსო, — უთხრა სოფლის ექიმმა. სხეულში სასიამოვნოდ ჩაღვრილმა სითბომ სხვა ამქვეყნიური სურვილიც აღუძრა. ახლალ გაახსენდა, რომ იმ დღეს ლუკმა პური არ ჩაედო პირში. შეადღისას მექრწილენი ამოცვივდნენ ეკლესიაში მანქანების საყვირების ქუვიტინით. ეიკლეს იქაუორობა. სიძე-პაპარძალი მოელი მაყრიონით ეკლესიაში შევიდა. ერთ ხანს იბორიალეს, ჯერ ვითომ ჯვრის წერა უნდოდათ, ვერ გადაწყვეტეს, შემდეგ სანლეკნი დაანთეს, კარამან დაკიდულ თუნუქის ფუთში ფუფი ჩაყარეს და ისევ მანქანების მიაშურეს. სულ ფრენით დაეშვნენ დაკიდულ დაღმართზე. როსაფმა მაშინვე იცნო სიძე, გოგოს ბიჭი იყო. იგი მისსალმა კიდევ დე მამის დანაბარები გადასცა, — კორწილში გვეწვიეო. აბა, თვითონ პატრეფთი კალთები არ ჩამოუხეფია როსაფისათვის.

დედოფალიც ეცნაურა როსაფ ბერს, თუმცა იგი გულდაგულ ცდილობდა თეთრი მარმაშის ლეჩაქში სახის ჩამალვას. ძალიან ლუფუნა გოგო იყო პატარძალი. მისი ქაოქანთ ყელ-კისერი

უნმეცადოდ იქცევდა ყურადღებას... თვითონვე სამკაულობდა. სითეთრე და თვალთა ბაიათა ნიშაკე ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ. ბაგეებივით სათუთი ცხვირის ნესტლები ჭკონდა... ეს ყველაფერი უცაბ შეამჩნია კოზნიანმ ბერმა. ისიც კარ გამორჩენია, რომ დედოფლის მოქნილმა წარბებმა გასცეს მისი საიდუმლო.

იმ გაზაფხულზე, როცა მთა-ველი ალაღნდა. შაგნაპადას ფერდობებზე ნუშებსა და ვერმეზის კვირტები აუოქვიდოთ და სალამობთნი სიყვარულითა და ყვავილთა სუნნელითი გაგიჟებულმა ბულბულებმაც მომკაადოებელი პანგები უნდად მოაფრქვიეს არეშრეს, როსაფ ბერი თავის სამუშაოს შეუდგა. მას დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა, ქვით ნაშენი უქველესი ხეკაკები გამოკ[illegible]ფთაგვებისა, ეკლესიის აღმოსავლეთით სოსტაგნოვიანიც იდგა, ზოგს სახურავი ჩანგრეოდა, ზოგს კედლები ჩამოშლოდა. ამ დროს ანოვიდა ლამაზაანთ ზოთაც და გუმბათს თუნუქნ ჭეუცავთ თავისი ხარჯით.

— მამ ოგგლთა დაცვის კომიტეტს რომ უცადო, ეს ეკლესიაც, ე. მაგრე სენაკებივით მიწასთან გასწორდებაო. — კოპეზსა კრავდა ზოთა. იგი ავტოპროფესიალკერძოიანში მუშაობდა, ავარიაში მოყოლილ დაქეშეულ მანქანებს ასწორებდა და კარგ ხელოსნადაც ითვლებოდა. სულ თავისი ხელით გაკეთია ყველაფერი. ორ კვირაში მზეზე ალბალანას თეთრი გუმბათი. არც როსაფი იყდა გულხელდაკრეფილი. ქან თავისი ზუზრით გამოიტანა ყოველი ქვა და ლოდი სენაკებიდან და სოსტაგნოვებიდან, შემდეგ გამოხვეტა და გამოასუფთავა. ახლა ათასში ერთხელ შეშოხტებული ტურისტები იმათაც სიამოვნებით ათვალიერებდნენ. ათასჯერ ეკითხებოდნენ ერთსა და იმავეს,— რა სარმოხაბადებელს ინახავდნენ მეროვიე ბერები სოსტაგნოვებში, რომელი იყო სენაკები, სადაც ბერები ცხოვრობდნენ... ტურისტები ხომ ძალიან ცნობისმოყვარე და ამბაზარი ხალხია. ამავე დროს მეტად გულმავიწყი, თიბმენის იქვე ავიწყდებათ ნთქვაში და ახსნნელი. ადამიანის მეხსიერება დიდად არ დაგიდვეს წარსულ ცხოვრებას. ამოუგდეს გულიდან, დაავიწყეს [illegible]. თვით აღაბანის კი სურს მთლად არ წარიხოცოს ძველი ხალხი წარსული ცხოვრება. სხვა თუ ვერაფერი მოიხერხა, აიტაუზება სადმე ისტორიულ ძეგლთან, ზღვის პირას, თუ ხესთან, გადაიღებს სურათს, გადმოაბარებს და დაავწერს — ესა და ეს ალადი, ესა და ეს წელი...

იმ დღეს ბევრი ტურისტი მოაწყდა ეკლესიას. სადამის ხალხს ბორიალისაგან დაღლილდაქანცული ბერი როსაფი აკაკის ხის ქვეშ იჯდა. ფერხთით ყურაზ გაწოლილიყო და თვლემდა. ყურაზ ვერაფერით ვერ მიეჩვია უცხო ხალეკე. როსაფს არაფრის თავი აღარა ჰქონდა, დაბინდული თვალით უცქერდა ოქოს [illegible] მიღმა მზის ჩასვლას. ღამე ეპარებოდა შავნაბადას კალთებს.

**ბერს ქალის ჩურჩული მოესმა. ვიღაც ფეხაკრეფით მიიპარებოდა სენაკებისაკენ. როსაფი წამოდგა, ყურაზს საყელურში ხელი ჩაავლო. სარდაფამდე მიაყარა და შიგ შეაგდო, რომ ძალლს უთავბოლო ყეფა არ ეატეხა. გულმა რაღაც ავი უგრძნო. ერთბანს ერთ ადგილას იდგა გაკვავებული და სმენად ქცეული. ჩქაბი ანლა შიგ სენაკიდან გაისმა. ბერი ფეხაკრეფით გაეშარჯა იქით. პატარა, ვიწრო ქვის კიბე ჩაათავა და ბილიკს ფეხაკრეფით მიჰყვა. ყველაზე უსმო ხიარული ხომ ბერებმა იცოან. სენაკიდან ახლა ქალის ჩუმი თავშეკავებული კისკისი მოისმა. როსაფმა ზუბები შეკრა და ისევ ადგილზე გაქვავდა. ახლა კაცის ჩურჩული და გახშირებული სუნთქვა შემოესმა. როსაფმა რამოდენიმე ნაბიჯი წადგა წინ და ერთ-ერთი სენაკის კართან შეჩერდა. იქვე შეასვლელთან ალიუზა გაუტერებული, ენაჩავარდნილი, ბნელ სენაკში თეთრად კიაფობდნენ ქალის ჩამოწყნარი პარძაყები. იგი გულალმა იწვა სენაკის ქვის საწოლზე. გვიან შეამჩნიეს შავად ახეკტილი ბერის სილუეტი სიყვარულთან გაპრეფულებმა. ქალმა შეჯიოვლა. კაცი მისკენ წამოვიდა. ფეთიფუთით ისწორებდა ანაჩოელ სამოს.

— ჰოოო... ძია როსაფი ხარ... ჩვენ... ისე როგორა ხარ, ძია როსაფ? — გაიფრიქა უტიფრად. ამას ბორძიკ-ბორძიკით ამბობდა ახალგაზრდა. არც კი დაუცდია გოგოსთვის, ახე გავარდა გარეთ. კარგად იცნო ბირკალაანთ ვალეკო. ქინალამ ალიფური აპამა, მაგრამ ვეღარ გაუბედა, ავეკეი და ავშნე იყო ბირკალაანთ ბიჭი. სულ აქეთ-იქით ტანტალეში ამოსდიოდა სული. ვალეკო ბილიკს არ გაჰყვა. პირდაპირ გადავიდა და სულ ლაწალეწში ეუეკენ ბეჭენარის დათვენვით. შეშდეგ მანქანის ფაქეკვის ხმა შემოესმა როსაფს. გოგო კი ისევ ხკაბლოგინნმე ინიეზებოდა თან ლოყაუნებდა. ვნეზპაოუკოსელი კაცის ინერით უყურებდა ნაბეკრად შიშველ ქალს. სიბნელეს შეჩვეულმა ბერის თვალებმა სახეც კარგად გაარჩიეს. როგორც ფოტოფირზე, ისე ალეზებეშდა გოგისაში ახალგაზრდა ქალის ლამაზი პირისახე, ფართოდ ახელილი, ცრემლნალი თვალები, დიდი სირცხვილისა და უხერხულობისაგან რომ ალარ იცოდა, სად წყედა. იგი ადრე არსად ენახა, ჰქონური არ იყო. ბოლოს, როგორც იქნა, ზორარ ფაფიფუფთით ჩაკმას და კარისაკენ წამოვიდა. წინ როცა გაუარა, რადაც გულის მოსაფხანი სიტყვის თქმა მოუნდა ამ კაბპისათვის, მაგრამ გამშრალ ენას სიტყვა ვერ ამოაყოლა.**

აი, ის გოგო მიყვებოდა დღეს გიორგას ბიჭს ცოლად.

ნამდვილად კი ის იყო?... სუსტი ეჭვი მაინც გულს ულრნენდა როსაფს.

„ასეთი თოკივან წაწყვეტილ რძალი-არ გაშიადებებოდა გიორგას, თავს ლაფს დასასმაფდა მოელ ოჯახს. რა დიდი და ცოლი უნდა დადგეს იმისაგან... კარგი ოჯახი კი...,

როსაფს თითქმის ჩასთვლია, ეეცცხლს ახლა მეორე ვეერი მიუფიცხა.

სოფლიდან უეცე გარკვეული მოისმა ფოლგარჩონის ხმა, ეს ალბათ მაჩქანებმა ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერმა ფუმკად ჩაიარა.. .ახე უგზო-უკვლოდ გაქრობა... რა ცოდვა ჰქონდა ისეთი ჩადენილი?... იგი მირბოდა გაურკვეველ, თეთრ საბურველში, რომლის იქით ვერაფერს არჩევდა და არც მოჩანდა იმედის ნაპერწკალი. ნისლი, ნისლი აწვებოდა ყოველი მხრიდან, მღვრიე, რძისფერი ნისლი. სახეშეშლილ, თავზარდაცემულ როსაფლ დროდადრო თავი სიზმარში ეგონა, ისე ელვენთებოდა ფეხები და ეფლობოდა თოვლში. მგლები სულ ახლოს, გვერდით მიძუნძულებდნენ. რამდენიმემ გზა უყელა და მოშორებით გაჩერდა. გვერდიდან ჯრთ-ერთმა მგელმა ისკუპა მისკენ, მაგრამ ეტყობა, ნახტომი შეეშალა და ზედ გადაუკოლა... როსაფმა ხელკეტი მოუქნია, და მერე ზედ მიაყოლა. თოვლისაგან დასველებული ანაფორის კალთები ფეხებშუა გამოებლანდა, წაიფარხილა და მუხლებზე დაემხო, იმედწარხოცალს უცებ აზრი დაეწმინდა. იგი მისთვის ჩვეულ მდგომარეობაში მუხლებზე დაცემული... ლანდები გამრავლდნენ, გზის ორივე მხრიდან გამოვიდნენ, ირგვლივ აფუთფუთდნენ. მერე ზურგზე რაღაც მძიმედ დააჭერა. კუზი თითქოს ჩვეულმა ტკივილმა გადაუსერა, მაგრამ ეს უფრო მძაფრი ტკივილი იყო. თითქოს გვარვარებული შანთები გაეკარათ...

„რა შეგცოდე, ღმერთო, რაა?.“...

იმავე წამს კისერშიც ივრძნო იმ გარდიგარდმო გაკრილი შანთების აუტანელი ტკივილი და თვალთ დაუბნელდა. ველარ გაუძლო ვეებერთელა მგლის სიმძიმეს და პირქვე წაემხო თოვლში.

თოვამ უმატა, გაპენტილი ბამბის ქულებივით დიდი უანტელები შრიალით ეფინებოდნენ დედამიწას. გულდაგული ფარავდნენ სისხლის მუქ ლაქებსა და შავი ანაფორის ნაფლეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ თაობა

ალექსანდრე ბეგარდოვსკი

ბღაპრული ქვეყანა

თავი 1.

მგზავრობს დილით და შუადღეს,
მგზავრის გზაა ულევი.
ქვეყანაა ოთხივ მხარეს,
მაღლა — ქვეყნის ღრუბლები.

კერის სითბო მისდევს სევდად
შორს წეროთა გაბმულ მწკრივთ,
მიფრინავენ, — და რა ხდება
ძირს, მიწაზე, — არ უწყით.

ფონი იტევს ხალხის ყაყანს,
მორახრახე თვლებს, ფორნებს,
ფეხთა ბრახუნს, მხოხავ აღაღს,
ოფლღვრილ ბებერ მებორნეს.

ხალხი ბორანს ზნექს და ჭედავს,
აღჭიალებს ბაგირსაც,
რწმუნებულ პირს ეჩქარება
და დედაკაცს ბარგიანს.

ბორანს ჩქერი ატრიალებს,
კარუსელისნაირად,
და გარმონი ხუროთ არტელს
მიაქვს ქვეყნის ნაპირას.

მავთულების დგას გუგუნი,
ველს მისდევენ სვეტები,
წყალნი — შორ გზას, და გრუხუნით
რელსებს — მატარებლები.

ბუჩქნარებზე პერო-ქაფით
თეთრ ქედებად კრთის თოვლი,
ფისის სურნელს აბერვს არყის
ქორფა, თოთო ფოთოლი.

ათასი გზა ამასოფლის
ერთვის ქვეყნის ათას გზას.
და ნიკიტა მარგუნოკიც
მიდის, თავის გზას ადგას.

მიყიალობს ლურჯა ხელნით,
ცხენი ცალუღერელია.
პატრონს რკალის თასმა ხელში
მაგრად ჩაუჭერია.

ფერხთით შოლტი, უკან კუპრი
უძევს საპოხ მასრაში,
თითქოს მარგუნოკი ურმით
ქალაქს მიდის, ბაზარში.

დაბანილი, ჩექმებშავი,
პიჯაკდამშვენებული
მიდის, თითქოს ნათესავებს
ყავთ ღვეზელზე წვეული.

სახლ-კარი შორს, უკან დარჩა,
სვეტი სვეტს ცვლის მალ-მალე.
მშობლიური ქოხი არ ჩანს,
არც ერდო და საკვამლე...

ქარში ნისლი თხმელის ბუჩქებს
მკრთალად მაღლა-მაღლა სდის.
მარგუნოკი ხელს დაუქნევს:
— ჰე, მამულო, ნახვამდის.

თავი 2

გზა იერთებს მიღმა მთიდან
სოფელს — ოქროსგუმბათიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გზით, თურმე, ბონაპარტე
მოსკოვამდე მივიდა.
აქ წელს ითვლის ოცდათვრამეტს,
რაც მონათლეს ნიკიტა.

ჭექდა ზართა ხმა აქედან
ოცი სოფლის არეზე,
აქ მრწამ სულთა ღღეს სუფევდა
ბაზრობა და ტრაპეზი.

აქ შარასპირ პირველ სახლკარს
სხვები დაუჩრდილია,
ლურჯი აბრა ეკრა კარმაღს —
„ბუგროვი ილია“.

უცებ გზაზე შედგა მგზავრი,
სოფლის შუა დახვდება...
ბაზრობის თუ რბევის დარი
სასეირო რამ ხდება.

გარმონს უკრავს, ცეკვავს ხალხი,
ხმირი ტყე დგას ხელნების,
ცხენი ფრთხება ცხენთა ნახვით...
— სდექ!..
ტყედ იქცნენ ხელებიც.

— სდექ, დანდობა აღარავის,
ყველას ერთად სმა გველის:
სვი ქორწილში, რადგან არის
იგი უკანასკნელი.

ვინ სახელოს და ვინ კალთას
ქაჩავს აქეთ-იქიდან,
ასე ერთად,
შინ, სუფრასთან
შეჰყავთ ჩვენი ნიკიტა.

თასს აწვდიან:
— აბა, თუ ხარ
ერი მოსმით დამცლელი!
— სვი ქორწილში, რადგან ხუხვა
არის უკანასკნელი.

სუფრის აქეთ მასპინძელი
იწვევს:
— ქოხი ჩემია —
და ეს არემარე მთელი.
მოდი, შვილო,
მოვილხინოთ,
მეტი რა დაგვრჩენია!..
ხალხო, სვი და იტრაპეზე,
სულ ერთია, ვისია:
რაც ბოთლშია
ანდა თეფშზე
რაც დევს,
განა სხვისია?

ეს საკლავი ვისი არის?
ეს ხორაგი ნაშოვარი?
რომ დულს, განა სხვისი არის
მაგიდაზე სამოვარი?..

აბანოს ჰკავს სუფრა მთვრალი,
ოფლს შეიწმენდს სტუმარი.
— სად გყავთ ნეფე-დედოფალი,
აქ ქორწილი თუ არის?

კვლავ შეუსვამს უცებ სასმისს,
მასპინძელი გლეხს ეტყვის:
ერთად არის აქ, ძვირფასო,
ქორწილიც და ქელეხიც.

მარგუნოკმა უხალისოდ,
ძლივ-ძლივ თასი დასცალა.
ყველა სვამს, ჭამს, მუსაიფობს,
მღერის, რაც კი აქვს ძალა.

— ვისას იხდით?
— ყველას ქელეხს.
— ვინ ილხენს?
— კულაკობა!

გარდაცვლილთა სულთ ვიხსენებთ,
ვინც წარვიდა სალოვკას.

მათ არ სცემდნენ, არ ბაწრავდნენ,
არ ტანჯავდნენ შიმშილით,
მათ ურმებში ერთად სხამდნენ
სარჩოთი და წვრილშვილით.

ვინც კი დარჩა ქოხში განგებ,
გულწასული ყასიდად, —
მილიციელ ბიჭებს გარეთ
გამოყავდათ ფაქიზად...

— სასმელს დავლევთ,
— ეს გადაგვრევს...

— სასწაულთა მქმედი დიდი
იყო ღმერთი — ქრისტე...

— აბა, მე თუ არ ვიხდიდი,
ვინ იხდიდა კიდევ?..

— რად არ კენკავ, ჩიტო, ხორბალს,
უფლის ჩიტო, პატარა?

საგალობლებს ტკბილს და ხმოვანს
რად არ მღერი, რად არა?

ჩიტუნია ხმას გაიღებს:
— ეს გალია ვითმენო?
ციხის კარი გამომიღეთ,
თავისუფლად ვიფრინო...

— სასმელს დავლევთ,
ეს გადაგვრეკს.
უკვე დროა ჩავუფიქრდეთ,
შინ წავიდეთ, ჩავუკვირდეთ:
ხვალ რას ვყიდით დასალევს?

სასწაულებრ ვიდოდა
წყალსზედ ღმერთი ქრისტე...
აბა, მე თუ არ ვიხდიდი,
ვინ იხდიდა კიდევ?
ყოველ ზვინზე,
მინდვრად რაც მიხვეტია,
ყოველ რქაზე,
რაც ბოსელში მემწყვდია,
ყოველ ზურგზე —
ხელეურზე,
ძაღლის კუდზე,
კატის კნუტზე,
ცვცხლის ალზე,
მილის კვამლზე,
დღის ნათელზე,
წყვდიად-ბნელზე,
ქოხის ჩრდილზე
და, უბრალოდ, ხანს სულ ისე...

— ვიცით! არ ხარ ბოთე, გისმენო!
ღამით ხორბალს, წყალში უშვებ:
არც მეო და არც ძაღლს კუდკვეშ.
გიცნობთ, ჭკუით შენი მსგავსნი!
სვი და ჭამე, ჭამე და სვი!

— ორმოცი წლის წინათ ერთი
ლოთი ჯარისკაცის მეტი
თურმე არვინ დარჩა სოფლად,
ხალხს ქოლერა როცა სპობდა,—
მუსრს ავლებდა, ყველას კლავდა,
იმ ერთ ჯარისკაცის გარდა,
დევივით რომ ქონდა მადა,
ყველას ფსალმუნს უკითხავდა,
სცლიდა მთელ ჯამ არაყს ყლუპად,
თან უყვარდა კარგად ღუკმვა.
ყველას ნაცვლად, ჭამით და სმით
გადარჩაო ჯარისკაცი.

—ტრუნია — ტრუნია — ტრუნია — „შინ!
მამამ თურმე არაყში
მიაყიდა სახნისი,
შვილმა —
ცული თავისი,
ქალიშვილმა —
სავარცხელი,
დედაკაცმა —
ტაფა ძველი...
და ღუმელზე კვნესა იწყო:
„შვილო, ბლინებს ვერ დაგიცხობ...“

— ყველა ყვირის, მე ვარ წყნარად:
გვძალავს ერთად —უქმობა.
და ილია კუზმიჩს წამლავს
ცრემლი, უპირქუბობა...

— მოიტა და გადმოლალე
პურმარილი, ხორაგი!

— დღეს რა უხვად ფანტავს ალერსს,
რა მოწყალედ, ჰო, რარიგ...

მითხრა, ჩემი დოსტი ხარო
და ძველი მეზობელი.

სალოვკაში მიმყვებაო
მთელი ჩვენი სოფელი...
— მასპინძელო,
ღვთის ჩიტს — ტუსაღს —
ნუღარ ნაღვლობ თვალსველი.
არ მოაკლო სტუმრებს უხვად
ხუხვა
უკანასკნელი!

მთვრალ სუფრაზე მიზეზს ეძებს,
რხევით დგება იგი და
ვითომ დათვრა და ჰაერზე
ჩუმად გადის ნიკიტა.

კელავ არყევდა, მტვრიან ქუჩას
ძაღლის ყეფა,
ბინება,
სიმღერები...
— აჩუ, ლურჯავ.
მხარე სადმე იქნება...

თავი 3

შორს ჩაქრება შუქი სოფლის,
შოლტი ხელში გრილდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სივრცეში ღურჯი ზოლი
ჯანღით დაიბინდება.

წეწავს ცხენის ძუას, ფაფარს
ქარი უცბად ამტყდარი,
ყრუდ, ვეება ხიდის დარად,
სადღაც გრგვინავს ავდარი.
ცამ უდროოდ წამოსული
ცინცხალ დასცხო ძირს წვიმა
ზაფხულის წყლის, მიწის სუნით,
როგორც ერთი წლის წინათ...

მარგუნოკმა წამს ბალღურად
შეუშვირა მას პეშვი.
ცხენს კი თავი დაეღუნა,
მკაცრს და აღვილს კაეშნით.

ჰო, ის ცხენი კაცად ღირდა,
გეშ და ჯიშდაღოცვილი,
თოვლს ხუთი დღით ადრე ბდღვნიდა,
უმცდარ ნიშნად ქორწილის.

მიწას, ღუმელს, ქოხს და ოჯახს
და მთელ ავლადიდებას:
ყოველ ლურსმანს, ხალათს, ტოლაღს
ცხენის ზურგი იტევდა.
ქურდისა და ხანძრის შიშით
უძილობას იმკიდა,
ვით მარჯვენას, ვით თვალისჩინს,
ცხენს უვლიდა ნიკიტა.

რა გავიდნენ იმ ეზოდან,
ცხენს პატრონის ხმა ესმოდა:
რომ კარგს არას ელის სოფლად,
კომლს უცხენოდ არ თვლის კომლად;
რომ ამდენხანს ერთად დაყვეს,
რომ კვლავ ერთ გზას უნდა გაყვნენ.

ცხენიც ერთ გზას მისდევს მხედრით,
გზა თავისთვის გახაზა,
ჩამუქებულ ზურგს მოთეთრო
ორთქლი ასდის გზადაგზა.

წვიმა წყდება. წვიმის წყალით
ნაფლოქვრები ავსილა.
ცისარტყელას მშვიდი — რკალი
ზედ ცალუღის რკალზეა.

დღე ილევა, სტუმრად ქვისლთან
ჩვენს მარგუნოკს უნდა მისვლა,

უნდა ღამისთევა მასთან
გაჩერება მოყვრისას.

გულახდილი კაცი გახლდათ
ქვისლი მარგუნოკისა.

მეგობრებად იქცნენ იმ დღეს,
მათ ორი და რაც შეირთეს.
ოც წელიწადს ძმაკაცობდნენ
თმებში პირველ თეთრამდე,
ერთს ეტრფოდნენ საგალობლებს
და საუბარს ერთადერთს.

დაღვრემილი ქვისლი სტუმარს
კართან ხვდება ხელგაშლილი:
— გმადლობ, ძმაო, მოხველ ძმურად —
და წინკარით შეყავს შინ.
— ვარ გულღია შენთან — ქვისლთან
და პირველ მეგობართან:
რა ვიღონოთ? იწვის მიწა, —
გაზაფხული მოგვადგა...
მას ნიკიტა ეტყვის: — ქვისლო
და პირველო ძმბიღო!
ამ სარკმლიდან, როგორც ვფიქრობ,
არ ჩანს მთელი მსოფლიო.

კვლავ პასუხობს სტუმარს ქვისლი:
რა ვქნა, ჩემო ბატონო.
ხვნის დროს დგება, მიწა იწვის,
ეგრე როგორ დავტოვო?

მაგიდასთან სხედან ისევ...
წამს გაჩუმდნენ, ფიქრად იქცენ.

ბავშვებს ყუჩად მალავს კუთხე,
ქალი დადგამს თასებით
სანახევროდ ფუტკრის „პურთან“
თაფლს ფიჭაში აზელილს.

მოსვეს თითო კათხა. სხედან,
ახლო წლები გაახსენდათ.

ისხდნენ ორნი უსიამოდ
და ახელდნენ თვალს ძნელად.
— არ ვიმღეროთ?..
— ჰო, ვიმღეროთ,
ალბათ, უკანასკნელად...

ოც წელიწადს ძმაკაცობდნენ
თმებში პირველ თეთრამდე,
ერთს ეტრფოდნენ საგალობლებს
და საუბარს ერთადერთს.

ოდნავ შეჭიკჭიკებულნი
დაყრდნობილნი ტაბლაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი გლეხი მღერის გულით
საბოლოოდ, და რაზე?..
რას უმღერენ?
ხელი ლოყას
მიუყრდნიათ მწუხარედ.
ეგებ მშობელ დედა ვოლგას,
რომ დის სადღაც ყრუ მხარეს?..

ეგებ შავ ბედს, ღატაკობის
მაღაროში გადამყრელს?..
თუ ამ მწარე, ვაგლახ ყოფას,
მაგრამ მაინც საყვარელს?..

რას უმღერენ ხელის რხევით
და ცრემლების არმალვით?
ეგებ ტრფობას ვერგამხელილს
უმღერიან ალალნი?..

ეგებ ისე, მაგიდაზე
ზის ამ ქოხში და ქვისლთან
მღერის გლეხი თავის დარდზე
ან დასტირის თავის თავს.

მამიკოს და დედილოს
დაებადა ნიკიტა,
და ერთ ჯიხურ საყდარში
მოინათლა ნიკიტა.

ჩვიდმეტისა რომ გახდა,
დაოჯახდა ნიკიტა,
ხუტორისკენ გასწია,
განცალკევდა ნიკიტა.

— კოლექტივში რა მინდა! —
ყოყოჩობდა ნიკიტა.
ერთდღეს მაგრა გამოთვრა,
გაილეშა ნიკიტა.

ოჯახის მიტოვება
გადასწყვიტა ნიკიტამ...
სად მიდიხარ, სად მიხვალ,
ო, ნიკიტა, ნიკიტა?

თავი 4

მარგუნოკის პაპას უთქვამს
და არც არის სადავო:
ჯანს, სიმდიდრეს, იღბალს, ჭკუას,
ყველაფერს აქვს ვადაო.

პაპა შაირს გარეთმავდა,
წამსვე ხელებს გაშლიდი:
თუ ოც წლამდე ძალა არ გაქვს,
არც გექნება, დამშვიდდი.

თუ ოცდაათ წლამდე არ გაქვს, —
არც მოგივა გონება,
ორმოც წლამდე თუ არა გაქვს, —
არც გექნება ქონება.

როგორც ყველა, ჯერ ნიკიტაც
არ ირწმუნებს პაპის სიტყვას.
ოცზე მეტი წელი გადის,
ძალა არ აქვს გოლიათის.
ექნებოდა ალბათ, ღონე,
კერძი რომ და არა ომი...

გადის ოცდაათი წელიც,
ხედავს, ჭკუა არ აქვს ბრძენის.
რა გონებაც ექნებოდა,
ის ქონება ერგებოდა.

მეორმოცე წელი დგება,
არც სარჩო აქვს,
არც ქონება:
რომ წლიდან წელს მის ოჯახში
სამყო იყოს პურიც, შაშხიც;

რომ ბუგროვი და ის „იჩით“
შეხვდნენ ჭირში თუ ლხინში,
ვით „ნიკიტა ფედორიჩი“
და „ილია კუზმიჩი...“

რომ სვას, სტყორცნოს ქუდი მის ჭერს,
რაც სურს — ჭამოს, დაისხას,
მასთან ერთად მუდამ ეჯდეს
ტაბლა-სუფრას თავისას;

რომ გააბან სჯა-ბაასი,
თვალმინაბვით ილხინონ,
რომ ხელკავით ერთად ასე
გზად ყანები იხილონ...

დათქმულ ვადის ჟამი დგება,
მარგუნოკი არ მდიდრდება.

მას არც დიდი დაჰყვა სიბრძნე,
არც სიმხნეევ, არც ცრუთა
თვალთმაქცობა, მაგრამ მტკიცედ
ის იცოდა, რაც სურდა...

და გზა იქით მიდის გრძელი,
სადაც სახელგანთქმული
უნდა იყოს ძველისძველი
ის ქვეყანა აღთქმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწამდა — შორი მხარის გულში
მის სულ ახლონაცნობად
მაღალ ბორცვზე, როგორც ბუჩქი,
ის ხუტორი დგას ობლად.

მიწა მთელი სიგრძეგანით
ირგვლივ შენია.
მიდი, გინდა თესე ნარი,
ისიც შენია.

მთავრად არვინ გინდა კიდევ,
შენი თავით იმთავრე,
თიბვა გინდა? — მიდი სთიბე,
წასვლა გინდა? — იმგზავრე.

სულ შენია, აქ რაც არის,
იყიალე წიტებით.
ჭაც შენია და ნაძვნარიც
და ნაძვებზე წიწვებიც.

ზამთარ-ზაფხულ წყალში მყვინთავ
იხვებს ნახავ ყოველთვის,
არც კომუნას, ჰოი ღმერთო,
და არც არტელ-კოლექტივს!..

რაც გლეხობას დააქეს გულით
და რაც მას უხარია,
ეს უბადლო, ეს ზღაპრული
ეს აღთქმული მხარეა!..

მგზავრობს დილით და შუადღეს,
მგზავრის გზაა ულევი.
ქვეყანაა ოთხივ მხარეს,
მაღლა — ქვეყნის ღრუბლები.

ფერდობებზე მწვანე ქურქად
ტყე, ბუჩქნარი ჩანს ხშირი
და ფოთოლი არყის სულმთლად
თრ დღეშია გაშლილი.

მოვარდისფრო ქაფით წვენი
ჩამოჟონავს ნედლ კუნძებს,
რაც შორს მიდის მგზავრი ჩვენი,
უფრო მწვანე ველს უმზერს.

ახმაურებს ცხენი ლაგამს,
დღე ჰგავს ცხელ დღეს ზაფხულის,
შორს ჭილყვავი პირველ ნახნავს
ზანტი ფრენით გადუვლის.

და აწვება ბელტი ბელტზე
ბალახაყრილ ზღვარ-მიჯნებს,
ჰგავს მშიერი მიწა ღვეზელს,
შემჭამეო — განიშნებს.

გაზაფხულის ოხშივარი
ცისკრად ასდის ველმინდვრებს.
ტრაქტორს ხალხის მისდევს ჯარი,
თითქოს ფერხულს უვლიდეს.

და ტომრები ველზე თეთრად
კრთიან ხორბლით სავსენი,
მწკრივში ერთად, მთესველებად
დგანან ბერიკაცები...

ლოცულობენ ანდა სიტყვებს
თუ ამბობენ ხნულებთან
ჰა, წამს უკან გადიწიეს,
ხვნა და თესვა ხურდება.

სდევს გუთანი კვალში გუთანს,
იხვნის, წინ რაც სივრცეა...
— დრრ, ცხენო!.. არტელია, თუ რა?..
— არტელია, ბიძია...

ფოთლებს არხევს, ჩუმად მოქრის
გაზაფხულის ნიავი.
რაც შორს მიდის მარგუნოკი,
უფრო ხალისიანი
ხდება მიწა.
მიწა!.. თოვლის
ტენით უფრო ცინცხალი,
თავისთავად ღვივის თრთოლვით,
სუნთქავს, როგორც ცოცხალი.

მიწა!..
მირბის, მისი სრბოლა
ათას ვერსით წინ არის
და მის მაღლა თრთის ტოროლა,
უმღერს ჭკრიალ-წკრიალით.
მიწა!

ირგვლივ ეშით სავსე
უფრო თვალსაჩინოდ წევს.
რა ედრება ამ მიწაზე
სიკეთილამდე სიცოცხლეს.

მიწა!
მიწა — დასავლეთით,
მიწა — აღმოსავლეთით,
ჩრდილოეთით და სამხრეთით
მობიბინე მწვანეთი...

ჩაიკრავდა მარგუნოკი
მთელ მიწას გახელებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ვაი, რომ არ ყოფნის
ჩასასვეფნად ხელები...

ახალი დღე გზაზე ქრება,
გვრილავს ცხენი სოველი.
ნიკიტასთვის უცხოვდება
უკვე ყველა სოფელი.

თავი 5

შარას მარჯვნივ მოსდევს გზაწვრილს,
მაშრიყისკენ დაძრული,
უცნაური ვიღაც კაცი
მოდის წელგაბაწრული.

მხრებზე უჩანს მას ჩექმები,
თეთრი მტვრით შეფერილი,
შავ კაბისქვეშ მხარბეჭები
დაკიდვია ფრთებივით.

ჩანს ჩექმებში სახვევები,
ზურგზე ჩანთა ბაბანობს...
ჩამოგართვეს მაშ, ხელებიც,
განკულაკდი მამაო?..

სიტყვა სიტყვას მოპყვა—ღმერთზე
დასცდა სიტყვა მარგუნოკს.
ცხენს ლაგამი გზისპირ შეხსნეს,
ჩრდილში რომ ისაუბრონ.

— ეჰ, მამაო, ასეთ დარში
უქმად, ცუდად დახვაღო,
სჯობს სკას ედგე, მრევლთან დარჩე
თივა ხვეტო ახლაო.

— მრევლი სად მყავს? რისი მრევლი!
რა დროს ღვთის მსახურია.
გავფანტულვართ ქვეყნად მღვდელნი.
ჩვენი სარჩო დღევანდელი
სულ სხვაგვარი ბურია.

ზოგი თავშესაფარშია,
ზოგი მწერლის ადგილას.
საჭმელი აქვთ, არა შიათ.
დამცხრალები დადიან.

მე კი... ყველგან დავალ ერთი.
არ მწყენს საქმე ჩვეული:
კიდევ თუ სწამთ სადმე ღმერთი, —
მღვდელი არ ყავთ?
შეკუვული.

სასიძო და სარძლო ელის, —
მღვდელი არ ყავთ?
იქ ვარ მღვდელი.

შინ ყავთ
ბალღი უნათვლელი.
იქ ვარ,
სადაც უნდათ მღვდელი.

თუ ემბაზი არ აქვთ
რა ვქნა?
ნავი ხომ აქვთ,
მიეალ მათთან,
მღვდელი არ ყავთ, —
მე მოვნათლავ.

კალუგელი თერძის მსგავსად.
ზმელი კვირა მელიან.
მინდა ცხენი მყავდეს. მართლაც,
უცხენობა ძნელია.

რა კარგია ჩრდილში, გრილა.
მღვდელი ჩანთას შეარხევს,
მერე გახსნის, თან ხმატკბილად
წამღერებით შესძახებს:

— მე ქაშაყი ამ ჩანთაში
ჩავდე, ჩავდე, როცა
ერთმა გოგომ მიფეშქაშა,
მომცა, მომცა, მომცა...

ასიანიც აქ ძევს ახლა,
ძევს, სად წავა, ჯიელო..
ეჰ, შე ძაღლო მამაძაღლო
ბლეხო კამარინელო!..

მარგუნოკი უმზერს მწყარალდ,
ფიქრობს: კარგი, მამაო.
ფეხშიშველი კი ხარ, მაგრამ
არ გკლებია ჭამაო...

ის არ გახლდათ არც ჯვარცმული,
არც წმინდანი, არც ბერი,
იყო ერთი გზად გასული
მღვდელი, სხვა არაფერი.

— წირვით ვხვდები მრევლის კალოზე.
ზეთსმულს მყავდეს ოღონდაც
ბოლო მეფედ — ნიკოლოზი,
მიტროფანე — ბოლო მღვდლად.

ირგვლივ ეპარქია მთელი,
მთელი სამწყსო ჩემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გსურს: ტარება იყოს შენი,
ინსტრუმენტი, გარჯა — ჩემი?..
ასე არ გირჩევნია?

მარგუნოკი უჭრის მკვახედ:
— ნასვამს ნუ მცდი ამაოდ...
შენ შენი გზით შენსას გაპყევ,
მე კი ჩემსას, — მამაო.

ჩემი ცხენი ცალუღელა
მე შემფერის შენაჩვევს:
ვინც რა ნაღდი მოსახლება, —
ყველა ხელად შეამჩნევს.

სახელოვნად, ცხენით მიხვალ,
შუაგზაზე ვინც გინდა
შეგაჩერებს, გკითხავს: — ვინ ხარ?
— მარგუნოკი ნიკიტა.

უცხო მხარეს თუ მიდიხარ,
თვალს თამამად აკვესებ:
რაკი გზაში ცხენზე ზიხარ,
მაშ, მიდიხარ საქმეზე.

ცხენინანად თავი ბურანს
მიგიცია ყიალით,
თითქოს ღღისით მიხვალ სტუმრად,
ქალაქისკენ კი — ღამით.

ვერ მოვხიკავ ხვთისთვის კვერცხებს,
არ ვარ ამის ტრფიალი.
ო, მამაო, ჩემი შემწე
შორი გზაა, ტიალი...

თავი 6

მას დილამდე სადაც სძინავს,
გასწევს სწორედ იქიდან.
ურმის ქვეშ აქვს, გზის ნაპირას,
ჭერი-ჯოხი ნიკიტას.

ცეცხლში ფიჩხი ტკაცანს ურევს,
როგორც ფეხქვეშ დამდრკალი,
ძილმორეულ ორ მეურმეს
ცეცხლისაკენ აქვს თვალი.

ათას უცნობს გაცნობს გვიან
ღამით ცეცხლის ლაციცი.
სადაურნი, ვინ არიან —
მარგუნოკმა არ იცის.

ძილმღვიძარი წევს ნიკიტა,
მწვანის თელვა, ხრამუნი
შემოესმის ზედ კვინიხთან,
და ყრუდ — ფლოქვთა ხმაური.

ცეცხლს მუგუზლებს რომ უსწორებს,
ხელი აღიო ნათდება.
შორ ნაბიჯის ხმასებრ მდორედ,
ხმა ძლივს მოემართება.

— იმ ქოხს ერდო გვერდზე ქონდა,
შიგ მიწაში — სარკმლები.
საკვამურში ჭკა ბუდობდა
და, ვით ზღაპრად ნაქები,
დიდედა და პაპა ას წელს
შიგ ცხოვრობდნენ...
ას წელს გასძლეს.

ძაფს სარკმელთან რომ ართავდა
დედაბერი ვალალით,
მზეს ასწრებდა ბერი პაპა
სათევზაოდ მავალი.
მათ ოჯახში ყავდათ კატა,
ვარია და მამალი.

დრო გაყავდათ ხანდაზმულებს,
შორს ცხოვრობდნენ სოფლიდან.
წყალი ერთხელ გაზაფხულზე
არნახულად მოდიდდა.

თოვს ამზღვლევდა, შლიდა ღამით
გაზაფხული მძვინვარე,
მთელ რუსეთზე გადიღვარა
ყველა ზღვა და მდინარე.

წვეს ნიკიტა. ხან თვალს ახელს,
ხან თვლემს.
ცეცხლი ჩაღდება.
ყვეტა უცხო მეოჯახე
ზღაპარს აუჩქარებლად:

— კოლექტივში შედის ყველა,
მარტო პაპა არ იძვრის —
მეცამეტე წელი დგება
პაპა ამბობს:
„არ ვიცი!
ამ ქოხს იქით არსად წავალ,
არ მსურს ხალხში ცხოვრება“.
ამ დროს წინკარს წვდება წყალი,
ტალღა ზღურბლს უსწორდება.

ღობე, ჩალა ტალღებს გაჰყვა,
ბაღნა წყალში ვალალებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ ატარებს დღეებს პაპა,
იწმენდს ლაფნის ქალამნებს.

ჩვენი სოფლის ახლოს მოხდა
ეს ამბავი — ზღაპარი.
აიტაცა წყალმა ქოხი,
მცირე გემის მაგვარი.

ქოხი — მაღლა — მაღლა წევით
წინ მიცურავს და კვამლი
ადის მიღში,
ყივის ზემოთ —
სახურავზე მამალი.

და ირყევა, როგორც ჭავლში,
შინ მოხუცი ცოლქმარი.
გაჩნდა მაშინ
ჩვენს ჭალაში
ქოხი —
ცაცხვთან მომდგარი.

მაშ აქ შევდგეთ...
და მას შემდეგ,
წყალი დაცხრა,
მიწა გაშრა.
თვალი მოჭკრა —
მზეზე კარს,
ბერიკაცმა შესძახა:
ჰე, ბებერო, ჩვენ ცხოვრებას
ახლა ვიწყებთ ხელახლა,

ძილღვიძილში თვლემს ნიკიტა,
თავქვეშ ქუდი უგია,
ბალახის ქვეშ უწევს მიწა,
ტანით რომ გაუთბია.

დამცვარულა ქურქი სულმთლად.
ქრება ვარსკვლავთ კრებული.
ლურჯა სითბოს ხარბად სუნთქავს
ბუჩქებს მიფარებული.

ქრის რიჟრაჟის სიცინცხალე,
თვლემს შარაგზა, თვლემს ყანაც.
და სადღაც შორს სძინავს მხარეს —
აღთქმულ, ზღაპრულ ქვეყანას.

თავი 7

ვით ჩრდილოეთს სამხრეთიდან
მწვანე გამოზაფხულის,
ზღვიდან ზღვამდე ხმა ერთიან
ვრცელ ქვეყანას დაუვლის.

ხმა ზავთდება ღამით, დღისით,
ქრის სივრცეში უწყვეტად,
ასიათას სოფლად ისმის,
ას მილიონ სულს წვდება.

არ უცდია, როგორც ამ წელს
ხალხს ჭიდილში და ფიქრში
ცხოვრებაზე, თავის თავზე
მსგავსი იჭვით და შიშით.

ჯერ იძვროდა ხმა ბუნდოვნად,
ვით რადიოსტალღა ქრდა,
ტყეთა გამოძახილივით
უცებ ქვეყნად დაივლის,
რომ ყორნისფერ შავი ცხენით
მოდის თვითონ სტალინი.

მთაველს, ლურჯ წყალთ
მოსდევს დინჯად,
მოდის შუკით,
შარაგზით,
იმ თავისი ჩიბუხით და
ჯარისკაცის მაზარით.

აქეთ მთაბარს,
იქით მთაბარს
უმზერს, ხალხთან ბჯახ აბამს,
და რაც ჯერ არს,
მით წინაშე
დაწვრილებით წერს წიგნაკში.
ესაც ითქვა,
თითქოს სადღაც
ახლომახლო,
იმ არეში
მიიყვანა ცხენი წყალთან,
დაარწყულა მდინარეში...

თურმე ერთგან
ცვცხლზე ვიღაც
მოხუც დარაჯს მიაკითხა.
რომ უცვნია, იმ ბერიკაცს
ვერ დაუძრავს წამით სიტყვაც...
ომზე, ბევრ რამეზე სურდა
რომ ეკითხა,
რა თქმა უნდა...

ფერდობია ბორცვებს იქით.
კვამლი ჩანს და ჩხტესთან ბონდი.
შესახვედრად იქნებ იგი
მარგუნოკის მხარეს მოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც სულში ბინა მისცა,
რითაც წლეულს არ ეძინა,
რითაც იგი ღამით იწვა,
რითაც იდგა ფეხზე დილას,
რითაც უქმად სვა და ხახლა.
რითაც უქმად ყლაპა ლუკმა, —
ყოველივე სულ ხელახლა
მოიფიქრა მარგუნოკმა.

— ამხანაგო სტალინ!
მითხარ,
რომ არ ბჭობდეს ხალხი ფუჭად:
მთელ ამ წრიალს,
ამ ფორიაქს
უჩანს ბოლო,
თუ არ უჩანს?..

ამ ცხოვრებას აგრე ვანგრევთ,
და ყველაფერს
ვძირკვავთ აგრე
ფესვიანად და პირწმინდად.
წინმიმავალ გზის სიკარგეს
წინ აღვუდგე,
რისთვის მინდა?..

მომისმინე წყნარად, მშვიდად,
ცხენზე ვეტყვი, მაგალითად.

ტანსუბუქი არის, როკავს,
სხმული ვერცლის ასალით,
ვოროშილოვს ცხენი რომ ყავს,
ვეჭვობ, ქროდეს მასავით.

თვალი ელნის საჯიშეთა
ერთხელ, რადაც განგებით,
თავდახრილი გზაში შედგა,
ვფიქრობ: ვაი, გავებით!..

ჰა, ლიცლიცებს წყალი ვარცლში.
ვსტვენ, ვსტვენ;
აღარ სვა წყალი.
აღარც ჭამა
და ვთქვი მაშინ,
ვერ იცოცხლებს საწყალი...

ერთხელ როცა ფეხშიშველი
გარეთ გაველ აღრიან,
ხვრიპ, ხვრიპ, ბნელში მესმის ცხენის...
ვთქვი: იცოცხლებს ნამდვილად.
ახლა ვითვლი ოცდათვრამეტს,
ორი წელი წინ მიდევს.
თუ არა გაქვს ორმოც წლამდე,
ნურც მოელი სიმდიდრეს.

ჩემი მეურნეობითვე,
ცხენით, დღეის სახსოვრად,
ჩემი ეზო-კარით კიდევ
ერთხელ მაინც მაცხოვრა.

მიწა—მთელი სიგრძე განით —
ირგვლივ ჩემია,
გინდათ ვთესო მარტო ნარი,
ისიც ჩემია.
სულ მცირე ხანს თუ მეშველა,
თუ ეს შევძელი,
კოლექტივში მერე შევალ,
გაძლევ ხელწერილს.

გიდასტურებ, რომ გვექნება
ხვალ ცხოვრება დიადი,
მაგრამ, შენთან კიდევ მრჩება
ერთი თხოვნა პირადი.

მე ნიკიტა მარგუნოკი
ამხანაგო სტალინ, შენ გთხოვ,
რომ მე, კერძოდ, და ჩემს ხუტორს
ჯერჯერობით არ შეგვეხონ.

გამოქვეყნდეს რომ ეს და ეს...
არ გაკიცხონ, ცალკე იყოს.
ობროდ კაცად შერჩეს ასე,
ერთი მთელ ამ სახელმწიფოს.

უცხო მხარის გზას მიყვება,
ყველაფერი დაივწყა,
გულიანად და გულწრფელად
ლექსად მოჩქეფს მგზავრის სიტყვა

სამშობლოა ვრცელზე ვრცელი!
გაზაფხული! ძლევის წელი!..
და მთელ ქვეყანაზე — ხელი,
გზის და მიზნის დამსახველი.

თარგმნა **ოთარ ჭელიძეს.**

გაგრძელება იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილო ალაზნელი

მკერდზე ალესილი მახვილი

თბილისისაკენ გზათმიმავალი უცნობი ჯარისკაცის ნეშტი შხაპენა წვიმით გაცილა გორმა. ეს იყო ცისა და ხალის დატრეპა ფრონტზე დაცემული შვილისა. „ვინ იცის, ქართლის ბაღებიდან აფრენილი შეკარდენ ხარ, ჩვენი გულის ნაფური ხარ, ჩვენი სული ხარ, შვილო!“

„ვინ იცის, რომელი დედის დანისლული თვალები ისევ გაპყურებენ შენ გზასა, ადამიანო!“ გორელებმა გაცილეს თბილისისაკენ გზით მიმავალი უცნობი ქართველი ჯარისკაცი.

შინ დაბრუნებულ ათასეულს ყოფილ კომისარს მოგონებათა კიბეში აშლოდა და ფეხქვეშ დაგებული ასფალტის მეტს, ირგვლივ ეერაფერს ხედავდა.

გაცივებული ნაბიჯით მიეყვანოდი სუსტი ავგებულების მამაკაცს, რომელ? თავზედაც ომის საშინელმა ჭრიგალმა გადაიარა და მას განცდილ უბედურებას ჩემდაზარიადაც ვიწილადებდი. მინდოდა დამერღვია მის გარშემო შემოგრაგნილი მოგონებათა ჯაჭვნი. გამოვლაპარაკებოდი კაც-ლეგენდას. მაგრამ... იმ წუთებში მისი ჩაღრმავებული თვალები აჯიმუკის მიწისქვეშეთში ციმციმებდნენ. ცრემლით გაპოხილნი, ჩაშავებული გუგებით ჩასჩერებოდნენ მტრის ტყვიებისაგან დაგლეჯილ, დაფლეთილ, დანაცრულ თანამებრძოლთა სახეებს.

წავიდა დედამიწისისაკენ უცნობი ქართველი ჯარისკაცი, ატირებულმა ხალხმა და ცამ ქალაქის თავამდე გაიცილა.

მაშინდა შემოხვედა რომან მექელაძეს და თითქოს გულისნადებს მიმიხვდაო, თავისი ამბის თხრობა დაიწყო.

როცა სამშობლოს სხივნათელ ზეცას დასაღუღთიდან ომის შავი ღრუბელი ჩამოეწვა, როცა ჩვენს მზესაც შავი საბურველი დაეფარა, ფაშისტურ ჩექმებმა გადმოთელეს წმიდათაწმიდა საზღვარი და ცეცხლსა და რკინის ნიაღვრით დამეტრნენ ჩვენს მშვიდობიან სოფლებსა და ქალაქებს, რომან მიქელაძე პოლტავკერი შრომის ერთ-ერთ უბანს განაგებდა პარტიის გორის რაიონულ კომიტეტში. იგი ომის დაწყებიდან ორ-ნახევარი თვის შემდეგ ეიიხმო სამშობლომ; უფროსი პოლტავერი ტანსაწინააღმდეგო ბატარეის კომისრად დანიშნეს და ტანის ნახევარეულნაცენ გაამგზავრეს.

სუსხიანი დეკემბრის უკანასკნელი დღე იყო, ქერჩის მიმართულებით მიმავალ სადესანტო კარავპები უხმაუროდ უახლოვდებოდნენ კოსიშბრუნის ნაპირებს. რომან მიქელაძეს და მისმა მებრძოლებმა აქ პირველად ნახეს ომის საშინელებათა სურათი: დახოცილი საბჭოთა და რუმინელი ჯარისკაცები, ოფიცრები, ყუმბარებისაგან დამწვარ-დანგრეული სახლები, მიღუწ-მოლეწილი სამგზრეები, ისინი სდაცავა ხოცვა-ჟლეტის უშუალო მონაწილენი გახდებოდნენ, მაგრამ სამშობლოს სიყვარული რაინდულ ძალას მატებდათ. ზიზღით ავსებოდათ გულები მტრის მიმართ, ეს ზიზღი კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა სილამაზით განძეული სტანიცა ალექსანდროვკა გაძარცულა, აოხრებული ნახეს.

ნაწილმა, რომელშიც რომან მიქელაძე მსახურობდა, ფრონტის ამ უბანზე უკუგდებული ფაშისტების დევნა შეწყვიტა და ბრძანება მიიღო, შეტევაზე გადასულიყო ლადოგლოგის მიმართულებით. ბრძოლა სასტიკი, შეუპოვარი იყო. ბუნებრივი და ხელოვნური საფარი მოწინააღმდეგეს ისე გაემაგრებინა, რომ ჩვენმა ჯარებმა მისი გარღვევა ვერ შეძლეს და სერიოზული დანაკლისით, ახალი შეგსების მოლოდინში, სადგურ აკმანაის მიდამოებში მოგერიების პოზიციაზე დახიეს. ამ

ახორციელებდნენ ოპერაციებს ვლადისლავსკის სიმაღლეებზე გამაგრებული გერმანელების წინააღმდეგ.

„მტრის დაზვერვამ, — იგონებს რომანი, — მოახერხა ჩვენი ახალი განლაგებისა და მოქმედი ძალების შესწავლა, ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გახსნა და კონტრშეტევაზე გადმოვიდა. ცეცხლ — ცეცხლით ვუპასუხეთ, მაგრამ საჭირო შეიქნა ბატარეის ადგილსამყოფლის შეცვლა. ახალ პოზიციაზე გადასვლის დროს ყრუდ შემომესმა დიენზოის პრაპაგანდისტის გრიგოლ ბრეგაძის დასუსტებული ხმა, მივიხედე, თოვლით დაფარულ ეკალ-ბარდს ამოფარებოდა, ფეხში მიეტყვლი მძიმე ჭრილობის გამო ადგილიდან ვერ იძერწოდა მტერი კი სულ უფრო გვიახლოვდებოდა“.

„რომან, მაშველე, თუ კაცი ხარ, მტრის ხელში ნუ ჩამადგებ!...“

„არც შეიძლებოდა სხვანაირად მოგქცეულიყავი, ზურგზე მოვიკიდე, კარვა მანძილით მოვაცილე იქაურობას, ის იყო სანპუნქტისათვის უნდა ჩამებარებინა, რომ მტრის ტყვიამ ჩემს ზურგზედაც იმოცა და ახლა მაჯავნება მკლავი დაუზიანა, მაგრამ საკვდილს მაინც გადაურჩა...

ბრეგაძე დღეს პროფესორია თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში...“

...შვილება მალე მოვიდა, 15 ივნისს კვლავ შეტევა, ოვივე მიმართულებით, ვაშას ძახილით მივიწევდით წინ ურიცქი მტრის წინააღმდეგ, რომელიც ტანის ნიაღვარივით გვეღობებოდა, უცაბ, თითქოს მიწიდან ამოძერწნენ, წითელარმიელთა ფორმაში გამოწყობილი ათასეული გამოჩნდა.“

გამაგრდით, მეზობლები გეეხმარებიან! ყოჩაღ, ბიჭებო!“ — ძახოდა ათასეულის მეთაური ვიქტორ კრილენკო.

ამჟამად უკვე ისევ ათასეულის კომისარი რომან მიქელაძე ცეცხლვით ანთო. ალლიანი კაცი სწრაფად მიხედა მტრის ეერაგობას და კრილენკოს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუყვირა:

ცდები, ამხანაგო ათასეულის მეთაური, შენიღბული რუმინელი ჯარისკაცები არიან, გვიტყუებენ!“ — და დაზგის ტყვიამფრქვევს მიუჯდა.

„სროლა არ გაბედო, კომისარო, ჩვენებია!“

„დაე, თუ დასასჯელი ვარ, მე დავისაჯო!“— კიდევ იყვირა მიქელაძემ. ტყვიამფრქვევის ჯარი მიეშვა, წინ წამოწეული ასეულის ნახევარი ამოწყვიტა.

ფრონტის ამ უბანზე ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა, ათასეულის მეთაური ადანშაულებდა მიქელაძეს „წითელარმიელთა“ დახოცისათვის და დასაზუსტებლად იქითკენ ჯავშრთა. მაგრამ ცოცხალი ალარ დაბრუნებულა.

ფრონტელმა სიანლეკებმა, განსაკუთრებით ეს სიეიგემ, მალე შეარყია რომან მიქელაძის ჯანმრთელობა და ფილტვების ანთების დიაგნოზით 1942 წლის 14 თებერვალს სამკურნალოდ ქერჩის ჰოსპიტალში გაგზავნეს. ამ ბრძოლის შემდეგ, ეუცე გამოჯანმრთელებული ყირიმის ფრონტის პოლიტსამმართველოს გაპკარგულებაში იყო.

წითელი არმია ყველგან მედგარ ბრძოლებს ეწეოდა, მაგრამ ყირიმის ოპერაციები სულ სხვა სისასტიკით ხასიათდებოდა, ჩვენი სარდლობა იძულებული გახდა, ისევ უკან დაეწია შემტევი ნაწილები და გადამწყვეტი დარტმისათვის მოემზადებინა. ერთ-ერთი ასეთი ცდა ის იყო, რომ შესუსტებული ათასეულების გაერთიანებით შეექმნა საკმაოდ სოლიდური ძალის საბრძოლო პირთვი, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ნიკიერი და გამბედავი პოლოვნიკი პეტრე იაკუნოვი და ბატალიონის უფროსი კომისარი ივანე პარახინი, აქვე ჩაირიცხა რომან მიქელაძეც. ახლად ფორმირებულ საბჭერო ნაწილს კატეგორიულად დაეკალ ქერჩიდან ეკვსი კილომეტრით დაშორებულ გოიკოვის სახელობის მეტალურგიული ქარხნისა და აჯიმუშკის ქვის სამტეხლოების რაიონში შეეჩერებინა შეტევაზე გადმოსული ფაშისტთა ჯარები, რათა საშუალება მისცემოდათ 44-ე, 47-ე და 51-ე არმიის ნაწილებს დესანტი გადმოესხთ ტამანის ნახევარკუნძულზე.

ბრძოლები ირანახენ სიმუვავით წარიმართა. ჩვენი ნაწილების წინააღმდეგ ასობით თვითმფრინავი, ათასობით ტანკი და ქვეითნი ამოქმედდა. წითელარმიელები მიწის ყოველ მეტრ-ველს სიცოცხლის ფასად იცავდნენ, მაგრამ მტრის ჯარები ძალების უპირატესობას ვერ ხეობდებოდა. საჭირო შეიქნა ახალი სტრატეგიული გამოსავლის სასწრაფოდ მიგნება, რომ ცოცხალი ძალა გადაარჩინათ მომავალი ბრძოლებისათვის. 19 მაისს ბრძანება გაიცა, დაეტო ვებინათ ქერჩი, უკანდახეული ნაწილების ნაშთებისაგან ჩამოყალიბებული ათიოთასიანი გარნიზონი აჯიმუშკის ქვის სამტეხლოებში შეეყარა. გარნიზონის ამოცანა იყო მიწისქვეშეთიდან ეწარმოებინა მოგერიებითი ოპერაციები, თავისკენ მიეზიდა ჰიტლერელთა ყურადღება და ამით ერთგვარად შეემსუბუქებინა მდგომარეობა სევასტოპოლის დამცველებისათვის. გარნიზონის უფროსად ეგივე იაგუნოვი და კომისარი პარახინი დაინიშნა, რომან მიქელაძეც ამავე გარნიზონში ამყოფებრნა.

...აჯიმუშკის მიწისქვეშეთი რბილი, მოთეთრო სამშენებლო ქვის მდიდარი საბადოა, აქედან დიდი რაოდენობით ქვის ამოღებამ წარმოშვა სწორკუდულებიან ვეარაბთა მთელი წყება, რომლებიც შედგებოდა ასობით „ოთახისა“ და „დარბაზებისაგან“... მიწისქვეშეთში გარნიზონის შესვლამდე, აქ თავი შეეფარებინაო აჯიმუშკელ მეხოვრებლებს, უმთავრესად ეოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. ისინი შეშინებული თვალებით დაიცქერდნენ სამხედროებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როცა გაიგეს, წითელარმიელები იყვნენ, თავისი შესაძლო სამსახურიც შესთავაზეს.

კატაკომბებში ჩაკეტილი ათასობით გული ფეთქავდა სიცოცხლისათვის. მთელი ექვსნახევარი თვის განმავლობაში ეპაპთა პატიჩიოტელი სიმტკიცეით, გმირულად, ქედუხრელად ატანდნენ ადამიანები გაჭირვებას, არ უშინდებოდნენ შიმშილს, წყურვილს, ავადმყოფობას, მიწის ნესტისაგან აშმორებულ და დამძიმებულ ჰაერს, ანტისანიტარიას... მათ სწამდათ სამართლიანობის ძალა, პატრიის სიტყვა, ხალხის სიტყვა. სწამდათ, რომ დადგებოდა ჟამი მტრის სრული განადგურებისა, ზზადიყვნენ, თუკი რამ შეეძლოთ, დაეამებინათ დედასაშობლოს ტკივილები.

„გამაკეკვება რომ ვნახოთ, უნდა ეიოცეხლოთ!“

„მტერს, მეტი ზიანი რომ მიკაყენოთ, უნდა გადავრჩეთ!“

ასეთი იყო მათი დევიზი!

გარეთ კი, შავი მდინარე შავად მიექანებოდა წინ და შავ ნაკალეულს სტოვებდა, იწვოდა სოფლები, ინგრეოდა, იმსხვრეოდა, იფერფლებოდა შშრომელთა ნაკაფ-ნაამაგარი. ლამპარეთ ქოგბოდა ათასობით უდანაშაულო სიცოცხლე.

გადიოდა ტანჯვისა და ფამების დღეები მიწისქვეშელთა საარსებო პრობლემა თანდათან რთულდებოდა, ილოდა საკვები. მატულობდა ავადმყოფთა რიცხვი, ცხენები, რომლებიც მათ აქამდე ერთგულ სამსახურს უწევდნენ, დაკლეს, შეჭამეს. შემდეგ კი... შემდეგ ორმოცდათორმეტიანი კვერი იყო მათი დღიური საგზალი.

„ან ოცდახუთი ცალი მონპანსიე!... კოეზზე დაფარიდით, ცეცხლზე გავდაწობდით, დავაცდიდით გაცივებას, გამაგრებას, რომ დიდხანს გაეძლო“, — იგონებს რომან მიქელაძე.

ვაი, რომ ისიც ვამოილოდა?

ვაუძელი, ადამიანო, შენ ეგ ბედი სამშობლოს სიყვარულმა გარგუნა! ვაუძელი, ცამი კიდევ იფრენენ თეთრი მტრედები!

ბარნაზონის უფროსი ვაფლე იაგუნოვი, კომისარი ივანე პარახონი, სხვა მეთაურები და პოლოტმუშაკები დიდი ორგანიზატორული მეშაობით ილეწოდნენ შეენარჩენებინათ მიწისქვეშ გამოკეტილთა სულიერი და მორალური მხნეობა, მაგრამ აქა-იქ მაინც ჩნდებოდნენ მხდალები, სულმდაბლები, ადიოდნენ და მტერს უვარდებოდნენ ჩექმის ქვეშ.

რომან მიქელაძეს ბარნაზონის ხელმძღვანელებისაგან დავალებული ჰქონდა მიწისქვეშელთაგან შეედგინა ათეული, ოცეული და მოეშზადებინა ისინი მიწისზედა ბრძოლებისათვის. ისინი შუადამისას გამოდიოდნენ კატაკომბებიდან. მალულად იჭრებოდნენ მტრის განლაგებაში. სპობდნენ საეცხლე წერტილს, შოულობდნენ იარაღს, საშმელ და გთენებისას ისევ თავისაკენ უბრუნდებოდნენ. აჯიმუშკაელ მიწისქვეშელთა მამაცური ქმედობანი სამამეო ომის გმირულ ისტორიაში ჩაიწერა ბარნაზონველ სტრიქონებად, როგორც ყველაზე ტრაგიკული, როგორც სამშობლოსადმი თავდადების უმაღლესი გამოვლინება.

დიახ, მიწისქვეშელთა ათასობით გული ფეთქავდა სიცოცხლისათვის. ამ გულებს სწამდათ, რომ ცაში კიდევ აფრინდებოდნენ თეთრი მტრედები.

მიწისქვეშელთა შესასვლელებს ტანჯაწინაალმდეგო თოფები და დაზგის ტყეიაშფრქვევები დარაჯობდა, იქიდან გამოსვლაც და შესვლაც სარისკო და საშიში იყო: მტრის ჯარისკაცები დაგეშილი ძაღლებივით უთვალთვალებდნენ, ხშირად ტანკებიც იდგნენ იქ და სასეყვედოო ხორთუმებით შიგ ჩასჩერებოდნენ; ჯა, სიიდანაც წყალს იღებდნენ, სულ რაღაც ას ორმოცდათი მეტრით იყო დაშორებული, მაგრამ იქიდან თუნდაც ერთი ვედრო წყლის მოტანა ათობით სიცოცხლეს იწირავდა. წყლის ამომღებ ერთ ოცეულს სამი შეიარაღებული ოცეული მიჰყვებოდა.

„წყალი, თუნდაც ერთი ყლუპი... წყალი!...“

„ვიხრჩვები, ვიწვი!“...

განსაკუთრებით ავადმყოფები წუხდნენ. მათი კვნესა-გოდება სიბრალულს და თანაგრძნობას იწვევდა... კატაკომბებში დაიწყო წყლის წვეთის მასიური ძებნა. ვედროებს უდგამდნენ, აგროვებდნენ, მონაგროვებს ისევ წვეთ-წვეთობით უნაწილებდნენ სიცხით ვათანგულებს. ან პირის ღრუს უგროვებდნენ. ამ გზით, რა თქმა უნდა, თავს ფიფხს ვერ შეინახავდნენ, საპირო იყო, რაღაც საშუალების გამონახვა. მიწისქვეშ სტიქიერად დაიწყო ორმოს თხრა ვერმანელების მიერ ქვა-ღორღით ამოტენილი ჭის მიმართულებით. ღონეგინდიდილნი, დასუსტებულნი წუთითაც არ წყვეტდნენ მუშაობას, თხრიდნენ ღღისით, ღამითაც, დაღღილს დასვენებული სცვლიდა დასვენებულნი — დაღლილი. თხრიდნენ ხიშტებით, ძალაყინებით, ნიჩბებით... ბედმა გაუღიმათ, წყლის კვლს მიაგნეს.

„წყალი ნაპოვნია!“...

„არის წყალი!“...

ერთმანეთს ულოცავდნენ მებრძოლები, მაგრამ წყალი მლაშე გამოდგა, ისევ თხრა, ამჯერად სხვა ადგილას, თითქოს ვანგებამ ინებაო, წყალმა აქ მალე ინინა თავი, მეტი სიმძლავრითაც ამოხეთქა და ვარგისიც იყო.

„ყარაღ ბიეეზო, ან თურქე რა შეძლებია დაბრკოლებებთან ჯიქურ შერკინებას. ასე დავამარცხებთ ფაშისტ არამზადებსაც!“ — მიუღოცა მებრძოლს სახეგოდამარმა კოშისაძმა ივანე პარახინმა.

ეერმანელებს აოცებდათ, აკოფებდათ საბჭოთა ადამიანების გაუტეხლობა. ისინი არა თუ ნებდ-

ილო ალაჯანელი
მაკრიდან ალესილი მასვერი

ებოდნენ. უფრო მეტ ზიანს აყენებდნენ მტერს. დაიწყეს უფრო მოხერხებული სპრძოლო რეიდები მიწისქვეშეთიდან. ერთ-ერთ მთაგანს სთავეშა, ედგა უშიშარი პოლკოვნიკი გრიგორ ბურმინი, სარეფო რაზმი, რომელშიც ჩვენი თანამემამულენი, უფროსი პოლტტნელები შალვა სვანიძე, კარაეზ გელურიძე, რომან მიქელაიძ და სხვები მონაწილეობდნენ, ღამე შეიპარა სოფელ ალიშეშაინი გასლგებულ გერმანელთა გარნიზონის ეზოში, უსუმოდ დახოცა გუშაგები და ტყეია-წამლითა და პროდუქტებით დატვირთული უუნებოდან დაბრუნდა თავისიანებთან.

„ინ მეცმენ, ამხანაგო პოლკოვნიკო, რამდენიმე ასეთი რეიდი და გერმანელთა გარნიზონს ალბათ თეფშებსაც ლაპ დავუტოვებთ!" — უთხრა პეტრე ივაგუნოვმა, ბურმინს.

ბურმინმა გაიოფილი სხე შეიმშრალა, იქვე დაგდებულ ხის ნაჭერზე ჩამოჯდა. მას სხვებმაც მიბაძეს. კატაკომბებში ცხეირსახოცების შრიალი გაისმა. პირით კედლისაკენ შებრუნებულმა გარნიზონის უფროსმა იარალს დაუწყო სინჯვა, იგი განსაკუთრებით დაინტერესა ნალმა, რომელიც ერთი შეხედვით ფორმულირებული ლითონის ლაპა ყუთს წააგავდა და ხელში აიღო.

„ეს წყეული გერმანიიდან საბჭოთა ადამიანების განსაუკეთდ ჩამოიტანეს, მაგრამ ვერ მოგპარ"... სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, ხელში აფეთქდა და გულმეცილგამოგდეკილი იქვე გათავდა.

პეტრე ივაგუნოვის ცალიპვამ ძმიმე ტრაგმა მიაყენა მთელ მიწისქვეშეთს, იგი უყვარდა ყველას, როგორც მაღალზნიანი, მამაცი და უშიშარი წინამძოღლი... მისი სიკვდილის შემდეგ გარნიზონს სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი გრიგორ ბურმინი — ცნობილი თავისი გამჭრიახობითა და შემართებით.

გერმანელთა გარნიზონის უფროსი მაიორი რიხტერი, რომელიც მიწისქვეშეულებმა შემდეგ თავის კბინეტში მოკლეს, ღიღით გაეცალნებული დაამბტებდა ეზოში დახოცილი გუშაგების გვამების გარშემო და ბრძანებას იძლეოდა, დაუყოვნებლივ აფფთქებინათ კატაკომბების ჩასასვლელები.

ხელქვეითებმა ბრძანება აღასრულეს.

მიწისქვეშელების სიმტკიცე არც ამ შემოხვევას შეურყეენია, ჩაზვავებულ ეკვა-მიწაში ამოსაძრომი ხვრელები გააკეთეს. ბრძოლა გაგრძელდა. ჩვეულებრივ ისპობოდა მოწინააღმდეგის საცცხლე წერტილი. გაალმასებული საბჭოთა მებრძოლები დაუნდობლად ელეტდნენ ფაშიტს ნაძირალებს, სადაც კი მოიხელთებდნენ.

„სიკვდილი ან გამარჯვება."

იმეორებდნენ კატაკომბების ნისლიანნ კედლები.

მიწისქვეშელი „რუსების სიჯიუტ", როგორც ამას თვით გერმანელები ამბობდნენ, ყველაზე მწვავე ფსიქოლოგიური დარტყმა იყო ფაშიტის ამ უბანზე. და იგი ეერაგულადაც ... ხეს: დაიგზავნეს რა საერთაშორისო სამართლის ნორმები 24 მაისს ფაშისტებმა მიწისქვეშა გარნიზონის ამოსაწყვეტად მომზამდელი გაზი შეუშვეს. შეიქმნა მეტად სერიოზული სიშმშილი. ხალხმა მიწის სილრმეში დაიხია. გაზის შემოშვების მხარე ქვითა და ტანსაცმლით ამოქოლეს, ზედ ბრეზენტები ჩამოფარეს, მაგრამ მავნე აირი მაინც ეროცელდებოდა, ვინც როგორ ახერხებდა, თავს ისე იცავდა. პირქვე დამხობილ რომან მიქელაძეს ცხელი ღრმად ჩაეყო ქუდში და მიწის გრილი ბაერის ჩასუნთქვით მდგომარეობას ნაწილობრივ იმსუბუქებდა, თან წამოხტომას ლამობდა, რომ მომავალდაგებისაკენ მიეხედა, მაგრამ... ბევრი მთაგანი — კაცი, ქალი, ბავშვი, მებრძოლები სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა, ეგუდებოდნენ. ნაწილს კიდევაც დაესრულებინა თავისი წუთისოფელი.

„ამ სანნენების შემდეგ ძნელზე-ძნელი იყო ცხოვრების ჩვეულებრივ კალაპოტში მოქცევა, ზოგმა ვეღარ გაუძლო მიწისქვეშეთის უბედურებას, მიატოვა იქაურობა და გერმანელებს ჩაბარდა". — თქვა რომანმა.

გარნიზონში ათასზეთასამდე ბინადარიდა დარჩა ავადმყოფ-დაჭრილებისაგან, ისინი ტამანის ნახევარკუნძულზე გადმოსხმული დესანტის მოშველიების მოლოდინით იტანდნენ ყოველივე, მაგრამ არც მის ბარეშე დაყრიდნენ იარაღს, ეს მათ განაწესში არ ეწერა.

...ილეოდა საკვები, ილეოდა პრეპარატი, მატულობდა ავადმყოფობა. მოშლილი რადიოსადგურითაც ვერ ხერხდებოდა კავშირის დამყარება ბარესაბყაროსთან, რომ დახმარება ეთხოვთ. ერთადერთი რადიოგადაცემა, რაც პეტრე ივაგუნოვმა თავის სიცოცხლის პერიოდში მოაწყო, პირველი და უკანასკნელი იყო:

„ჩვენ ვიხარჩობით, მაგრამ პტერს არ ვნებდებით!".

მომავალის რწმენა კი მთა გზას უნათებდა, წითელი არმია ბევრგან სერიოზულად ურტყამდა ფაშისტთა ჯარებს. მათ უნდა გიეძლოთ. აი აქ, სწორედ აქ ინერდა თავს მეთაურთა, პოლტმეუშაკთა, რიგით მებრძოლთა კომენსტტერი პატრიოტიზმი, ძალა დედა სამშობლოს სიყვარულისა.

...გაზის შეშვებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ფაშიტებმა, შეტყეეს რა, რომ მიწისქვეშეთში ადამიანები კიდევ არსებობდნენ, შესასვლელები ახლა ფუფაიერი ბომბებით აფეთქეს. ჩვენებმა კვლავ ადადგინეს. ასე გრძელდებოდა ბედილი ზესკენლა და ქვესკენლ შორის.

1942 წლის ივნისის შუალეი ერთგვარად მშვიდობიანად წარიმართა. გერმანელები უკვე ალარ მოელოდნენ მიწისქვეშელთა გამოხდომებს, თუ სადმე მაინც, რაღაც მსგავსს გაიგებნენ, ამასაც პარტიზანებს ამბობდნენ. ხან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანან ეკვინ ჭია კი ღრრნიდ მთ ბულ-ვამს. ჰოდა, ერთხელ იმის დასადგენად, არსებობდნენ თუ არა კიდევ „ჯიუტი რუსები“, მიწისქვეშეთის ინ კატაკომბის ჭერი, რომლის ქვეშაც გარნიზონის შტაბ-ბინას ვარაუდობდნენ, არა ზუსტად, მაგრამ მაინც გაბურღეს და ოცი-ოცდაოთხი მეტრის სისქის მიწისა და ქვის ფენა ამოწალეთ ააფეთქეს. ნაგროვებ რამდენიმე კაცი ქვეშ მოიქცა. ხვრეტილის პირთან მდგარი გერმანელი დროდადრო შიგ ხელის ყუმბარებს ისროდა. ჩვენები ხვდებოდნენ ამით რისი გაგება სურდათ გადამთიელებს. ერთხანს გაჩუქება არჩიეს, მაგრამ...

„დაე იცოდნენ, რომ მამულისა და სიცოცხლისათვის მებრძოლი ადამიანები ასე მალე არ იხოცებიან!..“

„ნაძირალები, არაადამიანები, ჩვენ თუ დაეიღუპებით, სხვები გაგისწორდებიან!“...

ქვეშოდან მტრის შაშხანის ტყვიები უსასტხეს.

მიწისქვეშეთში მდგომარეობა უფრო და უფრო გართულდა, გადარჩენილი ადამიანები სანთლისფრად დნებოდნენ, მოძრაე ფიტულებს ემსგავსებოდნენ, დაჯდომის დროს კუნძებივით ცეიოდნენ მიწაზე, ზეზე წამოდგომისას ერთმანეთს ხელს აშველეს. ექიმები — ივანე ასავეი, კოსტია ზელეზნინი, ვალენტინა ბირიუკოვა, ქართველი ექთანები მარიან დავითაშვილი, მარო დოლიაე და სხვები, წუთითაც არ ტოვებდნენ დაჭრილებსა და ავადმყოფებს, მაგრამ შიშმილი, ნესტით გაფუვნთილი ჰაერი, მთა სიცოცხლეს მოსხლა-მისხალ აქცერებდა, ძმათა სასაფლაო სამშობლოსათვის განწირულ პატრიოტებს გულში იხუტებდა.

რომან მიქელაძე თავს დატტხლ უბედურებას გასაოცრად უმლავდებოდა, კაღრის ოფიცრის ნაწრთობი ორგანიზმი, ეტყობა, ადვილად არ ნებდებოდა ავადმყოფობას. მიწისქვეშა გარნიზონის პოლიტგანყოფილებაში უფროსი პოლიტხელის რანგით ათასეულის კომისრის თანამდებობა ეკავა და კარგი რეპუტაციითაც სარგებლობდა. ძალზე მოძრაეი იყო. კატაკომბიდან — კატაკომბში დადიოდა და მებრძოლებში სიმხნეეე შეჰქონდა. იპკამადაც, როცა ივანე პარახინს შემოეყარა, ეკითხ ისაეთან გარბოდა.

„ამხანაგო მიქელაძე, ნახეკარი საათის შემდეგ შტაბში გთხოვთ!“

„არის, ამხანაგო პარახინ!..“ შეუჩერებლად, ხელისაწევით უპასუხა გარნიზონის კომისარს და სირბილით ასაეთან მიედა:

ექიმო, მებრძოლი კვდება, იქნებ უშველოთ რამე?

20 ივლისის ღამე... საათის ისარი პირველს უახლოვდება. კატაკომბების ბინადართ შფოთიანი ძილით სძინავთ. რომან მიქელაძე ახლა უკვე დინჯი ნაბეჯით მიდის უფროსებისკენ. კანთაელად ეწმენ მნსუსტებულ ადამიანთა ფშვინვეა.

მიქელაძეს შტაბში ორი დაუხვედა — უფროსი პეტრე სიდოროვი და თვით კომისარი ივანე პარახინი, რადიოთი მოსმენილი საბჭოთა სინფორმაციო ბიუროს უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ქალაღლეზე რაღაც მოეხიშნათ, ადგილადგილ წვიფი და შავი რგოლები გაეკეთებინათ და ლაშქის მკრთალ შუქზე ჩაჰკერკეტებდნენ. რომან მიქელაძის და მათ ნაცნობობას დიდი ხნის ისტორია არ ჰქონდა, მაგრამ სამშობლოს გათავისუფლებისათვის გაჩალებულმა ბრძოლამ ისინი მეგობრებად აქცია: ერთად შიმშილობდნენ, ერთად, მაძღრისოობდნენ, ერთად ამზადებდნენ ღამის რეიდებს. რომანმა, კარის ზღურბლს გადაალაბიკა თუ არა, უსმაუროდ აიღო სკამი და მათ გვერდით ჩამოჯდა.

„თათაეულის კომისარი მიქელაძე გისმენთ, ამხანაგო პარახინ!“

პარახინმა დაქანცეული სახე ქართველი ოფიცრისკენ მიბრუნა, მოეწონა მისი ჯერ კიდევ გაუბზარავი ხმა და ოფლავი ღიმილით უთხრა:

„თბილისურ ხინკალზე გეპატიჟებით, რას იტყვი, არ ღირს განა დამშეული სტომაკის ამოვსება?“

მიქელაძეს ესიამოვნა გარნიზონის კომისრის მკირე იუმორი და ღიმილის ღიმილით უპასუხა.

„ახლა კი პირდაპირ საქმეზე, ამხანაგო ათასეულის კომისარო, ამოცანაა, „მტრის დაზვერვა და საკვების მოტანა“. სასიხარეოოა, რომ მარკვევდ გამოიყურებით. წახვალი სამი კაცით, გზის მაჩვენებელი აქაური იქნება. დრო: ორი დღე და ღამე!“.

შაშხანა, სამიკი ვაზნა, თითო-ოროლა ხელის ყუმბარა, ლანადა, ზურგის სანიეთე ტომარა,— ასეთი იყო თვითეულის აღჭურვილობა, საველე ჩანთა, რომლითაც 390-ე მსროლელი დივიზიის მე-9 ასეულის პირადი შემადგენლობის სიასა და დღიურებს დაატარებდა, რომან მიქელაძემ შტაბს დაუტოვა შესახსნად. სიღოროვმა მზეგრავეები ასაძრომ ხვრეულამდე მიაცილა, სათითაოდ ჩამოართვა ხელი, და გზაშვედობისა უსურვა.

შტაბის უფროსი კარგახანს იდგა ასაძვრომ ხვრელთან და იქიდან ცაში მოციალე ვარსკვლავების შესაცქეროდ.

პირველად გზის მაჩვენებელი ავიდა. შერე რომან მიქელაძემ იყოსა სუფთა ჰაერი, შემდეგ კი დანარჩენებმა. მხეგრავეები ერთ წამს შეჩერდნენ, საღიაც შორს, ზღვისპირეთიდან რკინების ჩხარუნი მოისმა... ღამე ისევე გაყუჩდა.

---

[1] პარახინი ომამდე მუშაობდა კაკეასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოში, მისი ცოლ-შვილი ახლაც თბილისში ცხოვრობს.

ილიკ ალაჯანელი
მაკედონელ ალესანდრე მახვილი

„დადინრათ“. — თქვა რომან მიქელაძემ გზის მაჩვენებელის გასაგონად, მაგრამ ის უკვე იქ აღარ იყო.

„შეგირცხვა ნამუსი! მოდი და მიანდე ასეთ კაცს სამშობლოს ბედი, ლარანი... წადიდეთ, ბიჭებო, ჩვენ წავიდეთ!“...

პირველ რიგში კლდესავით დაქანებული თხრილი გადიოდეს, ფეხით მონგრეულმა ქვა-ქვიშამ გაიხშაპერა, თორემ ორგვლივ ჩქარი არ ისმოდა, გერმანელთა მეერ შემოკრულ მავთულხლართებშიც გაძვრნენ, ოქვე დაწყებული პატარა ბეკობიც აირბინეს. უცად ხაიდანღაც ხმაური მოესმათ, მთგან კარგა მოშორებით გერმანელი ჯარისკაცები ლაპარაკობდნენ.

ჯიმიშუკაელთა ხახვის, ჭარხლის, კომბოსტოს ბაღნა-ბოსტნები... რაც უნდოდათ, მოარიფეს, სანივთე ტომრებში ჩაალაგეს და გზა განაგრძეს. გზა პურის ყანებისაკენ მიდიოდა. მიქელაძეს უნდოდა, უკვე შემოსული თავთავებიც მიეტანა დამშეული მებრძოლებისათვის, მაგრამ ამხანაგებმა ეხარი არ დაუჭირეს. გათენება ახლოა და უკან დაბრუნებას ვეღარ მოვასწრებთ, თანაკტრაილი მინდორია, თავსაც ვერაფერს მოვაფარებთო, რომ საღამომდე ამ დაეიმალოთო.

გათენდა დილა აეტეფილთი, მზემ ზანტად ამოიწია, ზღვის დანისლული სანაპირო ბურუსში იყო გახეეული, მაგრამ მნათობმა ჭკეფორი სხეავებთ ნისლი გიფანტა და ბალახზე გაბნეული ცის ნამი ააკიაფა. გერმანელ ჯარისკაცებს ადამიანის ნაფეხურები თვალში ეცათ და იარაღშემართული მიპყენენ კვალს.

„ავტომატებით პირდაპირ ჩვენკენ მიდიან, ეგ ყაუუუბა, რაკაში მოგვაქცევენ!“

„ორ ოცეულამდე იქნებიან“.

„ახლო მოვეშვათ და ეცეცხლ გავუხსნათ“.

„რაც იქნება, იქნება, მოეშვადეთ, ოღონდ ჩემ ბრძანებას დაელოდეთ!“ — უთხრა მიქელაძემ.

მზვერავებმა საბრძოლო ადგილები დაიკავეს ორ-ორი მეტრის დაშორებით. რომანმა პარტბილეთი ამოიღო ჯიბიდან, მიწაში დაფცა და სანიშნოდ ბრტყელი ქვა დაადო, თუ ღერეთნა არ გამწყრა, მოვალ, წავიღებო,

გერმანელები მელიბვიეთ გასუსულები მოდიოდნენ, თან აქეთ-იქით იყურებოდნენ. მათი ყოველი წინ გადმოდგმული ნაბიჯი სიკვდილ-სიცოცხლის შეჯახების ალმს ახლოებდა.

„ჩვენს მამეფლნი რას გვერჩინთ, თქვე ურჯულოებო! — თქვა თავის გულში მიქელაძე და ხელაუფმარას თითები მაგრად მოუჭირა“.

„ეიმეზდეთ!... ეცეცხლ!“

მტრისაკენ გასროლილი ყუმბარა ჰაერში კუდიანი ქვასავით მიფრინავდა და პირდაპირ დამიზნებულ ურტალში ჩავშვა. რამდენიმე ფაშისტმა სული განუტევა. სხვები მიწაზე განერთხნენ. მზვერავებმა ხელაუმბარები რომ მიაყარეს, ახლა შაშხანის ტყვიები დაუშინეს. გერმანელები მაშინ კი მიხვდნენ მოწინააღმდეგის სიმცირეს, ველური ღრიალით წამოცვივდნენ და წინ გამოეკენენ. სამი საბჭოთა მებრძოლი რომ დენიმე წუთს უმკლავდებოდა ავტომატებით შეიარაღებულ ოო ოცეულს. უფროსი ლეიტენანტი მინასიანი მალე გამოვიდა მწყობრიდან. მიქელაძემ და უკრაინელმა ივანე მიტრეკომ დაჭრამდე განაგრძეს ბრძოლა და თავის მხრივ კიდევ რამდენიმე ფაშისტი გაამგზავრეს საიქოოს, მერე კი ტყვედ ჩავარდნენ.

გერმანელთა შტაბში მიქელაძემ ყველა დაარწმუნა, რომ ლეიტენანტი იყო და ასეეთს მეთაურობდა, დახერეტის პირველმა საშიშროებამ გაიარა.

„საპმეეი კიდევ გაქვთ?“

„როდის დაგვნებდებიან?“

რომანს ხელზე მიყენებული ჭრილობა სერიოზულად აწუხებდა, მაგრამ შეკეთებენ ეაეკაცურად პასუხობდა.

„დანებებაზე, რა მოგახსენთ, რუსები სხვა მოდგმის ხალხია, მტერს ასე იოლად არ ნებდებიან. რაც შეეხება საპმელს, მიწისქვეშა საწყობებში ჯერ კიდევ ბლომადაა, რაც მართალია, მართალია, ხილი და მწვანილი კი ვეკალია!

წ ყ ა ლ ი?

„არც წყლის პრობლემა იყო ძნელმოსაგვარი“.

„როგორ?!“... გაიკვირვა ახმახმა კაპიტანმა და მიქელაძის ამფრეკეთი თვალებთ ჩააშტერდა.

„ჩვეულებრივ“.

„როგორ თუ ჩვეულებრივ?!“

„სუფ იოლად, ბატონო კაპიტანო, ჭები ამოვჭერით, წყალი იმდენი ამოვიდა, რომ ამ დღეებში ამანოც დაიწყებს მუშაობას.“

„ტუეი შე ღორო!“—იყვნია ახმახმა. და შეკრული მუშტი დასარტყმელად აწია.

„კაპიტანო, დაკითხვაზე ზომიერებაც საჭიროა!“.. — ცბიერი ჰუმანურობით შეაჩერა მაორმა და ტყვეს შემსარაკი ღიმილით გადახედა. რომანი მიუხვდა და მკვახედ თქვა:

„თქვენს ხელი ვარ, როგორც ეგებმოთ, დამსაჯეთ, ჩემგან კი მეტს ვერაფერს გიგებენ!“

ნერვიული აღგზნების გამო ნატეკვიარი ხელიდან სისხლის დენა დაეწყო. ჯიბიდან შავი სატენის ნაჭერი ამოიღო, სისხლი შეიშრო, მერე მიტეჩკოსკენ გაიხედა, რომელიც აკმაედ მის ზურგს უკან იჯდა, მაგრამ აქ აღარ იყო.

...ჯიმუშკაის მიწისქვეშეთიდან გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ სამოცდაექვსი დღის ქედუდრეკი ბრძოლის შემდეგ მიქელაძისათვის დაიწყო ტყვეობის საშინელი და ხანგრძლივი დღეები, იგი ბანაკიდან ბანაკში გადაყავდათ, ჯოჯოხეთური წამებით ცდილობდნენ დამმტკიცებინათ მისთვის, რომ კომისარი იყო, მაგრამ ამაოდ.

„მე ლეიტენანტი ვარ!“ — ეს იყო ყოველთვის მისი პასუხი.

რომან მიქელაძე უკვე მეოთხე საკონცენტრაციო ბანაკში ათვეა ღამეს პოლონეთის სოფელ ჩენტსახოვოში. იგი ოფიცრებისათვის იყო განკუთვნილი. ოცდაზუთი ათასი კაცი გამოეცმწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიათ მავთულხლართებში, სასტიკი მეთვალყურეობით ეძებდნენ მათ შორის ოფიცრებს, კომისრებს. გამყიდველები გვეუბნებოდნ დაქერებდნენ და ნაჯერ პურსა და ღერ პაპიროსზე ცვლიდნენ ადამიანურ სინდის-პატიოსნებას. ეუბმიტანლები სიკვდილის კარამდე მიჰყავდათ.

რომან მიქელაძე იმ მილიონთა წარმომადგენელი იყო, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უღალატებდა სამშობლოს. მებრძოლებს სჯიდნ მისი, მზად იყვნენ, საკუთარ მკერდზე აღესილი მახვილით შებრძოლებოდნენ დუშმანს.

„ვიდაცამ არ მიმუთხლოსო", ფიქრობდა რომანი. გამოძახებას ყოველ წუთს მოელოდა, ეს კი მისი აღსასრულის მომასწავებელი იქნებოდა.

გერმანელებმა საბჭოთა ტყვეები არც აქ გააჩერეს დიდხანს. ერთ დილანილზე წაპყარეს და ლიდველგსაბურგისაკენ ხახირივთ გაირეკეს, ახალმა „სამოთხემ", როგორც ჩანდა, სტუმრები პირველად მიიღო. მავთულხლართების მიღმა მუხლამდე ბალახი დაეხვდათ, მაგრამ მეორე დილისათვის მისი ნასახიც არსად იყო, ადამიანებს კლერტებამდე შეეჭამათ! ტყვეებს აქ ჩაიკეცეს მუქი ლურჯი ფერის „კოსტუმები" ზურგზე გამოსაცნობი წარწერებით, რომ ისინი რუსები იყვნენ, ჯგუფებად დაჰყვეს და ქალაქის სხვადასხვა უბანში გაგზავნეს სამუშაოდ.

რომანი მწოლიარე ავადმყოფი შეიქნა. ბანაკის ექიმებმა ტუბერკულოზი დაედგინეს და სასწრაფოდ მოახსენეს უფროსს.

„მერედა, რაღას უცდით, მოაშორეთ გერმანიას, საფრანგეთის მიღმა ულაზარეთში გაავგზავნეთ!"

ტუბერკულოზიანებს იქ ეგრეთწოდებული სიკვდილ-სიცოცხლის გამრჩევი წამალი შეუშხაპუნეს. ვისაც სიკვდილი ეწერა, ხუთი წუთის შემდეგ უნდა მომკვდარიყო. მიქელაძის ორგანიზმმა ბედად, გაუძლო ამ გამოცდას. ახალშესულთაგან კი რამდენიმე, და მათ შორის ცაგერელი ვაჟკაცი თედო ნემსიწვერაძე გარდაიცვალა.

ტყვეობამ ბევრი საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობა შეიფერფლა, მაგრამ მათ გულს მცირეოდენადაც არ მოჰკლებია სამშობლოს სითბო და სიყვარული, იცოდნენ, რომ დღეს იქნებოდა თუ ხვალ, სასიკვდილო ლაზარეს ჩასცემდნენ მომხდურ მტერს, ცდილობდნენ, თვითონაც მეფლო მონაწილეობა მის განადგურებაში და ბანაკიდან გაქცევა თვითმიზნად ჰქონდათ გადაქცეული. ზოგი კიდევაც ახერხებდა ამას, ზოგზე კი სიკვდილი იმარჯვებდა. 1944 წლის 28 აპრილს ... ღამეს, ტყვეთა ჯგუფი, რომელიც რომან მიქელაძემ შეაკავშირა, ის იყო ბანაკიდან გასვლას აპირებდა, რომ ვიღაცამ დააბეზღა და ყველაფერი ჩაიშალა, გერმანელებმა კონკრეტულ მონაწილეთა ვინაობის დადგენა ვერ შეძლეს და თავი მიანებეს, მაგრამ ორი დღის შემდეგ ოთხმა მამაცმა მაინც მოახერხა გაქცევა.

ბანაკის დაცვის ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, რომელსაც საერთოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა ტყვეებთან საიდუმლო გააცნოთ:

— ბიეპო, რადაც შხაპი მოიტანეს, საკმელში გარეკეს აპირებენ... გაფრთხილდეთ.

ვეღარ მოასწრეს მსოფლიოს ამ ნაძირალებმა ჩანაფიქრის ასრულება, გერმანიის ტერიტორიაზე შემოჭრილმა ამერიკელებმა ეპინგენი აიღეს და ათასობით საბჭოთა ტყვე იხსნეს სიკვდილისაგან. კეთილი გერმანელი ჯარისკაცის ნათქვამი გამართლდა. ბანაკის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი ნაგებობის ჭერში ალმორჩენილი იქნა შხაპი, რომლითაც ფაშისტები გაჟლეტას უპირებდნენ ტყვეებს.

ეპინგენის ბანაკი ტყვეებისაგან ამერიკელებმა საფრანგეთის სამხედრო ადმინისტრაციას გადაასცეს ყურადღებისათვის და წინასწარ განაგრძეს. ტყვეების წარმომადგენლებმა მაშინვე საქმიანი კონტაქტი დაამყარეს ფრანგებთან კეკბესა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. ბანაკთან დაახლოებით ოწუის საბჭოთა კავშირთან ეთილგანწყობილმა გერმანელებმა, ცდილობდნენ რიგიანე ესიამოვნებინათ რუსებისათვის. ზოგს პური მოჰქონდა, ზოგს — ხილი, ზოგს მოსკოვის რადიოთი გადმოცემული ახალი ამბები.

ასე გადიოდა დღეები. ფაშისტური მანქანა იმსხვრეოდა, იშლებოდა, სახეიმო განწყობილება გერმანელთა საკმაო ნაწილშეც ვრცელდებოდა, ეპინგენის ტყვეთა ყოფილი ბანაკის დროებითი ბინადარნი ყოველ წუთს ელოდნენ საბჭოთა სარდლობის ბრძანებას სამშობლოსენენ გამგზავრების თაობაზე.

რომან მიქელაძემ 1945 წლის აგვისტოში დატოვა ეპინგენი, მეგობრებსა სიყვარულით გამოცალეს ქართველი ვაჟკაცი და სამშობლოსაენ გზა დაულოცეს.

ნოდარ დუმბაძე

ჩემი რუსთაველი

არ ფეხი ისე არ ამახსოვრდება ადამიანს, როგორც ბავშვობისას ძილისპირს დედის მიერ თქმული ზღაპარი, იავნანა, წაკითხული ლექსი, ან ამბავი რაში.

ალბათ, ამაზე ფიქრმა დაიწერინა გოგუაშვილს უკვდავი „იავნანამ რა ჰქმნა“ და, ალბათ, ამის ვამო ვნებდავ მე იმის თქმას, რასაც ამ წერილში თუ აღსარებაში მოგახსენებთ.

მე არ მახსოვს, რამდენი წლისას მიკითხავდა დედა „ვეფხისტყაოსანს“, ან ოდესმე ეთქვა ჩემთვის ეს ადგილი ზეპირად ისწავლეო. მე მახსოვს მხოლოდ ის, რომ მაშინ კითხვა არ ეიცოდდა და ეს უზარმაზარი წიგნი, „ვეფხისტყაოსანი“ რომ ერქვა, ჩემთვის მხოლოდ ლამაზი, ფერად-ფერადი სურათებით გაწყობილი ყუთი იყო, რომლიდანაც ცისარტყელასავით ჭრელ, ლამაზ სიზმრებისა და ძილისმომგვრელ სიტყვებს ალაგებდა, მიწყობდა სასთუმალს და, ალბათ, ისევ დედის გამო, რომ ეს ლამაზი უკვდავი წიგნი დღემდე მიდევს სასთუმალს, როგორც

ავადმყოფს — წამალი,
ხეიბარს — ყავარჯენი,
მეომარს — იარაღი

და მწერალს ქარაფში სიტყვის თვალმარგალიტით სავსე, აუწონელი საენე და სალარო.

მე ახლაც მიკვირს წერა-კითხვის უცოდინარმა ბავშვმა როგორ ვისწავლე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ზეპირად:

„აწ საყვარელსა მიუწერს გულ-ამოსკვნილი,
მტირალი,
მისმენვე ცრემლმა დაუვსის, ვის ედებოდის
ვის, ალი.
დაწერა წიგნი მსმენელთა ვულისა
გასაგმირალი,
ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბრილი
გამომქვირველი.
„მე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან
მონალვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი — ნაღველსა
ამომნაწები,
მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა
ვაწ�sა;
გულო, შავ-გულო, დაბამულხარ, ნუ
აეხსნები, აწ ებილ“

ცნობილია, რაბინდრანატ თაგორის ლექსებს ბენგალიელი წერა-კითხვის უცოდინარი მეთევზეებიც კი მღერიან, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობას მათი შინაარსი არ ესმის, შავრამ იმდენი ღვთიური, ზეციური მუსიკაა შიგ, იმდენი სითბო და ისეთი სულში ჩამწვდომი იდუმალება, და ყოველივე ამასთან ერთად ისეთი გასაოცარი უბრალოება, რომ ლექსი თავისთავად მღერის და ვისაც უსაუბრია ამ ბენგალიელ მეთევზეებთან, ამბობენ რომ მეთევზეები ირწმენებიან, ყველაფერი გვესმის, ყველაფერს ვგრძნობთ, განვიცდით, ოღონდ ვერ ვამბობთო, და მე მჯერა მათი....

ალბ, ნახეთ, განა შეიძლება ქვეყნად იყოს რამე ამაზე გასაგები, ამაზე უბრალო, ამაზე სადა ლამაზი და გენიალური?!

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან
სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი,
ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჩმული,
განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი
წყლიანი“.

ასე, უმარტივესი, უბრალო ელემენტარული და განსაცვიფრებლად სადა აკორდებით იწყება ბეთოვენის „მთვარის სონატაც“ და „პასიონატაც“, რასაც შემდეგ მოსდევს ამობოქრებული, ყოველს უზენესი, სულისა და გულის დამდღეველი და წამლეკავი ოკეანის მოვარდნა და მოქცევა...

ერთი რამ არის ფრიად საგულისხმო. ძველი ქართველის არასაკეთილისეულთათვის, ისევე უბრალო მოკვდავთათვის, როგორც მე ვარ და უმრავლესი ქართველია, არა თუ მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის ქართველი ენა, არამედ გაცილებით, უფრო გვიანდელიც კი ან სულ გაუგებარია ლექსიკონის გარეშე, ან თითქმის. მაგ, რადმა საქმე, რატომ არის „ვეფხის ტყაოსანი“ ასე გასაგები (რა თქმა უნდა, მე აქ არ ვგულისხმობ ცალეულ დეტალებს, გამოთქმებსა და ფრმად ფილოსოფიურ აზრებს. ვგულისხმობ მხოლოდ ენას და ნაწარმოების სტრუქტურას) ყველა ქართველისათვის, დაწყებული გუთნისდედოდან, ან თუნდა მწყემსიდან, ვიდრე ატომური რეაქტორის მაღალკვალიფიციური ინჟინრისათვის?

საქმე ისაა, რომ ალბათ რუსთველი იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელიც მიხვდა, რომ მხოლოდ ხალხს შეუძლია მისცეს უკვდავება ლიტერატურულ ქმნილებას, რომ ხელოვნება მხოლოდ ხალხის საკუთრებაა, რომ მხოლოდ ხალხია განსაზღვული ლიტერატურული ქმნილების ავკარგიანობისა და მხოლოდ ხალხს შეუძლია შეუნახოს შთამომავლობას სიტყვა წინაპრისა. და მან პირველმა მწერალთა, პოეტთა, მოშაირეთა შორის საქართველოში დასწერა თავისი გენიალური ქმნილება ხალხის ენაზე, საერო ენაზე, და სასწორზე დადო საკუთარი ლიტერატურული კარიერაც, ეფთღდღეფობაც და შეშოქმედებაც.

და თუ თვალს გადავავლეთ საუკუნეების მანძილზეზ „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო შექმნილ პოლემიკას და ბრძოლას მის წინააღმდეგ, ერთ-ერთი მთავარი ბრალდება წაყენებული რუსთველის მიმართ სწორედ ის გახლავთ, რომ მისი ნაწარმოები საერია და არა სასულიერო, არა მხოლოდ საეფო სასახლის, ეთიკეტის, ტრადიციის ენაზე დაწერილი. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, თუ რატომ იქნა უარყოფილი თავის დროზე „ვეფხისტყაოსანი“. განა ამის გამო არ უარყო თავის დროზე კოსსურვატულმა ინგლისმა, ეკლესიურობის სიამაყე შექმპირი, რომელმაც ლიტერატურაში ხალხის, დემოსის, „ბაზრელი“ სალაპარაკო ენა შემოიტანა?!! და საყოველთაო საკუთრებად, ხალხის საკუთრებად აქცია თავისი გენიალური ქმნილებანი?!

ამ ორმხრივ, ურთიერთგამდიდრებასა, გადარჩენასა და გაუკვდავებასთან გვაქვს საქმე. ისე, როგორც რუსთველმა და შექსპირმა უკვდავყვეს თავიანთი ენა და ხალხი, ისე უკვდავყო ხალხმა და ენამ მათი სახელები. განა ასე არ მოიქცა ქართველ განმანათლებელთა ჭეშმარიტ ილიას, აკაკის, გოგებაშვილის, ბაჟას და სხვათა სახით, რომლებმაც არც მეტი, არც ნაკლები გადავგარებას, სიკვდილს გადაარჩინეს ქართველი ერი და ენა?! ისინი ... ეროვნული ... ის ბუნებრივი პროცესები, რომლებიც თან სდევს კაცობრიობის განვითარებას, სხვადასხვა ცივილიზაციებისა და ერების თანამშრომლობასა და ურთიერთობას.

და, რა თქმა უნდა, ტყუილია ის მოსაზრება, თითქოს რუსთველიდან დღევანდელ დღემდე ხ	ი კ. გამსახურდიამ გადო (იგულისხმება ენ.), რომელზეც, სამდღიერად, მხოლოდ ამ აზრის ავტორი და ერთი ორი მისი თანამოაზრე დაადარება იქით-აქეთ მხოლოდ. კ. გამსახურდიას თავისი საკუთარი, მომხიბლელი მხატვრული ენა და სტილი აქვს.

ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც ამას წინათ მოსკოვში საკავშირო კომკავშირის ცენტრ უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდა უამრავ კითხვასთან ერთად, ასეთი შეკითხვაც მომეკენ:

— როგორია როლი „ვეფხისტყაოსნისა“ თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებასა და საერთად საქართველოს სულიერ ცხოვრებაშიო.

— ნაწარმოების შეფასებას, რომელიც აგერ რვა საუკუნის მანძილზე აძლევს სულიერ საზრდოს საქართველოს, და, ვინ იცის, კვლავ რამდენ საუკუნეს იქნება იგი ჩემი ერის სულიერი საფუძვ, ამის ახსნას, არა მეორნა, ჩვენი დღევანდელი შეხვედრის დრო ეყოს და მარტო ეს დრო კი არა, მთელი ჩემი სიცოცხლეც კი ეყოს-მეთქი. და თუ თქვენ მე გიყვარვართ, თუ გაგრთია ჩემი, და თუ მთელით მწერლად, რომლის სიტყვას რაიმე ფასი აქვს თქვენთვის, პატიოსნ სიტყვაზე უნდა მენდოთ, და უნდა დამიჯეროთ, რომ მსგავსი რამ კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია, ეს არის მზე, რომელიც ჭეშჯერობით, საუბედოროდ, საქართველოს ცაზე ბრწყინავს მხოლოდ. და მე გულწრფელად მეცოდება და უბედურად მიმაჩნია ის კაცი, რომელსაც ქართველად არ წაუკითხავს „ვეფხისტყაოსანი“, ისევე, როგორც თქვენ, და მეც, რა თქმა უნდა, გვეცოდება და უბედურად მიგაჩნია ის კაცი, რომელსაც პუშკინი არ წაუკითხავს რუსულად. — ასე ეუპასუხე და მომეჩვენა, რომ მათ დამიჯერეს.

კიდევ ერთი თვისებაც გამო უყვარს ხალხს „ვეფხისტყაოსანი“, თუ „ვეფხისტყაოსანი“ არ იცი, ძნელად დაგიჯერებს ვინმე, რომ ქართველი ხარ და ამ მხრივ იგი საოცრად „ამარტოებს“ საკუთარ სენტენციის ბრძენ შესახებ, რომ „შენ შეიქმს სიყვარულსა“. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა.

ჩემში ყოველთვის განცვიფრებას იწვევდა „ვეფხისტყაოსანს“. „პროლოგი“. თავისი გენიალობით, ყოველსმოცველობით, განცვიფრე-

ნოდარ დუმბაძე
ჩემი რუსთაველი

ბას აწყვეტდ მისი სასაუბრო ტონით, პათეტიკით, სიბრძნით, განწყობილებით, პარადოქსული, ერთი შეხედვით არათანამიმდევრული მსჯელობებით, იდუქალი სტრიქონებით, განსაკეთებულად უშუალო მსჯელობებით, ალბათ, საყოველთაოდ ცნობილი განსაკუთრებით დღეისათვის ფაქტების და ეჭვმპრიტებების კოსტატაციით, ან მხოლოდ რუსთველისა და კიდევ ვიღაც ერთისათვის თუ რამდენნიმე კაცისათვის ცნობილი ფაქტების და დეტალების ახსნა-განმარტებით. და კიდევ იმით, რომ ფაქტიურ ეჭიდლებოდა ასეთი პროლოგი ჰქონოდა ნაწარმოებს, რომელიც ჯერ არ იყო შექმნილი?!! და მე მივხვდი, რომ პროლოგი არის თავისებური „კოდი“, რომელიც მაშინ მხოლოდ პროლოგის ადრესატსა და ზოგიერთ მის წამკითხველს უნდა გიგეგო. ამიტომ მას ყოველმხრივ უნდა კვლევა და განკვრეტა.

და, ჰა, მოუდეკი სათქმელს. მე არასოდეს ეკვი არ შემპარვია იმაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგი“ მისივე ავტორის დაწერილია, მაგრამ იმის ამოცანა შედგამ მაწვალებდა და მაინტერესებდა, როდის და რატომ დაიწერა „ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგი“ და არის თუ არა იგი საერთოდ „პროლოგი“ „ვეფხისტყაოსნის“, თუ არის სულ სხვა რამ?!!

ამ წერილში შეიძენება უნდო, სკეპტიკური და ირონიული ღიმილი გამოიწვიოს სპეციალისტთა შორის, მაგრამ არ ვჩივი, მე ამ წერილს პოლემიკის წესით არ ვაქვეყნებ, არც რაიმე მეცნიერული კვლევისა და ნაშრომის პრეტენზიით, იგი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ინტუიციით ნაკარნახები მოსაზრებაა და თუ აქვს აქვეყნად არსებობის უფლება მხოლოდ და მხოლოდ, როგორც ჰიპოთეზის. დრო იყო, ადამიანებს სწვავდნენ იმის გამო, რომ მათ დედამიწა მრგვალი ეგონთ, მაგრამ, მაღლაა ღმერთს, ალბა სხვა დროა და ადამიანებს ამისათვის არ წვავენ. მთა უმეტეს, რატომ ეზიდა დავაბრჩოთ დღეს კაცი, რომელსაც დედამიწა მთლად მრგვალი არ ჰგონია?!

მაშ, ასე!

როდის და რატომ დაიწერა „ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგი“.

აქ გამოთქმული ჩემი მოსაზრებები მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგს“ შეეხება, ამიტომ მათ დასასაბუთებლად მხოლოდ და მხოლოდ იმით ვიხელმძღვანელებ, რაც თვით „ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგში“ წერია.

დღეს აღარ არის სადავო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარის ეპოქაშია დაწერილი. ვეფხისტყაოსნის ცალკეულმა ფრაგმენტებმა თუ ხელნაწერებმა (ისიც დაზიანებული სახით) როგორც ეს დღეს გარკვეული, ჩვენამდე მხოლოდ XV-XVI საუკუნიდან მოაღწიეს. ვამოდის რომ, სამ თუ ოთხი საუკუნის მანძილზე იგი უეზო-უკელოდ იყო დაკარგული. ზემოთ თქმულთან ერთად მომდევნო საუკუნეებში „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო ამტდარი ეგზომ დიდი ყურადღება და დავდარაბა მაფეჭრეგნენებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზოთას სიცოცხლეშივე იქნა დაგმობილი და უარყოფილი, როგორც მავნე, სეარო, ამორალური, არასაღვთო და მეფის კარისათვის შეუფერებელი ნაწარმოები — სასახლის არისტოკრატიის და, შესაძლეველია, თვით თამარისა და მეფე დავითის მიერაც კი, რა თქმა უნდა, კლერიკალური ეკლესიის გაკლენთა და დაბეზღებანი, რომელთაც ბოლომდე ვერ გაგაფრეს პოეტის ღრმა ფილოსოფიური აზრები.

უნდა ვივარაუდოთ, რომ, ყველა სიკეთეთან ერთად, თვით ავტორიც განკიცხულ და გაძევებულ იქნა სასახლის კარიდან.

თუ ინ საკითხების დეტალებებისა და ცნებების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებსაც აშუქებს, იცავს და ამტკიცებს რუსთველი „პროლოგში“, ადვილი მისახვედრია, რომ მას ბრალად ედებოდა:

1. მრავშობისა და სიძეის აპოლოგია;
2. ლექსისა და შაირის დოგმების დარღვევა;
3. ეღმერთობა;

და კიდევ ერთი ყველაზე დიდი ბრალდება: ნაცვლად იმისა, რომ ნაწარმოები უნდა ყოფილიყო ქებათა ქება თამარისა და დავითისა — არის უცხო ამბავი, რომელშიც თამარი და დავითი არათუ ხოტბაშესხმული (ვგულისხმობთ თვით პოეტს), არამედ ნახსენებიც კი არ არიან. სწორედ ამ სამმა, თუ ოთხმა ბრალდებამ, რა თქმა უნდა, იმასთან ერთად, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სეარო ენით იყო დაწერილი, განაპირობა მისი უარყოფა. ხოლო ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ასე ზეპირად შემონახა ქართველმა ხალხმა და თავად რუსთველის თქმის არ იყოს, ხელიხელსაგმანები გახადა, გარდა იმისა, რომ სეარო ენით იყო დაწერილი, ალბათ იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ იგი აკრძალული იყო. და კაცობრობისათვის არ არის უცხო. ლტოლვა ადამიანისა, აკრძალული ხილისაკენ.

ჩემი ღრმა რწმენით „პროლოგი“ დაიწერა მას შემდეგ, რაც „ვეფხისტყაოსანი“ უარყოფილ, დაგმობილ, დაწუნებულ იქნა და დაიწერა არა როგორც „პროლოგი“ და მხოლოდ „მოძღვრება შაირობასა და მიჯნურობაზე“, არამედ როგორც — თუ თანამედროვე ტერმინოლოგიას ვიხმარი — განმარტება, სარეარი, ბრალდებულის საბოლოო სიტყვა და ვედრება. მისი ადრესატია, ღმერთის გარეა, ან თვით თამარი, ან მეფე დავითი, ან ორთავე ერთად, ან კიდევ ვიღაც მესამე უზენაეს ხელისუფალთა უახლოესი და მათ შემდეგ განესაზღვრელ უფლებათა ჰქონე ადამიანი, რომელსაც შეუძლია უარყოფილი ნაწარმოებისა და ავტორის ბედის გადაწყვეტა.

„პროლოგი“ დაწერილია — თუ აქაც თანამედროვე ტერმინს ვიხმარი — იმ „ეიფორს“ იმ ხალხთა წრის „ფრაქციის“, თუ დაჯგუფების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაალმდეგ, რომელთაც „დასმენეს“ რუსთველი სასახლის კარზე, გაიშვეს, გაწირეს და გაანადგურეს.

რუსთველი წინასწარ გრძნობს, თუ რა დიდ ძალასთან მოუწევს შეჭიდება და, როგორც წესი, „ბრძოლის“ წინ ღმერთს ახსენებს, მეორე სტროფში კი პირდაპირ ევედრება მას:

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰკმენ სახე ყოველსა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მესაბრძანისა!
მომეც მიჯნურსა სურვილი სიკვდიმდე ვასტანისა,
ცოდვისა შესაბუქებად მუნ თანა წასატანისა“.

ეს სტროფიც ჰგავს ერთი წაკითხვით ღმერთისადმი მიმართულ ტრადიციულ თხოვნას, რომ სატანისგან დამფარეო, იმ სატანისაგან, რომელმაც თავის დროზე ადამი და ევა შეაცდინა, მაგრამ აქ რუსთველი მხოლოდ მფარველობას კი არა, სატანის დათრგუნვის ძალას თხოვს ღმერთს და ეს „სატანა“ სწორედ ის ძალაა, რომელიც ისევე როგორც ყოველ ადამიანს ნიადგ ებრძვის მას.

მესამე სტროფის საერთო აზრი ასეთია: თამარის ლომს, რომელსაც შვენის შუბისა და ფარის ხმარება, მას არც კი ვიცი როგორი ხოტბა შეეკადრო.

„ის ჰშვენის, — ლომსა, — ხმარება შუბისა, ფარ-შიშვრისა,
მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბაღაწს, თმა — გიშვრისა.
მას, არა ვიცი, შეეკადრო შესხმა ხოტბისა შერისა,
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხიმს მართ მიშვრისა.

მესამე სტროფის მეოთხე ტაეი ცოტათი მოულოდნელია, ასეთი ეპითეტების შემდეგ ლომს, ფარისა და ხმლის მატარებელს, მეფის გვირგვინით თავდამშვენებულ ვეკაცს უცეტ რაღაც ყანდი უნდა მიერთვას, მაგრამ თუ ამ სტროფს და საერთოდ „პროლოგს“ იმ თვალითა და განწყობილებით წავიკითხავთ, როგორითაც მე ვკითხულობ, ყველაფერი მზესავით ნათელი გახდება, ეერაფოდ — თამარის ლომს, რომელსაც ხმლისა და ფარის ტარება შვენის, რომელიც არც კი ეიცი, როგორი ხოტბის ღირსია. ეის მეკრეტელ ასეთი მეუხარე, სასმენად მწარე ამბის, შემაწუხებელი ამბის, საჩივარს მიტანა კი არა, ტკბილის, ყანდის მირთმეეი (აღმოსავლური „თავაზის“ მიხედვით) ანუ ტკბილი ამბის მოყოლა მმართველსა. ხოლო მეოთხე სტროფში რუსთველი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მთელი „ეეფხისტყაოსანი“ მან მხოლოდ და მხოლოდ **თამარის შვენეიერების** შთაგონებით შექმნა:

„თამარს ვაკმდეთ, მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული.
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ — ავად გამორჩეული,
მეფნად ვისმარე გიშრის ტბა და კალმად მენა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაეცვას ლაბვარი გულ-ბეული“.

ცხადია, ეს სტროფი თავის მართლებაა იმ ბრალდებისაგან, თითქოს „ეეფხისტყაოსანში“ არ იყოს თამარის ქება.

მეზუთე სტროფში რუსთველი ყოველგვარი მეკიბეულ-მოკიბეული ლაბარაკის გარეშე სწერს:

„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგეკნილისა,
ბროლ-ბადაბშისა თლილისა, მის მიჯრით, მიწყობილისა,
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემელი ტყვიისა ლბილისა“.

ესე იგი: მიბრძანეს, ანუ მთხოეს, დამაკალეს თამარის ქება ლექსად შეთქვაო.

როგორც მეხუთე სტროფის მეოთხე ტაეიდან ირკვევა, რუსთველს დიდხანს სთხოვდნენ დაეწერა ქებათა ქება თამარისა ლ ე ქ ს ა დ. მე ხაზს ეუსვამ სიტყვას ლ ე ქ ს ა დ. და იგი დიდხანს ყოფილა უარზედ, შემდეგ კი, როგორც იქნა, დათანხმებულა და აკი წერს კიდეკაც „გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გრდემელი ტყვიისა ლბილისაო“.

როგორც ჩანს, სულ ბოლოს რუსთველისათვის თვით თამარს უთხოვია, ან დაეთხა, ამიტომ დასაჩრდა რუსთველს ეს ვენიალური მეტაფორა, რომელიც, სხვათა შორის, იდენტურია ტაეისა:

„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოეუბარი“.

მოგეხსენებათ, ყველაზე მაგარ ქვას დედაწიწაზე, ალმასს ყველაზე რბილი ლეიოსით, ტყვიის უტოგბით ამუშავებენ. რათა ზანსავები არ დაეზიანონ. რუსთველს სწორედ ამის თქმა უნდა ამ მეტაფორით. უარი არ კამოვიდა, ვამტეხა ბოლოს, თხოვნამ და დავთანხმდიო.

მხოლოდ ასე უნდა წაკითხოთ მეზუთე სტროფი, წინაალმდეგ შემთხეევაში იგი ჩვეულებრივ ხალხურ ლექსს დაემსგავსებოდა.

„ციდან წამოვა ტოროლა
ჩამოთვლოს გალობასაო ...
წიგნი, ჭრა-კერვა გაცოდნია
ნეტავ შენს ქალობასაო.“

სადაც წინა ორ ტაეს არავითარი ლოგიკური კავშირი არა აქვს მომდევნო ორთან.

ნოდარ დუმბაძე
ჩემი რუსთაველი

ამით რუსთველი ძალიან მორიდებით აშბობს, რომ მე ჩემი ნებით არ დამიწერია ეს ნაწარმოები, თქვენი სურვილითა და ნებით დავწერეო.

მეექვსე და მეშვიდე სტროფები კვლავ ღვრთისადმი მიმართული და რუსთველი კვლავ შეშვენის სიხოვს უფალს „ვეფხისტყაოსნის“ დაცვის საქმეში.

მეცხრე სტროფი, რომელიც ფაქტიურად მეშვიდე სტროფის მეორე ნახევრიდან იწყება: — დაჯე, რუსთველსან გიელქესა... „ამდასაგდებად და ვეფხისტყაოსნისდან ამოსაღებად კი არა, მე მთელი „ვეფხისტყაოსნის“ გასაღებად მიმაჩნია და ამიტომ მასზე უფრო ვრცელად შეეჩერდები.

„ესე ამბავი სპარსული“ რომ არა სპარსულ ამბავს, არამედ სპარსულ სიუჟეტურ ჯარგას ნიშნავს, ყველასათვის ცნობილი და გასაგებია, რადგან ამ დროისათვის მთელ აღმოსავლეთში და კერძოდ წინა აზიაში ამბის თხრობის რამდენიმე მოდელი არსებობდა, ერთ-ერთი მათგანნი ასეთი იყო, — ნადირობის დროს მნადირენი ნახავდნენ უცხო მოყმეს, ან უცხო რამ წარწერას, ან წაწყდებოდნენ ვიღაცის კვლს, გამოკვლებოდნენ მას და შემდგომ ამისა იწყებოდა ზეირთი თავგადასავალი. და ასე იყო არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ მუსიკაშიც, აღმოსავლეთში არსებობდა და ახლაც არსებობს რამდენიმე მუსიკალური ფოლმი და თითქმის ყველა დანარჩენი მელოდიები ამ მუდამების ვარიაციებია, ამ მუდამებში ტრიალებენ. ამიტომ გვანან აღმოსავლური სიმღერები ასე ერთმანეთს, მაგრამ არავის აზრადაც არ მოსვლია ესა თუ ის სიმღერა სხვა რომელიმე სიმღერიდან გადმოწერილ, მოპარულ კი ნასესხებ სიმღერად ჩაეთვალა, ასე რომ „სპარსული ამბავი“ სწორედ ერთ-ერთი ასეთი ლიტერატურული მუდამი, ანუ ჟანრი-ლია.

დღემდე გაუგებრობას იწვევს მომდევნო ტაეპი:

„ეპოვე და ლეკსად გარდავთქვი, საქმე ექმენ საჭმანებიო“...

მე მუდამ მანცვიფრებდა ეს ტაეპი და კიდევ ერთი რამ: რაში საქმე? ვინ აუკრძალა რუსთველს ლექსის წერა? აკი თვითონ ამბობს — „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლეკსებისა ტკბილისაო“? კ რატომ ჩაიდინა მან, რუსთველმა, საჭმანებები საქმე თუნდაც იქით, რომ გალეშსა მანამდე პროზად ნათქვამი ამბავი. ვანა თარგმნილი არ იყო იმ დროს ქართულად ვისრამიანი? ან თუნდაც თარგმნა მაშინ ვანა აკრძალული იყო? ან რისთვის, ან ვისთვის ჭიდებოდა რუსთველს მოკლე და გრძელი შაირის დაპირისპირება? ერთი მხრივ, ლეკი და დიდება მოკლე შაირისა, მეორე მხრივ კი ერთი შეხედვით ყოველივე ამის ვეერდით ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული, მეთორმეტე სტროფიდან ვიდრე მეთვრამეტემდე გაფანტული ბელი მტკიცება გრძელი შაირის უპირატესობისა?

საქმე ისაა, რომ იმდროინდელ საქართველოში გრძელი ლექსი, გრძელი შაირი, ამბავი, ისტორია და რომანი ლექსად არათუ არ იწერებოდა, საერთოდ არ არსებობდა და უცხო იყო ქართული ლიტერატურისათვის. და ეს იმდენად ბუნებრივი იყო, რომ თვით „ვისრამიანნიც“ კი რომელიც დედანში ლექსადაა წარმოდგენილი პროზად გახლდათ ნათარგმნები. ის ფაქტი, რომ ქართულ ლიტერატურაში რუსთველამდე პოემა არ არსებობს, არ არის შემოხვეული. საქართველოსთვისაც და რუსთველისთვისაც „ვეფხისტყაოსანი“ პირველი ქართული პოემაა. ეი, რატომ ჩაიდინა თურმე რუსთველმა საკუთარი ნებით საქმე. აი, რისი შიში აქვს მას, შიში, რომელიც, ჩვენდასაუბედურად, გამართლდა. საქმე იმაშია, რომ რუსთველი „ვეფხისტყაოსნით“ საქართველოში ახალ ლიტერატურულ ჟანრს აქვედრებდა, იგი ნოვატორია, ახალი ლიტერატურული ჟანრის შემმტანი, დამნერგავი, შემქმნელი და არ არის გასაკვირი, რომ მას, ისევე როგორც ყველა ნოვატორს, ყველა ეპოქასა და ყველა ლრმაში ებრძოდნენ და უკან ეწევოდნენ. ამ სტროფის და ტაეპის მხოლოდ ასე წაკითხვის შემდეგ გახდა ჩემთვის ნათელი და გასაგები ადრე ასევე გაუგებარი და ბუნდოვანი ტაეპი:

„ჩემმან ხელ-მჭნელმან დამშრეთოს ლაღმან და ლამაზმან ნები“.

ეს სტროფი იმ ოპოზიციის წინააღმდეგ არის მიმართული, რომლებმაც რუსთველს ეს საქმე დანაშაულად ჩაუთვალეს, მაგრამ რუსთველი არ ღებულობს მათგან ბრალდებას, მათი არაკომპეტენტურობის გამო, იგი მხოლოდ თამარისაგან, ანუ მისი ხელ-მჭნელისაგან, მოითხოვს სასჯელს, იგი მხოლოდ მის ნებას დადმორჩილება და მოიქცეა ისე, როგორც თამარის ნება იქნება, ანუ როგორც თამარს ენებოსო.

ეი, ეს სტროფიც თავიდან ბოლომდე:

„ეხე ამბავი სპარსული, ქართულად
ნათარგმანები,
ვით მაგრალიტი ოტრილი, ხელი-ხელ
საგოგმანები.
ვპოვე და ლეკსად გარდავთქვი, საქმე
ექმენ საჭმანები,
ჩემმან ხელ-მჭნელმან დამშრეთოს
ლაღმან და ლამაზმან ნები.“

რაც შეეხება მერე სტროფს ეგი არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე მეცხრე. რუსთველი ამ სტროფში აშკარად ჩივის უზენაესთან, რომ იგი, რუსთველი, ხელობით, ანუ სიშმაგით იმიტომ სჩადის ამ საქმეს და იმიტომ ხელობს, იმისათვის ვისაც ჯარი სსათა ჰმრჩილებს, ანუ იმიტომ აწუხებს მას, რომ დაეძლევრება

ამდენ ბრძოლაში, მისთვის, გამიჯნურებულისთვის წამალი არსით არი, და მან, ანუ თამარმა, ან მისცეს განკურნება, ესე იგი, ან უშველოს, ან მოჰკლოს, დაამიწოს და დასამაროს მისივე ხელით.

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა
ამა დარი;
ვის ჰმორჩილნიმს ჯარი სპათა, მისთვის
ხელითმ, მისთვის მკვდარი,
დავუძლურდი მიჯნურთათვის კვლა
წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე
სამარი?!“

სხვათა შორის, პირველი ტაეპის ბოლო ფრაზა, ამა დარი, ჩემს აზრით, არავითარ ლოგიკისა არ წარმოადგენს სიტყვისას ამა დარს. ეს გადამწერის უბრალო შეცდომაა და იგი ასე უნდა იკითხებოდეს — **ამად არი** ანუ — (ამიტომ) და თუ ამ ტაეპს ასე წაიკითხავთ, ყველაფერი გასაგები გახდება.

მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამად არი
ანუ
მე რუსთველი ხელობითა სიშმაგითა ამიტომ ვიქმ საქმესო.

მეათე სტროფი „პროლოგში“ არის ვეფრ-ების ამოთვიეზა. ეს გახლავთ მზე — ჩამქრალი, განწირული, გაუბედურებული, გაძევებული, უსატრონოდ დარჩენილი და მეფე ლირივით ყველასგან მიტოვებული კაცის გოდება.

„თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა
ახლად ჩენა;
აჰა, გული გამიჯნურდა, მიხვდომია ველთა
რბენა!
მიაჯეთ ვინ! ზორცთა დაწვა ცმარის,
მისცეს სულთა ლხენა!
სამთა ფერთა ხაქებელთა ლამის ლეკსთა
უნდა ვლენა“.

ესე იგი,
ჩემს თვალებს, მისგან თამარისაგან, ანუ მისი უყურადღებობისაგან სინათლედაკარგულს, მოენატრათ (ენატრამცა) და არა ინატრონ, ახლად ჩენა ანუ კვლავ ახელა, სინათლის დაბრუნება. აჰა, გამიჯნურებულ, ანუ გაშვებულ გულს ველად გაჭრა ხვდომია წილად, მეაჯეთ ვინმე, ვინმემ შემიწყალოს, გამომეკეთებაგოს! მაკმაოოს ზორცთა დაწვა და მისცეს სულს ჩემსს ლხენა! დროა ჩემს სამხმოვან სიმღერას (აქ ან სამებაა ნაგულისხმები, ან ტარიელი, ფრიდონი და ავთანდილი) ჰიმნს, საგალობელს, თავის ადგილი მიეჩინოს, ანუ გამოავლინოს მისი ღირსებაო. აქ ვლენა მოწოდებას კი არა, გამოვლენას, გამოჩენას გულისხმობს და ყოველივე ეს თუ ასე არაა, როგორც მე ვეთხოვეს, მაშინ გაუგებარია, რამ აიძულა **რუსთველი** მიჯნურობისა და **შაირ**-ბის მოძღვრების, ტრაქტატის წერისას ასეთ დღეში ჩავარდნილიყო, ან ასეთი ტანჯვა-ვაება და მწუხარება ვინ მიაყენა მას შემოქმედებით პროცესში? — რაშია საქმე?

მარტო ამ წერილის კითხვისას კი არა, „პროლოგის“ და საერთოდ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვისას კიდევ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი — სიტყვა **მიჯნურს** რუსთველი ასე განმარტავს:

„მიჯნური — შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითთო“, — ამიტომ ზოგან, სადაც მიჯნური წერია, შმაგი უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო ზოგან პირიქით, შმაგის მაგიერ — მიჯნური. ასეთ შემთხვევაშიც ბევრი რამ უფრო მარტივი და იოლი გასაგები გახდება.

პროლოგის მეთერთმეტე სტროფი სავსეა სარკაზმით იმ „არაკომპეტენტური ეიერის“ მიმართ, რომელმაც უარყო მისი ნაწარმოება.

როგორც სჩანს, მაშინაც შეპყავდათ „ეიერში“ არასპეციალისტები, მაგრამ თანამდებობის პირები. არ არის გამორიცხული, რომ იგი სწორედ ამ არაკომპეტენტურ პირებს გულისხმობს, მეუმაკებსა და მეომრებში. სწორედ ამის გამო სწერს რუსთველი:

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს
და მას უბნობდეს,
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი
გულოვნობდეს;
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და
გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვათა
უწუნობდეს“.

ესე იგი: — ღმერთმა ყველას თავისი საქმე მიუჩინა და რაც ბედმა მისცა, იმით დაკმაყოფილდეს, მუშა მუდამ მუშაობდეს, მეომარი გულოვნობდეს, მიჯნური მიჯნურობას ატყობდეს სხვა გამიჯნურებულ, ანუ მიჯნური სხვა მიჯნურს სცნობდეს, პატივს სცემდესო, არც სხვისაგან იქნეს დაწუნებული და სხვასაც ნუ დაწუნებს, ანუ სხვა, საქმის არამცოდნეს არ მისცეს უფლება მისი პროფესია დაუწუნოს და სხვასაც ნუ დაუწუნებს იმას, რაც თავად არ იცის და არ ესმისო. თავს სასაცილო მდგომაროებაში ნუ ჩაიგდებსო. სხვანაირად რომ ვთქვათ, სტროფის აზრია — ლექსის წერა ჩვენ საქმეა და ოქვენ, სხვები, ისეთ საქმეში, რაც არ იცით, ნუ ერევითო.

„ვეფხვისტყაოსნის“ „პროლოგში“ რუსთველი აშკარად დასცინის იმათ, ვისაც მონაწილეობა მიეღია „ვეფხისტყაოსნის“ განკენტებაში, ან რაღე უკეთური დისკედნიათ მის წინააღმდეგ. ეგი დაუნდობლად დასცინის იმათაც, ვისაც უნ-

ნოდარ ფეშბაკიე
ჩემი რუსთაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია თავისი ნაკოდეილარი შეედარებინა ან დაჟარისპირებინა „ვეფხისტყაოსნისათვის“.

„მოშაირე არა ჰქვიან თუ სადმე თქვას
ერთი, ორი,
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა
სწორი;
განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და
შორი-შორი,
მაგრა იტყვის „ჩემი სჯობსო“,
უცილობლობს ვითა ჯორი.
და სხვა უაშაოი.

უკვე მოგახსენეთ და კვლავ შეგახსენებთ მეთორმეტეს სტროფიდან იწყება აპოლოგია გრძელი შაირისა და იგი გრძელდება ვიდრე მეთორამეტე სტროფამდე, და ეს სჭირდება რუსთველს არა იმისთვის, რომ დამწყებ პოეტებს თუ ყმაწვილ მოლექსეებს ასწავლოს გრძელი და მოკლე შაირის რაობა, წერის ტექნიკა, რიტმი, რითმი და დინამიკა (მოძღვრება თუ გნებავთ, ასე უნდა იყოს, თორემ შაირის სიგრძეზე და სიმოკლეზე ლაპარაკი რა მოძღვრებაა?). არა, იგი აშკიდრებს ქართულში ახალ ჟანრს, პოეზას და ამით ამარცხებს იმ საჭმანო საქმეს, რომელიც ერთ-ერთ ძმაზე ბრალდებად წაუყენეს მას.

მეცხრამეტე სტროფი სულ ცალკე დგას „პროლოგში“. იგი ერთგვარი განმარტება და გამოძახილია მეოთხე სტროფისა.

„თამარს ვაქებდე, მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ — ავად გამორჩეული ....“ და მას განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა ენიჭება, თუ ერთ ფრიად საყურადღებო დეტალს გავიხსენებთ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების ისტორიიდან:

„ანტონ კათალიკოსს თავის გრამატიკაში მოყვანილი ყავს ციტატი როგორც ნიმუში ამაღლებული მაღალფარდოვანი სტილისა. ანტონი იქვე მიუთითებს, რომ ეს ციტატი აღებია „ფარიღოვგან შოთასთა, რომელ აღწერა ცხოვრებაჲ მეფის თამარისა“.

თუ ეს მართლაც მართალია, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ შოთა მეოთხე სტროფში, და განსაკუთრებით კი მეცხრამეტეში, სწორედ იმ ნაწერიმს, მის მიერ დაწერილ თამარის ქებათა ქებას, ისტორიას გულისხმობს, რომელიც ადრე დაუწერია მას პროზაზდ და არა ლექსად, რომელიც ხელთ ჰქონია ოდესღაც ანტონ კათალიკოსს და რომელიც ამჟამად დაკარგულია ჩვენდა საუბედუროდ.

აი, რას ამბობს შოთა:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, ჵას ვაქებ,
ვინცა მიჭია;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი
გამიჭიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯორი,
ბრალია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს,
მიჭია“.

ანუ — შეიტყეეთ ყველამ, რომ ამ პოემაში, კვლავ ვაქებ იმას, ვინც აღრე მიჭია, და მიჭია ისე, რომ თავი არ შემორცხვენია, რაც დიდ სახელად მომაჩნია. და რაც შეეხება იმ ბრალდებას, თითქოს თამარს არ ვაქებდე, ტყუილია, რადგან, ვინც გულდასმით წაიკითხავს ჩემს ნაწარმოებს, მიხვდება, რომ მისი სახელი ქვემორე, ანუ პოემაში შეფარვით მაქვს ნათქვამი და ვაქებო.

და მართლაც, ნესტან-დარეჯანი ვიღა არის, თუ არა თამარი? ან თინანთინი ვიღა არის, თუ არა თამარი?

მე მგონი, ყველაფერი კვლავ მზესავით ნათელი ხდება.

მეოცე სტროფიდან რუსთველი იწყებს და ბოლო სტროფამდე ცდილობს მისადმი წაყენებულ ყველაზე ძმიმე დანაშაულის გაბათილებას. კერძოდ იმ ბრალდებისას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის თხზულება მრუშობისა და სიძვაზე. როგორც ჩანს, რუსთველის ეპოქაში და ცოტათი მოგვიანებითაც საქართველოში სიტყვა მიჯნური გაიგივებული იყო სიძვასთან, მეძავობასთან, ისევე როგორც სიტყვა ბოზი (ლამაზი) დღემდე მეძავის სინონიმი ჩვენში. ალბათ, ამიტომ დასჭირდა რუსთველს, უმეცრებისათვის არათუ აეხსნა რაა მიჯნურობა, არამედ ლექსიკონური განმარტებაც კი მიეცა ამ სიტყვისა:—

„მიჯნური შმაგსა ვგიქვიან არაბულსა
ენითაო“ —

ალბათ, ამითვე აიხსნება ის ფაქტი, რომ მეოცე სტროფიდან ვიდრე ბოლომდე, რუსთველი ასე თავგამოდებით იცავს, განმარტავს და ამტკიცებს, რომ:

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად
ძნელი ვგარი,
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა
დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი
ზღვარი,
ნურვინ გაპრევთ ერთმანერთსა, გესმათ
ჩემი ნაუბარი“.

გულუბრყველობა იქნებოდა ჩვენგან იმის ფიქრი, რომ რუსთველი ქართველ ხალხს და მეცხრეულს უმიზეზოდ განუმარტავდა მიჯნურობის არსს. თუ არა და, მაშინ უნდა ვიფიქროთ (ღმერთმა დაიფაროს!), რომ მთელი საქართველო შოთას დროს სიძვისა და მრუშობის ჭაობში იყო ჩაფლული და იგი მუხლზე დაცემული და ხელაპყრობილი ევედრება მათ:

„ეგი სხვაა, სიძვა სხვაა შეუ. უდევს დიდი
ზღვარი.
ნურვინ გაჰრეკთ ერთმანეთსა, ვესმათ
ჩემი ნაუბარიო“.

ეკვს გარეშეა, რომ შოთა ამას სწორედ იქათ ეუბნება, ვინც „ვეფხვისტყაოსანი“ პროშაპას და გარეკვნილების ამოლოგად მონათლა.

ზემოთაც ვთქვი და ვიმეორებ. მოსაზრება ამის შესახებ, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ პროლოგი მოძღვრებაა მხოლოდ შაირობასა და მიჯნურობაზე — სწორი არ გახლავთ. ეს ფუნქცია და შინაარსი მას მხოლოდ მადლიერი შთამომავლობის მიერ დაეკისრა და „დაბრალდა“ მისი, ანუ პროლოგისა და თვით პოემის აღმოჩენისა და აღიარების შემდეგ. და „დაბრალდა“ სრულიად დამსახურებულად, რადგან მართლაც ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა უფრო გენიალური, უფრო ამაღლებული მოძღვრება ლექსისა და მიჯნურობის შესახებ.

ამრიგად:

ჩემი ღრმა რწმენით, „ვეფხისტყაოსანი“ პროლოგი“, ანუ „დასაწყისი“, სულ ბოლოს, ანუ მას შემდეგ დაიწერა, რაც ვეფხისტყაოსანი“ დარეფდა, დაგმობილ და განეიტულ იქნა და დაიწერა არა როგორც დასაწყისი, შესავალი, წინასიტყვაობა, პროლოგი ან მოძღვრება შაირობასა და მიჯნურობაზე, არამედ დაიწერა როგორც ახსნა-განმარტება, როგორც საჩივარი, როგორც ცაქმე მართალი, მაგრამ მაინც ბრალდებული კაცის, საბოლოო სიტყვა, კვლერიკალური ეკლესიისა და სამეფო კარის გონებადაზშეულ მოხელეთა, კარიერისტთა და ფარისეველთა მიერ შეუცნობელი, ან განკეგ შეუცნობელი გენიოსის, უდიდესი ხელოვანის, ნოვატორის ღაღადისი უზენესის წინაშე. ასევე ღრმად კარ, დარწმუნებული, რომ სწორედ ეს გაბლდათ ბაბ ზეზი რუსთველის პალესტინაში გარდახვევწასა.

სწორედ ამიტომ არის, იგი მუხლშოდრეკილი და ცაში ხელაპყრობილად გამოსახული ჯვრის მონასტრის კედლზე, ვითარცა უდიდეს ცოდვათა მონანიების მთხოვნელი.

და თუ მართლა ცოდვა რამ ჰქონდა ჩადენილი დიდ რუსთველს, დე, შეუნდოს ღმერთმა!

თუმცა რა აქვს შესანდობარი, როდესაც კაცობრიობის გაჩენის დღიდან არც ღმერთისთვის, არც სიყვარულისთვის, არც მეგობრობისთვის, არც ვაჟკაცობისთვის, არც ქალისთვის, არც კაცისთვის, არც მზისთვის, არც ცისთვის, არც დედამიწისთვის ასეთი დიდებული ჰიმნი ჯერ არავის არ უმღერია!

P. S. მინდა ჩემმა დაღლილმა მკითხველმა ისიც იცოდეს, რომ ვიდრე ამ წერილის დაწერას გავბედავდი, უამრავი ლიტერატურა გადავეკითხე „ვეფხისტყაოსანის“ გარშემო დაწერილი, უამრავი ღამე გავათენე უძილოდ და ბოლოს გადაეწყვიტე. ეს ჩემი ნაფიქრალი მაინც მეთქვა მისთვის, ასევე ბევრი ფიქრის შემდეგ გადაეწყვიტე არც ერთი წყარო და სხვისი აზრი არ დამემოწმებინა ჩემი აზრის ვანსამტკიცებლად, მიეხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანიც ცოტათი მაინც უახლოვდება ჩემს მოსაზრებას და ამაგრებს ჩემს პოზიციებს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს აზრი დამებადა უფრო ადრე, ვიდრე სპეციალურ ლიტერატურას გავეცნობოდი, ხოლო მეორე, ამით კიდევ ერთხელ მინდოდა ხაზი გამესვა იმ გარემოებისათვის, რომ, თუ ვინმეს რაიე ინტერესებს „ვეფხისტყაოსანისა“ და მისი ავტორის გარშემო, ღმერთმანი, ყველაზე უკეთ, ყველაფერი თვით, „ვეფხისტყაოსანსა“ და მის „პროლოგშეა“ სწერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა მაღრაძე

სრბოლა ცხოვრებისა

„ღონე ქვეყნისა ნიჭიერი და მხნე კაცია. ნიჭიერ კაცთა უყოლობა ჰქმნის ერსა უღონოდ“ — უთქვამს ვოლტერს. არც ისე ცოტა ხანია რაც ჩვენს შორის აღარ ტრიალებს დიდად ნიჭიერი მწერალი და მხნე კაცი ლევან გოთუა, მაგრამ ქართულ მწერლობაში მის მიერ დაპყრობილი ადგილი კვლავ დაუსახლებელია, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქართულ მწერლობაში ლევან გოთუას თავისი საკუთარი ადგილი ჰქონდა და აქვს.

ლევან გოთუა დაჯილდოებული იყო დიდი და ნათელი გონებით, მარგალიტივით ძნელად რომ იპოვება ქვეყნად. მისი, როგორც მწერლის, იდუმალი ოსტატობა და მომხიბვლელობა ის გახლდათ, რომ მკითხველი მუდამ დაპბეჭდილი და მონუსხული ჰყავდა. ლევან გოთუა იყო ჩვენი წარსულის პირუთვნელი მსაჯულიც და ჭეშმარიტი მხატვარიც.

იგი გახლდათ საშუალზე კარგა მაღალი, წარმოსადეგიან, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი, ბრგე მოყვანილობისა, თეთრყრმიზი, ბუბუნა ხმის პატრონი, დაფაწიფულწარბება, ხუჯუჯშინანი, ნამდვილი ეფაკეცური სულისა და ბუნების ადამიანი, თავისი ხალხის დიდად მოყვარული, ჭეშმარიტად კეთილშობილი, ქართველი მამეული შვილი. იყო ძალზე გამრჯე კაცი, დაუღალავი მშრომელი, დიდად განსწავლული მწიგნობარი. ქართული მწერლობის ზედმიწევნით მცოდნე, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში ერთობ გონებაგაწვრთნილი. იყო, დაუცხრომელი მთამსველი და მოგზაურობის ნამდვილი ტრფიალი, რამაც აღრე გაუღო გულისკენი, გაუფართოთა თვალსაწიერი, მომშოფა როგორც მწერალი და ღრმად ჩაახედა ჩვენი ერის წარსული ყოფაცხოვრების მეტად აწეწილ-დაწეწილ და რთულ ლაბირინთში .

მან ზედმიწევნით კარგად შეისწავლა ადამიანი და მისი ბუნება, განსაკუთრებით ქართველი კაცის ხასიათი. სიკვდილის წინ ცოტა ხნით ადრე დაწერილ ოფიციალურ ავტობიოგრაფიაში იგი გვაქცნობს, რომ დაიბადა ქ. თბილისში 1905 წლის ათ მარტს, ახალი სტილით. მამა, პაპენენ გოთუა, წარმოშობით ძიმითიდან, იყო საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი. მის კალამს ეკუთვნოდა მრავალი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოები. დედა, ქეთევანი სოფიო გრიგოლის ასული ქემულარია, თავისი დროისათვის ფრიად განათლებული ქალი ყოფილა. ლევან გოთუა დაბადებული მრავალშვილიან ოჯახში. წერა-კითხვა შეისწავლა დედამ. მამის მეოხებით კი ადრე შეეჩვია მოგზაურობას, ეზიარა საშობლო ქვეყნის სიყვარულის უდიდეს გრძნობას და ჩაესახა შემოქმედებითი მისწრაფებები.

სწავლობდა თბილისის ტექნიკურ სასწავლებელში, მერმე კი სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე. ერთდროულად შეუდგა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლას. წერა ადრე დაიწყო, თუმცა ნაწერებია გამოქვეყნებისაკენ თავს იკავებდა. არაერთი ლექსი, მოთხრობა თუ პიესა შემდეგ მოწაფურ ნამუშაკევად მიიჩნია და მოსპო.

მთამსველობამ და მოგზაურობამ ადრე აუხილა გონების თვალი. „ამან მომიმწიფა და გამაბედვინა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლაო“, — წერდა იგი.

ლევან გოთუამ ჯერ მგზავრული ნარკვევები გამოაქვეყნა, რასაც სულ მალე თან მოჰყვა ისტორიული და თანამედროვე ლრამები: „მეფე ერეკლე“, „უძლეველნი“, „დავით აღმაშენებელი“. დაბეჭდა მოთხრობებიც: „ყინცვისის ანგელოზი“, „ლრწინისის სევდა“, „უგზო ქარავანი“.

შემდეგ ძირითადად პროზაში გადაინაცვლა, როგორც ყველაზე უფრო ტკივდ ეანრში. და-

ბეჭდა „გმირთა ვარამი“ ოთხ წიგნად, „ნისლი ნახატართა ტყეში“, „ლეკვი ლომისა“, მითრიდატეს წიგნი და სხვ.

მოგეხსენებათ, რომანი უფრო ტეკადი ჟანრია, სიმაღლის დასაპყრობად კი ფრთებია საჭირო. ლევან გოთუას თავისუფლების ფრთები შეესხა, როგორც ბურეფაც ცის ოაკეანდში შინაგანდა, თვალსაწიერი გაიფართოვა, დარღვეული დროთა კავშირის შედეგსაბეგა მოიწყალნა, ჩამობმული საქანელის თოკი დაიგრძელა, ქვეყნის და ხალხის სასაგებელოდ შემართებული ფიქრნი, ზზის ქვეშ ნელ-ნელა სიტყვად და სტრიქონად ჩამოღვენთა, ჩამოქნა. ვისთვის რიოში სიტყვა გიამტა, ვის მეფური ლექნი არ დააკლო, ხალხისა და ქვეყნისთვის კი აღალი სიტყვა დიატოვა, პირდაპირი, ხალასი სიტყვა გულთან შუამავლის გარეშე რომ მიდის, უშუალო საუბრისათვის რომაა ვარვი და გულის მოსაფხანი, გულთისა და ოყალთოს, ბეთლემის და ვარძიის, ყინწვისისა და შიო მღვიმის დიდი ტაძრების დარაკში გამოვლილი, დავით ალმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ ცისარტყელის შვიდ ფერში ნაწრთობი, ნაფერები, დაფერილი, ნანის ნანატრად გაზრდილი სიტყვა. მან იცოდა მადლი ამ სიტყვისა, რადგან ოიანე ზოსიმეს „ქებანი და დიდებანი“ ფასი უწყოდა, რადგან გენიალური რუსთაველის სიტყვის მძლეთამძლეკობა სწამდა, რადგან ეთაყვანებოდა უკვდავი სპასა ძალთმ, დინჯ, დარბაისლურ ქართულს, გურამიშვილის ელვარე სიტყვის შემართებისა სჯეროდა, ჩვენი რომანტიკოსების ხატოვან ქართულს აღმერთებდა, ილიას და სამოცისანელების სიტყვას გულისხმაპყოფდა და თვითონაც ჰქონდა პრეტენზიები მხატვრული სიტყვათქმნისა.

ლევან გოთუა აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „კომუნისტთან“, „ლიტერატურულ საქართველოსთან“, თეატრებთან, კინოსთან. ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ მეშაობას. იყო მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს კულტურის ძეგლთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი-დამაარსებელი, ალეკრი კლუბის წევრი, თეატრალური საზოგადოების წევრი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე მოწვევისა, მიღებული ჰქონდა მრავალი სიგელი და მედლები.

როცა ლევან გოთუაზე ჩამოვარდება სიტყვა, წამითაც კი არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ იგი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული თავისი ქვეყნის ზარსულთან და ამით მის აწმყოსა და მომავლთან. პირადად მე ლევან გოთუა და ჩვენი ზარსული ერთ განუყოფელ ხალას ზოდად ზარმომდგები ხოლმე თვალწინ. ამიტომ, როცა ლევან გოთუაზე ვლაპარაკობთ, ჩვენს ისტორიაზეც უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა.

კიმირიელებიდან მოყოლებული, რომელთაც ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით პირველებმა დაღუპეს აღმავალი გზით მავალი ქართული სახელმწიფო, მრავალმა დამპყრობმა გამოსცადა ხმლის ფხანიობა ქართველთა კისერზე. იცლებოდნენ ეპოქები, მონაცვლეობდნენ თაობები, მაგრამ ქართულ სახელმწიფოს მზეს, ეტყობა, ხანგრძლივი ულრუბლო ნათება არ ეწერა. ჩვენი წილი ცა მუდამ საადრო ღრუბლებით ყოფილა გადაბარდნილი. იმ მოუმე ღრუბლებში, საუკუნეთა შიგან, იშვიათად თუ უჭიატია, თუმაც, მოციალე მზის სხივთ. საქართველომ სხვადასხვა დროს იწვნია: კიმირიელთა, სკვითთა, თრაკიელთა, რომაელთა, ბერძენთა, სპარსთა, არაბთა, თურქთა, მონღოლთა, თურქმანთა, ყირიმელ თათართა მძლავრობის სუსხი. ერთიან საქართველოს სხეულს დაუნდობლად ფლეთიწნენ გარეშე მტერთა დაგებული ხეანჯლი, წეწნენ; გარეგან წაქეზებით, შინაგანთ წინააღმდეგობანი, და ბოლოს უღებნენ ძმათამკვლელი ომები. რამ გადაგვარჩინა, როგორ გამოვლეთ ქარიშხლიანი მრისხანე და მტარვალობანი აღსავსე საუკუნენი, „რამ შეაერნახა ეს ერთი მეუა ხალხი ამ ორი ათას წელიწადს ამოღენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩინა ხარბობამ უცხო თემთა ის მშვენიერად შემკული წალკოტი, რომელსაც საქართველოს ეძახიან? ეს კითხვა აწვალებდა საქართველოს დიდ პირისუფალსა და უპირველეს მესტატეკეს ილია ჭავჭავაძეს. რამ გვიხსნა განსაცდელისაგან? ვინ ჰპოვა გზა ხსნისა, რომელსაც მივყეოთ, რამდენი დაღვრილი სისხლის საფასით შეეინარჩუნეთ ჩვენი ენა, ეროვნული მეობა, სახელმწიფოებრიობა და სული ქართული? რამდენი თაობის წარმომადგენელთა ძლიერი ხასიათების წყალობით, სიმტკიცით, გარჯითა და ოუდღენებით მოვიპოვეთ 1801 წელს ნავსაყუდელში შესვლის უფლება? ვინ იყო ის ქართველი მოსე, ვინც ხსნის ეს გზა დასაბა, ითავა ამ გზის გაწალდვა და ერს, ასე თუ ისე, თვითმყოფობა შეენარჩუნა?

ძალიან მტანჯველად, მეტად შიშველად, მე ვიტყოდი, სასტიკი ცეცხლოვანი მგზნებარეობით ეს კითხვები ყოველი ქართველი მოაზროვნის წინაშე დასმულა.

ბუნებრივია, ეს კითხვები აწვალებდა ლევან გოთუასაც. ამ კითხვებზე ეწოდა გულწრფელი, დამაჯერებელი პასუხი გაეცა მხატვრული სიტყვით და სწორედ ამიტომ საქართველოს წარსულიდან სამზეოზე ამოვჭრილნი ჩვენი ცხოვრების შავნაწილი ამბები. მისი მიზანი იყო მშობელი ხალხისათვის ეჩვენებინა, რომ ჩვენს ისტორიაში იყო არა მარტო გმირული შემარ-

ელგუჯა მაღრაძე
სრბილა ცხოვრებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თება, სამშობლოს საკურთხეველზე ნებაყოფლობით გაწირვა სიცოცხლისა, თავდადება ახლობლთა და მოყვასისათვის, მოყვრის გატანა, ერთპირობა, მხარის მიცემა, სჯულზე მტკიცედ და ურყევად დგომა, თანამძმეთათვის გასაჭირში შეშველება, არამედ ღალატი, შურაკი, ეღორნობაც, ეოლაჯობაც, შფოთვა და ძმრული. ბორგვა და შიში, რომ უფრო ხშირად იდგა უამბერი ყამი, იყო ძმისადან ძმის არ დანდობა, შეიღლისაგან მამას გაწირვა, გადაშენების, გადაგვარების და პირისაგან მიწისა აღგვის საფრთხე და განსაცდელი. ლევან გოთუა რომ წარსულის იდეალიზაციას არ ახდენს და სინამდვილიდან გამომდინარე რეალისტურ სურათებს აღადგენს, ამის დასადასტურებლად „გმირთა ვარამიდან“ ნეკრესის ციხე-კოშკში დატყვევებული უფლისწულის — გიორგის ნაფიქრალ-ნააზრევს დავიმოწმებ: „გიორგის ფიქრთა ანარეკლმა რატომღაც მტკვარზე თავისი ყოფა შეახსენა. იქ ოვრძნო მან, საკუთარ ბუნებაში ოვრძნო უეცარი ყოყმანი, მცირე მოღალატე. მაგრამ სძლია გველსისინა და თავი გიუჩიჭვა, აი, გზამ ბოლოს ნეკრესამდე მოიყვანა. იქნებ მარტვილობამდე. „იქნებ ყველას ასე მოსდის, თუ ჩვენი — კერძო ქართული სენია? დ ყოველ ქართველში ზის მცირე ვმრიც, მაგრამ მეცრე მოღალატეც, მცირე მარტვილიც? უცნო ცეცხლის დამშრეტიც, მაგრამ ვერც თავისის ვამჩაღებელი? აქ რაღაც მანკია, რაღაც მიზეზი!“

ქართველი ხალხი მაინც გადარჩა იქ, სადაც სხვები უკვალოდ გაქრნენ. არა მარტო გადაჭრით, შეეინარჩუნეთ მრავალჭირგამოვლილი ქართული ენა, შეეინარჩუნეთ ქართული სულიერშფოფებრობიან, ჩვენი შეობა, ჩვენი ზნე, ჩვენი ადათი, ჩვენი წმინდა სახატე, ჩვენი სალოცავი, სულის სათხი, ერის შინაგანი სიმტკიცის რეალი — ქართული დამწერლობა და ნუთუ საქეეყნო საოცრება არ გახლავთ, რომ მსოფლიოში არსებული თოთხმეტი ანბანიდან ერთი ქართველია? ჩვენთა გამოვლილმა ჭირმა თაობები გაასალფლეეეა, გაამპაცცრა, მისცა სულის და ჯანის მხნეობა, ჩაუნერგა რწმენა და იმედი მომავლისა, აღადგნო უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად და მეოცე საუკუნეში კვლავ ვიღორძინეთ, მაშინ, როცა სხვანი, ჩვენზე ბეერნიკი და მრავალნიკ, აღზეევბულნოცა და დამდაბლებულნიც გაიწირნენ და სრულიად გადაშენდნენ.

ჭეშმარიტი ქმნილებებისათვის არ არსებობს კანონზომიერება, ისინი თავად ქმნიან კანონზომიერებებს, რომლებსაც შემდეგ მისდევენ და ემორჩილებიან ლიტერატურაში მოსული ათასეულები. კანონზომიერების რღვევაც თვისებური ლიტერატურული ვაქაცობაა, თუ შეეჭქმნი მის ტოლფას კანონზომიერებას. „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" ღირსებად მიმაჩნია ისიც, რომ მისთვის უცხოა აკადემიური ტონი, რაც არცთუ იშვიათად თან ახლავს ხოლმე ისტორიული ეპიზის წაწარმოებებს. ოთარ ჭილაძემ შექმნა საყოველთაო, სახლაზო წიგნი, რომელშიც ისტორიულ მითებს ჩამოაცილა მიუკარებლობის, შორეულობის საბურველი. მან პერსონაჟების — იქნებიან ესენი მეფეები თუ მეძავები, მოქალაქენი თუ მენავეები, დიდებულები თუ უცხოელი დამპყრობნი — ცხოვრება დემოსის სამყაროს დაუკავშირა. ეს პერსონაჟები იმდენად ყოველდღიური თავიანთი საზრუნავით თუ სატკივარით იმდენად მოფუსფუსენი არიან, რომ თანამედროვე მკითხველი უმალ აშყარებს კონტაქტს მათთან. ეს ლაბათ მიღწეულია იმითაც რომ ო. ჭილაძემ შეაქმნა რომანი არა დროზე, არამედ ადამიანებზე, რომლებსაც დროის გარკვეულ მონაკვეთში მოუხდათ ცხოვრება. ყოველი ეგზმარტი მწერლისთვის კი უმთავრესი ვახლავთ ადამიანები, მათი საზრუნავი და სატკივარი. ამ აკადემიური ტონისაგან განთავისუფლება კი არცთუ იოლია ერთი გარემოების გამო — შენ სწერ ადამიანზე, რომელზეც უკვე დაწერილია კაცობრიობის ერთ-ერთი გენიალური ქმნილება. ევრიპიდეს მიერ აღწერილი მედეას ყოფის წინა პერიოდს ჰკიდებს ხელს, მაგრამ ო. ჭილაძის გამარჯვების საწინდარი ისიც არის, რომ მისთვის თითქოს არ არსებობს ორიენტირი, რომელსაც უნდა გაეკიბრის და გაუტოლდეს. მისთვის არსებობენ ადამიანები, კოლხები და მათი სატკივარი — არსებობს ის, თუ როგორ მოვიდა პირველი დამპყრობელი ქართველთა მიწაზე. თუ საიდან დაიწყო ქართველთა მოწამებრივი ბძანოება დამოუკიდებლობისათვის. ქართველთა პირველ დამპყრობელს კი ქართველთა ზვალი სჭიროდა, ქართველებს უნდა ეხსნათ იგი სიკვდილისაგან, გადაერჩინათ, რომ შემდეგ მისი უბრალო არსებობაც კი (სიკვდილი მითუმეტეს!) ქართველთა გამმწარებელი სვებედის გამიმშვენი ყოფილიყო, დაწუებულიყო ექსპანსიის დაუშრეტელი ცეცელი.

„გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" ნათელი დასტურია იმისა, რომ ო. ჭილაძე ნაკლებად ეწლობა ემოციებს, მან იცის, რომ მტერი ჭკვიანია და ზორსმჭვრეტელი. სახელმწიფოს ერთი უემოციო, ზორსმჭვრეტელი კაცის გონიერება უფრო ოგებს, ვიდრე გაწურთნილი, თავით ფეხებამდე შეიარაღებული არმიები.

„ყველაზე დიდი მეფე" მინოსი ოცდახუთი წელი ემზადებოდა კოლხეთის ოკუპაციისათვის. ემზადებოდა ნელ-ნელა, გააზრებულად, ქმნიდა სათანადო ატმოსფეროს, რადგან იცოდა — ხალხს იარაღთან ერთად გარკვეული იდეური მიზანიც უნდა მისცე ხელი, რომ გამოაყვეს ხა სისხლი დაანთხოს იმისათვის, რაც მას არც ეხება და არც სჭირდება. ამიტომ შეაშბალა მინოსმა ფრიქსეი, რომ მას კოლხეთში ბუდე და საფლავი გაეჩინა. ამ ერთადერთ საფლავს უნდა დაეპყრო კოლხეთი.

აქ დამპყრობლის აგრესია ძალზე ჩუმი და უხმაუროა, იგი მოდის როგორც უმწეო ბავშვი, მოდის მძაკვდავი და მინასის ეს „უსუსური" აგრესია, რომ მეტად საშიშია, ეს გამოჩნდება „მეორე ტალღით", როცა კოლხეთში, ვანის ნაპირებზე თორმეტნიჩბანი ნავი მოაცურა იასონმა. მან ვერ გააკეთა ის, რაც ეკალბოდა — ვერც ბუდე გაიჩინა კოლხეთში და ვერც საფლავი, ამით კრეტელებს, მინოს ხელიდან გამოაცალა აგრესიის გასამართლებელი იდეოლოგიური საფუძველი, მაგრამ ამ შემთხვევაში, დამპყრობლის პოზიციიდან გამომდინარე აიეტი უფროა ბრალეული, ვიდრე მოქნილი იასონი. აიეტმა არ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა, მან არ დასაჯა თავზედი იასონი. ეს თითქოს ამართლებს კიდეც იასონს და გზას უღობავს კოლხეთში კრეტელთან აგრესიის. ფრიქსეი ბერძნებისათვის ვმირი გახდა, ოგივე მიზანი ედო წინ იასონს, მაგრამ მან ვმირობას თავი დაალწია და მეფობას შეეპოტინა.

იდეოლოგიური საფუძველის უქონლობა არ აკაკვეთ კრეტელებს. გარდასახდელი გარდახდათ ქართველებს. ოყაჯადო ხეება მესვეურო ვანისა, მაგრამ ეს ის დროა, როცა დამპყრობლის მოსვლა ძირფესვიანად არ სცალია ქვეყნის ბედს, ადამიანთა ყოფას. დამპყრობელი იდეური მესვეურობით ამაყოფილდება, გავლენის სფეროს მოპოვებით ამთავრებს თავის აგრესიას, — ვანი კვლავ თავისი რიტმით განაგრძობს ცხოვრებას. შავთვალება მალალო, კვლავ თავის ამპლუაშია, მეღვინე ბახას მრავალსაფეხურიან სარდაფში კვლავ თავს იყრიან მუშტრები. ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებაში, რომლის გარკვეულ და გადმოცემაც უმთავრესი მიზანია ოთარ ჭილაძისა, გარეგ-

ნულად არ ხდება მნიშვნელოვანი შემოტრიალება. მაგრამ ცხოვრების არსი მაინც შეიცვალა, შეიცვალა ბუნება-ადამიანებისა. ო. ჭილაძემ კარგად იცის, რომ ადამიანთა ბუნებას, ერთიერთობას გაანჩინა კლასიკური ნორმები, რომელიც თითქმის მარადიულია. რომანის დიდი მონაპოვარი ისიც არის, რომ ავტორმა არ უკუაგდო ეს ჭეშმარიტება, მისი გათვალისწინებით, რომანი დიდი ლიტერატურული ცხოვრების ბილეზე შედგა. ამიტომ ვამყარებთ ასეთ კონტაქტს „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“-ს პერსონაჟებთან. მთავარი ეს კი არ არის, რომ ეს პერსონაჟები შორეულ სუკუნეებში ცხოვრობდნენ, არამედ ის, რომ ისინი ადამიანები არიან და შეურაალმა ამ უხსოვარი დროის ადამიანები თავთავიანთი ენებებით, მისწრაფებებით, ტკივილებით ჩვენთვის ახლობელი გახადა. ო. ჭილაძემ არ დაგვიხატა ლიტერატურულად წარმოსახული გარემო. იგი არსის სიღრმეში შეიკრა. ადამიანთა ბუნების კლასიკური ნორმები განაზოგადა იმ ისტორიულ გარემოზე, რაზეც ზემოთ წერდა. და ის, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, ერთ-ერთი ხაზია ო. ჭილაძის რომანისა, ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ნაწარმოებისა და ო. ჭილაძის ლიტერატურული აზროვნებისა.

ო. ჭილაძის ამ წიგნმა აღგვაფრთოვანა და გაგვაკვირვა, გაგვაკვირვა, რადგან ასეთი დიდი, ასეთი ღრმა მეტაფორა პოეტისა, იშვიათი მოელენაა. „გზაზე ერთი კაცი მიდიოდამ“ — ამ დიდმა ტილომ, ზღვა მასალამ — ერთიანად შთანთქა „თაკო და ზაზას“, „თიხის ფარფატებისა“ თუ სხვა პოეტურ ეიზულებათა ავტორი. რაოდენ დიდიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი აღფრთოვანება ოთარ ჭილაძის პოეზიით, რასაკვირველია, იგი ვერაფრით ვერ გაუტოლდება ამ რომანის ავტორის ლიტერატურულ რეპუტაციას და დონეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუტი

დიდი მწერლის გახსენება

მიხეილ ჯავახიშვილი ერთ თავის წერილში ამბობს: „ხალხურობა, სინათლე და უბრალოება ერთადერთი გასაღებია ხალხის გულისა“. ეს გასაღები ყველა დიდ მწერალს, მათ შორის მიხეილ ჯავახიშვილსაც ჰქონდა. ამას მოწმობს მისი მოთხრობები და რომანები, ესოდენ მისაწვდომი ყველასათვის. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მწერლის ენა გახლავთ. მაგრამ ენა, მ. ჯავახიშვილის აზრით, ორნაირია:

„მწიგნობრული და ხალხური, რომელიც მწიგნობრულზე უფრო ფერადოვანია, უფრო ნათელი და უფრო მოქნილი“. ზოგს მწიგნობრული ენა ურჩევნია. მ. ჯავახიშვილისათვის კი მხოლოდ ლიტერატურულ-ხალხური ენა იყო მისაღები. მისი ქართული შუაგულ საქართველოს ეყრდნობა. მაგრამ იგი საერთოდ კილოკავის წინააღმდეგი როდი იყო. ვაჟა ფშაურ კილოზე წერდა, ე. ნინოშვილი — გურულზე, დ. კლდიაშვილი — ქვემო იმერულზე, მაგრამ სამივე დიდი მწერალია. — წერდა იგი. ერთი სიტყვით, თუ ცხოვრება, მოვლენები, კოლორიტი კილოკავით სწორად არის ასახული, ეს ასახვა მხატვრულია მაშინ, ნაწარმოები დიდებულია. მაგრამ „შეეძლებელია, რომელიმე კუთხურმა კილომ შეაერულოს და შესცვალოს მრავალ საუკუნეში დადუღებულ-შეჭედილი ჩვენი ენის საფუძვლები“.

მართალია, ენა უმთავრესი სამწერლო იარაღია, მაგრამ ბელეტრისტისათვის, — წერდა მ. ჯავახიშვილი, — ტიპის შექმნა ისევე სავალდებულოა, როგორც სიუჟეტი. იდეა... ამბის შეუდარებელი მთხრობელი მკვეთრად ხატავდა ტიპებს, რომელთა ბუნება სავსებით ვლინდება მათს ავსა და კარგ ყოფაქცევაში.

მ. ჯავახიშვილის საოცრად მახვილი თვალი და არაჩვეულებრივი სმენა ჰქონდა. იგი დაჯილდოებული იყო დაკვირვების და ცხოვრების წინააღმდეგობის რელიეფურად გამოსახვის ღვთაებრივი ნიჭით.

მ. ჯავახიშვილის პროზის ნიშანდობლივია ძლიერი ფაბულა, მოქმედების დინამიკური განვითარება, ხასიათების ინდივიდუალობა და დამაჯერებლობა.

მ. ჯავახიშვილი 23 წლისა იყო, როცა მისი პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“ დაიბეჭდა და 56-ისა, როდესაც უკანასკნელი სტრიქონი დაწერა. მის მხატვრულ მემკვიდრეობას შეადგენს ხუთი რომანი („კვაჭი კვიპანტრაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“, „ალსენა მარაბდელი“, „ქალის ტკივილი“), და რამდენიმე მოთხრობა. მაგრამ საქმე მარტო რაოდენობა როდია. იგი ნათლად გამოთქვამდა აზრს, მთელი სისავსით ხატავდა სურათს, დეტალს, სრულყოფილად ფლობდა ტიპის აღწერის ხელოვნებას. სიუჟეტურ-კომპოზიციური ანალიზი გვარწმუნებს, რომ მ. ჯავახიშვილი ფართო გაქანების ოსტატია. მაგრამ მთავარი მაინც რეალობის მძლავრი გრძნობა და მიწის გაბასრული ალღოა. „ეს ორი რამ, — წერდა იგი, — ხელოვნებისათვის და ხალხისათვისაც უებარი დუღაბია — მთი სულისა და სხეულის გამფოლადებელი“.

ესარგებლობ შემთხვევით და მინდა გავიხსენო 1926 წელს „ჯაყოს ხიზნების“ ირგვლივ გამართული დისპუტი, რომლის დამსწრეც გახლდით. „ჯაყოს ხიზნები“ ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს არ მოეწონა. ნებისყოფაგამოფიტული და სულიერად სავსებით ვანდაგურებული თეიმურაზ ხევისთავი ქართული ინტელიგენციის დამამცირებელ სახედ მიიღეს და ავტორს ბრალი დასდეს სინამდვილის დამახინჯებაში. სავსებით მართალია გიორგი ნატროშვილი, როდესაც ამბობს, ამ რომანის გასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვსო

ჯავახიშვილის ერთ წერილს, „მასალები ლექციისთვის“ (1927), ამ წერილში ავტორი ებრძვის ნიჰილიტებს, რომლებიც საქართველოს მომავალს ეშვის თვალით შესცქეროდნენ, მ. ჯავახიშვილი წერს:

„მაგონდება ჩემი თეიმურაზ ხევსოსვიც. მას იმედი დაჰკარგვია და გული დაჰშეავება, ვიღუმებით“ ჰკოვს ხევსოსვი და სასოწარკვეთილი უიმედობით იხრჩობა. მისი პესიმიზმი გადადის შავ ფელანქოლიაში..

რა დაემართა ამ ადამიანს? თავისი თაკარწმენა დაკარგა, სიცოცხლის უნარი დაეზლუნგდა, ნებისყოფა გამოეცალა, ფსიქობათოლოგია კარგად იცნობს ას სენს—ზოგჯერ მასობრივსა და მუდამ სახიფათოს..

ტყეططლად კი არ ამბობენ ფრანგები, თვითრწმენა გამარჯვების ნახევარიაო. იგივე ითქმის სოციალურ ფსიქიკაზეც“.

აქედან ჩანს თუ რა კეთილი მიზნით არის დაწერილი „ჯაყოს ჩიზნები“, რომლის ავტორს მაშინ დიდი ტრიბუნიდან მსარი სერგო ამაღლებელმა და ბესარიონ ყლენტია დაუჭირეს.

დიდი დავა და კამათი გამოწვია იგივეე „დამპატიეემ“. მოთხრობა, რომლის მთავარი პერსონაჟია მშრომელ გლეხზე და „დიდ კაცებზე“ სამადლიდ აყიდებული ოქროპირი, მეტსახელად „დამპატიეე“, გამოქვეყნებისთანავე (1928) განიხილა ცნობილმა ლიტერატორმა ვალია ბახტაძემ და მწერალს უსაყვედურა წინა პლანზე უარყოფითი ხასიათის წამოწევა.

რა თქმა უნდა, — წერდა იგი, — „დამპატიეემი დღეკანდელ პირობებში ცოტანი როდი არიან“, მაგრამ მთავარი მაინც დამპატიეემი არაა. დღეკანდელს „ეფეფელ“ დამპატიეე კი არ ახასიათებს, არამედ ის უსახელო და უმიწაწყლო ათასები, რომლებიც გეშინ თავს აკლავდნენ ბრძოლის ველზე. დღეს კი, ძალისა და ცოდნის მიხედვით, სოფელი ახალ ლიანდაგზე გადაკაჟავთ. განსაკუთრებულ და კულტურულ ცხოვრების ნიადაგზე“. მოკლედ რომ ეთქვათ, ვ. ბახტაძეს მწერლის უმთავრეს ამოცანად ეპოქის დადებითი ტენდენციების გამოხატვა მიაჩნია. საერთოდ კი, იგი დიდად აფასებდა მ. ჯავახიშვილის მხატვრულ ნაკუს: „რაც უნდა უმნიშვნელო, უბრალო ამბავზე შლიდეს ის თავის მოთხრობას, მკითხველი მაინც დაინტერესებულია იმით, თუ როგორ დამთავრდება ეს სრულებით არა საინტერესო საერთოდ, მოთხრობაში კი მეტად საინტერესოდ შექმნილი ამბავი, ეპიზოდი“. ამ სტრიქონების ავტორი ახალგაზრდა მწერალს მოუწოდებდა: მ. ჯავახიშვილისგან ისწავლეთ საინტერესოდ წერა.

მოთხრობა „ქუდის“ გაიშვიტა მთელი ავტრაფეტი. მ. ჯავახიშვილისადმი კეთილად განწყობილი ვ. ბახტაძე წერდა: „ჩვენ ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვიხდა მ. ჯავახიშვილი მხლოდ ნაკაცარების მწერალი დარჩეს. მართალია, მას ბალან ეხერხება ასეთი ნაკაცარების დასურათება. ყველა ეს თეიმურაზები, ჩიარაძეები და სოკოლოვები მხატვრული ისტორიაა რევოლუციის მიერ განადგურებული ზედმეტი ადამიანების. ეს დიდი დამსახურებაა, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვინდა ასეთების მწერლად დარჩეს ივი“.

მ. ჯავახიშვილი დიდი შესაძლებლობის, ფართო გონებრივი ჰორიზონტის მწერალი იყო. ეი იმის მიზეზი, თუ რატომ მოითხოვდნენ მისგან ასე დაკინებით ახლის მშენებელთა ცხოვრების დასურათებას, იმ ადამიანების პორტრეტების შექმნას, რომლებიც „ხორცს ასხამენ კაკაბრიობის საუკეთესო შვილთა ოცნებას: ახალ წესებს ამყარებენ წინადაწაზე და იერიშებით მიდიან ცის წინააღმდეგაც“. შემდგომ მ. ჯავახიშვილი სავსებით იზიარებს ვ. ბახტაძის მოსაზრებებს. მის ერთ წერილში („ჩავდგეთ სოციალიზმის მშენებელთა რიგებში!“) ვეთხულობთ: „საბჭოთა მწერალმა მხატვრულ სახეებში უნდა დაგვანახოს ახალი მორალური ტიპები“. ერთი სიტყვით, უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, დიდი წარმატებები და იმდროინდელი კრიტიკის სწორი ხმა მ. ჯავახიშვილზე კეთილისყოფელ გავლენას ახდენს, ამას მოწმობს თუნდაც „ორსენა მარადელი“. „უწონ, — წერდა იგი, — „ორსენა მარადელს“ არ დაეწერდი, ან სულ სხვანაირად დაეწერდი“ („ხუთმეტი ათეკენ უნდა გამრავლდეს“) ეს წერილი მკაფიო წარმოდგენას იძლევა მწერლის მხატვრულ პოზიციაზე. მან მთლიანად იგრძნო სწრაფი ნაბიჯი მომავალი ცხოვრების სიდიადე. გულწრფელი ადამიანი იყო. წრფელი გული და სიმარტლე მწერლობის უმთავრეს ღერძად მიაჩნდა. ამ ღერძისათვის მას არასოდეს უღალატნია. ცდებოდა თუ არ ცდებოდა, ყოველთვის ემის ლაპარაკობდა, რასაც ფიქრობდა ხელოვნებას — ამბობდა იგი — ორი რამ ეშველება: პატივმოყვარეობა და თვითმყოფილების გრძნობა. ჩვენ, საბჭოთა მწერლებს, — წერდა დიდი ბელეტრისტი, — „არავითარი უფლება არა გვაქვს ნაბიჯი შეეანელოთ და თვითმყოფილებას მიეცეთ თავი. ცხოვრება არ გვიდის. ჩვენი კომუნისტური პარტია მედგრად მიიწევს წინ და მტკიცედ მოითხოვს ყველასგან და მწერლისაგანაც, რომ ნაბიჯს ვემატოთ და ჩვენს ბრწყინვალე მომავალს სიხარულით და პირნათლად დავუხვედეთ“.

ვლადიმერ ჯიბუტი
დიდი მწერლის ბახსენება

(„მ. ჯავახიშვილი „წერილები“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964, გვ. 460).

მ. ჯავახიშვილი იყო ბეშმარიტი მხატვარი, მას არაჩვეულებრივად უყვარდა ხელოვნება, ხოლო ვისაც ყველაზე მეტად ხელოვნება უყვარს“, არასოდეს არ არის თავის კმაყოფილი და ცდილობს სულ წინ იაროს“. (ბეთმოვენი).

აქვე მინდა გავიხსენო გამოჩენილი ქართველი პოეტის კოლაუ ნადირაძის ნაამბობი: „1932 წელს მ. ჯავახიშვილი ქუთაისს გვესტუმრა. საოცრად მოიხიბლა მისი ადგილდებარეობით. აკი წერდა კიდეც: — უამრავი უცხო ქვეყანა დავიარე და ამგვარი საქალაქო პეიზაჟი არსად არ მინახავს“.

დია ჩიანელმა (დ. ჩხეიძე) მ. ჯავახიშვილის პატივსაცემად სადილი გამართა. ვერც კი წარმოგვედგინა, რომ ასეთი შესანიშნავი მწერალს გვერდით ვისხედით. იგი სხვებისაგან გამოირჩეოდა მეტად თავისებური, საოცრად დინჯი, გარკვეული და ნათელი მეტყველებით. იმ დღეს მან ფრიად საინტერესო აზრი გამოთქვა აკაკი წერეთელს „ბაშიაჩუკზე“; „ამ ნაწარმოებში, მთელი საქართველოა გაერთიანებული, ქართველი ერი ერთ მთლიან განუყოფელ ასპექტშია მოცემული“. ლტაცებით ლაპარაკობდა დიდი პოეტის სხვა ნაწარმოებებზეც. გატაცებული იყო ავრცთვე ჯორკით, რომელმაც მასზე ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისში წარუშლელი გავლენა მოახდინა. შეურყეველი რეალისტი ევროპელი მწერლებიდან დიდად აფასებდა ბალზაკს, ჰიუგოს, ფლობერს, მოპასანს, იბსენს. ამ უკანასკნელს ბრწყინვალე წერილი უძღვნა. აქ ნათლად ჩანს ანტიკური და ევროპული ლიტერატურის ღრმა და ყოვლისმომცველი ცოდნა. საერთოდ კი მ. ჯავახიშვილი დიდად განათლებული ადამიანი იყო. მართალია, მწერლისგან იგი უპირველეს ყოვლისა ცხოვრების ცოდნას მოითხოვდა, მაგრამ ისიც კი უთქვამს, თუ მწერალი კარგად არ იცნობს დიდ ადამიანთა ნააზრევს, მსოფლიო მწერლობას, წინ ვერ წავა. დიდ მწერალს ბევრი კარგი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა“.

მ. ჯავახიშვილს ნამდვილად განუხორციელებელი დარჩა მრავალი ფრიად საჭირო ჩანაფიქრი, მაგრამ უმჯობესია მოვუსმინოთ თვით მას: „განზრახული მაქვს სამი მოთხრობა დავწერო: პირველი: მილიონერი კოლმეურნეობის (ასურეთის) ცხოვრებიდან. მეორე: კოლხეთის ამოშრობილი ჭაობები უნდა ენახო და ვცადო, ეს უზარმაზარი საქმე მხატვრულად ავსახო. მესამე: ოქტომბრის ოცი წლის თავსაც ღირსეული ნაწარმოები უნდა ვუძღვნა“ (მ. ჯავახიშვილი, ტ. VI, გვ. 485). ეს იყო მისი ეთილი მიზანი და როგორც გოეთე ამბობს, თუნდაც აუსრულებელი მაღალი მიზანი უფრო ძვირფასია, კიდრე აღსრულებული არაგონივრული სურვილი.

ო. ბალზაკი წერდა: „ჩვენ ჩვენი საკასაციო სასამართლო გვაქვს, — იგი მომავალია“. მ. ჯავახიშვილი იმ ერთეულ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის ვისაც შეეძლო ამ „სასამართლოს“ წინაშე ამაყად წარმდგარიყო. აკი წარსდგა კიდეც! სწორედ მომავალმა დაუმკვიდრა მწერალს უკვდავი სახელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როინ ვეტრეველი

მეცნიერი და მამულიშვილი

(შ. მესხიას დაბადებიდან 60 წლის გამო)

1974 წლის 17 თებერვალს გაზეთი „კომუნისტი“ მეთხუთეულს ამცნობდა: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ. ეს პრემია ენიჭება სამ წელიწადში ერთხელ მნიშვნელოვან ნაშრომს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში. პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ს. ჯანაშიას სახელობის პრემია მიენიჭა (გარდაცვალების შემდეგ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **შოთა ამბაკოს ძე მესხიას შრომას „ძლევაჲ საკვირველი“.**

ეს მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის შოთა მესხიას შრომა დაჯილდოდა ავტორის საყვარელი მასწავლებლის სახელობის პრემიით... „ძლევაჲ საკვირველი“ დასტამბულად ხილვას ვერ მოესწრო ჟისი შემქმნელი. წიგნი მაშინ გამოვიდა, როცა ავტორი უკვე სიკვდილისაგან იყო ძლეული. სიმბოლურია წიგნის სათაური. იგი ქართველი ხალხის დიდი გამარჯვების გამოხატვასთან ერთად, თითქოს ამ გამარჯვების შესახებ წიგნის შემქმნელის ბედსაც ეხმიანებოდა. ამ ბედმა კი შოთა მესხიას დიდი შრომა და ჯაფა არგუნა ცხოვრების არც თუ ის გრძელ გზაზე. „ძლევაჲ“ — სწორედ ეს ტერმინი გამოხატავს ქართველი სამეცნიერის მიერ გაწეულ ღვაწლს, შერკინებას საქართველოს ისტორიის კარდინალურ პრობლემებთან და ამ პრობლემების ღრმა მეცნიერულ გადაჭრას. დიახ, თეთრად გათენებულმა უძნელი ღამეებმა, მშრომელი ხალხისა და ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულით შთაგონებულმა დაუღალავმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო; წყაროები ემორჩილებოდა მეცნიერს და იგიც ჩვეული სიდინჯით, დაკვირვებულობითა და სიღრმით ახალ-ახალი გამოკვლევებით ამდიდრებდა ქართულ ისტორიოგრაფიას. შოთა მესხიას კვლევას წარმატება ახლდა თან და ახლაც, როცა მეცნიერი ცოცხალი აღარ არის, როცა მის ნაშრომებს დიდი ინტერესით ეცნობიან, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, ვვიხდება აღნიშნა, რომ შოთა მესხიას ცხოვრება და შემოქმედება იყო ერთნაირად რთული და ლამაზი, წინააღმდეგობრივი და წარმატებულიც, რომლის თანამგზავრი ყოველთვის იყო გამარჯვება — ძლევაჲ.

* * *

შოთა მესხია დაიბადა 1916 წლის 27 აპრილს, ს. ობუჯში. ოჯახს შოთას გარდა ბიჭი არ ჰყოლია და მის დაბადებას, ბუნებრივია, დიდი სიხარულიც გამოუწვევია. ერთი წლის შემდეგ მესხიების ოჯახი ობუჯიდან გადასულა სოფ. გაგიდაში (სამურზაყანო), სადაც შოთა მესხიას მამა მუშაობდა. იქ რამდენიმე წელი უცხოვრიათ და შემდეგ ზუგდიდში ჩამოსახლებულან (1920-21 წწ). აქ შოთას დები სკოლა-

ში სწავლობდნენ და მათი გავლენით მცირეწლოვან ძმასაც მოეთხოვნია სკოლაში წასვლა. და მართლაც 1922 წელს 6 წლის შოთა მისული ზუგდიდის სკოლის პირველ კლასში, მაგრამ პატარა ბაღშეს სწავლა გასჭირვებია და გარკვეული დროის შემდეგ აღარ უცლია; უკვე სასწავლებლად მოიწვიეს 1923 წელს ოფიციალურად ჩაურიცხავთ სკოლაში. როგორც ფეიერმან იგონებს, იგი არაფრით ვამოირჩეოდა სხვებისაგან — არც სწავლით, არც დისციპლინით. VI კლასიდან იწყება ერთგვარი გარდატეხა მომავალ მეცნიერში. მეხიეების სახლში ცხოვრობდა მასწავლებელი ქალი, მარო ხუბუტია, რომელსაც პოლიტიკური წიგნები ჰქონია და ერთ-ერთი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ შოთასთვის უჩუქებია. რასაკვირველია, მეექსეკლასელი მოსწავლისათვის ამ ნაშრომის გაგება შეუძლებელი იყო, მაგრამ მასში დიდი ინტერესი აღუძრავს, პოლიტიკური ცოდნის დაწაფების სურვილი გაუღვიძებია. „მანიფესტს“ მოჰყვა „ლუდვიგ ფოიერბახი“. თვით შოთა მეხიეი იგონებს: „მე უკვე VII კლასში საფუძვლიანად გავეცანი (და ბევრი რამეც შევისწავლე) ენგელსის „ლუდვიგ ფოიერბახს“. ასევე ეროხანოვის წინასიტყვაობას იმავე წიგნში, „მონისტური თვალსაზრისის“ ზოგიერთ თავებს და სხვათა წერილებს, წიგნებს“. ამავე პერიოდში ფილოსოფიით გატაცებული ჰაბუკი იწყებს ლექსებისა და დღიურების წერასაც.

1930 წელს შოთა მეხიეიმ დაამთავრა ზუგდიდის არასრული საშუალო სკოლა და სწავლის გაგრძელების დიდი სურვილიც ჰქონდა. სწორედ აქ ინიშნა თავი დაბრკოლებამ. საშუალო სასწავლებელში იგი არ მიიღეს, როგორც ყოფილი მრეწველის შვილი (იმ ხანად საშუალო სასწავლებლში მიღება სიღარიბის, ხმის უფლებისა და სხვა საბუთებით ხდებოდა). მეფილი გადაწყვეტილი წელი ის ზუგდიდში იყო. ფილოსოფიით გატაცება არ განელებია და ამ პერიოდში დიდი შრომისა და წიგნების კითხვის შემდეგ დაწერა რეფერატი „ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმის შესახებ“. ამ ამბავს შემდგომში ღიმილით იგონებდა მეცნიერი, მაგრამ საინტერესოა იმით, რომ ნათლად გვიჩვენებს ახალგაზრდის მისწრაფებებს.

„სხვაც ბევრი გავაკეთე გაცდენილ წელში— იგონებდა შ. მეხიეი — ასე, რომ იმ წელს ჩემთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. თუმცა ცუდიც გავაკეთე და მამაჩემისაგან ნებლი წყაკლებით ფეხებისა და ზურგის აკრეფების ღირსიც გავხდი. მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევა იყო და მუდამაამს დაუვიწყარი..“[1]

გვინდა შეეჩერდეთ ერთ დეტალზეც. შოთა მეხიეის დედის უახლოესი ნათესავი იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი, ლეო ქიაჩელი, რომელსაც დედი გავლენა მოუხდენია მომავალ მეცნიერზე. ლეო ქიაჩელი ხშირად ჩადიოდა, თურმე ნათესავების მოსანახულებლად ზუგდიდში და ხანა შშობლიურ სოფელ ობუჭაში. მისი ყოველი გამოჩენა დიდი სიხარული იყო ყველასთვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის. მწერალი ყოველთვის რაღაცით ასაჩუქრებდა ახალგაზრდებს. ერთხელ მას პატარა შოთასთვის საჩუქრად ჩაუტანია თავისი ხანაშვილი ბავშვობიდან კრებული „ზღვა, მზე და ოთარიკო“. შესანიშნავად ილუსტრირებულ და კარგად გამოცემულ წიგნს შოთაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. ლეო ქიაჩელმა საერთად ეკთილსმყოფელი გავლენა მოახდინა შოთა მეხიეის ცხოვრებაზე (ამაზე ქვემოთაც შეეჩერდებთ).

ერთი წლის გაცდენის შემდეგ შოთა მეხიეი ზუგდიდის სატყეო სასწავლებელში, რომელსაც 1933 წელს ამთავრებს. 1932 წელს იგი საკავშირო კომკავშირის რიგებში მიიღეს. ამან დიდი გავლენა იქონია ჰაბუკზე. ამიერიდან იგი მორალურად ძლიერ პროოკუნებად გრძნობდა საკუთარ თავს და ცხოვრებასაც უფრო თამამად უყურებდა თვალებში. მეოცნებე ჰაბუკს არ აკმაყოფილებდა მიღებული ცოდნა და იგი სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა. და აი, იმავე 1933 წელს შოთა მეხიეი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. აქედან მოყოლებული ფრთები ესხებოდა ცოდნასმოწყურებულ ახალგაზრდა კაცის ოცნებასა და სურვილებს. იგი ისმენს გამოჩენილი ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, შალვა ნუცუბიძის და სხვ. ლექციებს, მთელი სიღრმით შეიგრძნობს თავისი ქეყანის დიდ სიყვარულს, პატივისცემის აუცილებლობას წარსულისადმი და მომავლის დიდ პერსპექტივას. სტუდენტობის წლებში ეყრება საფუძველი შოთა მეხიეის, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარის ფორმირებას. იგი გატაცებით სწავლობს მარქსისტულ ფილოსოფიას, პარტიის ისტორიას. ეს მეცნიერებები ხდება მისი კვლევის მტკიცე მეთოდოლოგიური საფუძველი. იკვნე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია ღრმა კვალს სტოვებენ ახალგაზრდა ისტორიკოსზე. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ რაღაც მანქანებით მასთან მოხვედრილი კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისის ღიმილის“ ტიტული სათუთად შეუნახავს მეცნიერს. ტიტულზე ავ-

[1] შ. მეხიეის მოგონებები მოგვაქვს მისი პირადი არქივიდან.

ტორისეული წარწერაა: „ქართული უნივერსიტეტის რექტორს ბ. პროფ. ივანე ჯავახიშვილს. თქვენ მასწავლეთ დიდ საქართველოზე ოცნება. დიდის პატივისცემით ავტორი“. შოთა მესხიასაც, ისე როგორც მისი დროის ბევრ სტუდენტს, საქართველოს ისტორია დიდმა მასწავლებელმა შეაყვარეს.

სტუდენტობის წლებში შოთა მესხია ლეო ქიაჩელის ოჯახში ცხოვრობდა. „რომ ლეო ქიაჩელი და მისი ოჯახი არა, ალბათ ვერ შეეძლებდი სწავლის გაგძელებას, ვერ ვეღირებოდი უნივერსიტეტის სტუდენტობას, რომელიც ასე სანატრელი იყო ჩემთვის, ისე როგორც ყველა ახალგაზრდისათვის საერთოდ“ — წერდა უკვე მოგვიანებით შ. მესხია.

თბილისში, ლეო ქიაჩელის ოჯახში შოთა მესხიას ცხოვრებისა და სწავლის კარგი პირობები შეექმნა. იგი მწერლის შვილებთან ნათელსა და ოთართან ერთად იზრდებოდა. რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდისათვის დიდი მწერლის ოჯახში ცხოვრება მეტად მნიშვნელოვანი იყო. ლეო ქიაჩელის ოჯახში სტუდენტისათვის მეორე უნივერსიტეტი იყო და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი პროოფესორის ჩამოყალიბებისათვის. მწერლის გულისხმიერება, კეთილი თვისებები, იშვიათი ტაქტი, დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, თუ მეგობრებთან მისაბაძი მაგალითი იყო მოზარდებისათვის.

გვინდა მკითხველ ვაცნობოთ შოთა მესხიას ცხოვრებისის წლების ერთი მოგონება: „როგორც ახალგაზრდებს ემარჯებათ დავაკაკაცების პეროიდები, ჩვენც — ოთარი (ლ. ქიაჩელის ვაჟი — რ. მ.) და მეც, აკაჯვეთ ცდუნებას და სტუდენტობის პირველ წლებშივე დავიწყეთ პაპიროსის წევა... რა თქმა უნდა, ჩვენ ამას გულმოდგინედ ვუმალავდით ბატონ ლეოს... სახლში ყოფნისას პაპიროს უფრო ჩემს ოთახში ვეწეოდით. ნამწვავებისათვის ერთი დიდი საფერფლე გვქონდა, რომელსაც ასევე ვმალავდით. ერთხელ გვიან ღამე საფერფლე მაგიდაზე დამრჩენოდა... ის სავსე იყო ყველაზე დაბალი ხარისხის პაპიროსის ნამწვავებით... ეფრო ხარისხიანი პაპიროსის საყიდლად საუზმისათვის განკუთვნილი ფული არ გვყოფნიდა.

დილით ადრე ბატონი ლეო შემობრძანდა ჩემს ოთახში, მე ფეხზე დავხდეო. შეეხშნენ, რომ მისი მზერა ჩემი მაგიდისკენ იყო მიპყრობილი... იქ კი ნამწვავებით სავსე საფერფლე იდგა... გაეშალათლი, მოვინდომე მოფერებოდი ამ წყეული საფერფლეს, მაგრამ ვეღარ ანდა იყო... ბატონმა ლეომ თითქოს არაფერი შეუმჩნევიათ სხვა რაღაცაზე დამიწყო საუბარი და ცოტახანს შემდეგ გავიდა კიდეც... ჩვენი სიდუმლო ცაცემული იყო... ამაში ჩვენ იმ დღიდანვე დავრწმუნდით, როცა ოთარსა და მე საუზმის ფული გაგვიორკეცდა“.

იმ ადამიანთა შორის, რომელთაც შოთა მესხიას ცხოვრებაში რაიმე როლი ითამაშეს, განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს სიმონ ჯანაშიას, რომელმაც, როგორც სტუდენტობისას, ისე შემდგომ პერიოდში თავისი მადლი დაატყო მოგავალი მეცნიერის გზას.

შოთა მესხიამ 1937 წელს წარჩინებით დამთავრა უნივერსიტეტი და იმავე წლის 1 სექტემბრიდან დაინიშნა ზუგდიდის რაიონის სოფ. ორჯონიკიძის საშუალო სკოლის დირექტორად, სადაც მუშაობს 1938 წლის 1 ოქტომბრამდე. ბედადგეგიერ მუშაობასთან ერთად იგი ემზადებოდა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის და 1938 წელსვე შოთა მესხია შედის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ასპირანტურაში. აქ ახალგაზრდა მეცნიერი წრთობას გადის აკად. სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით, ფეოდალური საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის — ხელოსნური წარმოების საკითხების შესწავლას იწყებს. 1939 წლის 13 მაქტს ენიმკი-ს ისტორიის განყოფილების საჯარო სხდომაზე შოთა მესხიამ გაკეთა მოხსენება „თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“. შემდგომში ეს გამოკვლევა დაიბეჭდა კრებულში „ახალი საქართველოსა და კაკაბის ისტორიისადმი“ (1939, ნაკვ. I, გვ. 17-78). ასპირანტურა შოთა მესხიამ 1941 წელს დაასრულა. საკანდიდატო დისერტაციად დამთავრების სტადიაში იყო... საჭირო იყო შეგრძოებული უხვი მასალის სისტემატიზება და ყველა დაკვირვება-დასკვნის ქაღალდზე გადატანა... მაგრამ კარგად დაწყებული საქმის დაგვიგვიანება აჰკერად ვერ მოხერხდა... დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამეული ომი. საბჭოთა სახელმწიფო მძიმე განსაცდელის წინაშე დადგა. ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობა ადსდგა მტრის წინააღმდეგ. მათ შორის იყვნენ ქართველებიც... შოთა მესხიამაც თავისი მეცნიერული საქმიანობის ეგზამენი დროებით გვერდზე გადადო, დასტოვა ახალდაშენთული მეუღლე, ხელში შაშხანა აიღო და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. ჯერ ადგილზე გაიარა საჯვრთნელი სწავლება, შემდეგ კი ჩრდილო კავკასიის ფრონტებზე იბრძოდა მამაცურად. იგი ოცეულს მეთაურობდა, ოცეულს რომელიც დავალებებს ღირსეულად ასრულებდა. შეშორჩენილია შოთა მესხიას საბრძოლო ჩანაწერები, რომლებშიაც გამოსჩენილი ერთის მხრივ სამშობლოს დიდი სიყვარული, მისი დაცვისათვის მზადყოფნა, მეორე მხრივ კი მოჩანს ოჯახის დატოვე-

რონი მეგრელელი
მეცნიერი და მამულიშვილი

ბით გამოწვეული, სრულიად ბუნებრივი ადამიანის სევდა. 1941 წლის 10 ოქტომბერს იგი ასეთ ჩანაწერს აკეთებს თავის დღიურში: „26 სექტემბერის 17 საათსა და 30 წუთზე, დაიბადა თურმე ჩემი ქალიშვილი“. ამიერიდან შოთა მესხია სამშობლოს დაცვასთან ერთად თავის ახალშობილსაც იცავდა და ეს გრძნობა კიდევ უფრო უძლიერებდა ენერგიას. ან ერთი ჩანაწერიც: „სიზმრებს ამ უკანასკნელ დღეებში ზშირად ვნახულობ: სულ შუდამ ჩემი პატარა გოგონა შესხმრება. ხან ძალიან დიდი 4-5 წლისა, ხან კიდევ ძალიან პატარა. ზოგჯერ მეხვევა, მკოცნის, მამას მეძახის... ზოგჯერ კი არც მიცნობს, არც მეკარება“.

შოთა მესხიას ოცეულს სხვადასხვა საბრძოლო დავალებების შესრულება უზდება ნრდილოეთ კავკასიაში. მონაწილეობს ანაპის ბრძოლებში (აქ ხვდება იგი ახალ 1942 წელს). საგულისხმოა ერთი დეტალი. შოთა მესხიას, ისე როგორც ბევრ ქართველ მეომარს, მუდამ თან დაჰქონდა, თურმე „ვეფხისტყაოსანი“. „ის „(ვეფხისტყაოსანი“— რ. მ.) ჩემთან არის ყოველ შემთხვევაში — წერს შ. მესხია თავის დღიურში — მისთვის არის ადგილი ჩემს პატარა ჩემოდანში (სადაც ადგილი საერთოდ რეგლამენტრებულია). და იგი ჩემთან მოკვდება ან და შეეფატება ჩემს ბიბლიოთეკას, როგორც ერთი მნიშვნელოვანი საგანძური არა მარტო რუსველის ღირსებით, არამედ მისი მეპატრონისათვის ამ შფოთიან წლების მოსაგონებლად“... სწორედ ამ შფოთიან წლებში გამოჩენილი ეკეკლიბისათვის იქნა დაჯილდოებული შოთა მესხია სამამულო ომის II ხარისხის ორდენით და მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

1942 წლის 13 მარტს ერთ-ერთ ბრძოლაში (ქერჩის მახლობლად) შოთა მესხია დაიჭრა და ბრძოლის ველის დატოვება მოუხდა. იგი სხვა დაჭრილებთან ერთად კისლოვოდსკის გოსპიტალში აღმოჩნდა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ შოთა სამშობლოში ჩამოდის და უბრუნდება თავის სამეს — მეცნიერულ კვლევას. ესეც მტრის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, ისე ჩათვალა პარტიამ და მთავრობამ. შოთა მესხიამ ჩამოსვლის უმალ დაიწყო მუშაობა ენიმკის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად და შეუდგა სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო გაფორმებას. ოთხი თვის დაძაბული, ინტენსიური მუშაობის შემდეგ ნაშრომი დასრულდა. ჯერ პროფ. ნიკოლოზ ბერძენიშვილი გიეცნო ამ გამოკვლევას და მოიწონა, შემდეგ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასგან იქნა ხელისმომწერ. ამ უკანასკნელმა მოითხოვა, რომ საჩქაროდ წარმოდგენილიყო ნაშრომი საარბოდ დასაცავად.

1942 წ. 22 ოქტომბერს სამეცნიერო საბჭომ დისერტაცია მიიღო და რეცენზენტებად გამოიყო.

1942 წ. 3 დეკემბერს გაზეთი „კომუნისტი“ ეუწყებოდა:

„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობისა აცხადებს, რომ 1942 წლის 15 დეკემბერს, დღის 2 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომების დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ისტორიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი შოთა ამბაკოს ძე მესხია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ხელოსნობა ძველ საქართველოში V-XII სს).

ოფიციალური ოპონენტები პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, და პროფესორი ვ. დონდუა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი“.

სამეცნიერო საბჭოს სხდომას 30 წვერიდან დაესწრო 26. შოთა მესხიას ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მინიჭა ერთხმად. ამასთან როგორც ოპონენტებმა, ისე სამეცნიერო ხელმძღვანელმა გამოთქვეს სურვილი, რომ ნაშრომი დაბეჭდილიყო.

ხარისხის დაცვის შემდგომ შოთა მესხია ინიშნება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ნიშნეი მკვლევარის ცოდნისა და დიდი ენერგიის გამოყენება პედაგოგიური მუშაობის სარბიელზეც იყო საჭირო. 1943 წლიდან შოთა მესხია მიწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად. 1945 წელს, მაშინ როცა დიდი სამამულო ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა შოთა მესხია კომუნისტური პარტიის რიგებში შეედგა და ამიერიდან მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად ფართო საზოგადოებრივ მუშაობასაც იწყებს. 1945 წლიდანვე იგი საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტია და დაუღალავად გადაკვეცს ახალგაზრდობას თავის ცოდნას, უკითხავს საქართველოს ისტორიას, დიდი გატაცებით ასწავლის სტუდენტებს საქართველოს წარსულს. ამ პერიოდში მეცნიერი ფართო კვლევა-ძიებით სამეშაოს ატარებს. იგი დაინტერესებულია წყაროთმცოდნეობის ცალკეული საკითხებით. განსაკუთრებით კი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის პრობლემებზე. შოთა მესხია მეცნიერული კვლევის სფეროში ეძიებდა ფეოდალური საქართველოს ქალაქები და სავაჭრო წყობილება, ეს პრობლემა ფეკუბრივად შეეხებოდა ეროვნული ისტორიოგრაფია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. გარდა საკითხის ირგვლივ არსებული ქართული და უცხოური წყაროების შესწავლისა, საჭირო იყო საზღვარგარეთული და რუსული ისტორიოგრაფიის მიღწევების საფუძვლიანი გაცნობა ალებული პრობლემის კვლევის საქმეში. ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შოთა მესხის მიგზავნებს მოსკოვში 1951 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში. აქ იგი გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის აკადემიკოს მიხეილ ტიხომიროვის მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით აწარმოებს ინტენსიურ კვლევა-ძიებას, იმტკიცებს თეორიულ ცოდნას და მეთოდოლოგიური კვლევის საფუძველს. 1953 წლის დეკემბერში შოთა მესხიან დასრულდა დოქტორანტურის სრული კურსი და თბილისს დაბრუნდა. 1954 წელს სსრკ უმაღლესი სატესტ პრეზიდიუმის ბრძანებულებით უმწეკელ მუშაობისათვის შოთა მესხია დაჯილდოდა მედლით „ შრომითი მამაცობისათვის". დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ 1954 წლიდან შოთა მესხია მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად და ასრულებს ფეოდალური პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგის მოვალეობას. 1955 წლის 24 იანვარს, მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია თემაზე:

«Города и городской строй феодальной Грузии».

და მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

განსაკუთრებული იყო მეცნიერის ცხოვრებაში 1956 წელი, როცა მისი, როგორც მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგისა, დამსახურების სრული აღიარება მოხდა — შოთა მესხია დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ; იმ კათედრისა, რომელიც სსსრ-ში ერთადერთი ნაწილი იყო ქართული უნივერსიტეტისა, რომელსაც სხვადასხვა დროს გაგაგებდნენ შოთა მესხიას მასწავლებლები და უფროსი კოლეგები: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერძენიშვილი... ამ ერთადან ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს სხვა მოვალეობებთან ერთად მეცნიერების ორგანიზაციაც ეკისრებოდა, რადგან კათედრა, რომელსაც იგი ჩაუდგა სათავეში საქართველოს ისტორიის კვლევის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო რესპუბლიკაში.

საქართველოს ისტორიის კათედრამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული ისტორიოგრაფიის მარქსისტული მეთოდოლოგიის დანერგვის საქმეში. მართალია ჯერ კიდევ XX საუკუნის ოციან წლებში იყო საქართველოს ისტორიის მარქსისტულად დამუშავების ცდები, მაგრამ მას არსებითი წარმატება არ მოყოლია. 2 ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნა ივ. ჯავახიშვილის მოწაფეების ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის მიერ. სწორედ ამ კათედრაზე თავის კოლეგებთან, პროფესორებთან: აბელ კოკორეულთან, კონსტანტინე გრიგოლიასთან, ვალიან ვერტიშვილთან და სხვებთან ერთად მოღვაწეობდა შოთა მესხია. არაერთი სამეცნიერო სესია ჩატარდა მისი თავკაცობით, არაერთი სამეცნიერო შრომების კრებულები გამოიცა მისი თაოსნობითა და რედაქტორობით. შოთა მესხია ფიდ დაბპარებას უწევს უმცროს კოლეგებს, ასპირანტებს. თვითონ ზედმეწევნით ბეჯითი, შრომისმოყვარე და ღრმა მკვლევარი სამაჯალითო იყო ყველასთვის. 1957 წელს მას პროფესორის წოდება მიენიჭა. 1961 წელს შოთა მესხია დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანად. ამ თანამდებობაზე, ისე როგორც საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობაზე, მეცნიერი გარდაცვალებამდე მუშაობდა.

* * *

სამოციანი წლები ახალი შემოქმედებითი მიღწევებით აღინიშნა შოთა მესხიას. მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა თანდათან სულ უფრო ნაყოფიერი ხდება. მეცნიერი მონაწილეობას იღებს „საქართველოს სსრ ატლასის" შედგენაში. შოთა მესხიამ ბამია დუმბაძესთან და ალექსანდრე ასლანიკაშვილთან ერთად შეადგინა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს რუკა.

1966 წელს შოთა მესხია მის მიერ გაწეული ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობისათვის დაჯილდოდა მოკაერობის მაღალი ჯილდოთი — შრომის წოდელი დროშის ორდენი. სტუდენტებთან და ასპირანტებთან ინტენსიური მუშაობის გარდა შოთა მესხია დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. 1959 წელს მისი მონაწილეობით გამოდის ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილი „საქართველოს ისტორიის" საშუალო სკოლის სახელმძღვანელო (გამოიცა 6-ჯერ ქართულად, 2-ჯერ რუსულად). შემდგ კი თავის მეგობართან ისტორიკოს ვიქტორ გეწუტასთან ერთად იგი წერს „საქართველოს ისტორიის" საშუალო სკოლის ახალ სახელმძღვანელს. აღნიშნულმა წიგნმა მონაწილეობა მიიღო სა-

2 იხ. საიუბილეო კრებული „თბილისის უნივერსიტეტი 1918-1968", თბ. , 1968, გვ. 379.

ქართველთა სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოების დახმარულ კონკურსში და გიმნაზიაზე. შოთა მესხიას და ვიქტორ გუნუას „საქართველოს ისტორია“ (სახელმძღვანელო VII-X კლასებისათვის) მეტად საინტერესოდაა შედგენილი. იგი ადვილად მისაწვდომია მოსწავლეთათვის და, ვარდა ისტორიის თხრობისა, ცალკეული წყაროებიცაა მასში მოცემული.

შემთხვევითი არ იყო, რომ 1966 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შოთა მესხია სახალხო განათლების დარგში თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვა „სახალხო განათლების წარჩინებულისა“ სამკერდე ნიშნით.

შოთა მესხია დიდ სასარგებლო მუშაობას ეწეოდა საზოგადოება „ცოდნაში“. იგი საქართველოს ისტორიის სექციის თავმჯდომარე იყო. ამასთან ინტენსიურ მუშაობას ეწეოდა, როგორც ლექტორი. შოთა მესხიას ზშირად ნახავდით საქართველოს სხვადასხვა სოფლებსა და ქალაქებში — იყალთის აკადემიასა თუ ზუგდიდში, თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მშრომელთანაც თუ გელათის აკადემიის მსმენელებთან. მეცნიერი დაბადისლური ქართველით ჰყვებოდა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდებს — პროპაგანდას უწევდა ქართულ კულტურას.

1967 წლის 12 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შოთა მესხიას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იმავე წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში არჩევნები დაინიშნა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ აკადემიკოს ზაალა ამირანაშვილისა და პროფესორ იასე ცინცაძის წარდგენით, ერთსულოვნად წამოაყენა შოთა მესხია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს 1967 წლის 25 სექტემბრის სხდომის ოქმი № 1).

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად წამოაყენა შოთა ამბაკოს ძე მესხია. ამ პროცესში ერთსულოვანნი იყვნენ აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, პროფესორები: ითარ ჯაფარიძე, ირაკლი ანთელავა, იური ალბარაკა და მარიამ ლორთქიფანიძე. საბჭომ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო (იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 1967 წლის 29 სექტემბრის სხდომის ოქმი № 14).

ზაალა ამირანაშვილის მიერ შოთა მესხიას მეცნიერული ღვაწლის დახასიათებაში ვკითხულობთ: „ზაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, ამბაკო პროფ. შ. მესხიას სახით საქართველოს ისტორიოგრაფიას ყავს გამოჩენილი მეცნიერი, ისტორიკოსი მარქსისტი, რომლის შრომებმა მოიპოვა დიდი აუტორიტეტი როგორც ჩვენში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ფარგლებში“.

1967 წლის დეკემბერში შოთა მესხია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად იქნა არჩეული.

შოთა მესხიას მეცნიერული კვლევის მასშტაბები თანდათან იზრდება. 1968 წელს ქართველმა ხალხმა, მთელმა კულტურულმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა ქართული უნივერსიტეტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. დიდი მზადება იყო თვით უნივერსიტეტში. შოთა მესხია ამ სამზადისის ცენტრში იყო. მეცნიერი 1968 წლის 30 იანვარს გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ კორესპონდენტისადმი მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა:

«Нынешний год пройдет под знаком этой славной даты, (ხაზგასმა შოთა უნივერსიტეტის საიუბილეო წელი — რ. ბ.). Однако, для меня и руководимой мной группы историков, юбилей начался гораздо раньше, еще несколько лет назад, когда мы приступили к сбору и изучению материалов и документов, рассказывающих о прошлом университета. Материалы эти составили целый сборник, который будет выпущен в свет университетским издательством».

შოთა მესხიამ უნივერსიტეტის იუბილესთან სავანგებოდ დაწერა „საქართველოს ისტორია (ძირითადი ეტაპები“); ეს იყო ფაქტობრივად საქართველოს ისტორიის მოკლე კუნსი, რომელიც გამოვიდა რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

საიუბილეოდ გამოვიდა სპეციალური კრებული „თბილისის უნივერსიტეტი“; რომელშიც მოიკვეთია თბილისის უნივერსიტეტის დარსება და განვითარება და თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი შედეგები. შოთა მესხია ამ კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრია და მისი ხელმძღვანელობით მომზადდა მასალები ისტორიული მეცნიერების განვითარების შესახებ. ისტორიის ფაკულტეტი შოთა მესხიას ხელმძღვანელობით ძნიშვნელოვანი მიღწევებით წარდგა იუბილეზე.

1968 წელს შოთა მესხიას რედაქციით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების (ისტორიულ მეცნიერებათა სერია) 125-ე ტომი „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“. ეს ტომი მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. კრებულში შეიდა ვალერიან გაბაშვილის, ამაღ კაკაძის, მათე ალექსიშვილის, მარიამ ლორთქი-

ფანძის, ნოდარ ასათიანის და სხვათა ნაშრომები, რომლებიც XII საუკუნის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებს ეხებოდა. აქვე დაიბეჭდა შოთა მესხიას გამოკვლევა XI—XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის ისტორიიდან („საკარგავის“ მნიშვნელობისათვის). საკითხის შესახებ არსებული წყაროებისა და ლიტერატურის გაანალიზება-შეჯერების შემდეგ შოთა მეხსიამ მნიშვნელოვანი მეცნიერული დასკვნები გააკეთა, რომლებიც მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანია ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის.

აქვე გვინდა შევჩერდეთ მეცნიერის კიდევ ერთი დაკვირვების შესახებ. 1967 წელს გამოვიდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკაკი შანიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული — „ორიონი“, რომელშიც დაიბეჭდა შოთა მესხიას წერილი „ზუგდიდი“ და „ზუბდიდი“. ეს არის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეტიმოლოგიური ხასიათის გამოკვლევა, რომელიც ნათელს ჰფენს საქართველოს ერთ-ერთი ძველი და მნიშვნელოვანი ცენტრის სახელწოდებას.

უნდა აღინიშნოს, რომ შოთა მესხია, ვალერიან გაბაშვილთან და გიორგი ხაჭაპურიძესთან ერთად არის ავტორი დიდი საპჭოთა ენციკლოპედიის სტატიისა — „აჯარა“ (ისტორიული ნარკვევი). მეცნიერის შემოქმედებითი თანამეგობრობის ნაყოფია აგრეთვე გამოჩენილ მეცნიერს-ეტიმოლოგთან აკადემიკოს ფერენან თავაძესა და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორთ ვალერიან ბარქაიასთან ერთად დაწერილი წიგნი „ლიფონების დამფუძვეზა ძველ საქართველოში“ (1954 წ.).

შოთა მესხია, როგორც მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოს ისტორიის სწავლებას საშუალო სკოლაში. 1971 წელს „ლიტერატურული საქართველოს“ 11 ივნისის ნომერში იგი ბეჭდავს ვრცელ პრობლემურ სტატიას „საცნობლად თავისადაო“. მეცნიერი წერილს დავით გურამიშვილის სიტყვებით იწყებს:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად
თავისადაო:
ვინ არის სიდამ მოსული, სად არის, წავა
სადაო?“

შოთა მესხია წუხილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ იმჟამად საქართველოს ისტორიის სწავლებას საშუალო სკოლაში (VII, VIII, IX და X კლასებში) საათების მცირე რაოდენობა ჰქონდა დათმობილი. არასწორად მიჩნნდა მეცნიერს, რომ „საქართველოს ისტორია“ არ არის შეტანილი არც რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობასა და არც საშუალო განათლების ატესტატში. შოთა მესხია მხარს უჭერს საშუალო სკოლის მასწავლებელთა მოთხოვნას, რომ საქართველოს ისტორია ისწავლებოდეს დამოუკიდებელ საგნად VIII-X, ან IX-X კლასებში, და რომ საქართველოს ისტორია იყოს, საატესტატო საგანი, ე. ი. ამ საგანში მიღებული ნიშანი შეტანილ იქნეს ცალკე საშუალო განათლების ატესტატში. შოთა მესხიას წერილში აღძრული კიდევ არაერთი საკითხი ისტორიის მასწავლებელთა დახმარების, თუ საერთოდ სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

მეცნიერი თავდაუზოგავად იბრძოდა საქართველოს ჭეშმარიტი ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ. 1969 წლის 12 იანვარს გაზეთ „კომუნისტში“ შოთა მესხია პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად აქვეყნებს წერილს „მრუდე სარკეში“, რომელშიც აშკარავნებს საქართველოს წარსულის გაყალბების ფაქტებს გ. ვერმიშევის ისტორიულ რომანში „ამირსპასალარი“. საკუთარი თავისადმი მოითხოვნი მეცნერი პრინციპული იყო სხვების მიმართაც. ზედმეწევნით თავაზიანობა და თავმდაბლობა არ უშლიდა მას ხელს მიუკერძოებელი ყოფილიყო ამა თუ იმ საკითხის გარკვევისას. იგი იყო მკაცრი ხელმძღვანელი თავისი ასპირანტებისა და მეტად მომთხოვნი ოპონენტი დისერტაციებისა (მისი ხელფასსმეთ ხომ ბევრი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია იქნა დაცული!).

შოთა მესხია დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის. გვინდა მკითხველს მივაწოდოთ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, იმხანად უნივერსიტეტის რექტორის აკად. ილია ვეკუას შოთა მესხიასადმი მიწერილი ბარათი:

10. 8. 1967, თბილისი

ძვირფასო შოთა,

...მინდა შეგახსენოთ, რომ თქვენს კომისიაზეა ბევრი რამ დამოკიდებული. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ უნდა მიაღწიოთ ამბიტარიენტთა ცოდნის შეფასებაში მაქსიმალურ მიუდგომლობას და ობიექტურობას... საჭიროა, შეეცადოთ შეარჩიოთ ღირსეულთა შორის ღირსეული და სათანადო შეფასებაც მისცეთ მათ ცოდნას.

ბოდიში შეწუხებისათვის, გისურვებთ ყოველგვარ კარგს

თქვენი ი. ვეკუა.

წერილიდან აშკარაა ის დიდი ნდობა, რასაც რექტორატი და კერძოდ აკადემიკოსი ილია ვეკუა უცხადებს შოთა მესხიას. ეს იმი-

რევაზ ბეჭრეული
მეცნიერი და მამულიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაც ჩანს, რომ რეკტორი შოთა მესხისაგან მოსკოვში მიღებული წერილის შემდეგ საბჭოდან თვლის მიწეროს: „სასიამოვნოა, რომ უნივერსიტეტში ყველაფერი რიგზეა. მართალია, ყველას საკმაოდ დიდი ტვირთი დაგაწვამ, მაგრამ, იმედია, ჩამოვალ და მეც შეგეშველებთან. გულთაგან სალამი ჩვენს ამხანაგებს. თქვენი ი. ეფაკა". (14 4. 1967 წ.).

შოთა მესხია თავისი მეტად საპასუხისმგებლო ბოჭვილობების უმწიკლოდ შესრულებასთან ერთად საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენების ცენტრში იყო. ისტორიული მეცნიერების ფრონტზე არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საქმე შოთა მესხის მონაწილეობის გარეშე. როგორც კი ოქნა მოღებული ფრიად დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის გამოცემის შესახებ, შოთა მესხია დიდი ენთუზიაზმით იღებს მონაწილეობას მის მომზადებაში. ივი მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრად ოქნა დამტკიცებული. მისი რედაქტორობით ოქნა გამოცემული „ნარკვევების" II ტომი, რომელიც მოიცავს IV-XI საუკუნეების საქართველოს ისტორიას (გამოეცა 1973 წელს). შოთა მესხია იყო დანაწნული III ტომის რედაქტორად, მაგრამ უფროსო გარდაცვლებამ მას არ დააცალა ამ საქმის დაგვირვინება.

შოთა მესხია აქტიურად ჩაება 1965 წელს შექმნილი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაკციის საქმიანობაში. ივი სათავეში უდგება საქართველოს ისტორიის საბჭოს და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. მისი მეთაოლყურეობით შეიქმნა საქართველოს ისტორიის სტატეანი; ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომის ბევრი მასალა (საქართველოს ისტორიიდან) შოთა მესხიას ხელდასმითაა მომზადებული.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები მეტად ნაყოფიერი იყო შოთა მესხიასთვის. მისი, როგორც მეცნიერის, შემოქმედებითი ზრდის დამადასტურებელია ის გამოკვლევები, რომლებიც შოთა მესხიას საგზუნაროდ გამოუქვეყნებელი დარჩა. განსვენებულმა მეცნიერმა ხელნაწერის სახით დატოვა XII საუკუნის მეორე ნახევრის (თამარის ეპოქის) საქართველოს საშინაო პოლიტიკისა და საშოხელო ყოფის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელშიაც ბევრი საკითხი ახლებურად არის გადაწყვეტი და შეფასებული.

მეცნიერს ფართო გეგმები ჰქონდა... ეგეგმები ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლისა.. დიდი შემოქმედებითი საქმიანობისა, მაგრამ... მაგრამ საქმეში ჩაერია მძიმე, ვანუკურნებელი სენი და უფროოდ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შემოქმედებითი ძალის გაფურჩქვნის ხანაში გარდაიცვალა ივი...

შოთა მესხია გარდაიცვალა 56 წლის ასაკში 1972 წლის 15 მაისს.

„ძმიმე და გულდასაწყვეტია, როდესაც გულითადი მეგობარი, საყვარელი ადამიანი და თანამოსაგრე, რომელთანაც მხარდამხარ წლების მანძილზე მუშაობდი და ჭაპანს ეწეოდი, უეცრიოდ მოწყდება სიცოცხლეს, დაღმდებაინ ბაგეი და გული შეწყვეტს ძგერას... აკად. სიმონ ჯანაშიას საუკეთესო მოწაფეს, ჩვენი ისტორიოგრაფიის კორიფეებს — ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის გარდაცვლების შემდეგ დაეკარსა საქართველოს ისტორიის სამეცნიერო დარგის მეთაურობა და ხელმძღვანელობა. იგი დაუღალავად, თავგანწირვით და წარმატებით უძღებოდა ამ დიდ საქმეს, რაზმავდა ისტორიკოსებს ისტორიის საკვანძო პრობლემების შესასწავლად. ზრდიდა კადრებს და ამასთანავე საორგანნზაციო საკითხებს დიდი ტაქტით ეგვარებდა" — ეს სიტყვები აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ეკუთვნის.

მეცნიერებთან ერთად ცხარედ დაიტირა შოთა მესხია ქართველმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ. მუხრან მაჭავარიანი თავის გამოსათხოვარ წერილში წერდა: „ჩემს მახსოვრობაში ერთ-ორ კაცზე თუ გამიგონია ასეთი ერთობლივი და უტყუარი: რა კაი კაცი იყო! საქართველო ნაადრეად დასტოვა მისმა ერთგულმა და პირუთვნელმა მეგობარმა... შესანიშნავი ისტორიკოსი, შესანიშნავი პედაგოგი, შესანიშნავი მოქალაქე. შესანიშნავი მეგობარი! — აი, როგორი იყო შოთა მესხია! ვაი, რომ „იყო".

„ჩაქრა კიდევ ერთი პატიოსანი სანთელი, — წერდა რევაზ ჯაფარიძე — რომელიც ათეული წლების განმავლობაში თავს დაჭკნაკალებდა მშრომელი ერის ისტორიას, წარსულს და აწმყოს. ეს სანთელი ანთებს ახალი ქართული საისტორიო მეცნიერების მამებმა — დიდმა ივანე ჯავახიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა. წაედო ჩვენგან საყვარელი და დაუვიწყარი მეგობარი, თავმდაბალი ადამიანი, ღიმილიანი კაცი შოთა მესხია, რომლის ყოველი შეხვედრა, სიტყვა და ღეღები სიხარულით, შთაგონებით, ერის ხვალინდელი დღის იმედით გავსებდა".

ხუტა ბერულავა თავის წერილში „სახელი მისი და საქმე მისი" აღნიშნავდა: „შოთა მესხიას ბიოგრაფიას შელამაზება არ სჭირდება: მთელმა ქართველმა ხალხმა იცის, რომ იგი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი და პედაგოგი, არამედ მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე. მხურვალე პატრიოტი, სათნო და კეთილშობილი ადამიანი".

შოთა მესხია გულწრფელი ცრემლით დაიტირა სამეცნიერო საზოგადოებრიობამ, ქართველმა ხალხმა. მეცნიერებისადმი დიდი პატივი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცემს იმითაც გამოიხატა, რომ ოთხლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში დასვენეს და იქვე გადაუხადეს სამოქალაქო პანაშვიდი... გამოსათხოვრად მოვიდა მთელი შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენცია, თბილისელები და ზუგდიდელები, ქუთაისელები და ობუჯელები...

შოთა მესხია დაკრძალულ იქნა გამოჩენილ ქართველ მამულიშვილთა გვერდით, დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

წელს სამოცი წელი უნდა შესრულებოდა შოთა მესხიას... მისი დიდი შემოქმედებითი გეგმებიდან ბევრი უნდა აღსრულებულიყო... მრავალი პრობლემა უნდა გარკვეულიყო და ნათელი მოჰფენოდა... წელს კი მეცნიერის სამოცი წლის იუბილე აღინიშნება ისე, რომ მასზე, მის პიროვნებაზე ლაპარაკობენ, როგორც წარსულზე.

შოთა მესხიამ მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. იგი ავტორია ოთხმოცზე მეტი გამოქვეყნებული გამოკვლევისა. მეცნიერი ფართო მასშტაბით სწავლობდა, სწავლობდა რა ფეოდალური საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემებს. სოციალურ-ეკონომიური თუ პოლიტიკური ისტორიის საკითხები, ქალაქების ისტორია და საქალაქო წყობა, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის პრობლემები — აი ის ძირითადი, რაზედაც უხდებოდა მუშაობა ქართველ მკვლევარს.

დიდია პატივისცემა მეცნიერისადმი. ეს პატივისცემა განპირობებულია იმ ღვაწლით, რომელიც შოთა მესხიამ თავისი დაუღალავი შრომით დასდო ქართულ ისტორიულ მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას.

დრო კი მიდის... რაც უფრო იზრდება დროითი მანძილი, მით უფრო მკვეთრად წარმოისახება საზოგადოებისა და ხალხის წინაშე გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ღირსეული მოქალაქის — შოთა მესხიას ნათელი სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ზარაშენიძე

ამირანის მამის სახელის სულკალმახის ეტიმოლოგიისათვის

ქართული მითოლოგიური ეპოსის „ამირანიანის“ პერსონაჟთა საკუთარი სახელების ეტიმოლოგიის გარკვევა ადრიდანვე იზიდავდა მკვლევართა ყურადღებას. ამ საკითხის შესწავლა საშუალებას იძლევა განესაზღვროთ ეპოსის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შესული ამა თუ იმ პლასტის წარმომავლობა და ასაკი, დავადგინოთ ქართული პანთეონის[1] ზოგიერთი ღვთაების ფუნქციები და შევიცნოთ უძველესი ქართული გარემოს კავშირურთიერთობის გზები მეზობელ სამყაროებთან.

ამირანიანის ონომასტიკის საკითხებს სხვადასხვა დროს სპეციალურად თუ გაკვრით ეხებოდნენ ივ. ჯავახიშვილი, მ. ჩიქოვანი, შ. ნუციშვილი, დ. შენგელაია, გ. მელიქიშვილი. ამ-ეამად რამდენადმე დამაკმაყოფილებელი ახსნა მოეძებნება ეპოსის თითქმის ყველა პერსონაჟის საკუთარ სახელს, როგორიცაა ამირანი[2], ,,ყვამარი[3], ბაღრი, უსიპი, იამანი, ამბრო[4]. ამათგან განსხვავებით კალეევის ყველაზე დიდი ხნის ისტორია აქვს ამირანის მამის სულკალმახის სახელის ეტიმოლოგიის ძიებას, მაგრამ ეგი დღეისათვისაც კი არ შეიძლება სბოლოოდ გადაჭრილად ჩაითვალოს.

ჯერ კიდევ 1913 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში შეეხო ივ. ჯავახიშვილი ამ რთული შემადგენლობის მქონე სახელის ეტიმოლოგიას. მან ეგი ამგვარად დაპყო: სულ-კალმახი. ივ. ჯავახიშვილი სულკალმახს უკავშირებდა სულ—პირველელემენტად საკუთარი სახელებს რიგს, როგორიცაა ძვ. წ. VIII ს. ასურეთის მეფე ტიგლათფელასარ III-ის წარწერებში მოხსენებული სულუმაელ მილიდელის ანდა კიდევ ფშველთა ერთ-ერთი სახალო გმირის სული-ყურდღელის სახელი.[5]

ამთავითვე გვინდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული სახელის ამგვარი დაყოფა (სულ-კალმახი) არ უნდა იყოს გამართლებული თუნდაც იმ გარემოების გმო, რომ ცალ-ცალკე ეს ნაწილები თუ არის გარკვეული აზრის მატარებელი — პირველი იმათგანი შეიძლება აღნიშნავდეს „სულს“, ხოლო მეორე თვეზის ერთ-ერთი გვარეობის დასახელება იყოს, ერთად შეერთებული კარგავს ყოველგვარ აზრს.

სულკალმახს აივიეკენს სულკურდღელას სახელთან დ. შენგელაია[6]. ეს შესაძლებლად, მიაჩნია მკვლევარს, ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ ძველად თვეზობაც ნადირობა იყოო[7]. ამდენად მოსალოდნელია, რომ გარკვეულ, პერიოდში სახელის მეორე ნაწილი „კალმახი“ გაეაზრებინათ როგორც „ყურდღელი“. თუ დავუშვებთ სახელის ამგვარი მეტამორფოზის შესაძლებლობას, სულ ერთია, მაინც აუხსნელი რჩება, თუ რაღაა ან რა პრინციპითაა შეერთებული სახელის მეორე ნაწილთან პირველი ნახევარი „სულ“.

ამირანის ეპოსისადმი მიძღვნილ თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ნაშრომში მ. ჩიქოვანი იზიარებს მოსაზრებას საკუთარი სახელის სულკალმახის ამგვარი შემადგენლობის თაობაზე: სულ-კალმახი, სადაც პირველი ელემენტი უნდა გავიაზროთ როგორც სული“, მეორე კი — „თევზ) კალმახი“. მკვლევარი წერს: „ჩანს, სულკალმახის სახელში ასახულია თევზის კულტი — თევზ-კალმახი, რომლის ობიექტი იწოდებოდა როგორც სულკალმახი“.[8]

როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში არაა დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართულ გარემოში არსებობდა თევზის კულტი ასეთი სახელწოდებით: თევზ-კალმახი[9]. ასევე გაუგებარია, რატომ უნდა რქმეოდა თევზის კულტის ობიექტს სულკალმახი. წარმოდგენილი მოსაზრების განხილვისას ყურადღებას, უპირველს ყოველისა, მა-

ინც ის გარემოება იპყრობს, რომ ჩვენთვის საინტერესო სახელს მ. ჩიქოვანიც იმგვარადვე შლის, როგორც მისი წინამორბედი მკვლევარები.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული იძლევა საშუალებას გვიკვეთოთ ამგვარი დასკვნა: რამდენადაც ქართულ ნიადაგზე ამ სახელის ახსნის დღემდე ჩატარებულ არც ერთ ცდას არ მოჰყოლია დადებითი შედეგი, უეჭველია, იმ ფაქტზე მიგვანშნებს, რომ ამირანის ეპოსის მეტწილ პერსონაჟთა საკუთარი სახელების მსგავსად (ყამარი, ბადრი, უსიბი, იასანი...) სულკალმახიც არაქართული წარმომავლობისა უნდა იყოს.

ეტიმოლოგიურმა ცდებმა ისიც ნათელყო, რომ აღნიშნული სახელი ვერ იხმენს ამგვარ დაყოფას: სულ-კალმახი, რაც არ უნდა დიდი იყოს სტრეფის ძალა გამოეყოთ მასში მეორე ნაწილად თვეზის ძალზე კარგად ცნობილი ერთ-ერთი ვვარეობის სახელწოდება, ვფიქრობთ, სჯობს თავი შეეიკავოთ ამისაგან, რადგანაც სახელის ასე მარტივად ახსნის ცდა, როგორც ვხედავთ, კიდევ უფრო აბუნდოვანებს საკითხს.

საგსებით სწორად მიგვაჩნია მეეთდი, რომელსაც გვთავაზობს გ. მელიქიშვილი, რომ ეს სახელი განვიხილოთ ქართველურენოვანი სამყაროს უძველესი და უაბოლოესი საბრუთელი მეზობელი ეთნიკური გარემოს ენობრივი მონაცემების შუქზე. 1954 წელს გ. მელიქიშვილმა წამოაყენა მოსაზრება, რომ ამირანის მამის სახელი სულკალმახი უნდა მომდინარეობდეს ძველლმოსაელეს სამყაროში კარგად ცნობილი ტატულისაგან sukkalmah, რომელიც შუმერულ ენაზე[10] ითარგმნება როგორც „დიდი სულელი"[11]. ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში აღნიშნული ტერმინი შუმერიდან (სამხრეთი შუამდინარეთი) გავრცელებას იწყებს აღმოსავლეთით, დღევანდელი ირანის ოლქის ხუზისტანის ტერიტორიაზე მდებარე ელამის სამეფოში უმაღლესი ხელისუფლების გამამასახიერებელი მმართველის ტიტულად. გ. მელქიშვილი მიიჩნევს, რომ „სულკალმახი". სწორედ ელამურ სამყაროდან უნდა შემოსულიყო ქართულ ეთნიკურ გარემოში, სადაც იგი ზოგადი არსებითი სახელიდან გადაიქცა საკუთარ სახელად[12].

მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ გ. მელქიშვილმა ქართულ გარემოში დამოწმებული თავისებური ოერის მქონე საკუთარი სახელი სულკალმახი სავსებით სამართლიანად დაუკავშირა ძველლმოსაელურ სამყაროში გავრცელებულ ზოგადი მნიშვნელობისა და ანალოგიური ფონეტიკური ყალიბობის მქონე ტერმინს — სულკალმახს. საკითხი იმის შესახებ კი, თუ რა გზითა და რა სახით მოხვდა იგი ქართულ სამყაროში, ეს ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაჭრილად შეიძლება ვერ იქნას მიჩნეული. სპეციალ დაზუსტდეს შემდეგი „სულკალმახი" ქართველურენოვან სამყაროში გადაიქცა ტერმინიდან საკუთარ სახელად თუ ასეთი ცვლილება განიცადა თვით ძველლმოსაელურ სამყაროშივე; მეორეც, დაახლოებით რომელ ეპოქაში უნდა მიეღო იგი ქართულ ონომასტიკონს.

თავდაპირველად საეჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ტერმინ სულ/კალმახის შუმერულ გარემოში ჩამოყალიბებისა და მისი ფონეტიკური ვარიაციების წარმოქმნის საკითხი.

შუმერები, რომელთა შესახებაც სხვა ადგილას ვრცლად გვაქვს მოთხრობილი, მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის ქვემო დინებათა შორის მდებარე დაბლობზე დასახლდნენ ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში. შუამდინარეთში მათ შექმნეს განვითარებული სახელმწიფოებრიობა, აგრეთვე მაღალი სულიერი და მატერიალური კულტურა, რომელიც შეინარჩუნეს ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისამდე. ამის შემდეგ შუმერული ეთნიკა შეერია ამ რეგიონში შემოსული სემიტური მოდგმის ხალხებს. შუმერულ ეთოკაში ანდა შუმერულ გარემოში ჩვენ ვგულისხმობთ 1500 წლოვან პერიოდს დაწყებულს ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე მახევრიდან, ვიდრე ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულამდე, ანუ ძვ. წ. 3500—2000 წლებს.

შუმერულ ენაზე შექმნილ ლიტერატურულ, სამეფონეო თუ ისტორიული ხასიათის დოკუმენტებში ვვხვდება არ ერთი სიტყვა, ფრაზა თუ ტერმინი, რომელიც ფონეტიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით ძალზე დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ქართველურ სამყაროში დამოწმებულ არა ერთ ენობრივ ფაქტთან. ერთ-ერთი ასეთი ტერმინთაგანია „სულ/კალმახიკ". იგი შედგება ორი სიტყვისაგან: sukkal „ელჩი, კურიერი" და mah „დიდი". პირდაპირი ჯვარ-ვ

V

გმანი იქნება: „დიდი ელჩი, დიდი კურიერი"[13]. წარმოდგენილი ტერმინში მთელი სემანტიკური და ფონეტიკური ფაქტორთვა მოდის მის პირველ ნახევარზე sukkal. ამიტომ თავდაპირველად რამდენიმე სიტყვით სწორედ მასზე შეეჩერდნით.

ამთავითვე გვინდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ იგი განეკუთვნება არა საკუთრივ შუმერულს, არამედ პროტოშუმერულ ენას, რომლის მატარებლადაც მიჩნეულია შუამდინარეთში შუმერების მოსვლამდე არსებული მოსახლეობა. მათ პირობითად პროტოკეფფატელებს უწოდებენ. დღეისათვის შუმერულში გამოვლენილია პროტოეფფატელების ენიდან

ჯუმბერ შარაშენიძე
ამირანის მამის სახელის სულკალმახის ეტიმოლოგიისათვის

შეფასებული 90-მდე სიტყვა, რომელთა შორის ერთ-ერთია ტერმინები „სუქ/კალ"[14] ამ უკანასკნელს სრული მოკალკულირება უფლება პროტოკავკასიურების ენაში იმაზე გაცილებით ადრე ჰქონდა მოპოვებული, ვიდრე შუამდინარეთში შუმერები და შუმერული ენა გამოჩნდებოდა, ე. ი. ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევრამდე. ეს გარემოება გვაძლევს უფლებას ტერმინის ხნოვანება განვსაზღვროთ ძვ. წ. V—IV ათასწლეულების მიჯნით მაინც თუ ადრე არა.

ჩვენ არ ვიცით გრაფიკულად როგორ აისახებოდა ეს სიტყვა პროტოკავკასიურებთან, ანდა აისახებოდა საერთოდ თუ არა. შუმერული კი ამ ბას გადმოსცემდნენ ერთი გრაფიკული ნიშნით, რომელსაც თავდაპირველად ეკიჩნდა ფორმა რეზრეფუერარსა, წყლის ჭურჭლისა, რომლიდანაც (სარწყავი?) წყალი გადმოდის[15]. ამავე ნიშნით გამოიხატებოდა შუმერულში ზმნაც ლუს, ლან „დასანა, განწმენდა". ყოველივე აღნიშნული იმაზე მიგვანიშნებს, რომ ნაგულისხმევი ნიშნით გადმოცემული პროფესია „სუქალ" გულისხმობდა მეურნეობის მომსახურე პერსონალიდან იმ პირს, რომელსაც ევალებოდა სარწყავი წყლის მოცა, შენახვა. სამხრეთ შუამდინარეთის მეურნეობისათვის დამახასიათებელი მორწყვაითი მიწათმოქმედების პირობებში ეს თანამდებობა საკმაოდ საპატიო და საპასუხისმგებლო უნდა ყოფილიყო. დროთა განმავლობაში ტერმინმა შეიცვალა შინაარსი და შუმერის კულტურულ ხანაში (ძვ. წ. XXIII—XXI სს.) ბას გაარნდა მხოლოდ „ელჩის, კურიერის" მნიშვნელობა, რამდენადაც ამ დროს სუქალები ძირითადად საელჩო და კავშირურთიერთობის საქმიანობაზე მიმაგრებულ მოხელეებად გვევლინებიან.

ყურადღებას იქცევს ტერმინის ფონეტიკური სტრუქტურაც. როგორც ვხედავთ, მის ფუძეში წარმოდგენილია ორი თანხმოვანი, რომლებიც ტრანსლიტერაციისა და ეგროპულ ენებზე თარგმნისას გადმოაქვთ რბილი კ-თი, ქართულში კი — ჭ ასოთი. თუ როგორ გადმოჭვამდნენ ბას შუმერები, მით უმეტეს, პროტოშუმერები, ეს ჩვენ არ ვიცით. თუმცა საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: შეიძლება ზეპირ მეტყველებაში აღნიშნული ტერმინის ფუძეში ისმოდა მკვეთრი კ. ქართული კ. ლაბიტური q. მაგრამ საქმე ისაა, რომ შუმერული ფონეტიკა არ ხასიათობს საერთოდ ეფექტიურ კ-ს[16]. საჭიროებს შემოხვევაში მკვეთრი კ ბგერის გადმოსაცემად იგი ჩვეულებრივ ხმაობს რბილ კ-ს, რომელიც ლაბიტურ k-სა და ქართულ ქ-ს შეესაბამება. თუ გავითვალისწინებთ ამ ფაქტს, მაშინ არც უნდა მოგვეთლიდეთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერმინში გრაფიკულად ყოფილიყო ასახული მკვეთრი კ თანხმოვანი, თუ კი იგი საერთოდ ისმოდა ზეპირ მეტყველებაში. ქართული „სულკალმახის" ანალიზისას ეს გარემოება აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ის გარემოება, რომ ზემოხსენებული ორივე თანხმოვანი ნამდვილად ფუძისეულია, ფაქტობრივადაა დამოწმებული. მხედველობაში გვაქვს ტერმინის ფონეტიკური დაწერილობა, რომელიც შემონახულია შუმერულ სილაბარებში. იქ სწერია: su-uk-lal. მოცემულ შემთხვევაში სპეციალურადაა წარმოდგენილი მეორე მარცვალი — uk, რომლის გარეშედაც შეეძლო მწერალს გადმოეცა ტერმინი, თუ კი მის ფუძეში იქნებოდა მხოლოდ ერთი თანხმოვანი. მაგრამ ეს ასე არ იყო. ამიტომ მას დასჭირდა დამატებითი მარცვლის ხმაობა, რომ აესახა ტერმინის ყველა ფონეტიკური ნიუანსი, კერძოდ, ორი ფუძისეული თანხმოვანი. ისმება კითხვა: ეს ორი მოსახზღვრე თანხმოვანი თავიდანვე ერთი და იმავე ძალისაგან იყო (? ი. დუბლიოტეული) თუ განსხვავებული ფონეტიკურისაგან. ამ საკითხს შეიძენა რამდენადმე შუქს ფენდეს ისევ პროტოშუმერული ენიდან მოხმობილი მასალის ანალიზი.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, პროტოშუმერული ენიდან შუმერულსა არა ერთი სიტყვა თუ ტერმინი მიიღო. მათ შორის შემდეგი სიტყვებიც: gakkul „(ლუდის) ამოსალები ჭურჭელი", gaggal „ქურეშინი". აღნიშნული სიტყვების თავდაპირველი ფორმები, როგორც ფენტობენ, იყო: *gakkul, *galgal. რეგრესული დისიმილაციის შედეგად კი ფუძისეული კ/ქ-ს გაჯერნით შუმერულში. მივიღეთ gakkul, gaggal. ამავე რიგის სიტყვებს მიეკუთვნება შუმერულ ლექსიკონში ენაში წერილობით დამოწმებული სიტყვაც babbar „ბზე, ბზის დისკო; ცეცხლის ალი; ნათება". ამკარად არავის ეეჭვება, რომ მისი თავდაპირველი ფორმა იყო barbar>babbar[17] მაგრამ საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ სიტყვის პირველადი ფორმა ბარბარ შუმერულში წერილობით არა გვაქვს შემონახული. იგი შეიძლება ამგვარად მხოლოდ რომელიმე დიალექტზე ზეპირმეტყველებაში თუ ისმოდა (შუმერულს აქვს ორი დიალექტი — ემესალ და ემეკი). საინტერესოა ის ფაქტი, რომ სიტყვა „ბარბარ" სწორედ პირველადი ფორმითაა ასახული ქართულ ზმნაში ეარგარ-ი, ქართული პნეუმონის ერთ-ერთი ქალღვთაების ბარბალეს სახელსა[18] და ტერმინში ბორბალ-ი.

აღნიშნული შემთხვევების გათვალისწინება გვავარაუდებინებს, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერმინსაც sukkal თავდაპირველად უნდა ჰქონოდა ასეთი ფონეტიკური აგებულება: სულკალ. ზემოთმოყვანილი მაგალითების მსგავსად ამ შემთხვევაშიაც დისიმილაციის

შედეგად მივიღეთ ფორმა sukkal, რაც დამოწმებულია მხოლოდ შუმერულ წერილობით დოკუმენტებში. ზეპირ მეტყველებაში რომელმე დიალექტზე შეიძლება თავშემნახველი იყო კიდევაც პირველადელი ფორმა — სულალ. ანდა სუკალ.

რამდენიმე სტაჯი •სულალმახ>სუქალმახის შესახებ. იგი დამოწმებული გვაქვს ასევე შუმერულ წერილობით ეგალგშში პირველად ძვ. წ. XXIV ს. ჟქდან მოყოლებული ვიდრე ძვ. წ. XX საუკუნემდე სუ/ქალმახის ტატულის მატარებელი პიროვნება წარმოადგენდა სახელმწიფოში ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის მქონე მოხელეს. როგორც საკითხის სპეციალურმა შესწავლამ ცხადყო, იგი ხელმძღვანელობდა სუქალთა საქმიანობას — განაგებდა კაჟშირურიერთობის უწყებას.

საერთოდ ცნობილია, რომ ესა თუ ის ტერმინი გადაიქცევა ხოლმე საკუთარ სახელად. ასე მოხდა კონკრეტულად ჩვენს შემთხვევაშიაც ტერმინ სუ/ქალმახის მიმართ შუმერულ გარემოშიც. საკუთარ სახელად პირველად იგი დამოწმებული გვაქვს ძვ. წ. XXIV ს. სამხრეთ შუამდინარეთის ერთ-ერთ ქალაქ ადაბში მდებარე სახელმწიფო საწყობიდან ვინმე სუქალმახს სხვებთან ერთად ეძლეკა გარკვეული რაოდენობის მატალი[19]. მოგვიანებით, ძვ. წ. XXII-XXI ს. ამ სახელს უკვე არა ერთი პირი ატარებს სამხრეთ შუამდინარეთის შუმერულ ქალაქებში, როგორცაა ფუზარშდაგანი, უმა და ური.[20]

სუქალმახი საკუთარ სახელად შემერის გარდა არც ერთ ძველაღმოსავლურ ენაზეა არ გვხვდება. ასეთად იგი დამოწმებულია მხოლოდ ქართულ გარემოში, სადაც სულალმახი სავსებით რეალური პიროვნებაა; იგი არის ცნობილი ეპოსის მთავარი მოქმედი გმირის ამირანის მამა, პროფესიონალი მონადირე.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართულ გარემოში აღნიშნული სახელი დამოწმებულია რამდენადმე განსხვავებული ფონეტიკური აგებულებით, ვიდრე იგი გვხვდება შუმერულ წერილობით დოკუმენტებში. ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ შუმერულ ზეპირ მეტყველებაში უნდა გვქონოდა ეს სახელი წარმოდგენილი დაახლოებით იმ ფორმით, როგორითაც ქართულ გარემოშია თავშემნახული — სულალმახი ან სუკალმახი მაინც, თუ კი ეტყვეთ, რომ აღნიშნული სახელი ჩვენში სწორედ შუმერიდან შემოვიდა, მაშინ საჭიროა საგანგებოდ აღინიშნოს ისიც, რომ იგი შეიძლებოდა ქართველურენოვან ეთნიკურ გარემოს მიეღო მხოლოდ და მხოლოდ ზეპირი გზით, შეიძლება იმიტომაცაა, რომ ქართულში დამოწმებული გვაქვს სახელის არა შუმერული წერილობითი ფორმა, არამედ ის, რომელიც ივარაუდება შუმერულ დიალექტურ ზეპირ მეტყველებაში. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა გავიხსენოთ მეორე შუმერული სიტყვა-სახელის ბაბარის ქართულში გადმოსვლის შემთხვევაც. ჩვენთან დამოწმებულია ბაბარის არა „ზოგნიერი", წერილობითი ფორმა — ბაბბარ>ბაბარ, არამედ სწორედ ადრინდელი და, ალბათ, ზეპირი ფორმა — ბარბარ/ლ. ამ უკანასკნელის მსგავსად სახელ სულალმახსაც ჩვენს სამყაროში შემოსვლამდე მსგავსი ცვლილება უნდა განეცადოთვით შუმერულ სამყაროშივე.

ძველაღმოსავლურ სამყაროდან, მათ შორის შუმერულიდან, ქართულმა ონომასტიკამ არა ერთი სახელი მიიღო პირდაპირ ან გაშუალებული გზით[21]. მათ შორის ერთ-ერთი ადრეული ჩანს საკუთარი სახელი სულალმახიც, რომელიც ქართულ გარემოს ძალზე ადრე უნდა შეეთვისებინა, დაახლოებით ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე. სამეგ ისაა, რომ აღნიშნული სახელი სწორედ ამ დროს იყო ფართოდ გავრცელებული შუმერში, ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს ძალზე ფართოა შუმერის, როგორც გარკვეული ეთნიკური ერთობის განმასაზღვრელი სახელმწიფოს გაელენა. ამის შემდეგ შუმერები თავიანთი სახელმწიფოებრიობის მოშლასთან დაკავშირებით სწრაფად იფანტებიან სხვა მოდგმის ხალხებში. ძვ. წ. XVIII საუკუნედან შუმერული და შუმერული ენა საბოლოო ავდგომას განიცდის, რისი პროცესიც შეუდარებლად სწრაფად დამთავრდა. ზედიდარი შუმერული კულტურა თითქმის მომაჯადოვის სარეცელიან ხარბად იიტაცეს მეზობელმა საპყარელმა — ელამელებმა, ასურელ-ბაბილონელებმა, აგრეთვე შუამდინარეთის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებმა, რომელთაც ეწინდნენ სუბარების სიერრო სახელწოდებით. უძველესი ქართველი ტომების წინაპრები ამ მხრის არა თუ ისე შორეული ბინადრები იყვნენ. სავსებით მოსალოდნელია, რომ სწორედ ამ დროს (თუ ადრე არა) გაჩენილიყო ქართველურენოვან სამყაროში არა ერთი სიტყვა და ტერმინი, რომელიც დღეს ეკუმენეტანლად შუმერიდან მიღებულადაა გამოცხადებული. უძველ ქართულ ონომასტიკას შემოფარა თავი ბევრმა შუმერულმა სახელმაც, რომელთაგან დღემდე ცოცხლად შემოგვეწახა საკუთარი სახელი სულალმახი ბრწყინვალე მითოლოგიური ეპოსის ამირანიანის შეუდარებელი გამძლეობის წყალობით.

ჯემალ ფარაშვილიძე
ამირანის მამის სახელის სულალმახის ეტიმოლოგიისათვის

შენიშვნები:

1 აღნიშნულ ტერმინს ჩვენ ვხმარობთ „ქართული წარმართული პანთეონის“ ნაცვლად.

2 შ. ნუცუბიძე, ამირანი, თბ., 1945. გვ. XIX-XX.

3 დ. შენგელაია, მზეთუნახავი, თხზულებანი, IV, თბ., 1972 გვ. 266.

4 ვ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965 გვ. 49-53.

5 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I, თბ., 1913, გვ. 147; ამავე ნაშრომის მე-5 გამოცემა, თბ., 1960, გვ. 149.

6 დ. შენგელაია, თხზ. IV, გვ. 298.

7 ეს სავსებით სწორია. ძველ ქართულში ნადირობა და თევზობა ერთი და იმავე ტერმინით „ნადირობით“ აღინიშნებოდა, იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 317; შეად. სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, თხზულებანი I, თბ., 1959, გვ. 61-62, იგივ. არაკი: „ვირი, ვეფხვი, მელა და მგელი“.

8 М. Я. Чиковани, Народный грузинский эпос о прикованном Амирани, М., 1966, გვ. 312—313.

9 ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში და მოწმეებულია თევზის ღვთაების ლასის არსებობის ფაქტი, იხ. გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული ექსპედიცია იმერეთში „ენიმკის მოამბე, II 3 (1937); რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, „ენათმეცნ.“, 1972, № 9, გვ. 187.

10 Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тб., 1954, გვ. 122.

11 შუმერული ენისა და შუმერების შესახებ იხ. „ცისკარი“, 1973, № 2, გვ. 121-131.

12 Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

13 იქვე, გვ. 122, შენ. 21.

გვ. 187.

14 A. Salonen, Zum Aufbau der Substrate im sumerischen, «Studia Orientalia», 37 (1968), № 3, გვ. 7.

15 A. Deimel, Das Keilschriftsystem, «Orientalia», 14 (1924), გვ. 44, № 122.

16 შეად. И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, М., 1967, გვ. 52.

17 შეად. M. Tseretheli, Das Sumerische und das Georgische, «Revue de Karthvelologie», NS VI—VII (1959), გვ. 80; И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრ., გვ. 52

18 M. Tseretheli დასახ. ნაშრ. გვ. 80; ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941, გვ. 111-120.

19 D. D. Luckenbill, Inscriptions from Abad, Chicago, 1930, 144:5,7.

20 A. L. Oppenheim, Catalogue of the Cuneiform Tablets, New Haven 1948, D 4, O 29, P 2, R 4; N. Schneider, Die Geschafts urkunden aus Drehem und Djoha, Berlin, 1930, 136:27, 392:3; G. A. Barton, Haverford Library Collection of Cuneiform Tablets, II, Philadelphia 1905—1914, 75, 57, III, 11, 91, 94, 1114; L. Legrain, Business Dokuments of the Third Dynasty of Ur, London, 1937, 272, IV, 1.

21 ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. გ. ქორდანია, მეხუთელნი, თბ., 1956, გვ. 125—179.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი მინაშვილი

ვაჟა-ფშაველას ერთი წერილის გამო

მე-19 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები სულმოუთქმელად მოელოდნენ ვაჟა-ფშაველას კალმის ნაღვაწს. დიდი პოეტის გამოჩენა პრესის ფურცლებზე ყველას სიხარულს გვრიდა, მაგრამ ამჯერად ერთ კურიოზულ შემთხვევაზე მინდა მკითხველთა ყურადღების შეჭერება. — ანსატასია თუმანიშვილ-წერეთელს უარი უთქვამს თურმე ვაჟას რომელიღაც ნაწარმოების „კალაში" დაბეჭდვაზე, იმ მოტივით, რომ „**ახლად დაპრუნებულმა რედაქციის წევრმა აკაკიმ დაიწუნაო**" (ხაზი აქ და შემდეგაც ჩვენია, ს. მ.). პოეტი განაწყენებულა და ეს კარგად ჩანს გ. წერეთლის საარქივო ფონდში დაცულ ანასტასიას წერილის პასუხად გამოგზავნილ ერთ ცნობილ ბარათში:

„... მე თითონ დიდად პატივსა ვცემ აკაკის ნიჭს და მოღვაწეობას, მაგრამ ისე, კი არა, არც აკაკის, არც სხვას, რომ საკუთარი თავის პატივისცემაზე ხელი ავიღო, ან საკუთარს მსჯელობაზე, საკუთარს შეხედულებაზე ამა თუ იმ საგანზე. ნურას უკაცრავად, ბატონო ჩემო, ამ სიმართლის თქმისათვის, სულ სხვაგვარად მოგსწერეთ საქმე. რაც მე მასალა წარმოგიდგენეთ თქვენ ზომ მიიღეთ ის მასალა და კიდევაც უნდა დაგებეჭდათ თუ საკუთარს თავს და საკუთარს აზრს ფასსა სდებთ. ერთიც ენახოთ ხვალეე აკაკის ამ „რედაქციის წევრობას" თავი დაანებოს, მერე მე ან თქვენ რაღა გვგშველეს? ზომ უნდა ვირბინოთ კარი-კარ და სხვა დამფასებლები ვეძებოთ ამ ლიტერატურული მასალისა, მაშ რედაქტორობა რადღა გაუჩენია ღმერთსა?... ეს კი არა, იცით საქმე რაშია? ერთი კარგი ქართული ანდაზა მაგონდება. აი ეს ანდაზა: „იმ მთამ დამაზრო ფეხები, რომელსაც არ მოველოდიო". მე მეწადა კარგი განწყობილება მქონოდა თქვენს რედაქციასთან. მეშრომა ისე, როგორც ეშრომობდი „იევრიაში" და ვხედავ რომ თქვენთვის უცხო ვყოფილვარ. დიდე, ღუმ და გამოუსადეგარი. თქვენ გიფიქრიათ ვაჟა-ფშაველამ — „იევრი"-ს თავი დაანება და ახლა ჩვენს ხელი არის როგორც უნდა ისე ვთამაშებთო. უკაცრავად!... თუ ჩემი პატივისცემა გაქვსო ცოტაოდენი მაინც ეგ მასალა სუსტიც რომ იყოს უნდა დაბეჭდოო. რად — რომ მკითხოო, პასუხს არ მოგცემთ. მხოლოდ თქვენ თითონ ფიქრეთ რადაც უნდა დაიბეჭდოს თუნდა „სუსტიც იყოს". ნუ თუ იმდენი აღარაფერი გამიკეთებია ქართულს მწერლობაში, რომ მსაჯულად ჩემის ნაწერებისა და მოპასუხად მკითხველების წინაშე მე თითონ ვიყო?

ამიტომ, ბატონო ჩემო, მე ეხლა ჩემს გულის პასუხს გწერთ: მანამ მაგ „სუსტს მასალას" არ დაბეჭდავთ მე თქვენ ვეღარაფერს მასალას ვერ მოგაწვდიო."[1]

წერილი უთარიღოა და არც ის ჩანს, თუ რა სათაური ჰქონდა იმ „სუსტ მასალას", მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ იგი განკუთვნილი იყო „კვალისთვის" და არა „ჯეჯილისთვის", რადგან, ჯერ ერთი, აკაკი „კვალის" რედკოლეგიის წევრი იყო („**რედაქციის წევ-**

[1] საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება № 16138-I

რმა „ალკამ დაიწუნაო“ — წერს ანასტასია.) და მეორეს, „ოვერიისაგან“ განაწუხებულ პოეტს, უსათუოდ, „კვალის“ კარები უნდა შეეღო.

ანასტასიასადმი გამოგზავნილი ბარათის თარიღისა და ამ „სუსტი მასალის“ სათაურის დადგენისთვის, რომელსაც უდაოდ მნიშვნელობა აქვს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთი კონკრეტული მაგალითის დასაზუსტებელად, უტილებელია ოვთით „ოვერიასა“ და „კვალის“. სწორედ ამ გამოცემებში უნდა მივაგნოთ დიდი პოეტის უკმაყოფილების ანარეკლს, რაღაც მათ შორის არსებული უთანხმოების გამო, ერთიც და მეორეც უეჭველად თავისებურ და სხვადასხვა კომენტარს გაუკეთებდა ამ ფაქტს. ერთ-ერთი ასეთი კვალი „ოვერიაში“ ჩანს. 1894 წლის 22 სექტემბრის (№ 201) „ოვერიაში“ მოთავსებულია მეველეს (დავით მიქელაძის) მოწონავე წერილი, რომელიც ეხება ვაჟა-ფშაველას მიერ — „სტუდენტთა კასსიდან“ ვალის აღების საკითხს. ეს საკითხი ჯერ კიდევ ორი წლით ადრე უნდა გადაწყვეტილიყო, როცა პეტერბურგელმა ქართველმა სტუდენტებმა მოვალეებს ფულის გადახდის მოთხოვნა წარუდგინეს. პოეტს გაჭირვების გამო არ შეეძლო 50 მანეთის გადახდა და სტუდენტებისადმი გაგზავნილ წერილში თავისებურად ასაბუთებდა კიდევ ამ ვითარებას. სტუდენტებმა ეს წერილი მიღებისთანავე დაბეჭდეს სასულიერო ჟურნალ „მწყემსში“. „ოვერია“ მაშინ დუმდა ამ წერილის შინაარსზე, მაგრამ აი, 1894 წლის 22 სექტემბერს საკითხის კვლავაც გადაწყვეტილობის სპასპინი, რედაქცია იეალდებულებს თავს სათანადო განქიქებით გადაბეჭდოს ვაჟა-ფშაველას წერილი „მწყემსიდან“, და მოთხოვოს პოეტს ვალის გასტუმრება.[2]

„კვალი“ ასეთ კომენტარს უკეთებს ამ ფაქტს:

„ამ წერილმა ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა, რათ უნებებია „ოვერიას“ ოდესმე მისი სათაყვანებელი პირის ასე ეუწყალოდ გაკიცხვა. იყო დრო, როცა იგი მას თავისი გაზეთის ღმერთად მიიჩნდა და ვინც იმის პოეზიის შესახებ რასმე წინააღმდეგ აზრს წარმოთქვამდა, მეხანათად თვლდა, მაგრამ დღეს ივვვე „ოვერია“ ასე უპატივცემლოთ ეკერობა ჩვენს პოეტს... რა არის ამის მიზეზი? ალბათ ახლა „ფრონი იცვალნენ“... **ბევრმა თანამშრომელმა დაანება თავი „ოვერიაში“ და მათ შორის ბ-ნმა ვაჟა-ფშაველამაც, რომელიც პრინციპულად გაშორდა რედაქციას, რადგანაც არ თანაუგრძნობდა გაზეთის ახალ მიმართულებას და „თუ გამშორეთი, მაშ, ეს-ეს შენი“.**[3]

რამდენიმე დღის შემდეგ მეველე გამოეფინა „კვალს“. ვაჟა-ფშაველას რაღაც „ახალი მიმართულების“ გამო კი არ დაუნებებია თავი „ოვერიისათვის“, როგორც ეს „კვალს“ ჰგონია, არამედ პოეტმა „გამოგვიგზავნა რამდენიმე ფელეტონი, რომელიც დაწერებულიყო ეს სარედაქციო კომიტეტისაგან და ვერ დაიბეჭდა. ამის გარდა, მოიტანა ერთი ლექსი... არც ეს ლექსი დაბეჭდეთ, რასაკვირველია, იმის შემდეგ ვაჟა-ფშაველა რედაქციაში ალარ გვინახავსო“... (იხ. „ოვერია“, 1894, № 208).

მანამდე ვაჟას კარგი ურთიერთობა ჰქონდა „ოვერიასთან“. მან რედაქციაში მუშობაც სცადა, ოღონდ ილია ყოყმანობდა: „—**კარგსა ვშვერებთ, გამოგადგება? ან კიდეც რომ გამოგადგეს, ცოდო არ იქნება მაგისი ნიჭი გაზეთის მუშობაში ჩაგლესოთ?**“ — ამბობდა თურმე ვაჟას ნიჭის ჭეშმარიტად დამფასებელი. მართლაც, პოეტს „ოვერიაში“ მუშობა არ გამოუვიდა. იაკობ მანსვეტაშვილის გადმოცემით მას რედაქციაში უმუშევნია „მხოლოდ სამი დღე“.[4]

სამაგიეროდ „ოვერიის“ რედაქციამ ვაჟას დაუნიშნა ხუთი თუმანი იმ ნაწერებისათვის, რომელსაც იგი ჩაჩაღლიდან გზავნიდა. ამ მოვლენამდე, ე. ი. კონფლიქტამდე, ვაჟა-ფშაველა სისტემატურად თანამშრომლობდა გაზეთში.

ახლა გადავათვალეროთ „ოვერია“ და დავკვირდეთ, „კვალის“ დაარსების შემდეგ (1893 წ.) და ზემომოყვანილ თარიღს შორის, (1894 წლის სექტემბერი), საღღაც უნდა შეწყვეტილიყო პოეტის თანამშრომლობა „ოვერიაში“. „კვალის“ დაარსების შემდეგ იმიტომ, რომ ანასტასიასადმი მოწერილ ბარათში აღნიშნული „სუსტი მასალა“ „კვალისათვის“ იყო განკუთვნილი. ალმოჩნდება, რომ 1894 წლის 6 იანვრის[5] შემდეგ 1895 წლის 12 აგვისტომდე ვაჟა-ფშაველა „ოვერიაში“ არ გამოჩენილა. მაშასადამე, მთელი წელი და 7 თვე (ცოტა მეტი) ეძღერეოდა პოეტი „ოვერიას“ და სამაგიეროდ, მოუზარი „კვალში“ თანამშრომლობას.

ახლა იმის დასადგენად, თუ როდის მოუვიდა პოეტს კონფლიქტი „კვალთან“ და, მაშასადამე, ბარათის დაწერის თარიღის დადგენისათვისაც, ყურადღება მივაქციოთ ამ

---

[2] ვაჟა-ფშაველას სასასუფთო წერილი — „ოვერია № 201 და მეველე“ დაიბეჭდა „კვალის“ 1894 წლის 48-ე ნომერში.

[3] იხ. „კვალი“, 1894, № 40 გვ 2.

[4] იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936, გვ. 107.

[5] 1894 წლის 6 იანვრის „ოვერიაში“ დაიბეჭდა პოეტის ლექსი „სასალწლოდ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდის განმავლობაში „კვალში“ მისი ნაწარმოებების ბეჭდვის თანმიმდევრობას. სა კითხის გასარკვევად განსაკუთრებით საინტერესოა 1894 წელი. მთელი წლის „კვალის“ № 1, 3, 4, 40, 48, 51 და 52-ში იბეჭდებოდა ვეჟას ნაწარმოებები. ისმება კითხვა, რატომ არ ჩანს პოეტი რედაქციაში. „კვალის“ მე-4 ნომრის გამოსვლიდან მე-40 ნომრის გამოსვლამდე, ე. ი. 1894 წლის 16 იანვრიდან 25 სექტემბრამდე? საკვირაველია, რომ კონფლიქტი სწორედ ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო. მართალია, პოეტს სურდა, როგორც ანასტასიასადმი მოწერილ ბარათიდან ჩანს, ეთანამშრომლა „კვალთან“ ისე, როგორც ამას აკეთებდა „ივერიაში“, მაგრამ განაწყენებული პოეტის თქმით „კვალის“ რედაქციას „უფიქრია — „ივერიას თავი დაანება და ახლა ჩვენს ხელთ არის, როგორც უნდა ისე ვაკეთებთ“. ამასთანავე, ვეჟა დაპირდა „კვალის“ რედაქტორს, „მანამ მაგ „ხუსტს მასალასა“ არ დაბეჭდავთ მე თქვენ ვეღარაფერს მასალას ვერ მოგაწვდითო“. პოეტი თავისი სიტყვის ერთგული დარჩა. საყურადღებოა ისიც, რომ ვეჟას 1894 წლის იანვრიდან სექტემბრამდე არც ერთი ნაწარმოები არ წარმოუდგენია ჟურნალ „ჯეჯილში“. მაშასადამე, პოეტმა შესაბამისი პერიოდის განმავლობაში „ჯეჯილსაც“ შეუწყვეტა მასალების მიწოდება, რადგან „კვალი“ „ჯეჯილის“ დამატებად ითვლებოდა, ხოლო ორივეს რედაქტორ-გამომცემელი იყო ანასტასია თუმანიშვილი.

ცხადია, „კვალის“ რედაქციამ გაითვალისწინა ეს გარემოება და, კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, შერიგების მიზნით, „კვალის“ მეორმოცე ნომერში გამოესარჩლა დიდ პოეტს „ივერიის“ წინააღმდეგ. 6 აქვე დაიბეჭდა მისივე ლექსი „ქებათა-ქება“. საკვირაველია, რომ ვეჟა-ფშაველას“ „ქებათა-ქების“ ციკლს სწორედ ეს ლექსი ჩათვალა აკაკიმ „ხუსტ მასალად“.

პოეტის სასპასუხო წერილი იწყება შემდეგი სიტყვებით:

„14 მარტს მოწერილი თქვენი ბარათი დღეს, ორს აპრილს, მივიღე და პასუხსაც ეხლავე გწერთ“...

რაკი ჩვენი ვარაუდი ანასტასია თუმანიშვილისადმი გამოგზავნილი ბარათის დაწერის თარიღის დადგენისა შეჩერდა 1894 წელზე, ხოლო თვე და რიცხვი თვით ბარათის დასაწყისშია მოცემული, ამიტომ „კვალის“ რედაქტორის მიერ ვეჟა ფშაველასადმი გაგზავნილი ბარათი, რომელიც არსად ჩანს და, რომლის ფრაგმენტს სასპასუხო წერილში ვხვდებით, თარიღდება 1894 წლის 14 მარტით, ხოლო პოეტისა ამავე წლის 2 აპრილით.

---

6 იხ. „კვალი“, 1894, № 40, გვ. 7.

რამაზ ხუნდაძე

პატარა ჰუპის ზღაპარი

სალტიკოვ-შჩედრინმა ძალზე მოკლე ანდერძი დაუტოვა შვილს, სადაც ნათქვამი იყო — იყავი პატიოსანი, გიყვარდეს დედა და ყველაზე მეტად კი მშობლიური ლიტერატურას ეთაყვანენო. ეს სიტყვები სალტიკოვ-შჩერდინის მხოლოდ მწერლობით არ თქმულა. მშობლიური ლიტერატურის გადმერთება ყველა ჭეშმარიტი ადამიანის ვალია.

დიდ, ღრმა ლიტერატურამდე მისასვლელად, შესაყვარებლად აუცილებელია ბავშვობაში წაკითხული თუნდაც ერთი ბეწო მოთხრობები თუ ლექსები, ზღაპრები, თუ ლეგენდები. — ერთი სიტყვით, ადრეულ ასაკში გაცნობილი კარგი საბავშო ლიტერატურა.

ყარამან კიკვიძის წიგნი ბაქანს მოგვაგონებს, რომლის ჩათვლეა ერთი-ორი ნაბიჯითაა შესაძლებელი. მერე კი აღვილია აუყვე დიდებულ ალმართს — სათაყვანებელი ლიტერატურისას. ალმართზე თავისუფლად ასვლა კი სწორედ ამ ციცქნა ბაქნების დამსახურებაა.

„პატარა ჰუპის ზღაპარი“ ასე ეწოდება ყარამან კიკვიძის წიგნს. იცოდა მისმა ავტორმა რასაც წერდა და ვისთვისაც წერდა. პირველი, რაც შეიძლება წიგნის დახუთვისას იგრძნოს მკითხველმა ისაა, რომ ავტორი ნორჩების დიდი სიყვარულით მუშაობდა, ქმნიდა მოთხრობებსა თუ ზღაპრებს.

ყარამან კიკვიძის ნაწარმოებები სავსეა იუმორით, კეთილი იუმორით ბავშვებისათვის.

პატარა გოგონა კითხულობს მამის ავტომანქანაზე საფირმო წარწერას და უცებ გაიკვრებს:

„— მოსკვიჩ... მამიკო, ი სად არის?

— ი ნატო ბებიასთან წავიდა რაჭაში“.

მარილაც თავისუფალი, ხალასი ღიმილის მომგვრელი ხუმრობაა.

საერთოდ კი გაბშრდა ნაწარმოებები, სადაც გამორის ბავშეი პატარა „დილილ-მე, დილილ-მეს“ ან „ბავშვი ადამისდრონანდელი შეძახილით და ისეთს „კუდრაკუბს“, რომ დღეკანდელი პატარა მკითხველი ალბათ გაიოცებს, ეს რა ჩამორჩენილი თანატოლი მყოლიაო.

„პატარა ჰუპის ზღაპარში“ ნებისმიერი დიალოგი, გმირების ქცევა თანამედროვეა და რაც მთავარია, მშობლიურ ნიადაგზე დგას.

ამ პატარა მოთხრობებში მკითხველი, ვისთვისაც წიგნია განკუთვნილი, მშვენივრად იღებს ინფორმაციას სხვადასხვა საკითხებზე და ეს ძალდაუტანებლად, ბუნებრივად ხდება. აი, მაგალითად:

„ცხრაასხვიდმეტში დიდი ამბები მოხდა, გიამ კარგად იცის. მეფე რომ მეფეა, იმასაც ცხრაასხვიდმეტში ჯერეს ხელი და ტახტიდან — სკუპ! — პირდაპირ იატაკზე ჩამოაგდეს“.

ინსტიტუტის ერთი იუმორისტული ნაბატი: ფანჯარაზე გადმომდგარი შინაბერა თვითონვე ათამაშებს თითებზე დამაგრებულ მარionეტს, რომელსაც გიტარა მოუმარჯვებია და „სატრფოს“ გულისდამშვენ სერენადას უმღერის. „სატრფო“ — შინაბერა მაინც ეუხალისოდ გასცქერის სიერცეს. რამხელა სეედან!... ბავშვებსაც სჩვეოდათ თავიანთ წარმოდგენაში სურვილის მიხედვით უფროსებს ამოქმედება, მაგრამ აქ უკვე სეედიანი ალარაფერია. ეს ფაქიზი, სასიამოვნო ოცნებაა, რომელიც დროთა განმავლობაში იწმინდება და მიწიერი ხდება. იქნებ (და კი ასეცაა) ზედმეტად ვაღმერთებდით ადრეულ ასაკში ახლოობებს, იქნებ საჭიროა ბავშვობაშივე კრიტიკული თვალი შევაღლოთ მშობლებსაც კი. ამ ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ (ორა მარტო ბავშვებისაგან) მამაჩემი ყოველისშემძლეაო. ზოგი სასაცილო მდგომარეობაში იდგებს თავს, იმდენად სასაცილოში, რომ ამაყად აცხადებს თუ როგორი მოჩხუბარი მამა ჰყავს.

ყარამან კიკვიძის წიგნში არის ერთი მოთხრობა „ეჭ, პატარებო, პატარებო"... სწორედ ამაა ჭეშმარიტობილი, როგორ შეხედა ერთი შემთხვევის მერე პატარა ბიჭმა მამამისს ჩვეულებრივი თვალით და თქვენ წარმოიდგინეთ, მთ ურთიერთობის ამით არაფერი დაკლებია. ჯერ კიდევ როდიდან გვასწავლიდნენ მშობლების სიყვარულს და ამ დიდებულ ცნებას ხელსაც ვერვინ უთარეფს, ოღონდ ზომიერი სიყვარული, ზომიერი პატივისცემა იყო ყოველთვის ნაგულისხმევი. ეს პატარა წიგნი ამითაცაა სანიმუშო — რა ნორმალური დამოკიდებულებებია მშობლებსა და პატარებს შორის.

რა თქმა უნდა, ყველა მოთხრობა და ზღაპარი ერთ დონეზე არა დგას. მაგალითად „ბებერ-შემის ჭია ჯინა" აშკარად სჩვებზე ნაკლებია, მაგრამ თითქოს მოსაწყენ ზღაპრულ სამყაროში შემოდის პატარა გოგონა და ცოცხლდება, ნათდება ყველაფერი. აქაც აშკარაა ბავშვების დიდი სიყვარული. ავტორის სითბო გადმოგვნა.

კრებული მთავრდება „პუშის პატარა ზღაპრით". ალბათ ბებიის მოყოლილ ზღაპრების ციკლს გაგრძელებდა ყარამან კიკვიძე, გაგრძელებდა ნორჩების სასიხარულოდ, სასარგებლოდ, მაგრამ ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ კაცი ვისაც ადამიანების სიყვარულით სავსე ჰქონდა გული, სამწუხაროდ, ამ წიგნის გამოცემას ვერ მოსწრებია.

ლუიზა კასრაძე

შუქი სევდისა

გ. გეგეჭკორის პოეზია, როგორც ფილოსოფია, დაშორებულია იმას, რაც თუნდაც „სიზუსტის" სახეს ატარებს. მაგრამ შეხედულებათა, ცნებათა, გემოვნებათა ჭიდილსა და დაპირისპირებაში დაკვირვებული თვალი აღმოაჩენს სიცოცხლის მუმხიბვლელობას, ადამიანის დანშნულების შეგნებას. მისი პოეზიის მთავარი ლირიკული გმირი — ეს არის ჭეშმარიტი მამულიშვილი, რომელიც ფიქრობს, ეძებს, მოქმედებს.

ადამიანო! ნებისყოფის ჯვარზე გაკრული, ვერვინ ჩამოგხსნის, იყავ ფხიზელი,
ამ მიწიერზე მიწიერ მიწას შენ ვერსად ნახავ, ვერსად მიიგნებ,
რომ არ დაყარო, შენს გარშემო შემოიკრიბე პატიოსნების ქვეშევრდომები!

ყოველ გარეგან მოვლენას წინ უძღვის შინაგანი ბიძგი. ყოველი გარეგანი მოვლენა შედგება შინაგანი ძალების მოქმედებისა. პოეზია იჭრება მოვლენის ამ მეორე, შინაგან მხარეში, იმ ძალთა სიღრმეში, რომლისგანაც ვითარდება მოვლენა და მოქმედება. სული გარეგანი რეალობიდან გადადის თავის თავში და პოეზიას აძლევს შინაგანი სიცოცხლის მრავალგვარ იერსა და ელფერს. აქ პოეტის პირველები პირველ პლანზე წარმოსდგება და ყველაფერს, მისი მეშვეობით ვღებულობთ და ვიგებთ.

მე ვარ უკვდავი, დაკარგე ჩრდილი და სვეტებივით ჩემი ფეხები.
მიწას ეყრდნობა და შუბლზე თბილი მარადისობის სუნთქვა მეხება.
მე ვარ ნათელი და ჩემს მზერაში მოქცეული მთელი სამყარო.

ყოველი ლექსი იმ ძლიერი აზრის ნაყოფია, რომელსაც პოეტი განუმსჭვალავს, იმის მაგონებელია, თუ რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული, რას ნიშნავს შენი პირადი პასუხისმგებლობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე. „ზმანი ღღე" — არის ენისა და რიტმის, მელოდიისა და ჰარმონიის სიმდიდრე. მასში არის შემოქმედებითი ოცნების, პოეტური გამოთქმის ენერგია, სადაც ქართული ენის ძალა სულით ხორცდება.

შენ იყავ ქართლი და მიწის ძარღვებს დაწფეებული ხარბად გსრუტავდი
და მივდიოდი ცეცხლივით მაღლ და ჩაღდებოდა სული მბეკუტავი...

გ. გეგეჭკორის პოეზია ვერ ითმენს განყენებული იდეების უსხეულო სიშიშვლეს, პირიქით. მებრძოლი ბუნების ვგრი ვგხდა პოეტის მხატვრული ძიების მთავარი სავანი. ეს ვგრი უკომპრომისოა. მას არ შეუძლია ნაკლოვანებებისადმი, უარყოფითისადმი შეგუება. ადამიანის შესაძლებლობათა რწმენა, ადამიანის ამაღლება, ადამიანში ადამიანური აღმოჩენა გასდევს ლეიტმოტივად ლექსს — „ფეოდალი". მხიერებულია ანგარებიანი, წვრილმანი, კერძომესაკუთრე-

ლი გრძნობის გადმონაშთები და გზამთ კაცობრიობის ტრიბუნის, ჰუმანურობის მაუწყებლის, ყოველივე მაღალისა და ზნეობრივად მშვენიერისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა ამოიღე,
  დამნაშავეს გადაეღობე, —
    არ დაიბიო,
    არ დაუთმო, —
      ესეც ომია!..

არაამქვეყნიური წამების სამარისებური ყრუ ხმა, იმედისა და სასოების ყველა ადამიანური გრძნობის, სიცოცხლის ყველა მომხიბვლელობის, სულის შემაძრწუნებელი რექვიემი ხმიანობს ლექსში — „უსახელო მაღლობი". ეს სულიერი დისჰარმონიის, გულის სასოწარკვეთის წუთი კი არ არის, — ეს მთელი სიცოცხლის საგალობელია. ის, ვისთვისაც გამოცდილებით უცნობია მასში გამოხატული სულიერი მდგომარეობა, ამ ლექსში დაინახავს ელვაგარ განწყობილებას. მაგრამ, ვისთვისაც შესაძრნეველია დიდი ხნის ნაცნობი გრძნობის გამოხატულება, ის შეიგრძნობს უმანკოების სიწმინდეს.

სიყვარულო, ვიცი, ვიცი, ყველფერს ხვდები.
და ისიც ვიცი, თვალებს ხუჭავ.
თავს იტყუებ.
სიძულვილთან ბრძოლას გიგობი.
არ გიუწოდო სიძულვილს ხელი.
იყავ სასტიკი.
არ შეიბრალო.
იცოდე, საფრთხე დაგემუქრება.
იმედი დიდი ნუგეშია.
მაგრამ იმედი ვერაგია.
იმედის იმედით ნუ ძმენები.

პოეტის კეთილი ნებაა გამოხატული აქ. ამ საწყისის გარეშე ცხოვრება წინ ვერ წავა, უამისოდ ქმედი ვერ გაიმარჯვებს, ბოროტზე... უამისოდ სიყვარული ვერ გაიმარჯვებს. ეს არის წყნარი ფიქრების, თავის თავში გამომწყვდეული, ძლიერი, მაგრამ უმანკო გრძნობის მელოდია, სადაც სათნო, გულითადი განწყობილებაა.

რა რიგ მდიდარი და წარმტაცი არ უნდა იყოს ადამიანის შინაგანი ცხოვრება, იგი სრული არ არის, თუ არ შეითვისებს მის გარეთ მყოფი ქვეყნის, საზოგადოების, კაცობრიობის მიზნებს. ცოცხალი ადამიანი თავის სულში, თავის სისხლში იტარებს საზოგადოების სიცოცხლეს. არ შეიძლება არ გიყვარდეს მამული, როგორიც არ უნდა იყოს იგი; საჭიროა მხოლოდ ეს სიყვარული იყოს არა უსიცოცხლო კმაყოფილება იმით, რაც არის, არამედ სრულყოფის ცოცხალი სურვილი.

ვამზნევებდე მზის წინაშე
მუხლმოდრეკილ თბილისს,
ჩემს ცხეღარზე ისტორია
სანამ გადავლის...

კიდევ ერთი მაგალითი:

და ძლიერ გიკვირს:
რომ ეს ქალაქი მხოლოდ ქალაქი არის ზოგისთვის.

აწმყო არასოდეს ჩვენი არ არის, რადგან იგი ჩვენ გვნთქავს და თვით სიხარულიც აწმყოში მძიმეა ჩვენთვის ისე, როგორც მწუხარება, რადგან ჩვენ კი არ ვფლობთ მას, არამედ ის ჩვენ. უნდა დავცილდეთ რამდენიმე მანძილით და შორიდან შეეხედოთ მას. შორიდან ყველაფერი ჩარჩოშემოვლებული ჩანს.

მე გავუძელი შფოთვას და ტკივილს, მე გავიარე ღამის კიდეზე.
თრთის და კანკალებს მიწის ორბატი — ჩემი საყრდენი და ჩემი ფუძე.

პოეზიის წედმა სულის გამოცოცხლებაა. გ. გეგეჭკორის პოეზია საზოგადოების ცხოვრების ანარეკლია, ხალხურობისა, რომელიც მდგომარეობს ქართული ჭკუის მოქნილობასა და საგნების მიმართ ქართული თვალსაზრისის გამოჩენაში. მისი პოეზიის იდეა ცოცხლობს განუწყვეტლივ. სიცოცხლე მოქმედებაა, მოქმედება კი ბრძოლა — ბრძოლა სამშობლოს სასიკეთოდ, კაცობრიობის სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაღვიძებული შენი გონება
მიძვრება აზრის ხარაჩოებზე,
რომ გამოადგეს, ყოველ სიტყვას ებღაუჭება,
ვით მეზღვაური — ასხლტილ ანძას...

ძლიერი და მტკიცე სულის მშვიდი, წყნარი სევდა, ნაღვლიანი მელოდიური ხმები ისმის, რომლებიც ერთი მეორეზე იფრქვევიან, როგორც ცრემლი ცრემლზე, ბგერები ბგერებზე, რამდენი რამაა მასში იდუმალი, გამოუთქმელი, მაგრამ ნათლად გასაგები გულისთვის! („ფარდა").

არ გიმღღვენებდა, მაგრამ ბალახის
ბრმა და უენო სიყვარულით უყვარდი მუდამ.
შენ არ გესმოდა, როგორ მღეროდა
ნიავის ხმით შერხეული ბალახის ღერი...

გ. გეგეჭკორის თითოეული შეგრძნება, თითოეული გრძნობა, აზრი, სურათი აღსავსეა გამოუთქმელი პოეზიით. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" ამასწინათ დაბეჭდილი ლექსი — „მეცხრამეტე საუკუნის პოეტები" — გვიმორჩილებთ მსუბუქი, ნათელი სევდით, პოეტური ჩაფიქრებით. გვიზიდავს მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოების პოეტური სურათი. რა მოკრძალებულია პოეტის საუბარი ამ ადამიანებთან! ამ თვალსაზრისით ეს ლექსი ისტორიული ხასიათისაა, თუმცა მის გმირთა შორის არც ერთი ისტორიული პირი არ ჩანს. აქ ბგრძნობა სულისკვეთების ძალა და ძლეგამოსილება, ჩიგილის მოკრძალება, ლოცვის კეთილსურნელოვნება, ალფრთოვანება.

ეტლში ცხენები გამოვუშვით, უნდა გატაროთ
ეტლში შევიჯათ, როგორც ცხენები.

ამ მიმართვაში სტილი, ლექსის ფაქტური, ცნებები, შეხედულებები, — ყველაფერი მე-19 საუკუნეს ეკუთვნის. მშვენიერი და საინტერესო ხანა იყო ეს, მაგრამ კიდევ უფრო მშვენიერი და მომხიბვლელი იყო ეს საზოგადოება! რამდენი სხვადასხვაგვარი, ძაგრამ ურთიერთდაკავშირებული, ერთიანი სულისკვეთებაა მათში! რა აძლევდა მათ ძალას? რა ფიქრი, რა სიყვარული, რა ტკივილი? იმიტომ, რომ პოეტმა კეთილისა და ვაჟკაცურს საწყისი დანერგოს, გააძლეროს — ვეფხვენი, რა ძლეგამოსილი ყოფილი ადამიანი, რამდენი შესძენია, რა სული ჭქონია, როგორ განუყრელად ყოფილა დაკავშირებული მისი პირადი ბედი ქვეყნის ბედთან. ამასთან, პოეტის მიზანია გაეგზიაროთ ჩვენი თანამედროვის ის საუკეთესო თვისებები, რომლებიც მემკვიდრეობად მიიღო მამა-პაპათაგან. დაეინახოთ ის ახალიც, რაც ამ ეფრსახეს შემატა ჩვენმა დრომ.

პოეტის სული თანაუგრძნობს ყოველივე დიდებულსა და ამაღლებულს. ეს თანაგრძნობა განვითარებულია ისტორიულ ნიადაგზე. მისი სული ღრმად ჩასწვდა წარსული ცხოვრების საიდუმლოებას, რაც მთელი სისრულით გამოხატა ლექსში — „ტრანზისტორი". ეს არის სიმღერა გამარჯვებაზე.

ხელები ზევით, გულგრილობავ, ხელები ზევით!
ადამიანის გულგრილობავ, ხელები ზევით!
შენ ბოროტების და სიკეთის ბრძოლის ველი ხარ,
შენი მხნეობა არ ბერდება,
შენ ვერ მოიფიმენ, თუკი ცოცხლებს ცოცხლად მარხავენ
მიცვალებულთა გასაღმერთებლად!

გ. გეგეჭკორის პოეზიაში ჩვენს წინაშე გამოდის პოეტი-მოაზროვნე. გ. ტაბიძის, ჯ. ჩარკვიანის, ტ. ჭინტერიასადმი მიძღვნილ ლექსებს ერთიანი პათოსი აქვს. თითოეული ლექსის პათოსი ისეთსავე დამოკიდებულებაშია, როგორც ნაწილი მთელთან, როგორც მთავარი იდეის ელფერი და სახეცვლილება.

და ფანჯრებიდან გამოდის
გარეთ სინათლის სული.

ეს სტრიქონები ჯ. ჩარკვიანის პორტრეტი არ არის, მაგრამ მის შინაგან ფსიქოლოგიურ სამყაროზე მეტყველებს.

მალე გაშმაგებული
ოკეანის ხროტინს
მკერდით დაეჯახება.

ამ ლექსით ავტორი ტ. ჯანტურიას ხასიათის სიიდუმლოებაზე მიგვანიშნებს.

პოეტური განსულიერება არ არის ბუნების შემოქმედებითი ძალის გამოვლენა. ბუნების საკურთხეველში გ. გეგეჭკორი შედის გონებისა და გრძნობის სრულქმნით.

სურათებს გ. გეგეჭკორი ბუნებიდან კი არ ხატავს, სულიდან გადმოაქვს: „რა იდუმალი და რა მგზნებარე იყო მაღალი ხეების ლოცვა“! „როდის დაგიხედე კრწანისის ველზე, მითხარ ამბილო, მე შენი ძმა ვარ“! „ეხება მიწას განთიადი კვრდღლის ტუნებით, იღვიძებს მიწა ნამბორალი“, „რომ დაგაბრმავოს, მზე შენსკენ მოდის, გრძელი სხივების ოჩოფეხებით“! „ოქ ციხეს ადგა ნათელი მთვარის ვეება ტაშტით“, „სისხლიან მიწას მზე დასცქეროდა გაწითლებული, როგორც ყასაბი, „და ცა ჰგავს ქუდის გაცვეთილ სარჩულს“.

გ. გეგეჭკორის პოეზიაში შეიძლება მონახული იქნეს არაზუსტი გამოთქმებიც, მსგავსი ამისა:

ხსოვნის კედლებს ღღეკანდელი
ეხეთქება კარაპეტტით,
ჩვენ დავდიკართ, ვით მორჩილი
მსახურები თოვლის კულტის.

ეს ენამკვეცრობა უფროა, ვიდრე პოეზია. მძიმედ, ერთფეროვნად მიედინება. ფორმაში არის რაღაც არათავისუფალი. მიუხედავად მოჩვენებითი სისადავისა, შეიმჩნევა მტანფორული მოშაკრულობა. რასაკვირველია, კლასპარაკობთ შედარებით და არა უეცრობლად. უმრავლესობა კი გვაოცებს მხატვრული ტაქტის ძალით, სავსებით დამორჩილებული ენის სტილით.

დე, შეიცვალოს მისი სევდა სიხარულით. ეს სიხარული იყოს მოკვდავზე უკვდავის, კერძოზე საერთოს გამარჯვების ზეიმი. დაღლილთ ყოფიერების გარღვეული კანონები და პოეტის შემდეგ გავიმეოროთ ფინალი, რომლითაც იგი გულის იარებს ამთავრებინებს თავის პოეტურ სიმღერას:

გეგეღრები!
გეგეღრები!
არ დაკარგო უნარი გაოცების.
გაწუხებენ
სიტყვები,
როგორც ფოთლები საწვიმარ მიწაი გაჭედილი,
წამოკრიფე
და მზიანი დილის საკურთხეველზე მიიტანე.

გიორგი მამუტაძე

პოციუბინსკი და მისი მთარგმნელი

„როცა მას უსმენ, მუდამ თვალნათლივ ხედავ
ადამიანს, ფიქრით ყოველივეს რომ მისწვდა“...
მ. გორკი

„ლემოკრატია მუდამ რომანტიკული იყო, ეს კი სწორედ დიდებულია! რომანტიზმი ზომ ყველაზე ადამიანური განწყობილებაა, მე ვფიქრობ, რომ მისი კულტურული მნიშვნელობა ჯერ კიდევ სათანადოდ არაა გაგებული. დიახ, რომანტიზმი აზვიადებს, მაგრამ ის ზომ კედილ საწყისებს წარმოადგენს ალმატებულ ხარისხში და ამით ამტკიცებს, რაოდენ სწყურიათ ადამიანებს სიკეთე“.

ამ უკეთილშობილესი სიტყვებით მოგვეახლება და ჩვენი სულის თანაზიარი ხდება მიხაილო კოციუბინსკი, უკრაინული პროზის სანადელი და ეროვნული სინდისი. ჩვენზე მოიქცევა მწვრილსულიო ყველაზე ინტიმური გუნება-განწყობილება, იმედი და ჭირთათვნენა, სასოწარკვეთა და სიხარული, ღიმილი და ჭმუნვარება. სიკეთისაკენ თანდაყოლილმა სწრაფვამ გადაარჩინა ადამის მოდგმა დროის მსახვრალ ხელს და მასთან წილნაყარი კაცი ჩვენთვის უწინარეს ძვირფასი, სიტყვის მომრქმელი და ნათლისმცემელი უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანტიკული ალმაფრენით გამსჭვალული და ათასგვარი ხალული თუ უხილავი არსებებით დასახლებული წმერლის უშინაგანესი სამყარო „ზღაპარს ჰგავდა, — საოცრებებით სავსე, იდუმალ, დამატყვევებულ და შიშის მომგვრელ ზღაპარს“, რომელიც ეს-ეს არის აღმოგაჩენინო. თო ეს ზღაპარი ჩვენს წინაშე ალმოჩენილ ცა-მყარის მშვენიერებაზე უფრო მომჯადოებელი არ გვჩვენებოდა, მაშინ აღარც ასერიგად ვიქნებოდით მოხიბლულ-მონუსხულნი. ეს ბიბლი და სილამაზე დღეისამერ განუყრელად თან გვგვავდა და ბაგშვობისდროინდელი მოგონებების დარად გაუხუნარი დარჩება.

„მივიწყებულ წინასპართა აჩრდილები“, მიხაილო კოციუბინსკის შემოქმედების ბეჭნისთვალი, სწორედ ამ ზღაპრული მშვენიერების ხორცშესხმაა. უკეთუ ზღაპარი პოეზიის უმშვენერვალესი გამოვლინებაა, მაშინ კოციუბინსკის პოეზია ყველაზე ქალწულებრივ ზღაპრად გვესახება.

სხვათა ენაზე ურთულესი გარდასარქმელია მიხაილო კოციუბინსკის ამ მოთხრობა-ბალადის, მოთხრობა-ზღაპრის ენობრივი ქსოვილის შინაგანი ბუნება. მისთვის ნიშნეულია ზღვაღაღუდები მღელვარებით აღსავსე მეინარება, უბიწოება, თავაქარობა და სიწრფოება, კლეკამამსილება, სულით ხორცამდე შემძღარი პირველშობილი მიწიერება და კაკლავ ულეველ პოეზია. მთელი სამყარო სავსე იყო პოეზიითო, — ისევ და ისევ ხმიანობს ჩვენს გულში. გნებავთ ეზიარითო ამ უზენაეს სილამაზეს?

„...ჩაფერეტული ივანი საღღიც მოვეს იქით გადაიტანდა ხოლმე მზერას, თითქოს იმას ხედავდა, რაც სხვათათვის უჩინარი იყო, მოჩუქურთმებულ სალამურს მიიტანდა დაბერცულ ტუჩებთან და საოცარი, ჯერარსმენილი სიმღერა ნელი-ნელ ეფფლებოდა მწვანე სათბებს, სადაც ნაძვებს მშვიდად განეფინათ ჩრდილები. ტანში სცრდა ის ქმნადის გამგონეს. თითქოს უსიცოცხლო მთებზე თოვლი იდო, მაგრამ აგერ, მთის იქით ღმერთი-მზე ამოიმართა და ფდდამიწას მკერდზე თავი დაადო. შეირბა თოვლი, დაიძრა წყალი და მიწა ნაკადებმა ანამინეს. მზე ყვავილთა მტკვრიანთ მიმოიპნა და სათიბებზე ფერიები ანოცდნენ. მათ ფეხქვეშ ქორფა ბალახი ღაღანეს. სიმწვანის სულკმით ამოისუნთქეს ნაძვებმა, გაიღმილეს ბალახებმა. სამყაროს მხოლოდ ორი ფერი ჰქონდა: დედამიწა მწვანე იყო, — ზეცა — ლაქვარდი... ბარშა ჩერემშა მიშხუოდა, მთათა მოუსვენარ სისხლს მიერეკებოდა“...

ხედავთ, რა დიდებულად გამოკვეთილი სურათია?! რა მხატვრობა და სიტყვის მადლია?! ასე წერა (სიტყვისეული პოეზიის შეგრძნება) მხოლოდ ეკუმპარტ მხატვარს თუ ძალუძს, ნამდვილ ხელოვანს თუ ხელეწიფება. სწორედ ასეთ ხელოვან-მშვენიერ წარმოგვიდგება ჯაბა ასათიანი, კოციუბინსკის ქართულ ენაზე გადმომრქმელი, ქართულ მიწაზე მეგზური. აგერ უკვე ათიოდე წელიწადია უკანონო მხატვრულ სიტყვას ჯ. ასათიანის სახით ჩვენში მოუსყიდველი დამფასებელი და მოსარჩლე გამოუჩნდა. ათიოდე წელიწადია მისი წაყალობით ქართველმა მკითხველმა გაითავისა ჯერეთ მისთვის უცნობი სამყარო და ახლა უმისოდ სიცოცხლე ვერც კი წარმოუდგენია.

მთელი მოთხრობა ისე ძალოვანად, მხატვრულად თანაბრად, უხინჯოდ არის თარგმნილი. სიმწუხაროდ, ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოგვყავს დედნის გარკვეული მასალები, რაც შედარების საშუალებას მოგვცემდა და მკითხველიც უმალ დაგვერწმუნებოდა. მაგრამ ყველაზე უმრანინ რჩევა აქ ის იქნება, თავად აიღოთ ხელში ეს წიგნი, შემდეგ კი იგი თავისთავად წაგაკითხებთ თავს.

„მივიწყებულ წინასპართა აჩრდილები“ მიხაილო კოციუბინსკის ქართულ ენაზე ცალკე წიგნად გამოცემული პირველი თხზულებაა. პირველი შეხვედრა გამოიკენებელ მწერალთან, მერედა რა დიდებული შეხვედრა! ამას კი თარგმნელ-შემოქმედს ჯაბა ასათიანს უნდა ეუმადლოდეთ. თითქოსდა ჩვეულებრივ „მთარგმნელთან“ „შემოქმედი“ აღარ უნდა გვეხსენებინა, რაკი ცნება „მთარგმნელი“ თავად გულისხმობს, რომ ჩვენს წინაშეა მწერალი, მხატვარი, თარგმნითი პროცესის, ე. ი. ურთულესი შემოქმედებითი პროცესის უშუალო წარმმართველი. მაგრამ ასეა კი ნამდვილად?

მიკერძოებაში ნუ ჩამოგვართმევთ. სუბიექტივიზმი ამქვეყნად ესერიგად მოძალებული სენია, სენადაც არავინ მიიჩნევს. ისე კი, ეს სნება მართლაც არ უნდა იყოს ჩვეულებრივი (ბა), ჩვეულო რომ არის, ამას რაღა მტკიცება სჭირდება), სხვაფრივ რითი შეიძლება ეიხსნას ის ეცნაურზე უცნაური გარემოება, რომ ამ ბილო წლებში ქართულად თარგმნილი თითქმის ყოველი წიგნის გამოსელას ტაშისკერთა და ყიეინით ხვდებიან. კიდეკ ერთხელ ამარადეს ქართველი ანდაზა: ყველა ალბანას თავისი ჩალანა ჰაკვსო; ჰკაკვს აშკარად ცედს, მდარესა და საშუალო თარგმანებს. ეი, კარგს კი რატომღაც არა ჰკაკვს. ზემოთ აღვნიშნეთ, თითქმის ყოველი თარგმანის გამოსვლას ყიეინით ხვდებიანნ. ბა, თავად გასაკვირ. ო	ი, ორმოცდაათი და მეტი ათასიანი ტირაჟით ისტამბება ჩიქრთული ენით ნათარგმნი დეტექტივი ან უხერი „სერიოზული“ მწერლის ასევე უხერონ ნაკალმარი, წიგნის ბაზარზე გამოსული არც კი აელიან, რესპუბლიკური პრესა და დროგამოშვებითი გამოცემები ასტეხენ ერთ ვაი-შუშელებელ —

აბა, ჭკვენ იცით, „ოგემეთ“ მორიგი შედეგრი ასეთიგე შედეგრულად გადმოქართულებენელ-ცოდვად ნუ ჩაგვეთვლება და ეს ხალხი — ქებულიცა და მაქებარიც ერთი კლანისა გვგონია. უგემოვნებო, საეჭვო გზით აღზრდებული, ხელმოუღლელი (ისედაც და ტაშისკრთითაც რომ ...ილება) დაღლა რას მიქვია, როდესაც წელიწადში ათეულობით დასახელების მსგავსი ნა-თარგმანები ქეყნდება, ნამდვილ მწერლობის ნიმუშს კი თითო-ოროლას თუ ეღირსება კაცი. იმისაც არავინ ჰყავს გამკითხავი და შემფასებელი. გამკითხავიო გამბობთ და გგულსხმავთ საქმეში ჩახედულს, მცოდნეს, გამოცდილსა და ავტორიტეტულ ლიტერატორებს, თორემ თვით ხალხი (ამ ცნების ყველაზე თანამედროვე და კეთილშობილური გაგებით) მუდამვამს უცთომელი მსაჯული იყო და თავის ღირსებისად მიაგებდა მავანსა და მავანს.

ვერც ტირაჟის პრობლემას აფუვლილი ვვერს. არ ვიცით რა პრინციპით ხელმძღვანელობენ გამომცემლები, მაგრამ პარადოქსულია, რომ სწორედ ფასეული ლიტერატურა გამოდის საოცრად მცირე ტირაჟით. რაოდენობა ამყრად ხარისხის უკუპროპორციულია. მაგალითად განებავთ?

ახლა „მიეწყებულ წინასპართა ანრფილების“ ტირაჟს მიეუბრუნდეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენ მშობლიურ ენაზე გამოდის დიდიხნის ნაოცნებარი უკრანული კლასიკის დიდებული ძეგლი, ასევე დიდებულად გადმოქართულებული, რამდენიმე წლის ნარუდუნვები და გამოდის ღიმილისმომგვრელი ხუთათასიანი ტირაჟით. დიახ, მძიმე სურათია. დუმს ბაგე.

ჯაბა ასათიანმა ამ სამფორმიანი მოთხრობის თარგმნას რამდენიმე წელიწადი შეალია (ცხადია, შეგდაპმიგ მეშობდა). ის „მთარგმნელები“ წელიწადში ორმოცდაათსა და მეტ თაბახ პროზას რომ თარგმნიან, ვერასოდეს გაიგებენ ამას, — ვერასოდეს გაიგებენ, რადგან მოკლებული არიან მიღწეულით უკმარისობის შეგრძნებას. ჯაბა ასათიანი კი ნიადაგ უკმაყოფილია, იგი გამუდმებით სრულყოფს, ხვეწს, აშალაშინებს ნამუშევარს, ხანდახან ეს უკმაყოფილება თვითდამცრობასა და თვითგვემაშიც კი გადადის, მაგრამ, ეტყობა, არსთაგამრიგემ ასე დაუწესა ნამდვილ ხელოვანს, ეწამე და დატკბი. რაკი ტკბობა ვახსენეთ, გვინდა, კიდევ ერთხელ განიცადოთ სიტყვათ მონიშებული სიამოვნება:

„...მთები თვალდათვალ იზრდებოდნენ, საწიერზე უკვე ცხადად ინაკვთებოდა ჩორნოგორას ლერწი სილუეტი. მთათა ფერდობები ტანაყრილ წყალნაყენას დაფფარა, ძროხების ეფეკანთა წკარული შორეულ კენესად მოისმოდა, ახლა ყოველ ნაბიჯზე ეყარა დიდრონი ქვები. მწვერვალზე ხორად დამდგარიყო ნაშალი კლდე, ნაძვის ფესვები გველებივით ჩახვეოდნენ ხავსთ მოხატულ ლოდებს. ივანის ფეხქვეშ, ყოველ ქვას მრეში ქარაგოზა მოსდებოდა, ალაგ შემხვარი, ალაგ ლბილი, ზოგან კიდევ აბრეშუმივით ნაზი, თბილი ფუმფულა ხავსი გაფერილ ზაფხულს წვიმის წყალს ინახავდა. თითქოს ბუმბულის ბალიშებზე მიაბიჯებსო, ისე ფაფუკი და მოალერსე იყო ხეიფილი. სელშავისა და მოცვის ფესვები ღრმად წასულიყვნენ ხავსნა, ზედ კი ცვარივით მიმობნეულიყო წითელი და ლერწი ნაყოფი.

აქ ივანი დასასვენებლად ჩამოჯდა“.

ჩვენც აქ შევისვენოთ.

ვუსურვოთ მწერალს ასევე დიდებულად განესრულებინოს კოციუბინსკის ქართულად თარგმნა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მიერ განკლილი შემოქმედებითი გზა ძალზე რთული და მრავალფეროვანია. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მოქანდაკემ ბევრი პირველხარისხოვანი, მხატვრულად საინტერესო, პლასტიკურად მიმზიდველი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ნამუშევრები შექმნა. ყველა ისინი, მიუხედავად ხანგრძლივი დავისა და აზრთა სხვადასხვაობისა, მაინც იწამა და შეიყვარა არა მარტო მისმა თაყვანისმცემლებმა, არამედ იმათაც, ვინც დაობდა და არ სურდა, მოქანდაკის ძალა ეერწმუნა. მერაბ ბერძენიშვილი შემოქმედების გაფურჩქვნის პერიოდშია და მისგან ჯერ კიდევ ბევრ სიხარულსა და სიამოვნებას მოველოდ. ძალზე ძნელია ზუსტად „დაპეირო" და თქვა ის, რასაც ეს საოცრად მონუმენტური, ლირიკული, ვეებერთელა ძალისა და გაქანების, გაბედული და ამავე დროს მოკრძალებული და მრავალფეროვანი ხელოვნენ ქმნის. მერაბ ბერძენიშვილის პლასტიკური ძალა და გაქანება ითხოვს რთულ, დაძაბულ შრომასა და დაზეკნულ გემოვნებას და როგორც ჩანს, ამ სიძნელეების გადალახვა ზოგჯერ არც თუ ისე ადვილია. ქანდაკების ენა პლასტიკაა, რომელიც თავისი სპეციფიკითა და ზემოქმედების ძალით ზშირად გაუგებარია. ეს მით უფრო ხელშესახებია, თუ მხატვარი ახალი გზით მიდის. მერაბ ბერძენიშვილის ყოველი ნამუშევარი მედამ შეუნელებელ ინტერესს და ამასთან დავასაც იწვევს, იგი ამოუცნობ დარღსა და სიხარულს ბადებს, ყოველივე ამას კი გარკვევა, ზუსტი ანალიზი უნდა.

მერაბ ბერძენიშვილი ასპარეზზე 50-იან წლებში გამოვიდა და მაშინვე ყურადღება მიიქცია. ეს არ იყო ერობაშად მოპოვებული აღიარება. ეს იყო დავა, აზრთა ჭიდილი, მაგრამ ჭეშმარიტად დამსახურებული ყურადღება. ეს იყო მოქანდაკის შემოქმედებისადმი უზომო დაინტერესება, მისი თავისთავადი, განსხვავებული შემოქმედების გაგების სურვილი. ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას არ გამოიწვევს, საინტერესო არ არის. უცილო ჭეშმარიტებაა, რომ ხელოვნების ძეგლის საუკეთესო შემფასებელი დროა. იგი ყველაფერს შეუცდომლად განსაზღვრავს. განვითარების ხანგრძლივი პირობების დროს ყოველ ფორმას თავისი განსაზღვრული ადგილი ენიჭება. დრო თავისთავად წმენდს და ასუფთავებს ხელოვნებას ზედმეტობისაგან, მაგრამ თანამედროვეთათვის ეს საკითხი ხანგრძლივი დავისა და წინააღმდეგობების გზით ვითარდება. ამ დროს დიდი ადგილი ხელოვნებათმცოდნეობას ენიჭება. მან უნდა დახვეწოს და სწორი გზით წარმართოს აზრი, თორემ ერთხელ არასწორად შემოშავებული აზრის ვერარწყლება არც თუ ისე ადვილი საქმეა. ხელოვნების ხიუკეთესო ძეგლი მხატვრის ფანტაზიის, დრთის მოთხოვნებისა და გემოვნების შერწყმით იქმნება. ნამდვილი ხელოვანი თეორიით არასდროს იმოგრებს პიზიციებს. მერაბ ბერძენიშვილი სდუმს და ჭოლოდ თავის ქმნილებებში აზრონებს. იგი მარტო გრძნობას არ ენდობა. მისი უბადლო ხედვა გონებისმიერიცაა, ზოგჯერ ზედმეტად გრძნობისმიერ ნამუშევრებსაც არ ტოვებს აზრის სიცხადე. მერაბ ბერძენიშვილმა უკანასკნელ წლებში ტატანური შრომის მაგალითი გვიჩვენა. ასეთი ნაყოფიერი მოქანდაკე იშვიათია. მოკლე დროში შეიქმნა „ზოთა რუსთაველი", „დავით გურამიშვილი", „ეროდა", „ბეთრი საკაძე", „ბუზა", „ზაქარია ფალიაშვილი", „კიდევაც დაიზღდებიან" და სხვა. ყველა ეს ქანდაკება ერთი ადამიანის ხე-

ლიან გამოიღა, მართლაც რომ დაუდალავი შრომისა და აზრის ნაყოფია. მერამ ბერძენიშვილი თავის ღროს შვილია, იგი ფეხდაფეხ მიპყვება ჩვენი საუკუნის გემოვნებას, მაგრამ არასოდეს მოუს ხარკს არ უხდის: საკუთარი სამყარო აქვს, ხელშესახები, ლოგიკურად გამართული და გასაგები. იგი თავისებურად აზროვნებს, დაკანონებულს ბრმად არ ემორჩილება, არასოდეს ზომიერებას არ ღალატობს. მისი რომანტიკული ბუნება და პლასტიკური ხედვა იმდენად ნათელი და გასაგები, რომ ყოველგვარი მოულოდნელობაც კი გასაგები ხდება. მერამ ბერძენიშვილის ნამუშევრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „დავით გურამიშვილი“, რომელიც ლირიკულ-მონუმენტური ქანდაკების ნიმუშია. მონუმენტის პლასტიკა ჩაკეთილი და გამომსახველია. ტანსაცმელი, მხრები, მარჯვენა ფეხის მუხლი, იდაყვი და სხვა აცოცხლებს ფიგურის ბრტყელ და მშვიდ ზედაპირს და დაძაბულობის, ღრმატიზმის განწყობილება შეაქვს, ამასთან კონტრუქციულ ფიგურას მხატვრული მრავალფეროვნების იერს აძლევს, აღნიშნავს მის დაძაბულ რიტმულ სტრუქტურას. ყოველივე ეს ფიგურის ბუნებრივი, ძალდაუტანებელი, მშვიდ, მაგრამ შინაგან დაძაბულ დგომასთან ერთად ქმნის დაღლილობას, სულიერი ტანჯვისა და ოცვნების განწყობილებას. ტორსთან მარჯვენა ხელის საწინააღმდეგო მოძრაობა დასრულებულ და დამოუკიდებელ მხატვრულ დეტალადაა ნაგულისხმევი, მოქანდაკე ფიგურის პლასტიკური ფორმების გადმოცემაში მაკერია. ნერვიული რიტმული სტრუქტურა გვიანი შუასაუკუნეების ქართული „ჯვარცმის“ კომპოზიციებთან სიახლოეზე მიუთითებს. მართალია იგი ეწუმა, მაგრამ შვილიდ და ამაყად იტანს ფეზიკურ ტკივილებს. განსაკუთრებით ძლიერადაა შესრულებული ფიგურის თავი. მერამ ბერძენიშვილი დაზგური ქანდაკების პრინციპით ძერწავს გურამიშვილის ფსიქოლოგიური სახის აღნაგობას — დაღარული, ღრმად თვალებაჭედური, ყურიმალებგამოკვეთილი, ჭეკვერ შუქ-ჩრდილზე გაანგარიშებული გამხდარი სახე ფერწერულია. ეს მდუმარე შინაგანი სიმშვიდე და ხასიათის მთლიანობა ისეთი ძალითა და ფსიქოლოგიური ნიუანსებითაა ნაგრძნობი, რომ მონუმენტურ ქანდაკებას ასეთი შინაგანი და ღრმა სახის შექმნით დაზგური ქანდაკების პორტრეტულ გამომსახველობასთან ანათესავებს. „დავით გურამიშვილი“ — ეს არის სამშობლოს ბედ-იღბალზე ბატანჯული მეოცნებე სული, რომელსაც სამშობლოს სიყვარულით შეუძენია უდიდესი შინაგანი ძალა და სულის სიმტკიცე. მოქანდაკის ნათელი ფანტაზია ქმნის ხელოვნების სრულყოფილ ძეგლს. ფსიქოლოგიური, მრავალმხრივი სახის შექმნა მონუმენტური ქანდაკების საშუალებებით ძალზე უჩვეულო და ძნელი ამოცანაა. სამგანზომილებიანი ფორმა ერთგანზომილებიანზე, სიმბოლოურიც, დამაჯერებელიც, მაგრამ სულიერი განზოგადებისა ზზრიგ შეზღუდული, არაკმეცილი. მერამ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი მონუმენტური სახე მუდამ დიდიარი სულიერი სამყაროა, იგი ლაკონური განწყობის მოქანდაკეა და მისი ტემპერამენტი ვერ ტეეეა მონუმენტური ქანდაკების პრინციპებში. მოქანდაკემ საოცრად ჰარმონიულად შეუთანხმა დაზგური ქანდაკების პრინციპები მონუმენტურობას. მისმა ძლიერმა და ლირიკულმა სულმა, დაუშრეტელმა და დახვეწილმა ფანტაზიამ, ნათელმა აზრმა და ლოგიკურმა სიცხადემ, შეუზღუდავმა და ფართო მსოფლმხედველობამ ქანდაკების ეს ორი საწყისი გაიერთიანა და „დავით გურამიშვილის“ ემოციური ხაზი თავისი განწყობილებით, პლასტიკური და ფსიქოლოგიური სიღრმით საუკეთესო ქმნილებათა რიცხვში ჩაიყვნა. ღრმა აზროვნება და დაუოკებელი სწრაფვა სრულყოფისაკენ საერთოდ დამახასიათებელია მოქანდაკისათვის. „დავით გურამიშვილის“ მონუმენტი არის ხელოვნების ის სიმპრიელ, რაც ბერძენიშვილის თავისებურ მხატვრულ მეთოდში გამოკლნილდა. მოქანდაკის სულიერი მთლიანობა, მისი ლირიკულობა გარეთულებულია მონუმენტურობათა ისინი ისეთი ზომიერებითაა ერთმანეთთან შერწყმული, რომ არც მონუმენტურობა და არც ლირიკულ-ფსიქოლოგიური სახე არ ზარალობს.

მერამ ბერძენიშვილის შემოქმედებითი გზა 1955 წელს გამოიკვეთა, როცა მან დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ზოთა რუსთაველის სახე შექმნა. ეს ქანდაკება თერმეტი წლის შემდეგ დაიდგა მოსკოვში. მოქანდაკის მიერ შექმნილი ფიგურები შესანიშნავად ეხამება ბარეოს. უმეტესწილად მოქანდაკის ლირიზმი, მოეროდი დინამიკა, თავშეკავებული და ზომიერი არტისტიზმი ხშირად პატარა მოედნებისათვის არის განკუთვნილი. დიდ სივრცეში აღვილად იკარგება ის ლირიკული ნიშნები, რაც ფიგურათა შინაგანი სამყაროს ათვისებას ემსახურება. ზოთა რუსთაველი გვბიძგებს ყურადღება, მაგრამ ფიგურა სავსეა შინაგანი წონასწორობით, ამაღლებული პოეტური სულით, სიკეთის, სიბრძნის, ადამიანურობის გამოვლენით. ფიგურის ზედა ნაწილის პლასტიკა კარგად გადმოსცემს ფიგურის სხეულის საკეთილ ფორმას, სკულპტურული დეტალების პროპორციები, ორნამენტული მორთულობა აძლიერებს ლირიკულ ხასიათს. ამ ქანდაკებაში უკვე იგრძნობა მოქანდაკის მისწრაფება პლასტიკური დეტალების მაქსიმალური ყურადღებისაკენ და დეტალიზაციის გამოყენების სრულყოფისაკენ სწრაფვა. აქ გამოვლინდა ქანდაკების მოცულობის სივრცეში გრძნობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მონუმენტური, არამედ ლირიკული საწყისება. თანამედროვე ქანდაკების პლასტიკური მხარე თავისთავად გარკვეული, მსოფლიოს ხელოვნებამ უამრავი ტტალი და დიდ მოქანდაკეთა ნამუშევარი იცის. ძალზე ბევრი რამ უკვე მიღწეული და გაკეთებული, მსოფლიო ხელოვნების საკვანძერშია მიქელანჯელოსა და დონატელოს, ვეროკიოსა და ბერნიდელის, როდენისა და მაიოლის, მურის და სხვათა დიდებული ძეგლები. მიუხედავად ამისა, დღეს ისევ იქმნება ხელოვნების შედევრები, რომლებიც გვიტყველებენ თავიანი სიახლით, ეპოქის სულის ჩვენებით, ხასიათებით და განწყობილებებით. ამ ეროვნული პრეიოდში აღორძინება თანამედროვე ქართული ქანდაკება და მან საკუთარი სახეც იპოვნა. ქართველმა მოქანდაკემმა შესძლეს ეროვნული ხასიათის, განწყობილებების, დინამიკის, რიტმის გადმოცემა და ისეთი კანონზომიერება, რომ იგი ყველასთვის გასაგები გახდა.

მერან ბერძენიშვილის შემოქმედების განხილვის დროს აუცილებელია მის პლასტიკურ ღირსებებსა და ხასიათზე ვისაუბროთ, აუცილებელია აღინიშნოს მისი შემოქმედების მრავალფეროვნება, პროფესიული ოსტატობა, მასალის ვირტუოზული ფლობა, სივრცის შეგრძნება, რომლის გარეშე მონუმენტური ქანდაკება არ არსებობს, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რითაც იგი განსხვავდება სხვისგან, რისთვისაც მოქანდაკე ბრწყინვალედ იყენებს ყველა ზემოჩამოთვლილ თვისებას. ესაა ეროვნული ხასიათის გადმოცემა. მერან ბერძენიშვილის მონუმენტები შედან ხაზს უსვამს ქართველი კაცის შინაგან ტემპერამენტს, თავდაჭერილობას, სიდინჯეს, დარბაისლობას, არტისტიზმს. ესაა თანამედროვე ხელოვნების უმთავრესი დანიშნულება. მიქელანჯელო, მიუხედავად მისი უდიდესი ზემოქმედებითი ძალისა, ალბათ იტალიელებს გაცილებით მეტ სიამოვნებას ანიჭებს, ვიდრე სხვა ერის წარმომადგენლებს. ბერძენიშვილის ფიგურათა სულიერი სამყარო, დინამიკა, რიტმი, საოცრად მრავალფეროვანი ხასიათები ქართული სულია და მიუხედავად ამისა, რომ იგი ყველასთვის გასაგებია, მას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც, აუცილებელია მოქანდაკის შემოქმედება მხოლოდ ჩვენ შევიფასოთ. ბერძენიშვილის ცოცხალი, მთრთოლვარე, ამაღლებულ სულს ვეროვნ ისე ვერ იგრძნობს, როგორც ჩვენ, ამიტომაც არც გასაკვირია, რომ ვინმე უცხო მკვლევარმა მოქანდაკის ფსიქოლოგიური სიღრმის გასარკვევად იგი უკვე განვლილ ეტაპს შეადაოს, და სამწუხაროდ ეს ასეც ხდება. ფუნაგეგზე ზეწამომართული „გიორგი საკაძის“ ძირითადში ისეთსავე მოძრაობაშია, როგორშიც ვეროკიოს ცხენინი ფიგურაა, მაგრამ სწორედ ეს მოძრაობა განსხვავებული, ჩვენი ფიგურის მოძრაობა დაძაბული, მკვეთრი, წუთიერია. ამგვარ მოძრაობაში დიდხანს ყოფნა შეუძლებელია. ეს არის ქართველი ხასიათისათვის დამახასიათებელი წუთიერი აფეთქება, რომელიც აუცილებლად უნდა ჩაქრეს. „დავით გურამიშვილის“ პლასტიკურ მხარეთა ოსტატურად შესრულებაზე ბევრი დაწერეს, მაგრამ იმ თავდაჭერილ, დარბაისლურ დინამიკაზე, რაშიაც ამ მონუმენტის სიღიდეა გამოსახული, ვერავინ იტყვის ისე, როგორც ჩვენ. ეს ის ხელშეუხებელი მადლი და ჯადოა, რომლითაც ბუნებას დაუჯილდოებია მხატვარი. როცა აზრი ჩამოყალიბდება, როცა იდეა მატერიალურად ხელშესახები გახდება, როცა ყველაფერი გონებაში დაიხვეწება, ჩამოყალიბდება, როცა უშრეტი ფანტაზია დაცხრება და მშვიდად გაკუკვება ნააზრევსა და ნაფიქრალს, მაშინ მერან ბერძენიშვილი ქმნის ქართული ქანდაკების შედევრებს.

„გიორგი საკაძის“ სკულპტურული მოდელირება გამოირჩევა პლასტიკური ფორმების სიმდიდრით, ფიტალების დახვეწილი დამუშავებით, ფიგურა კონსტრუქციის არქიტექტონიკური ლოგიკით, დინამიკური, მთლიანი ორგანიზმის შექმნით. „გიორგი საკაძე“ ერთი იმ ძეგლთაგანია (ერთადერთი ქართულ ქანდაკებაში), სადაც ავტორი გამდიდრებულ და თავისუფლად გრძნობს არა მარტო ქანდაკების მასებს, არამედ სივრცესაც და ოსტატურად ახამებს მონუმენტური ქანდაკების ამ ორ აუცილებელ ელემენტს ერთმანეთთან, ეს არის ფორმისა და სივრცის ურთიერთობა რთული დინამიკური ურთიერთდამოკიდებულებით. „გიორგი საკაძე“ ის მონუმენტია, სადაც შესანიშნავად არის გათვალისწინებული ბრონის მასის, განათების, სივრცის არქიტექტონიკის და ფორმათა ურთიერთობა. მოცულობრივ-სივრცობრივი ერთიანობა აქტიურადაა გადაწყვეტილი და ისინი ერთად, ერთფეროვნად და ერთნაირი ძალით მოქმედებენ. ფიგურის ზედვა სხვადასხვა მხრიდან სახის რთული შინაარსის ცვალებადობას იწვევს. თემის იდეური შინაარსი მთლიანად ემოციურ შთაბეჭდილებას ემორჩილება. მნახველს აოცებს ფორმათა გადმოცემის სითამამე, ძერწვის სიძლიერე, მეტყველი და დაუოკებელი შინაგანი დინამიკა, ძლიერი რაკურსი და ფორმის მთლიანობა. მოქანდაკე შედან ზომიერი პროპორციების ძიებაშია და უტუფონი დახვეწული გემოვნებითა და ტემპერამენტით ეძებს სიზუსტესა, სილამაზის მრავალფეროვნებას. მოქანდაკეკ ამ ძიებაში იმდენ ენერგიასა და ძალას აქსოვს, რომ მიზანი თავდაღვე მოაზღოებულია. სრულყოფილებისაკენ სწრაფვის დიდმა სურვილმა და

ამირან ჩხარტიშვილი
მერაბ ბერძენიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუღალავმა შრომამ, საკუთარი შეზღუდულებების სიცხადემ ბერძენიშვილს საკუთარი ხელწერა მოუტანა. „გიორგი საკაძის“ მონუმენტის, ცხენისა და ადამიანის მთლიანი, შეკრული ფინმაცია ისეთი ძლიერი და გასაკეთილი, სილუეტი ისეთი ცხადი და ნათელი, რომ იგი საოცრად აღვილი აღსანქმელია. ფორმა თავისთავადი კი არ არის, არამედ ერთი მიზანს — მოძრაობას ემორჩილება. პროპორციულად გაზრდილი დეტალები იდეასა და ფორმის მთლიანობაშია აღქმული და ქანდაკების განწყობილებასა და ხასიათს ქმნის. დღეს წარმოუდგენელია ისეთი მოქანდაკის დასახელება, რომელიც ფორმის ხარჯზე ქანდაკების სხვა ელემენტებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდეს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მერაბ ბერძენიშვილი მაინც ფორმას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და მას შესანიშნავად უმორჩილებს მთავარს — ხასიათსა და იდეას. მონუმენტური კომპოზიცია „მედეა“ 1968 წელს დაიდგა ბიჭვინთაში. ეს არის სოფლად ერთთანი პლასტიკური ორგანიზმი, ქანდაკების შინაგანი ძალის დაპირისპირება ვეებერთელა სივრცესთან, რომელშაც სავსებით გაამარილა თავისი დანიშნულება. ამის გარეშე ზღვისა და ცის უსასრულო ფონზე ფიგურა სავსებით დაიკარგებოდა. ბუნების გამომსახველობით ძალას ასეთივე ენერგია უნდა დაპირისპირებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ფიგურის აქტივობა, მისი ფორმათა დახვეწილობა, სკულპტურულ ფორმათა ურთიერთმოქმედება, მათი სივრცისადმი ღაპირისპირება, მასათა ენერგიული დინამიკა, ფორმათა უდიდესი დაძაბულობა და დრამატიზმი ბუნების სტიქიასთან ბრძოლაში დამარცხდებოდა. „მედეა“ უმთავრესი მხატვრული აქცენტია ბიჭვინთის ანსამბლში, იგი განაგებს არქიტექტურულ-მხატვრული კომპლექსის სახეს. ქანდაკების ფორმის „ბიგნიდან“ აკეთის უნარი, სახეობრივი აზრის ცხადად და გასაგებად გადმოცემა, ინდივიდუალური პლასტიკური ტემპერამენტი, მეორეხარისხოვანი დეტალების ზომიერად გამოყენების უნარი, თავისებური, ენერგიული, ზოგჯერ ბობოქარი მოცულობრივ-დინამიკური თავისუფლება, ადამიანის ტორსის ფორმათა არქიტექტურა და ამასთან ადამიანის ხასიათების ზუსტად განსაზღვრა, აი რამ განაპირობა „მედეას“ ღირსებები.

„მეზა“ 1972 წელს შეიქმნა. ფიგურისთვის დამახასიათებელია დამაკერებელი კონსტრუქცია. გრაფიკულად დახვეწილი და მეტყველი ხაზებით შექმნილი ჩაცმულობა ფორმების გამოვლენას ემსახურება. დიდი მოცულობის ხელებგაშლილი ფიგურა მყარად და თავისუფლად დგას. ფიგურის პროპორცია ზუსტადაა ჩასმული ნაგებობის არქიტექტურულ-პლასტიკურ ანსამბლში, ზუსტადაა „დაპეირილი“ ნაგებობისა და ფიგურის მასშტაბი და მიუხედავად გარემოს სივიწროისა, მისი აღქმა მაინც სახეობრივი და თავისუფალია. მოქანდაკე აქაც რჩება სივრცის შეგრძნების ვირტუოზად. ფიგურის თამამი კომპოზიცია მომმიხლავია თავისი გრაციოზულობით, იგი მთელ სივრცეს ათავსებდა „ზეზღუდულობისაგან“. მერაბ ბერძენიშვილის ნახატი ზუსტი და დახვეწილია, იგი ერთი ხაზით ახასიათებს ადამიანის განწყობილებას. მოქანდაკე სკულპტურული ფორმების შექმნის დროს ნახატით ქმნის პლასტიკურად მკაცრ და თავდაჯერილ განწყობილებას. მერაბ ბერძენიშვილის მიერ არჩეული თემები კარგად უპასუხებს მის ფანტაზიასა და ტემპერამენტს. ბერძენიშვილი ის მოქანდაკეა, რომელიც თავისი მონუმენტებით იმორჩილებს გარემოს და მის თავის გემოვნებას უმორჩილებს, ზოგი ფიგურები მხატვრულად უუდამ წამყვან როლს ასრულებენ. მოქანდაკეს აქტიურად ერევა გარემოში და ზუსტად იყენებს გარემოს გალამაზების ელემენტებს. მისთვის არ არსებობს დაბრკოლება რანაფერის განხორციელებაში, მოქანდაკის სამყარო მოქნილი და ძლიერია, ხშირად ნაზი და ლირიული, იგი მუდამ ძიებაშია, მისი მოულოდნელი და ზოგჯერ უჩვეულო დინამიკა, რაკურსები და თავისუფლება გაოცებასა და შიშსაც კი იწვევს, მაგრამ როცა ეს პირველი შთაბეჭდილება გაქრება, ისინი უდიდესი ძალით აღწევენ ჩვენს სულში და განუზომელ სიამოვნებას გვანიჭებენ. საოცარად შვილი და გაწონასწორებულ ფიგურებთან ერთად მოქანდაკეკ ქმნის დრამატიზმით აღსავსე სახეებს. „მედეადან“ — „მეზამდე“ მოქანდაკეკ დიდი შემოქმედებითი გზა გაიარა. ეს მონუმენტები, მიუხედავად ერთი, ძლიერი ხელისა, მაინც იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ გაოცებას იწვევს, როგორ შესძლო მოქანდაკეკ „მედეას“ უდიდესი ძალისა და ენერგიის გამოვლენის შემდეგ შეექმნა „მეზის“ ჰარმონიული, ნაზი კომპოზიცია, იგი როგორც „დავით გურამიშვილი“, „მედეა“, „გიორგი საკაძე“ დიდი შემოქმედებით წვით და ძიების გზით მიღწეული მონუმენტია.

ჩვენს გვერდით ცხოვრობს მოქანდაკე, რომლის სახელი დროთა განმავლობაში კიდეკ უფრო გაიზრდება. დღეს კი ვალდებულნი ვართ, სამადგილო მივეზღოთ მას დიდი სიხარულისათვის, რასაც იგი მისი ნამუშევრებით გვანიჭებს და მომავალშიაც მოგვანიჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ გალახაშვილი

ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

სტრატეგია მოითხოვდა და შორსმჭვრეტელმა კუტუზოვმა მოსკოვში შეუშვა ნაპოლეონის ლაშქარი და დიდზედიდი ხანძარი დაანთებინა. მმართველი წრეები ღალატს აბრალებდნენ კუტუზოვს მოსკოვის დაცლისათვის. მთავარსარდლის სიმართლესა და ძალაში დარწმუნებული რუსი ჯარი კი მღეროდა:

Хоть Москва в руках французов,
Это, право, не беда! —
Наш фельдмаршал князь Кутузов
Их на смерть пустил туда...

Свету целому известно,
Как платили мы долги;
И теперь получат честно
За Москву платеж враги.

ნაპოლეონის მიერ მოსკოვის დროებითმა დაკავებამ და იქ გაჩაღებულმა ხანძარმა გამოიწვია ქართველთა გულის ტკივილი.

რუსეთში მყოფმა პოეტმა პეტრე ლარაძემ მგრძნობიერი ლექსი დასწერა ამაზე:

ვაი, მოსკოვსა ფვათ მდებარესა

1

ეჰა ვითარსა დროსა მწარესა,
შეეგებწარ ცრემლით სამგლოვარესა,
ცას ვხედავ რისხვით დამქუხარესა,
სრულს ჩრდილოს კერძოს მაძრწუნარესა,
დიდს ტახტოსანსა საქებარესა,
ვგრძნობ აღტვინებდით ცეცხლ მდებარესა,
ვინ არ იგლოვდეს სამწუხარესა,
ვაი, მოსკოვსა წვათ მდებარესა,
შეიდას წელს ტრფობით ნაგებარესა.

2

აწ მზის მოქცევა რახამ დამწარდეს,
დიდშენი ტახტი წამს ვით განქარდეს,
დედაქალაქი მტერთ ხელს შეეარდეს,
შეილნეცა მისნი მისგან განვარდეს,
შეწევნად მისსა სრულად დაზარდეს,
მშობელთა შვილნი კვლავ რადა ზარდეს,
რადგან მზრდელი ჰსცეს სიმძულვარესა.
ვაი, მოსკოსა წვათ მდებარესა...

3

ტყვება განმრავლდა ოთხსა კიდესა,
ჩრდილოეთს ყოველნი ცრემლსა ღვრიდეს,
მდიდარნი რომელ ლხინით სმიდეს,
აწ გლოვით თმათა განიფზარიდეს,
ფრხივ-განტოლვილნი ნივთთ განპყრიდეს,
ამით სხვას თავნი განარიდეს.
ჰხედვიდენ თვის ზედ მზეს მბუდარესა,
ვაი, მოსკოსა წვათ მდებარესა...

4

მარიხი რისხვის ლაბგრით სისხლ
მღვრელობს,
ბრძოლისა ჟამსა მრისხანედ მკელლობს,
თუმცა მრავალნი მხნედ ლომ-გულ
ქმელობს,
გარნა მისივე მახვილი მწრელობს.
იხილე ბრუნვა ეტლის, ვით ტრელობს,
ჟამად ყინვა ზრავ, ოდესმე მწველობს,
ვარდსა ხვდეს ჭკნობა ნაფუნჯვარესა,
ვაი, მოსკოსა წვათ მდებარესა...

5

რადგან სოფლისა წეს არს ცვლილება,
განგებით ხვედრსა არ ხვდეს შლილება,
ღღეს მოსკოვს შეხვდა წვით დაზვლილება,
ხვალ თვისი საქმე სხვას ემხილება,
ბედ კეთილობის ხის დაჩრდილება,

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2, **3, 4, 5, 6.**

ქედმაღლობამ ჰყოს დაფურცვლილება,
სასინანულოდ არს საკმარ ესა,
—ვაჲ, მოსკოვსა წვთთ მდებარესა,
შემდას წელს ტრფობით ნაგებარესა.

ფრანგების მოსკოვში შემოსვლისთანავე ქალაქში დანთებულმა ხანძარმა შთანთქა მოსკოვში დარჩენილი სასეფისათა მარაგის უმეტესი ნაწილი. ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტად გააღარესა ნაპოლეონის არმიის ისედაც გაჭირვებული მდგომარეობა.

მოსკოვის აღებისთანავე, ნაპოლეონის ჯარმა ქალაქის ძარცვა-გლეჯვასა და რბევას მიჰყო ხელი.

დადგა რუსეთის მკაცრი აღრიანი ყინვები. „ნამდვილ ციმბირის ყინვებს“ ზედ დაემატა შიმშილიც. ბაგრატიონი გადმოგვცემს:

„იქმნნ ისეთი ზამთარი და ყინული, რომელ არვის ახსოვნნ ეგეთი მძაფრი ყინულნი. იქმნენ მხედრობანი შემშირვებულ უსაზრდელობითა და სიცივითა. მოსწყდნენ მრავალნი ყინვისაგან და შიმშილისა და სჴვიდნენ ურთიერთსა“.

ბაგრატიონმა არაფერი იცოდა მოსკოვის დატოვებაზე. იგი კვლავ ელადიმირში იმყოფებოდა. საბუთებს გარჩევისას მან რაღაც ეჭიშენელოვანნი ქაღალდი იპოვნა და მაშინვე უბრძანა შაკრიეს მოსკოვში წასვლა იგი.

შეკრიკმა, რომელმაც არ იცოდა, რომ ბაგრატიონს უმალვავ მოსკოვის აღებას, მოახსენა: „მოსკოვში ფრანგები ბრიანო.“

ამ ცნობით შეშფოთებული ბაგრატიონი ფეხზე წამოვარდა და იმწამსვე გრძნობადაკარგული იატაკზე დაეცა.

მას განგრენა დაეწყო.

რამდენიმე დღის წამების შემდეგ, გამოუნესა სარდალი გარდაეცვალა — 1812 წლის 12 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე.

მაღლიერმა რუსმა ხალხმა საკართველოსთან ერთად საკუთარ შვილივით გამოიტანა დიდი ქართველი ჰერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდარეული, იგი ამპარტავნება
დაამდაბლა რა, მპსწრაფლ მომდეკრებულ
ჰყოცა
და თვისებანი სახელოვან მყოფელნი
ბრძოლითა შინა განმბსენებელნი მთვარის,
გამოაცხადნა წინარე მჰხეოვანებნი.

არ გუშინ იყო, იგი ვერცხლ უყვარული,
რომელ ნიუბეულთ მონარხის უხეებისაგან,
ოქროთ სიმრავლეს მხიარულითრე გულთა,
ყოველთ მთხოვთა ზედა, განსცემდის
დაუზოგველად.
არ გუშინ იყო, რომელ მისთა მეგობართ
მათთვის განჰმუესსა მზას საუნჯესა შინა
გინა შეწევნა, ანუ განსვენებანი,
განუცხადებლად და საიდუმლოდ დაცვით
აღერიცხველად და თვინერ ყველრების
აღსავსედ აქენდათ მის შორის მოპოვებით.
პალატთა შინა, მეფის წინაშე მდგომი,
და თანაპსწორთა თვისთა თან მდებარე,
ბანაკსა შინა, ველსა ზედა ბრძოლისას,
გინა საშუალ მეგობართაცა თვისთა
მარად მარტივი და მარად გულ-განჰმუესელ.
არ გუშინ იყო? რომელ მაგალთ ყოფით
გვმოძღვრიდა იგი კეთილ წესიერებას,
ჭეშმარიტებას, მამულის სიყვარულსა,
განკარგულებას, მორჩილებისა დაცვას.
და შედგომასა სახიერებისასა.

არ გუშინ იყო? რომელ მოსკოვს წინაშე
ძლიერმან ამან, როსიის მამულის ძემ,
მხედრობანი რე კაღნიერთა მტერთანი
ვითარცა ვეფხნი, მძვინვარებით აღნავსნი,
განმზადებულნი დასარღვეველად მისად
და სიშმაგითა ფიცხელად მისეულნი,
ს ბზის ვიღრეშე უკუნ აქცევნი რისხვით
დამქადებელმან მათდა აღსპობისამან,
ნუ თუმცა უკვე ერთიანი ოდენ წაჰი.
ვანნა დარეკა ეამმან სიკვდილისამან.

ჰხშირის დასითვან, აღბორგებულის
მტრისათ,
ტყვიასა შინა დფვარული სიკვდილი,
ვამოჰხდა მკეახედ უმპსრაფლესის
ფრინველთა,
და ოჰ, განაკრო საჩინო იგი გმირი,
მყისეულ დაბნეულა არწივებრი ზედვა,
მყის განიყინა აღდუღებელი სისხლი,
განვარდა ხელით მკვეთრი იგი მახვილი,
რომელი მტერთა სიკვდილსა ასტუმრებდას.
სრულიად სპანი შეიპყრა მეშმუნვარებამ
და ჰღერიან მწარედ ცხართა ცრემლისა
ღვართა,

ჰე ესრეთ, ესრეთ გმირი იგი არღა არს,
დარღვეულ იქმნა შედგმულება მის შორის,
ვითა მტვერ იყო, ეგრეთ მტრადვე მიიქეა;
განრა ეხო�es არს სული იგი უკვდავი
წაიაღსა შინა, თვისს შემოქმედისას
განსასვენებსეა რომნიკელისა თანა.
ოთოავე ამათ მეზნებარე სიყვარული
როსსიის მიმართ, არა სადა არს განმეტალ,
არამედ უფროს ნათლად და უწმინდესად
ქვლაცა ენთების მისდავე სასარგებლოდ.

ბაგრატიონი, ნამდვილ არღა სადმე არს,
ჩვენთვის რე სატრფო გმირული სახე მისი
თვალთაგან ჩვენთან საუკუნედ იფარა,
გარნაცა ნაცვლად, დგებმთა მისი სახელი,
დაგვშთა ათასი საქმე და მაგალითი,
მამეულისადმი მსახურებისა მისის
ფრიად საქმეები, ფრიად სადიდებელი.
აბა, ესე არონ თესლნი ყოველად კეთილნი,
რომელნი ნაყოფთ, ზოგად სასარგებლოთა,
გამოიღებენ ასეულად, ბეგრწილად.

ვინცა ახიალეს მსუბუქსა ამას ძეგლსა,
კიდესა ზედა წყლისასა აღმართულსა,
გრძლად დასაშთომლად, ქვისაგან
გამოკვეთილსა
მდგომარეს შორის შემმეხვნილთა ადგილთ
გვიჩგვენოსასნა დაფნისა ფურცელთაგან,
დაგრილებულსა ანრდილთა მათთა ქვეშე
და წარიკოთხავს სამარსა ზედა ამას:
„ეჰა მდებარეს მტვერნი ბაგრატიონსა“,
მყისვე შეიმოსს დიდების მიმართ ფრთეთა
და შეიქმნების თვითეა ნამდვილად გმირი.

როგორც აღენიშნეთ ოდის ავტორის, ნიკოლოზ ახვერდოვის ვინაობა უცნობია, ოდის რუსული ტექსტიც მიკვლეული არაა.

ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში

საქართველოში ჩამოსულმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, 1816 წლის დამდეგს, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თხოვნით მიმართა სოფ. ველისციხისა და ურიათუბნის ნაცვლად მისთვის ფული ან სახელმწიფო მიწა მიეცათ.

სათანადო მიმოწერის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძეს დასახელებულ სოფლების სანაცვლოდ მიეცა ოცი ათასი მანეთი.

1816 წლის 7 მარტს ალექსანდრე ჭავჭავაძემ ოფიცერად მიიღო.

იმავე წლის 19 მარტს ჭავჭავაძეებს შეეძინათ მეორე შვილი, რომელსაც ეკატერინე უწოდეს.

1817 წლის ბოლო თვეებში ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლეს ეყოლა მესამე შვილი. მას დავითი დაარქვეს.

დასახელებული წლის 14 ნოემბერს ალექსანდრე ჭავჭავაძეს პოლკოვნიკობა ებოძა.

1818 წლის 18 თებერვალს ალექსანდრე ჭავჭავაძე შეუბრალიერ კახეთში მდგომ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში დაინიშნა. ისტორიკოსი პოტტო წერდა:

იაკობ გალახვშვილი
ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

«Походы в Германию и Францию не прошли бесследно для любознательного молодого офицера и была для него практической образовательной школой. Переведенный из лейб-гусар в Нижегородский драгунский полк... явился уже личностью, далеко развигавшеюся из общего уровня своих соотечественников».

ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი წინანდლის მახლობლად, ყარაღაჯში იყო განლაგებული. ეს სიახლოვე საშუალებას აძლევდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, მიეხედნა უმისოთ დაქვეითებულ წინანდლის მეურნეობისათვის და ფეხზე წამოეყენებინა იგი.

მეკალრნეობა ბაკოში, ა. ჭავჭავაძის უცნობი არზა. ნიჟეგოროდის დრაგუნთა კოლეგი უფროსობა

ალექსანდრე ჭავჭავაძის ფორმულარული სია მიხედვით ვგებულობთ, რომ იგი 1818 წლის 13 ივლისს, ენერალ-ლეიტენანტ ა. ველიამინოვის ბრძანებით, „ბაკოში იქნა მიყენებული ასტრახანიდან სპილეძის ფულის სპარსეთში გზიდვის ფაქტის გამოსაკვლევად. ალექსანდრეს დიდი გამჭრიახობით შეასრულეს დავალება და იმავე წლის 20 სექტემბრისათვის ბაკოში დგომ სპარსეთს მიმავალ სამხედრო გემებზე აღმოაჩინა გატაცებული სპილეძის ფული, სულ 9.264 მანეთისა და 10 კაპიკის რაოდენობით“.

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცულია ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ, 1819 წლის 13 დეკემბერს, საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციისადმი წარდგენილი უცნობი არზა, რომელშიც იგი თხოვს გაიცეს ნებართვა, რათა კისისხევის მემამული თამარ ქობულაშვილმა დართოს ნება სოფელ წინანდლის მცხოვრებთ ისარგებლონ სოფ. კისისხევისა და წინანდლის შორის ჩამავალი მდინარით.

მოგვყავს სათანადო ადგილი ამ თხოვნიდან:

«Деревне цинандали лежащая в Телавской округе в которой как мы так и прочие однофамильцы мой помещики оной, имеют жительство, терпят крайнюю нужду от без воды.

Сход к речке на берегу коей она поселена находится от нее на таком расстояние, что большая часть наших крестьян достает себе воду за две и за три версты: между тем как кисискевцы жители на другом берегу той же речки лежащей деревни, отводят из оной к себе канавы, для мельнице, для поливу садов и для домашнего употребления, в таком количестве, что почти каждый поселении имеет предъ своею избою текучую воду.

Видя таковое изобилие в воде, от которой во всякое время года многие ручейки пропадаемые без пользы, и зная в другой стороне нужде какую переносят наши крестьяне от без водие тщетно домогался я четыре года».

არაფერი ვიცით, რა პასუხი მიიღო განცხადებელმა ამ საკითხზე.

1822 წლის 18 თებერვალს, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის უფროსის — კლიმოვსკის უეცარი გარდაცვალების შემდეგ, ა. ა. ერმოლოვის ბრძანებით, მისი ადგილი ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაიკავა.

„ამ დროს მოხდა ფრიად ღირსახსოვნებელი ფაქტი, რომელიც ალ. ჭავჭავაძის პატიოსნებას და პოლტავას სულ სხვაგვარ იერს ანიჭებს: როდესაც თბილისში ბრძანება მოვიდა დეკაბრისტ ნ. რაევსკის დაპატიმრებისა და მისი სალდათად ჩამოქვეითების შესახებ, ამის შესრულება ალექსანდრე ჭავჭავაძეს დაევალა. მაგრამ ჭავჭავაძემ ავადმყოფობა მოიმიზეზა და ეს უსამართლო განკაცოფილება სისრულეში არ მოიყვანა“.

ამავე ხანებში საბერძნეთის მიზეზით რუსეთსა და ოსმალთს შორის მოსალოდნელი ომის ხმები დაირხა. ჯარელ ლეკებშიც მღელვარება დაიწყო.

„ეხებეში მდგომ რუსის ჯარის მთავარსარდალმა თავადმა ერისთავმა შეადგინა რაზმი, რომელშიაც ნიჟეგოროდელთა დივიზიონიც შედიოდა ალ. ჭავჭავაძის უფროსო მეთაურობით, ეკსპედიცია წარმატებით დამთავრდა და ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავისი დივიზიონით თავი ისახელა 1822 წლის 3 მარტს, სოფ. კატეხის მახლობლად. აქ ჩვენმა პოტმა, ავაგარდმენ ყოფნისას, ეერიშით აიღო ის სანგრები, რომელიც სოფელს ეცვდა“.

საომარ ექსპედიციიდან დაბრუნებულ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ნიჟეგოროდის პოლკის უფროსობა დაატოვებინეს.

საქმე შემდეგში გახლდათ:

„როცა კლიმოვსკი გარდაიცვალა, ერმოლოვმა მის ადგილს დანიშნა ნიუიერი და ბოროტდელი მეომარი ალ. ჭავჭავაძე. მაგრამ პეტერბურგმა არ დაამტკიცა ჭავჭავაძე ნიჟეგოროდის პოლკის უფროსის თანამდებობაზე, მიზეზად მის ახალგაზრდობას ასახელებდნენ, სინამდვილეში კი ჭავჭავაძის ადგილზე კომანდირად გამოგზავნეს ჰასაკისა და სამსახურის მხრივ მასზე უფრო ახალგაზრდა პოლკოვნიკი ზაბელსკი“.

ამით შეურაცხყოფილმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ 1822 წლის 10 ივნისს დასტოვა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი და გრენედერთა ქართულ პოლკში გადავიდა.

საგანგებო დავალებათა ავანდარი მოხელეობა. ნინო ბავგავაძის შეუღლება ა. ს. გრიბოედოვთან.

1823 წლის 24 აპრილს ალექსანდრე ჭავჭავაძე დაინიშნა ინფანტერიის გენერალ ა. პ. ერმოლოვთან საგანგებო დავალებათა სამხედრო მოხელედ.

1824 წლის 13 იელისს კავკასიის მთავარმართებელმა ერმოლოვმა „ალექსანდრეს დაავალა ციხე-სიმაგრე ტარკაში მდგომ ჯარების სარდლობა და ციხე-სიმაგრე ბურნოის შენებლობის ზედამხედველობა, რაც იმავე წლის ნოემბრამდე გრძელდებოდა“.

1826 წლის 6 ნოემბერს, ალექსანდრე ჭავჭავაძემ გენერალ-მაიორობა მიიღო და 31 დეკემბრიდან ყუბაშში მდგარ მენაპირე ჯარების სარდლობა დაეკისრა.

მაშინ სპარსეთთან ომი უკვე სწარმოებდა, ხოლო თურქეთთან დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა.

1827 წლის 8 მარტს გენერალ-მაიორი ალექსანდრე ჭავჭავაძე მეორე ულანთა დივიზიის პირველი ბრიგადის სარდლად დანიშნეს.

„სპარსეთთან ომში ალექსანდრე თავისი რაზმით გენერალ-ლეიტენანტ ერისთავის სარდლობის ქვეშ მყოფ ჯარებში მოქმედებდა და მონაწილეობას ღებულობდა თითქმის ყველა მთავარი სამაჯისა და ქალაქების: ნახიჩევანს, ჯულფის, ურდობათის, მარანდის, თავრიზის, ერევნის და სხვ. აღებისათვის წარმოებულ ბრძოლებში“.

1827 წლის 22 ოქტომბერს ალექსანდრე ჭავჭავაძე აზერბაიჯანის დროებით მმართველობას წვევრად და თავრიზის ოლქის შემოსავლის წესრიგში მომყვანი კომისიის თავმჯდომარედ იქნა დანიშნული:

1828 წლის 17 თებერვალს ალექსანდრე ჭავჭავაძე დაინიშნა სომხეთის ოლქის მმართველად და აღნიშნული მხარის ჯარების სარდლის თანამდებობის შემსრულებლად.

იმავე წლის 21 მარტს, როცა „თურქეწრაის“ საზღაო ხელშეკრულების თანახმად რუსეთისათვის შემოერთებული ნახიჩევანისა და ერევნის სახანოების ბაზაზე ერთი მოლიანი სომხეთის ოლქი ჩამოყალიბდა, ალექსანდრე ჭავჭავაძე ოლქის უფროსად და ერევნის საოლქო მმართველობის თავმჯდომარედ დაამტკიცეს.

ჭავჭავაძენი იმხანად „სოლოლაკის“ ნაკადულთან“ თეღორე ახვერდოვის სახლის ფლიგელში ცხოვრობდნენ.

თბილისში მყოფი ცნობილი რუსი მწერალი, ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვი თეღორე ახვერდოვის მეუღლის, პრასკოვია ნიკოლოზის ასულ ორსნიეკა-ახვერდოვას მეშვეობით დაუახლოვდა ნინო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძეს და 1828 წლის 22 ივვისტს სიონის ეკლესიაში ჯვარი დიწერა მასზე.

ალექსანდრე ჭავჭავაძე იმხანად სომხეთის ოლქში იმყოფებოდა და ქალიშვილს ქორწილზე ვერ დაესწრო.

სპარსეთთან წარმოებულ ბრძოლაში ალექსანდრე ჭავჭავაძეს სახელი გაუკარდა, ვითარცა გონიერ სარდალს და გამოცდილ ხელმძღვანელს.

იმ ქართველ მებრძოლთა შორის, რომლებსაც მთავარსარდალმა პასკევიჩმა სპარსელებთან ომში გამოჩენილი მმართველისა და მამაცობისათვის მადლობა გამოუცხადა, ალექსანდრე ჭავჭავაძეს ერთ-ერთი სპეციალური ადგილი უჭირავს.

პასკევიჩი თავის ბრძანებაში წერდა:

„თქვენ თავი თვისი წარაჩინეთ, და მეც ვარ მოწმე ღუაშო თქვენთა, პახოდნი ტფილისადამ ნახჩეკანამდის და მის შემდგომაც თქვენ შესაძენთ შრომანი ძმისენი თვით ცხარეს დროსა აკაკრის ზაფხულისასა.

იელისის მეხუთესა რიცხვს, ჯავან-ბულალაზე ომში ორგზის შეიმარჯვეთ შემოტტეთო თქვენზედ რჩეული ქურთების ცხენოსანი და როდესაც მტერი იქმნა უკუქცეულ, ცხარედ სდიეთ მას.

ურდობათის ექსპედიციაში დაუეფრწყებლად განასახვავეთ თქვენ თავი თვისი, ოდეს ბეგეი ცოტასადენთა ჩვენთან ბრძანა წინააღუდგებოდა ბრავალ რიცხვედთა მტრის დასტანა და გაბარენენენ ისინი რა ნახეს შეუალებლად ძლევა ყოველთა მათ, რომელნიცა დამარცხებასა და მონებასა ზედა უფროსსა ირჩევდნენ სიკვდილსა.

სეკტემბრის მეცხრამეტესა რიცხვსა სარდარასათის დამორჩილების შემდეგ, იმ ღამეს, ოდეს გარნიზონი და სულთოოკუ მისი მთავარი ფიქრობდნენ ბნელის ღამით სარგებლობასა, რათამცა მორჩენელ იყვნენ ხელთაგან გამმარჯვებელთა, თქვენ სხვას რუსეთის ცხენოსანთან მოსწვდეთ, ჰსჩეხეთ და ტყვედ იპყრთ გაქცეულნი.

უკანასკნელად ყამსა ჩინებულის ერივნის შემოზღუდვისასა თქვენ იყავთ ჩემგან წარგზავნილი გზების შესაკრავად, სადაცა მტერს შეეძლო მეორედ თავის შეფარება გაქცევთან.

და ოქტომბრის პირველსა ამავე ციხის დაპყრობის დროს თქვენ პირველთაგანნი შეეწინენი მასშინა, როდესაც ჯერეთ არა სრულიად მომზადებულ იყო სროლა“.

ხსენებულ სპრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი მხნეობისა და გმირობისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძე ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენითა და ვერცხლის მედლით დაჯილდოდა.

იაკობ ბალანაგვილი
ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასჯელად მიტანილი ყვავილები

შმაგმა ჭაბუკმა, სად იყო და სად არა, ილლუერებული და ყელყარყარა ყვავილების წყებას შეავლო თვალი და შეიცხადა, „ამათ ჩემი სატრფოს სილამაზე გაუქურდავთ, აბა, სადან არიან ასე ლეკლუცეო“. დასწყვიტა, გულს სწრაფს წაუღო, ესეიტყვა: „შენი მშვენება უხელცეველია, დავგალეკე, მოგიტანე, დასაჯეო“.

არა გეკერათ?

გადაიკითხეთ დავით რეტტორის მიერ ვინმე ნინოსადმი მიძღვნილი ზმერი ლექსის შენიშვნა და დამეთანხმებთ: „ჭაბუკსა ეთმნე ქალი უფუარდა, ყმასან წალოტიდან ყვავილნი მოკრიფნეს და შეკონა და მიართუა; უთხრა: „ამათ შენის შვენებიდან მოუპარავს ფერებნი. მე შეეპაკარ და მოგართვი, და გარდაახდეეინო“...

არაფერი ვიცით, დაითუოდენ თუ არა ნინოს მიერ მოწყვეტით ისედაც სასიკეთოდ გადაგებული უცოდველი ყვავილები, ქართულ მწერლობას კი საშვილიშვილოდ დარჩა დასასჯელად მიტანილ ყვავილთა წარმტაცი მითი.

რამდენიმე წლის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძემ დავით რეტტორის მოყვანილი შენიშვნის საფუძველზე შეპქნა ლექსი, რომელსაც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ერთ-ერთ კრებულში ასეთი დასათაურება აქვს: ერთი ყრმა კაცი ქალსა ვისმე თაიგულის მორთვეაში ეუბნება“.

ეჰა, ესე ვარდ-ზამბახნი,
შენთა ელფერთ მომშარველნი,
წალოტს ენახენ, შენებითთა
სრულ აღეკოოთ ხეენარ-ველნი.

მომეგონნეს სურნელება,
აღმოხსენიდნეს ღაწვნი შენენ,
მყის შეეპაკარ და შეეს ულ,
მოგართვ შენი განმძარცველნი.

კოლა ერისთავის ცნობით ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი: „ეჰა ესე ვარდ-ზამბახნი“ დაწერილია თავის ქალ ნინოზე“.

კიდევ კარგი, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე ბოლოსდე არ მიჰყვა დავით რეტტორის მინაწერს, თორემ მაშინ ნინო ჭავჭავაძესთან ხელყრისთვის მთელი საქართველოს ვარდ-ყვავილთა მიტანა გახდებოდა საქმრო.

„ბაიცანით, კეტრე დემიანის ძე ზაგალეტიკია

ტომით პოლონელმა პეტრე დემიანის ძე ზაგალეტიკამ (1800—1843) სამხედრო განათლება მიიღო, მაგრამ სამსახური, მოწოდების მიხედვით აირჩია — პეტერბურგის ფინანსთა სამინისტროში გამწესდა.

მალე რუსეთის იმპერიის დასავლეთ საზღვარზე ქალაქ როზვიენოოსა და ზელვის მიდამოებში მოქმედ კონტრაბანდისტთა გამოსაგლინებლად „სიიდუმლო ექსპედიციის“ უფროსად გაგზავნეს.

მეცრე ხანში, მან ორ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების კონტრაბანდა საქონელი აღმოაჩინა.

სამაგალითო ბოროტმოქმედი მოხელეები და ვაჭრები, რომლებიც კონტრაბანდისტობით უზომოდ მდიდრდებოდნენ ამ ამბავსა გააცოფა. მხილებულებმა რამდენჯერმე პ. დ. ზაგალეტიკის მოწამლვა სცადეს.

პეტრე დემიანის ძის ღიაწლი ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა; პეტერბურგში გაიწვია, ორდენით დაჯილდოვა, სამსახი ათასი მანეთი უბოძა და 1828 წლის 27 თებერვლიდან საქართველოს სახაზინო ექსპედიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა.

სწორედ იმავე ხანებში — 1828 წლის 14 მარტს, ა. ს. გრიბოედოვმა პეტერბურგში „თურქმენჩაის“ საზავო ხელშეკრულების ტექსტი ჩაიტანა. გრიბოედოვს თან ახლდა ქართველი დიპლომატი ისე იოსების ძე ანდრონიკაშვილი.

ალნიშნულ დროს პეტერბურგში ყოფნა მოუხდა პოეტ გრიგოლ ორბელიანის ძმას, ზაქარიას, რომელსაც უნახავს ისე ანდრონიკაშვილი და რამდენჯერმე სტუმრად სწვევია ა. ს. გრიბოედოვს.

1828 წლის 23 აპრილს ზაქარია ორბელიანი პეტერბურგიდან უფროს ძმას, გრიგოლ თბილისში სწერდა:

«Андроников рассказал мне все новости уже и старины переседкие, пожалуста примите его хорошо. Он славный малый.

Я видел Грибоедова и был несколько раз у него. Какой прекрасный человек! удивляюсь как он узнал меня с первого взгляда».

პეტერბურგში გრიბოედოვი შეხვედრია ბ. დ. ზავალეიკის, რომელიც საქართველოში გამომგზავრების თადარიგში იყო და საუბარი ჰქონია შეედგინათ „ეკეკანის რუსეთის კოპპანის პროექტი“.

საქართველოში ჩამოსულ ბ. დ. ზავალეიკისს უმალვე გამანთავისუფლებელი იდეებით ვამპეკაილული ადამიანის სახელი ვაუვარდა.

ბ. დ. ზავალეიკი თვითმპყრობელობისადმი აღშფოთებას გამოხატავდა თურმე. სოლოვონ დოდაშვილი წერდა:

„სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვისაგან გავიგონე, რომ ზავალეიკის მან რუსეთის თავრობისადმი რაღაც ორგულობა შეატყო, მე არ გამიმეორხავს მისთვის და არც მას უთქვია რა და როგორ შენიშნა“.

თავის მეორე ჩვენებაში ს. დოდაშვილი უფრო ანეითარებს ამ აზრს:

„ზავალეიკის მახლობლად ვერ ვიცნობდი, მაგრამ 1831 წ. ვეოფიფლარ მასთან კვირა — უქმე დღეებში და გამიგონია თ. ალექსანდრე

ორბელიანოვისაგან, რომ მან შენიშნა მასში რუსეთის მთავრობისადმი ორგულობა და აჯანყების სურვილი, მაგრამ როგორ შენიშნა, ეს მე არ მიკითხავს მისთვის და არც მას უამბნია".

3. დ. ზავალეისის დემოკრატიული შეხედულებანი აქკავად გამოთქმულია მის ერთ მოხსენებაში, რომელშიაც იგი აღშფოთებით წარდა:

„თითქმის არც ერთ ამა გლეხს არ გააჩნია უძრავი ქონება. ისინი ვალდებულნი არიან გაიკეთონ ყველაფერი ისე, რაც მებატონეს მოესურვება, რომელსაც შეუძლია ყმები გაყიდოს, დაგრიალოს, მეორეზედ გაიჩუქოს, ერთი სიტყვით, მოექცეს მათ ისე, როგორც მოესურვება".

როცა გრიბოედოვი თბილისში დაბრუნდა, მან, 3. დ. ზავალეისასთან ერთად, საბოლოოდ ჩამოაყალიბა „კავკასიის რუსეთის კომპანიის დაარსების პროექტი".

ეს დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია თბილისში, 1828 წლის 7 სექტემბრის თარიღით, „სამპოლ ინტერესაფიაში" შეფასებულია, როგორც დიდი მნიშვნელობის სამუთი, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა კავკასიისა და ყირიმოა, საქართველოს ეკონომიკური ბოლიტიკის საწინააღმდეგო ეკონომიური და პოლიტიკური მოსაზრებანი. პროექტის ავტორებმა ვერ შეძლეს მისი განხორციელება, რადგან ის მიჩნეულ იქნა კავკასიაში მეფის მთავრობის პოლიტიკის საწინააღმდეგო დოკუმენტად."

1829 წლის 30 იანვარს თეირანში ა. ს. გრიბოედოვის ვერაგულად მოკვლამ, საბოლოოდ ფრთები შეუკვეცა აღნიშნული პროექტის განხორციელებას.

3. დ. ზავალეიანის შტაბი

3. დ. ზავალეისკი პეტერბურში შერჩეულ ფინანსისტების, ეკონომისტების, და სტატისტიკოსთა შტატით ჩამოვიდა თბილისში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე მეტად გულთბილად იხსენიებს 3. დ. ზავალეიკის მიერ თბილისში ჩამოყვანილ მოხელეებს: „სამოქალაქო მოხელეებს, რომლებიც მასთან (3. დ. ზავალეისკისთან — ი. ბ.) ერთად ჩამოვიდნენ, რჩეული ყოფაქცევა, მისი არჩევნის ხარისხზე მეოთხედაო".

ამგვარად ჩვენ საშუალება გვაქვს ჩამოთვალოთ „რჩეული ყოფაქცევის მქონე" ეს „სამოქალაქო მოხელეები" *.

1. ვასილ სიმონის ძე ლეტკობატოვი, რომელიც ახალგაზრდობიდანვე პეტერბურგის ფინანსთა სამინისტროში მსახურობდა და 3. დ. ზავალეისასთან გაგზავნილ იქნა საქართველოში, სახაზინო ექსპედიციის მრჩეველად.

საქართველოში ყოფნისას აწარმოებდა კავკასიის აღმოსავლეთ პროვინციების აღწერას.

პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ, თავისი და ამხანაგების მიერ შეკრებილი ცნობების საფუძველზე დაწერა ოთხტომიანი გამოკვლევა „Обозрение российских владений за кавказом в статистическом, енторафическом, топографическом и финансовом отношениях».

კოლეტიური შრომის ოთხივე ტომი დაბეჭდა პეტერბურგში, 1836 წელს.

2. ივანე ნიკოლოზის ძე კალინოვსკი — 3. დ. ზავალეისასთან თანამმსახურე პეტერბურგის ფინანსთა სამინისტროში. ისინი ერთად მონაწილეობდნენ ზემოთხსენებული კონტრაბანდისტთა დაჭერაში და საქართველოშიც ერთად გამოემგზავრნენ. ი. ნ. კალინოვსკი 3. დ. ზავალეისკის არ ყოფნისას, მისი მოვალეობის შემასრულებელი იყო.

3. სტეფანე ივანეს ძე ლისენკო 3. დ. ზავალეისასთან ანანეულრიის გამგეობლად მუშაობდა.

4. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, მწერალი ვასილ ნიკოლოზის ძე გრიგორიევი.

პეტერბურგის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ლიტერატურული გატაცებული ვასილ გრიგორიევი გაეცნო შემდგომ სახელოვან დეკაბრისტს, კონდრატი რილეევს, ხშირად დადიოდა მასთან და თანამედროვე მწერლობაზე ესაუბრებოდა.

გრიგორიევი მაშინ რილეევისეულ ყაიდაზე წერდა ლექსებს და ათავსებდა რილეევისა და ბესტუჟევ-მარლინსკის ალმანახ „პოლარნაია ზვეზდაში".

რილეევის რეკომენდაციით გრიგორიევი მიიღეს „რუსული სიტყვიერების მოყვარულთა თავისუფალ საზოგადოებაში", სადაც შეხვდა და დაუახლოვდა მერე სახელგანთქმულ დეკაბრისტებს: ალექსანდრე და ნიკოლოზ ბესტუჟევებს, თედორე გლინკას, ალექსანდრე კორნილოვიჩსა და სხვებს.

გრიგორიევი პირადად იცნობდა პუშკინს, დელვიგს, გრიბოედოვს, სომოვს.

ნაცნობობა გრიბოედოვთან გაგრძელდა შემდეგაც, როცა გრიგორიევი პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა.

თბილისში გრიგორიევი მოწვეულ იქნა გრიბოედოვის ჯვრისწერის აღსანიშნავ ბალზე. სწორედ გრიგორიევთან საუბრისას უწოდა გრიბოედოვმა მთაწმინდას „ტფილისის ყველა-

---

* ცნობები 3. დ. ზავალეისკის ხელქვეით თბილისში მომუშავე მოხელეებზე აღებულია ი. ანდრონიკაშვილის შრომიდან, რომელიც გამოქვეყნებულია ალმანახში «Прометей», 1968 წ. № 5.

ია კობ ბალახაშვილი
ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

ზე პიიტიკური კუთხე“ და უთხრა: თუ „სპარსეთში მომკლავენ, მამადავთზე დამკრძალონო“.

რუსთავან გრიგორიევი პირველი იყო, რომელიც მდინარე არაქსთან, საზღვარზე შეხვდა გრიბოედოვის ცხედარს და ჩამოყვა თბილისში. მერე დაკრძალულაც დაესწრო, ყველაფერი აღწერა და პეტერბურგში გაგზავნა. წერილი დიბეშევა „სინ ოტეჩესტვოს“ 1830 წლის მეორე ნომერში.

ამ წერილის გარდა იმდროინდელ პეტერბურგის ჟურნალებში გამოქვეყნებულია ვასილ გრიგორიევის ქართული ცხოვრების ამსახველი ნაწყვეტები: „კავკასიის მთებზე გადასვლა“, „ქართული ქორწილი“, „ალავერდობა“, „ინგილოსელებთან შეხვედრა კახეთში“.

გრიგორიევს იმ ხანად, კახეთის ეკონომიურ-სტატისტიკური აღწერა ჰქონდა დავალებული და წერილიც „ინგილისელების შეხვედრა კახეთში“, იქ ყოფნის დროსაა დაწერილი.

გრიგორიევი წინანდალესაც სწერეთა და ნინო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-გრიბოედოვს მიერ გულთბილად ყოფილა მიღებული.

მერე გრიგორიევი ნახიჩევნის აღსაწერად გაუგზავნიათ.

1833 წელს პეტერბურგში დაბეჭდილია გრიგორიევის შრომა ნახიჩევანზე შემდეგი სათაურით: «Статистическое описание Нахичеванской провинций».

ა. ს. პუშკინმა თავის ჟურნალ „სოვრემენნიკს“ 1836 წლის მეორე ტომში ამ წიგნზე ვ. ზოლოტნიცკის ქებითი რეცენზია გამოაქვეყნა.

5. დიმიტრი ელისეის ძე ზუბარევი 1812 წელს მოსკოვში რიგით ჯარისკაცად გამწესდა. პოროდინოსთან გამოჩენილი მამაცობისათვის უნტერ-ოფიცრობა მიიღო. შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის სიტყვიერების განყოფილება დაამთავრა. იბეჭდებოდა იმდროინდელ ჟურნალებში.

დ. ე. ზუბარევი მერე საქართველოში გამოგზავნეს, სადაც ბორჩალოს, შამშადინის, ერევნისა და ყარაბახის მხარეთა აღწერის აწარმოებდა.

1832 წლის 21 იანვარს, როცა თბილისში რომან ივანეს ძე ბაგრატიონის სახლში ა. ს. გრიბოედოვის პიესა „ვაი ჭკუისაგან“ დადგეს, დ. ე. ზუბარევმა ჩაცის როლი შეასრულა.

6. თბილისის სახაზინო ექსპედიციაშივე მსახურობდა პეტრე დემიანის ძე ზავიერეისკის მოძღვენო ძმა — მათე. მათე ზავიერეისკე „ვაი — ჭკუისაგან“-ის თბილისში პირველ წარმოდგენაში ზაგორეცკის როლი ითამაშა.

ამ ჩამოთვლილ სამოქალაქო მოხელეებს, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ურთიერთობაში, ამ ნარკვევის სხვადასხვა ადგილას კვლავ შევხვდებთ.

ბაიაზეთის აღების ვოთაავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთის ოლქის მმართველობის ხანას ეკუთვნის ალექსანდრე ჭავჭავაძის მხედრული ძღვამოსილების პარნასი.

„1828 წლის 25 აგვისტოს ოსმალეთთან ომის დაწყებასთანავე ის თავისი პატარა რაზმით შეიქრა ოსმალეთის საზღვრებში და სამი კვირის შემდეგ ბრძოლით აიღო ბაიაზეთი, დაიკავა სამი მთავარი ქალაქი: თოფრაჰაკალე, ხაშური და დიადინი.

პასკევიჩმა, როცა გიგო ბაიაზეთის აღება, წამოიძახა „ყოჩაღ ჭავჭავაძეკ“.

1828 წლის 10 სექტემბერს, თბილისის საპატიო ბუმბერაზობა, გენერალ-ადიუტანტმა სიპიანგნინა, საქართველოს მეფეფრებმ ასე აუწყა ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ ციხე-სიმაგრე ბაიაზეთის აღება:

«Спешу известить жителей Грузии и провинции, что турецкая крепость Баязет покорена храбрыми российскими войсками.

Ген.-м. кн. Чавчавадзе уведомил меня, что отряд войск, назначенный для занятия сей крепости, перешел по весьма трудной дороге 27 числа минувшего месяца, приблизился к стенам Баязета.

Воины наши встречены были неприятельской конницей, но удачное действие нашей артилерии заставило ее удалится в город.

На другой день отряд наш, несмотря на сильную пальбу, производимую из крепости и города, двинулся для занятия Баязеты.

Двухбунчужный Балюль-паша, видя решимость наших воинов, видя конницу свою обращенную в бегство и не имея средств к обороне, сдал крепость и поручил участь свою великодушию русских.

Я совершенно уверен, что жители Грузии и провинции с чувством живейшего восторга примут сие радостное известие».

ბაიაზეთის აღებით გახარებულმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავისი სიძე — ა. ს. გრიბოედოვი მაშინვე ბაიაზეთში მიიპატიჟა, გრიბოედოვი კი მას თურმე ეჩქმაძინნი იწერედა.

1828 წლის 14 სექტემბერს გრიბოედოვი ხამამლოდან მთავარმართველ პასკევიჩს სწერდა:

„ჩემი სიმამრი ბაიაზეთში მიწვევს, მე კი მას ეჩქმაძინნი ვიწერ.

მაგრამ ეფიქრობ, რომ ამჯერად ერთმანეთს ვერ ვინახულებთ. ზურაბ ჭავჭავაძე ბაიაზეთის დროშებით შეხვდა ზედ ბეზაპლალას მწვერვალზე“.

ბაიაზეთის ექსპედიციის წარმატებით შესრულებისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძე ანას პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ საფოსტოში, ნიძის — ს. ს. გრიბოედოვის ბრალიანული ნიკვდილი, შეხვედრა ა. ს. პუშკინთან

ბაიაზეთის საფაშალიოს ოპერაციების წარმატებით ჩატარების შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე სამშობლოში დაბრუნდა.

„რუსეთის ადმინისტრაცია სარგებლობს მისი გვლენიანი სახელით და მის აუტორიტეტს იყენებს სხვადასხვა მოჯანყე პატარა ერის ალიეულობათა დასაშშვიდებლად“.

1829 წლის 30 ივნვარს ა. ს. გრიბოედოვი, რომელსაც სპარსეთის კარზე რუსეთის სრულუფლებიანი რეზიდენტის ადგილი ეკავა, რუსეთის საელჩოს სხვა წევრებთან ერთად ვერაგულად იქნა მოყლული თეირანში.

ნინო ჭავჭავაძე ამ დროს ფეტქმიმე, თავრიზში იმყოფებოდა.

როცა თავრიზში რუსეთის საელჩოს დაღუპვის ამბავი მოვიდა, ვადამწყვეტეს ნინოსთვის დაემალთ მეუღლის ს

ტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი და პუშკინი ამ ოჯახს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ასცდებოდა.

ორსებობს ერთი დოკუმენტი, რომელიც მოგვითხრობს პუშკინისა და ჭავჭავაძის ნაცნობობაზე.

ამ დოკუმენტს თავდაპირველად პოეტ-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ მიაქცია ყურადღება:

„პუშკინს ტფილისში,—წერს გ. ლეონიძე,—მართლაც რომ უნდა გაეცნო ჭავჭავაძე, ამას ერთი პატარა დეტალიც გვიფიქრებინებს, როცა ფრანგმა მოგზაურმა ვიქტორ ფონტანიემ ჩვენი პოეტის გვარი ორასწორი ტრასკრიპციით დასწერა: Wlstsevage „ჭიჭავაძე“. პუშკინმა მას შეუსწორა „Чавчавадзе“ (იხ. „არზრუმში გამგზავრების“ წინასიტყვაობის პროექტი).

თვით ეს პატარა ფაქტი პუშკინის მიერ კორექტივის შეტანისა ჭავჭავაძის გვარის სწორ დაწერილობაში, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პუშკინი მართლაც იცნობდა ჭავჭავაძეს. იცოდა, თუ როგორ უნდა წარმოთქმულიყო მისი გვარი და დაწერილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ გამოუდებოდა ფონტანიეს ამ წვრილმანში“.

1953 წელს გამოქვეყნდა ერთი მეტად საინტერესო ცნობა, რომელიც კიდევ ერთხელ მიუთითებს პუშკინისა და ალ. ჭავჭავაძის პირად ნაცნობობაზე.

ვიდრე ამ ცნობას მოვიყვანდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი:

დარია ახვერდოვა გადმოგვცემს, რომ გრიბოედოვის მოკვლის შემდეგ მათ „სახლსაც მძიმე ნაღველი აწვა“.

ალ. ჭავჭავაძის სახლობა ნინო ალექსანდრეს ასულის თავრაზიდან ჩამოსვლისთანავე ახვერდოვების „ფიველიდან“ გადავიდა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში.

დარია ახვერდოვა წერს: „თავრიზიდან ჩამოსული ნინო ჭავჭავაძე თავისიანებითურთ ჩვენს ფლიგელში კი არ დასახლდა, არამედ ქალაქში“.

მიუხედავად იმისა, რომ პრასკოვია ახვერდოვას საზიზიმო გული არ ჰქონდა, მან მაინც მოუწყო თურმე სადილი პუშკინს. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ეს სადილი გრიბოედოვის მოსახსენებელი პურობა იყო.

დარია ახვერდოვა გადმოგვცემს: „1829 წელს ჩვენ სადილად გვეწვია ალექსანდრე სერგის ძე პუშკინი. მე იგი ძალიან კარგად მახსოვს, ეს იყო გრიბოედოვის სიკვდილის შემდეგ“.

მკითხველისათვის ამის შემდეგ საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ პუშკინი შეხვედა ალექსანდრე ჭავჭავაძესა და მის სახლობას.

ზედმეტად მიმაჩნია ვილაპარაკო იმაზე, რომ პრასკოვია ახვერდოვასთან სადილზე, რომელიც პუშკინის საპატივცემოდ იქნა მოწყობილი, იქნებოდნენ ჭავჭავაძეებიც.

გაგრძელება იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტო მუჯაშვილი

უწყინარი დიალოგები და მონოლოგები ანუ ირონიული პოეზია

დერეფანში

— რა ქნა, დაწერა?
— არ წავა მისით ...
— აბა, ყოფილა
გაგდების ღირსი ...

მაშინ მესამე
რეპლიკას ესვრის:
— ცოდვაა,
ყურში აღარც კი ესმის.

მანქანაში

— ის რომანი, იმ ჟურნალმა
როგორ გაგვიწელა?!
— მაინც, როგორ გაადვილდა
რომანების წერა.
— ლექსების და პოემების
წერაც გაადვილდა.—
— აბა, გაზეთს გადაშლი და
კითხვა აღარ გინდა.
— იმ ჟურნალში მართლა კარგი
დაიბეჭდა, გახსოვს?
— სულ მთლად მასე კი არ არის,
ზოგჯერ ნიჭიც ფასობს.

სასტუმროსთან

— იქ იყავი?
— კი ვიყავი,
— მერე, რაო, რა თქვა?
— ცოტაა, ასე მითხრა,
თუ ძმა ხარ, არ გამოქვა.

ჩართული ტელეფონი

— წაიკითხე?
— წავიკითხე,
— როგორია,
— მკაცრი...
— მართალია?
— მართალია,
— ის ყოფილა კაცი.

ნიჰილისტის მონოლოგი

გაუმარჯოს ლუდხანებში
კაცის ქალით შეცვლას,
ადრე კაცი თუ კეცავდა,
ახლა ქალი კეცავს.

ტროლეიბუსში

როცა უნდა ფანქარია,
როცა უნდა პარკერია,
არც პურია, არც ქერია,
სულ ბატონი აკერია.
— ბატონო ანტონო,
ბატონო დანტონო,
ბატონო პლანქტონო,
ბატონო ტრაქტორო,
ბატონო მატორო,
ბატონო ატომო,
ბატონო ცხრა ტომო,
— და ხდება პლატონი
ყველაფრის პატრონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილარმონიაში

— ეს ცხოვრება, დავიდოვიჩს
პიჯაკივით აცვია,
მაშინ, იმის კაცი იყო,
ახლა, ამის კაცია ...
— ვისი ამის, გადირიე?
ახლაც იმის კაცია,
თუ მენდობი, მაგას ამის
არაფერი აცხია.

რედაქციაში შემოსული ლექსიდან

სავარძელში სამუდამოდ სხდებიან,
ადგომას და წასვლას ვერა ხვდებიან,
თათბირობენ, ანგელოსის ფრთები აქვთ,
ხეები კი ზეზეულად კვდებიან.

კონფერენციის მეორე დღეს

— მოისმინე?
— მოვისმინე.
— გამოვიდა ბრწყინვალედ,
— ცოტა მეტი მოუვიდა,
მაგრამ მთქმელი ვინ არის.
— ერთად ვუთხრათ,
— წყალში ჩავყრით
მეგობრობას ამ ხნის,
არა, რახან წყალში ჩავყრით,
მაშინ, ალბათ, არ ღირს.

კრებაზე

— ზოგი, ისე მეჩვენება,
ლაპარაკობს ყალბათ,
შენ რას იტყვი,
გვეშველება?
— გვეშველება ალბათ.
— ხანდახან მეც მეჯერება,
მეც შენსავით ვსაზღვრავ,
შენ რას იტყვი?
— გვეშველება,
არ არსებობს სხვა გზა!

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

ინტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. მდივანი-მემანქანე — 93-53-35. პ. მგ. მდივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ცისკრის“ დამატება — 93-17-63. საკორექტორო — 99-85-28.

გადაეცა ასაწყობად 21/V-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VII-76 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14.35. შეკვეთა № 1872. უე 07817. ტირაჟი 31.050.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236